Die Präfixe ვ-, გ-, ჲ-, ს- gelten nur für objektive Personalzeichen. Das Suffix -თ ist Pluralzeichen, und das Personalpräfix -ვთ weist gleichzeitig sowohl auf die Person als auch auf den Numerus hin.

[1] Oder ohne Personalzeichen: ∅.

[2] Das indirekte Objekt bleibt immer im Dativ, während das direkte Objekt in manchen Zeitformen in den Nominativ übergeht. Deshalb nennt man im Georgischen das direkte Objekt «fallveränderliches Objekt», das indirekte dagegen «fallunveränderliches Objekt».

Das objektive Präfix der 3. Person ბ- steht nur vor გ, ვ, კ, პ, უ, das Präfix -ს vor დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ. Vor allen anderen Konsonanten, sowie vor Vokalen fehlt in der 3. Person ein objektives Personalzeichen:

Singular	Plural
O′ S	
მე მ-ხატავ-ს ის er malt mich	ჩვენ გვ-ხატავ-ს ის er malt uns
შენ გ-ხატავ-ს ის er malt dich	თქვენ გ-ხატავ-თ[1] ის er malt euch
მას ხატავ-ს ის er malt ihn	მათ ხატავ-ს ის er malt sie

Analog:

მ-აქებ-ს ის lobt mich
მ-ზრდი-ს er erzieht mich

O″ S	O″ S
მე მ-ეხმარებ-ა ის er hilft mir	ჩვენ გვ-ეხმარებ-ა ის er hilft uns
შენ გ-ეხმარებ-ა ის er hilft dir	თქვენ გ-ეხმარებ-ა-თ ის er hilft euch
მას ეხმარებ-ა ის er hilft ihm	მათ ეხმარებ-ა ის er hilft ihnen

Analog:

მ-ეთამაშებ-ა er spielt mit mir
მ-ემალებ-ა er versteckt sich vor mir

Die Zahl der Personen in einer Verbform

Im Gegensatz zur deutschen Sprache, wo das Verb jeweils nur eine einzige Person — das Subjekt ausdrückt, kann das georgische Verb, wie man sieht, mittels der Affixe außer dem Subjekt noch eine objektive Person in der Verbform einschließen. Deshalb kann also das georgische Verb ein-, zwei- oder dreipersönlich sein, je nachdem, wieviel Personen in einer Verbform im Zusammenhang gebracht worden sind und mit wieviel Personalpronomen das betreffende Verb gebraucht werden kann:

S
მუშაობ-ს ის (er arbeitet) ist einpersönliches Verb, d. h. es wird nur eine (die erste, die zweite oder die dritte) Person—das Subjekt in der Verbform ausgedrückt.

In der zweipersönlichen Verbform werden zwei Personen ausgedrückt außer dem Subjekt noch ein direktes oder ein indirektes Objekt:

[1] Subjektives Personalzeichen -ს geht vor -თ verloren.

S O′
მ-აქებ-ს ის მე er lobt mich (direktes Objekt)
S O″
მ-ეხმარებ-ა ის მე er hilft mir (indirektes Objekt)

In der dreipersönlichen Verbform können theoretisch alle drei Personen ausgedrückt werden: Subjekt und beide Objekte zusammen. Alle drei Personalzeichen aber treten nie gleichzeitig in Erscheinung.

Eine von den objektiven Personen, am häufigsten das direkte Objekt, bleibt unbezeichnet:

S O″ O′	
ის მე მ-თხოვ-ს მას	er bittet mich um etwas
ის შენ გ-თხოვ-ს მას	er bittet dich um etwas
ის მას ს-თხოვ-ს მას	er bittet ihn um etwas
ის ჩვენ გვ-თხოვ-ს მას	er bittet uns um etwas
ის თქვენ გ-თხოვ-თ მას	er bittet euch um etwas
ის მათ ს-თხოვ-ს მას	er bittet sie um etwas
ის მე მ-აძლევ-ს მას	er gibt mir etwas
ის შენ გ-აძლევ-ს მას	er gibt dir etwas
ის მას აძლევ-ს მას	er gibt ihm etwas
ის ჩვენ გვ-აძლევ-ს მას	er gibt uns etwas
ის თქვენ გ-აძლევ-თ მას	er gibt euch (Ihnen) etwas
ის მათ აძლევ-ს მას	er gibt ihnen etwas

In einer Verbform können verschiedene Kombinationen zwischen den subjektiven (S) und objektiven (O) Personen zum Ausdruck kommen:

S O′	
I. ის მე მ-ზრდი-ს	er erzieht mich
ის ჩვენ გვ-ზრდი-ს	er erzieht uns
ის შენ გ-ზრდი-ს	er erzieht dich
ის თქვენ გ-ზრდი-თ	er erzieht euch (Sie)
ის მას ზრდი-ს	er erzieht ihn
ის მათ ზრდი-ს	er erzieht sie
ისინი მე მ-ზრდი-ან	sie erziehen mich
ისინი ჩვენ გვ-ზრდი-ან	sie erziehen uns
ისინი შენ გ-ზრდი-ან	sie erziehen dich

ისინი თქვენ გ-ზრდი-ან	sie erziehen euch (Sie)
ისინი მას ზრდი-ან	sie erziehen ihn
ისინი მათ ზრდი-ან	sie erziehen sie
S O′	
II. მე შენ გ-ზრდი	ich erziehe dich
მე თქვენ გ-ზრდი-თ	ich erziehe euch (Sie)
მე მას ვ-ზრდი	ich erziehe ihn
მე მათ ვ-ზრდი	ich erziehe sie
ჩვენ შენ გ-ზრდი-თ	wir erziehen dich
ჩვენ თქვენ გ-ზრდი-თ	wir erziehen euch (Sie)
ჩვენ მას ვ-ზრდი-თ	wir erziehen ihn
ჩვენ მათ ვ-ზრდი-თ	wir erziehen sie
III. შენ მე მ-ზრდი	du erziehst mich
შენ ჩვენ გვ-ზრდი	du erziehst uns
შენ მას ზრდი	du erziehst ihn
შენ მათ ზრდი	du erziehst sie
თქვენ მე მ-ზრდი-თ	ihr erzieht (sie erziehen) mich
თქვენ ჩვენ გვ-ზრდი-თ	ihr erzieht (sie erziehen) uns
თქვენ მას ზრდი-თ	ihr erzieht (sie erziehen) ihn
თქვენ მათ ზრდი-თ	ihr erzieht (sie erziehen) sie

Wie die oben angeführten Beispiele zeigen, können mit der 3. subjektiven Person alle drei objektiven Personen in Beziehung treten (I), während bei der 1. und 2. subjektiven Person nur zwei objektive Personen in Verbindung stehen; bei der 1. subjektiven Person die 2. und die 3. objektive Person (II) und bei der 2. subjektiven Person die 1. und die 3. objektive Person (III).

Wenn aber subjektive und objektive Personalpräfixe zusammentreffen, so wird eines von den beiden verdrängt.

Die subjektive Reihe სუბიექტური წყობა	Die objektive Reihe ობიექტური წყობა
მე ვ-ამზადებ მას ich bereite ihn	მე მ-ამზადებ-ს ის er bereitet mich
შენ ამზადებ მას du bereitest ihn	შენ გ-ამზადებ-ს ის er bereitet dich
ის ამზადებ-ს მას er bereitet ihn	მას ამზადებ-ს ის er bereitet ihn

ჩვენ ვ-ამზადებ-თ მას wir bereiten ihn	ჩვენ გვ-ამზადებ-ს ის er bereitet uns
თქვენ ამზადებ-თ მას ihr bereitet ihn (Sie bereiten ihn)	თქვენ გ-ამზადებ-თ ის er bereitet euch (Sie)
ისინი ამზადებ-ენ მას sie bereiten ihn	მათ ამზადებ-ს ის er bereitet sie

Manche Formen der subjektiven und objektiven Personen haben gleiche Pluralzeichen, dadurch ist ein Zusammenfallen der verschiedenen Pluralformen bedingt:

გ-ზრდი-თ { ich erziehe euch (Sie) / wir erziehen euch (Sie) / wir erziehen dich (Sie)

Das subjektive Personalzeichen -ს geht vor -თ verloren:
ის თქვენ გ-ზრდი-თ statt გ-ზრდი-ს-თ

Aber wenn Subjekt und Objekt in der gleichen Person stehen, so kann die Beziehung des Objekts zum Subjekt nicht durch das entsprechende objektive Personalzeichen ausgedrückt werden, sondern nur durch die Umschreibung mit თავი «Kopf» und Possessivpronomen:

მე ვ-ზრდი ჩემს თავს	ich erziehe mich
შენ ზრდი შენს თავს	du erziehst dich
ის ზრდი-ს თავის თავს	er erzieht sich
ჩვენ ვ-ზრდი-თ ჩვენს თავს	wir erziehen uns
თქვენ ზრდი-თ თქვენს თავს	ihr erzieht euch (Sie erziehen sich)
ისინი ზრდი-ან თავის თავს	sie erziehen sich

Der Text

1. რომელი ენა იცით?

2. მე მხოლოდ ევროპული ენები ვიცი: გერმანული, ფრანგული და ინგლისური.

1. სამწუხაროდ, მე გერმანულად და ფრანგულად ცუდად ვლაპარაკობ. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვიცი. თავისუფლად ვლაპარაკობ ინგლისურად, ქართულად და რუსულად.

2. ქართულად! ქართული ჩემი დედაენაა, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ცუდად ვლაპარაკობ ქართულად.

1. დედაენაა! ქართველი ბრძანდებით და თქვენი დედაენა არ იცით?

2. მე გერმანიაში დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემი ქართველია, დედა კი გერმანელი. ჩვენს ოჯახში ქართულად იშვიათად მელაპარაკებიან. თქვენ ვინ გასწავლით ქართულს?

1. მე ქართველურ ენებს ვსწავლობ, კერძოდ, ქართულ ენასა და ლიტერატურასაც.

2. გთხოვთ, ქართულად მელაპარაკეთ. მე გაგიგებთ, თუ უფრო ნელა ილაპარაკებთ.

1. წერთ და კითხულობთ ქართულად? გამიგეთ? გესმით ჩემი?

2. დიახ, მივხვდი, ადვილად გაგიგეთ. მე ახლა ვსწავლობ ქართულ წერა-კითხვას ქართული ენის თვითმასწავლებლით.

1. გინდათ, მეც მოგეხმარებით და გასწავლით ქართულს?

2. ოო, ეს დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვის. მე ძალიან მინდა კარგად და ჩქარა ვისწავლო ქართული.

1. მაშ, ხვალიდან ვიწყებთ მეცადინეობას, ახლა კი ნახვამდის.

2. ნახვამდის.

Texterläuterung

დავიბადე — ich bin geboren, ich wurde geboren.
გავიზარდე — ich bin aufgewachsen
გთხოვთ — ich bitte Sie.
მელაპარაკეთ — sprechen Sie mit mir!
გაგიგებთ — ich werde Sie verstehen
თუ უფრო ნელა ილაპარაკებთ — wenn Sie langsamer sprechen
გამიგეთ? — haben Sie mich verstanden?
მივხვდი — ich habe erraten
ადვილად გაგიგეთ — ich habe Sie leicht verstanden
ქართული ენის თვითმასწავლებლით — nach dem Lehrbuch der georgischen Sprache zum Selbststudium
გინდათ, მეც მოგეხმარებით — wollen Sie nicht, daß auch ich Ihnen helfe?
გასწავლით — ich werde Sie lehren
ეს დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვის — das wird ein großes Glück für mich sein
მე მინდა ვისწავლო — ich möchte erlernen (studieren; lernen)
ხვალიდან — von morgen an

Übungen

1. Konjugieren Sie folgende Verben zuerst nach der subjektiven, dann nach der objektiven Reihe:

ვასწავლი, ვეხმარები, ვაქებ, ვწერ, ვესალმები, ვთხოვ, ველაპარაკები, ვემალები.

2. Setzen Sie, wo nötig, die richtigen subjektiven oder objektiven Personalzeichen:

უცხოელი -ასწავლი- ჩვენ ქართულ ენასა და ლიტერატურას. ვინ -ეხმარებ- შენ? ჩვენ -ეხმარები- ჩემი მშობლები. თქვენ ჩვენ გერმანულს -ასწავლი-? დიახ, მე თქვენ გერმანულს -ასწავლი-. მასწავლებელი თქვენ -აქებ-? არა, მასწავლებელი ჩვენ არ -აქებ-. ჩვენ ცუდად -სწავლობ- ქართულს. შენ ხშირად წერ მშობლებს წერილებს? არა, მე მშობლებს წერილებს იშვიათად -წერ. შენ იშვიათად -წერ- მეგობრები წერილებს? არა, მე ისინი წერილებს ხშირად -წერ-. ის ჩვენ -აძლევ- დავალებას. ისინი შენ (თქვენ) -აქებ-. ვინ აქებ- მას (მათ).

3. Übersetzen Sie ins Georgische:

Worin (was) unterrichtet Sie mein Freund? Er unterrichtet mich im Georgischen. Lobt der Lehrer dich (euch; sie; ihn)? Ja, der Lehrer lobt mich (uns; ihn; sie). Helfen dir (euch; ihm; ihnen) deine Freunde? Ja, sie helfen mir (uns).

მეცხრე გაკვეთილი

IX. Stunde

Konjugation der Verben ჰყავს, აქვს und ჰქვია im Präsens

S O		
მე მ-ყავ-ს ის (მ-აქვ-ს)	ich habe	მ-ქვი-ა ich heiße
შენ გ-ყავ-ს ის (გ-აქვ-ს)	du hast	გ-ქვი-ა du heißt
მას ჰ-ყავ-ს ის (აქვ-ს)	er hat	ჰ-ქვი-ა er heißt
ჩვენ გვ-ყავ-ს ის (გვ-აქვ -ს)	wir haben	გვ-ქვი-ა wir heißen
თქვენ გ-ყავ-თ ის (გ-აქვ-თ)	ihr habt; Sie haben	გ-ქვი-ა-თ ihr heißt; Sie heißen
მათ ჰ-ყავ-თ ის (აქვ-თ)	sie haben	ჰ-ქვი-ა-თ sie heißen

Analog:

S O	
მე მ-ძულ-ს ის	ich hasse ihn
მე მ-იყვარ-ს ის	ich liebe ihn

Merken Sie:

1. **ჰყავს** wird im allgemeinen in bezug auf Lebewesen gebraucht, **აქვს** bei leblosen Dingen.

2. Bei den Verben **ჰყავს, აქვს, ჰქვია** usw. steht das Subjekt im Dativ und das Objekt im Nominativ. Die subjektive Person wird durch das objektive Personalzeichen und die objektive durch das subjektive Personalzeichen ausgedrückt. Solche Verben nennt man inversive (ინვერსიული) Verben.

3. Bei manchen inversiven Verben wird das Objekt in der 1. und 2. Person durch das Hilfsverb **ვარ** in den entsprechenden Person und Zahl gebildet:

S O	
მას ვ-უყვარ-ვარ მე	er liebt mich
მას უყვარ-ხარ შენ	er liebt dich
მას უყვარ-ს ის	er liebt ihn
მას ვ-უყვარ-ვარ-თ ჩვენ	er liebt uns
მას უყვარ-ხარ-თ თქვენ	er liebt euch (Sie)
მას უყვარ-ს ისინი	er liebt sie

Der Text

ხვალ მე და ბიძაჩემი სანადიროდ მივდივართ. ბიძა მონადირე ჰყავს. მას სახელად გიორგი ჰქვია. მის პატივსაცემად მეც გიორგი მქვია. დილას მე და ბიძაჩემი ადრე ვდგებით. ბიძაჩემს ძაღლი არა ჰყავს და ამიტომ თან მეზობლის ძაღლი მიგვყავს. ძაღლს ბროლია ჰქვია. მე და ბიძაჩემი ხშირად ვნადირობთ ხოლმე. ნადირობა ორივეს გვიყვარს.

Texterläuterung

მას სახელად. . . ჰქვია — er heißt. . .
მის პატივსაცემად — ihm zu Ehren
მეც — ich auch

Lernen Sie auswendig:

გაზაფხულის დილა მქვია,
ყვავილების სანეტარო.
მღერის ბუჩქი, მღერის კორდი,
მღერის მთა და მღერის წყარო!

იროდიონ ევდოშვილი

Texterläuterung

ყვავილების სანეტარო — für die Blumen erwünscht

Instrumentalis

Die Kasusendung des Instrumentalis ist **-ით**. Bei nicht synkopiertstämmigen Substantiven auf **ო** und **უ** steht **-თი**.

Im Instrumentalis unterliegen die synkopiertstämmigen Substantive dem Kürzen.

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი ფანქარ-ი der Bleistift	ფანქრ-ებ-ი die Bleistifte
მოქმედებითი ფანქრ-ით(ა)[1] mit dem Bleistift	ფანქრ-ებ-ით(ა) mit den Bleistiften
სახელობითი უთო das Bügeleisen (Plätteisen)	უთო-ებ-ი die Bügeleisen (Plätteisen)
მოქმედებითი უთო-თი mit dem Bügeleisen (Plätteisen)	უთო-ებ-ით(ა) mit den Bügeleisen (Plätteisen)

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ. ბუ die Eule	ბუ-ებ-ი die Eulen
მოქმ. ბუ-თი mit der Eule	ბუ-ებ-ით mit den Eulen

Der Instrumentalis antwortet im allgemeinen auf die Frage რით? womit? und erfüllt fast dieselben Funktionen wie die Präposition «mit» im Deutschen.

მე ვიბან ცივი (თბილი) წყლით და საპნით, ვიწმენდ კბილებს კბილის ჯაგრისით და კბილის პასტით (კბილის ფხვნილით).	Ich wasche mich mit kaltem (warmem) Wasser und Seife, putze mir die Zähne mit der Zahnbürste und Zahnpaste (Zahnpulver).
ვჭამ ჩანგლით და კოვზით.	Ich esse mit der Gabel und dem Löffel.
მე პროფესიით მხატვარი გახლავართ.	Ich bin Maler von Beruf.
წიგნებს ჩემი ფულით ვყიდულობ.	Ich kaufe Bücher für mein Geld.

[1] **ით(ა)** ist die erweiterte Kasusendung des Instrumentalis.

მე ან ფეხით დავდივარ, ან ტრამვაით (ავტობუსით; ტროლეიბუსით; მეტროთი) ვმგზავრობ.	Ich gehe zu Fuß oder fahre mit der Straßenbahn (mit dem Bus; Trolleybus; mit der U-Bahn).

Der Instrumentalis drückt oft eine Zeitbestimmung aus:

დილით	am Morgen; morgens
დღისით	am Tage; tags
ღამით	in der Nacht; nachts
ორშაბათობით	montags
სამშაბათობით	dienstags
ოთხშაბათობით	mittwochs
ხუთშაბათობით	donnerstags
პარასკევობით	freitags
შაბათობით	sonnabends; samstags
კვირაობით	sonntags
თვეობით	monatelang; monatlich
წლობით	jahrelang

ჩვენი ბინა

ჩვენ გვაქვს ახალი ხუთოთახიანი ბინა ყველა სათავსოთი. გაიერი დერეფანი პირდაპირ სასტუმრო ოთახში შედის, რომელიც, თავისი მხრით, სასადილო ოთახში გადის. სასტუმრო ოთახის მარცხნივ ჩემი სამუშაო ოთახია ვიწრო აივნით, მარჯვნივ საძინებელი. მის კვერდით ბავშვთა ოთახია. იქვე გვაქვს აბაზანა და ტუალეტი. სასადილო ოთახი ლოჯში გადის, სამზარეულო კი ღია აივანზე. სამზარეულოსა და სასადილო ოთახს შორის პატარა და მოხერხებული საკუჭნაო გვაქვს. ჩვენი ბინის ყველა ოთახი[1] თანამედროვე და პრაქტიკული ავეჯით არის მოწყობილი.

სასტუმრო ოთახი მყუდროა. მისი კედლები და ჭერი თეთრად არის შეღებილი. იატაკზე პარკეტი აგია. ფანჯრებზე თეთრი ფარდები ჰკიდია. მარჯვნივ კედელთან დაბალი ტახტია. ტახტის წინ ხალიჩა აგია და ჟურნალის მაგიდა და რამდენიმე სავარძელი[1] დგას. მაგიდაზე აწყვია ჟურნალ-გაზეთები. ტახტის გვერდით ტორშერია დიდი შუქფარით, ხოლო მარცხნივ კუთხეში კი — როიალი. როიალსა და ფანჯარას შორის რადიოა მოთავსებული, ხოლო ფანჯრებს შორის — ტელევიზორი. ჭერზე დიდი ჭაღი ჰკიდია, ტახტის ზემოთ კი ლადო გუდიაშვილის ნახატი. კარების გვერდით პატარა თაროა ტე-

[1] Nach Mengenangaben wird Singular gebraucht.

ლეფონით. როგორც ოჯახის წევრებს, ასევე ჩვენს სტუმრებსაც ძალიან უყვართ ეს ოთახი. საღამოობით, როდესაც ჩვენთან სტუმრად ჩვენი მეგობრები მოდიან, ამ ოთახში ვიკრიბებით, ვუსმენთ რადიოს ან ვუყურებთ ტელევიზორს, ვსაუბრობთ, ხანდახან ვცეკვავთ კიდეც.

საწოლი ოთახი დიდი არ არის. აქ მხოლოდ ორი საწოლი და ტანსაცმლის კარადაა დიდი სარკით.

ჩემი სამუშაო ოთახის სამი კედელი წიგნების კარადასა და თაროებს უჭირავს. ფანჯარასთან დგას საწერი მაგიდა და სკამი.

სამზარეულოსა და აბაზანაში კედლები ფილებით არის მოპირკეთებული. სამზარეულოში მარცხნივ მაცივარი და ჭურჭლის კარადაა, მარჯვნივ გაზქურა, იქვეა ბაკანი ცხელი და ცივი წყლის ონკანით.

Texterläuterung

ყველა სათავსოთი — mit allen Bequemlichkeiten
ოთახში — im (ins) Zimmer
ლოჯში — in der (die) Loggia
აივანზე — auf dem (den) Balkon
იატაკზე — auf dem (den) Fußboden
ფანჯრებზე — an den (die) Fenstern
კედელთან — an der (die) Wand
მაგიდაზე — auf dem (den) Tisch
კუთხეში — in der (die) Ecke
ჭერზე — an der (die) Decke
ჩვენთან — bei uns
ფანჯარასთან — am (ans) Fenster
აბაზანაში — im (ins) Badezimmer
სამზარეულოში — in der (die) Küche

Übungen

1. Beschreiben Sie Ihr Zimmer, Küche und Badezimmer, benützen Sie dabei die unten angegebenen Wörter:

ღია (მუქი) ცისფერი, ყვითელი, მწვანე, წითელი, შავი, ახალი, ძველი, მარმარილო, ნაოჭირა.

2. Übersetzen Sie ins Georgische:

Wann arbeiten Sie? Ich arbeite am Morgen (in der Nacht; dienstags; abends). Womit schreiben Sie? Wir schreiben mit dem Blei-

stift. Was bist du von Beruf? Ich bin Arzt von Beruf. Womit fahren Sie zur Arbeit (in die Universität), mit dem Autobus oder mit der U-Bahn? Was kaufst du für dein Geld? Das Kind ißt schon mit dem Löffel. Sonntags fahren wir aufs Land. Sonnabends sind meine Freunde bei mir.

მეათე გაკვეთილი

X. Stunde

Postpositionen

(თანდებული)

Allgemeines

Statt der im Deutschen üblichen Präpositionen gebraucht die georgische Sprache Postpositionen, von denen jede einen bestimmten Kasus (den Nominativ, Dativ, Genitiv, Instrumentalis...) für das zugehörige Substantiv oder Pronomen fordert.

Im Georgischen unterscheidet man zwei Arten der Postpositionen:

1. Die Postpositionen, die unmittelbar an das Nomen angehängt werden. Sie sind in der Regel einsilbig: z. B.;

სკოლა-ში in der (die)[1] Schule.

2. Die Postpositionen, die als selbständige Wörter nach dem Nomen gestellt werden. Das sind gewöhnlich mehrsilbige Postpositionen, doch kommen auch einsilbige vor. Die meisten von dieser Postpositionen treten auch als Adverbien auf.

კარადასა და ფანჯარას შუა '	Zwischen dem (den) Schrank und dem (das) Fenster.

Den Nominativ verlangt die Postposition -ვით «wie (ähnlich)» nur in Verbindung mit konsonantstämmigen Substantiven.

თქვენ ქართველივით ლაპარაკობთ ქართულად.	Sie sprechen georgisch wie ein Georgier
თქვენ ბავშვივით იქცევით.	Sie benehmen sich wie ein Kind (kindisch).

---

[1] Bei den georgischen Postpositionen fallen Orts- und Richtungsbezeichnung zusammen. Sie antworten sowohl auf die Frage „wo" als auch „wohin" Sie sind deshalb im Deutschen sinngemäß mit dem Dativ oder dem Akkusativ wiederzugeben.

In Verbindung mit vokalstämmigen Substantiven regiert -ვით[1] den **Dativ**.

ქართველი ხალხი კლდესავით მაგარია. — Das georgische Volk ist fest wie ein Felsen.

Der Dativ steht außerdem noch bei folgenden Postpositionen:

-თან bei, zu, mit, an (D., A.).

მე ვცხოვრობ ჩემს მშობლებთან — Ich wohne bei meinen Eltern.
მე მივემგზავრები ჩემს ბებიასთან და ბაბუასთან (პაპასთან). — Ich fahre zu meinen Großeltern.
ის ჩვენთან ერთად მუშაობს. — Er arbeitet mit uns.
ვისთან საუბრობს ის? — Mit wem spricht er?

-ში in (D., A.) nach (örtlich).

მე ვცხოვრობ თბილისში (ქალაქში; სოფელში). — Ich wohne in Thbilissi (in der Stadt; auf dem Lande).
ჩვენ მივდივართ კინოში (უნივერსიტეტში; ქალაქში). — Wir gehen ins Kino (in die Universität, in die Stadt).
ბავშვები მიდიან შინ[2]. — Die Kinder gehen nach Hause.
მე მთელი დღე შინ[2] ვარ. — Ich bin heute den ganzen Tag zu Hause.

-ზე auf, an (D., A.).

მაგიდაზე ბევრი[3] წიგნი დევს[4]. — Auf dem Tisch liegen viele Bücher.
ჩემს წიგნებს მე მაგიდაზე ვაწყობ[4]. — Ich lege meine Bücher auf den Tisch.
ჩვენ მივდივართ კონცერტზე. — Wir gehen ins Konzert.
ისინი კონცერტზე არიან. — Sie sind im Konzert.

Merken Sie:

Die Kasusendung des Dativs -ს wird vor den Postpositionen -ში und -ზე bei konsonantstämmigen Substantiven auch vor -თან weggelassen. Sie hat sich nur beim Pronomen der 3. Person Singular erhalten.

საქართველო ჩემი სამშობლოა. — Georgien ist mein Vaterland.
მე ხშირად ვფიქრობ მასზე. — Ich denke oft daran.

[1] Im Dativ wird bei dieser Postpositionen die erweiterte Kasusendung verwendet.

[2] nicht სახლში.

[3] Nach ბევრი steht das Substantiv im Singular.

[4] დევს (liegt) und ვაწყობ (lege) werden nur in bezug auf Dinge gebraucht.

ეს ჩემი ჩანთაა. მასში დევს ჩემი სათვალე.
Das ist meine Tasche. Darin liegt meine Brille.

ჩემი მეგობარი ნაკითხია. მე მიყვარს მასთან საუბარი.
Mein Freund ist belesen. Ich spreche gern mit ihm.

შორის zwischen (D., A.).

ჩემი საწოლი დგას ფანჯარასა და კარადას **შორის**.
Mein Bett steht zwischen dem Fenster und dem Schrank.

ჩვენ **შორის** ზის ჩვენი სტუმარი.
Zwischen uns sitzt unser Gast.

ჩვენ **შორის** რომ ვთქვათ...
Unter uns gesagt...

Den Genitiv regieren folgende Postpositionen:

-თვის für

შენი ვაჟიშვილისათვის სურათებიანი წიგნი მაქვს.
Für deinen Sohn habe ich ein Bilderbuch.

-კენ zu, nach (in der Richtung).

მარჯვნისაკენ.
nach rechts.

მარცხნისაკენ.
nach links.

ისინი ჩვენკენ მოდიან.
Sie kommen auf uns zu.

ყოველ დილით ბავშვები სკოლისაკენ მიდიან.
Jeden Morgen gehen die Kinder zur Schule.

-გან von

ეს არის სახსოვარი ჩემგან, ხის დედოფალა.
Das ist ein Andenken von mir, eine Puppe aus Holz.

Merken Sie:

Bei den Postpositionen **-თვის -კენ, -გან** werden sowohl nicht erweiterte als auch erweiterte Kasusendungen **-ის(ა)** gebraucht:

სახლისკენ und სახლისაკენ nach Hause.

Alleinstehende Postpositionen stehen am häufigsten mit dem Genitiv.

გამო wegen, infolge

ავადმყოფობის **გამო** ის მთელი დღე შინ არის.
Wegen (infolge) der Krankheit ist er den ganzen Tag zu Hause.

უამინდობის **გამო** ცუდ გუნებაზე ვარ.
Wegen (infolge) des Unwetters bin ich schlechter Laune.

გარდა außer

ჩვენ **გარდა** ყველა კონცერტზეა (ლექციაზეა).
Außer uns sind alle im Konzert (in der Vorlesung).

შენი ძმის **გარდა** სხვა მეგობარი მე არა მყავს.
Ich habe keinen Freund außer deinem Bruder.

შესახებ von, über (etwas sprechen)

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ჩვენი სამშობლოს (მეგობრობის; მშვიდობის; შენ; თქვენ; მის; მათ) **შესახებ**.
Wir sprechen oft über unsere Heimat (Freundschaft; Frieden; dich; Sie; euch; ihn; sie)

შემდეგ nach

რას აკეთებ შენ სკოლის (ერთი საათის) **შემდეგ**.
Was machst du nach der Schule (nach einer Stunde)?

ჭამის **შემდეგ** ვისვენებ.
Nach dem Essen ruhe ich mich aus.

წინ vor

ჩათვლის (გამოცდის) **წინ** ჩვენ ყველაფერს ვიმეორებთ.
Vor der Vorprüfung (Prüfung) wiederholen wir alles.

რამდენიმე წლის (ხნის; კვირის; თვის) **წინ**.
Vor vielen Jahren (vor Zeiten; vor einigen Wochen; Monaten).

ჩემი სახლის **წინ** ხე დგას.
Vor meinem Haus steht ein Baum.

Der Instrumentalis steht bei der Postposition **-დან** (aus, von).

Bei konsonantstämmigen und vokalstämmigen Substantiven auf ა und ე ist vor dieser Postposition von der Kasusendung unveränderlich nur **-ი-** erhalten.

ჩვენ ვართ თბილისი**დან** (ქალაქი**დან**; სოფლი**დან**).
Wir sind aus Thbilissi (der Stadt; vom Lande).

ხი**დან**; კარადი**დან**.
aus Holz; aus dem Schrank.

Bei vokalstämmigen Substantiven auf ო und უ wird **-დან** direkt an den Stamm angehängt.

ქალები წყალს იღებენ წყარო**დან**.
Die Frauen nehmen Wasser aus der Quelle.

საქართველო

საქართველო ამიერკავკასიაში, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა მდებარეობს. ჩრდილოეთით მას საზღვრავს კავკასიის მთები, დასავლეთით — შავი ზღვა, სამხრეთით — სამხრეთ მთიანეთი, აღმოსავლეთით — კავკასიონის ქედის შტო, რომელიც აქ საქართველოს დაღესტნისაგან ყოფს. კავკასიონის მთებიდან სამხრეთისაკენ ქართლსა და იმერეთს შუა აღმართულია ლიხის ანუ სურამის ქედი. ეს მთაგრეხილი ჩვენს სამშობლოს ორ დიდ ნაწილად ყოფს: ქედს იქით დასავლეთი, ხოლო აქეთ — აღმოსავლეთი საქართველოა. ეს ორ-მხარე სურამის გრძელი გვირაბითა და რიკოთის გადასავლელზე გაყვანილი გზატკეცილით უკავშირდება ერთმანეთს.

საქართველოს საერთო ფართობი დაახლოებით 70 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

საქართველოში 4.686.000 მცხოვრებია.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. საქართველოს დიდ ნაწილში ზამთარი ზომიერად ცივი და ნაკლებად თოვლიანი, ზაფხული კი საკმაოდ ცხელი და ხანგრძლივია; მთიანეთში თითქმის მთელი წლის განმავლობაში ცივა.

საქართველოს ყველაზე დიდი დაბლობია კოლხეთის დაბლობი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს გასდევს.

საქართველოში მრავალი მდინარეა. დასავლეთი საქართველოს მდინარეებია: რიონი, ენგური, კოდორი, ბზიფი, ჭოროხი; აღმოსავლეთ საქართველოსი კი — მტკვარი, ალაზანი, იორი, ლიახვი, არაგვი, თერგი და სხ.

საქართველოში ტბებიც ბევრია. განსაკუთრებით ბევრ ტურისტს იზიდავს მდ. ბზიფის აუზში მდებარე რიწის ტბა. იგი დიდი არ არის, მაგრამ ღრმა და ლამაზია. ხშირი ტყით დაფარული ციცაბო ნაპირები და მოლურჯო-ფირუზისფერი წყალი მას მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ტბად ხდის.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, კურორტებით და მინერალური წყლებით. ვის არ გაუგონია ბორჯომის, წყალტუბოს, საირმეს და სხვათა სახელები.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი. დასავლეთ საქართველოში ყველაზე დიდი ქალაქია ქუთაისი. საპორტო ქალაქებიდან აღსანიშნავია: ბათუმი, სოხუმი და ფოთი.

საქართველოს ბუნება მრავალფეროვანია. თავისებური სილამაზე აქვს ფოთლოვანი და წიწვიანი ტყეებით დაფარულ მთებსა თუ შიშველ კლდეებს, ბაღებითა და ბოსტნებით, ვენახებითა და ციტრუსე-

ბით დამშვენებულ ველებსა და გორაკებს, მოჩუხჩუხე ნაკადულებსა და ჩანჩქერებს, თვალუწვდენელ ხეობებსა და უფსკრულებს. განუმეორებელი სილამაზისაა თოვლით მუდმივად დაფარული კავკასიონის მწვერვალები: იალბუზი, მყინვარი (ყაზბეგი), უშბა და სხ.

Texterläuterung

კავკასიის = კავკასიური — kaukasisch
ორ დიდ ნაწილად — in zwei große Teile
ქედს იქით (აქეთ) — jenseits (diesseits) des Gebirgsrückens
ერთმანეთს — miteinander
ერთ-ერთ ულამაზეს ტბად ხდის — es macht ihn zu einem der schönsten Seen
ვის არ გაუგონია — wer hat es nicht gehört
და სხვათა სახელები — und die Namen vieler anderer

ჩემი სამშობლო

(ნაწყვეტი)

ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით ნაქარგი!
ტკბილია, როგორც რუსთველი, ტკბილია, როგორც აკაკი,
ხალხი შრომაში გართული, ამღერებული ფანდური,
იადონების გალობა და იავნანა ქართული.
ხალხია ენამზიანი, გმირი და არამკვეხარა, —
დიდია ჩემი სამშობლო, ტკბილია ჩემი ქვეყანა.
ჩემი სამშობლო ზურმუხტის და მარგალიტის სადარი,
აბრიგად აყვავებული მხარე მეორე სად არის?

ლადო ასათიანი

Texterläuterung

ხალხი შრომაში გართული = შრომაში გართული ხალხი — das mit der Arbeit geschäftige Volk
იავნანა ქართული = ქართული იავნანა — das georgische Wiegenlied
მხარე მეორე = მეორე მხარე — das zweite Land

Übungen

I. Antworten Sie auf folgende Fragen:

1. სად მდებარეობს საქართველო და როგორი ქვეყანაა ის? 2. რა ესაზღვრება საქართველოს დასავლეთით (აღმოსავლეთით, ჩრდილო-

ეთით, სამხრეთით)? 3. რას უდრის საქართველოს საერთო ფართობი? 4. რამდენი მცხოვრებია საქართველოში? 5. რომელი ქედი ყოფს საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ? 6. დაასახელეთ საქართველოს მდინარები, ტბები, ქალაქები, მწვერვალები. 7. მდიდარია საქართველო ბუნებრივი რესურსებითა და მინერალური წყლებით? 8. როგორია საქართველოს ბუნება?

2. Schreiben Sie aus dem Text Postpositiunen heraus und bestimmen Sie den Kasus!

3. Setzen Sie die entsprechenden Postpositionen:

ყოველ წელს საქართველო- ჩამოდის ბევრი ტურისტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნი-. ჩემი სოფელი მდინარის ნაპირ- მდებარეობს. ზაფხულს მე ჩემს ბიძას- ვატარებ. ლამაზი ყვავილები იზრდება ამ ველი-? რა იცი საქართველოს —? მოსწავლე დაფის — დგას. მე ხშირად მომდის წერილები ჩემი გერმანელი მეგობრებისა- ბერლინი-. შემოდგომა- ჩიტები მიფრინავენ სამხრეთი-. ძლიერი წვიმის — დღეს მე მასწავლებელ- ვერ მივდივარ. თბილისი ყველაზე დიდი ქალაქია საქართველო-. მას აქვს საჩუქარი შენ-. მე არ მიმიღია წერილი შენ-. ვის- მოდიხარ? ამ ლექსის — კიდევ ვისი ლექსი იცი?

4. Übersetzen Sie ins Georgische:

Wegen Krankheit bleibt er zu Hause: Nach der Schule gehe ich zu meinem Onkel. Er ist stark wie ein Löwe. In unserer Stadt sind viele Gäste aus Berlin. Auf dem Pult liegen Bücher und Hefte. Der Sessel steht zwischen dem Klavier und dem Fenster. Ich spreche mit deinen Eltern. Wann kommt er zu dir? Wir gehen zum Konzert. Ich wohne bei meinen Verwandten. Diese Blumen sind für dich. Wir fahren nach Osten. Der Lehrer erzählt uns vom Riza-See. Vor dem Garten spielen viele Kinder.

მეთერთმეტე გაკვეთილი

XI. Stunde

Manchmal wird das Präsens der 1. und 2. Person Singular bzw. Plural mittels des Hilfsverbes **ვარ, ვართ; ხარ, ხართ** gebildet:

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
მე და-ვ-დი-**ვარ** ich gehe	ჩვენ და-ვ-დი-**ვარ-თ** wir gehen
შენ დადი-**ხარ** du gehst	თქვენ დადი-**ხარ-თ** ihr geht
ის დადი**ს** er geht	ისინი დადი-**ან** sie gehen

Analog:

მო-ვ-დი-ვარ ich komme
და-ვ-რბი-ვარ ich laufe

aber:

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
მე ვ-დგა-ვარ ich stehe	ჩვენ ვ-დვა-ვარ-თ wir stehen
შენ დგა-ხარ du stehst	თქვენ დგა-ხარ-თ ihr steht (Sie stehen)
ის დგა-ს er steht	ისინი დგან-ან sie stehen
მე ვ-ზი-ვარ ich sitze	ჩვენ ვ-სხედ-ვარ-თ[1] wir sitzen
შენ ზი-ხარ du sitzt	თქვენ სხედ-ხარ-თ ihr sitzt
ის ზი-ს er sitzt	ისინი სხედ-ან sie sitzen
მე ვ-წე-ვარ[2] ich liege	ჩვენ ვ-წე-ვარ-თ wir liegen
შენ წევ-ხარ du liegst	თქვენ წევ-ხარ-თ ihr liegt (Sie liegen)
ის წევ-ს er liegt	ისინი წვან-ან sie liegen

Präverbien

ზმნისწინი

Mit Hilfe der Präverbien werden aus Stammverben neue Wörter gewonnen. Die Präverbien können die Richtung einer Handlung anzeigen.

ა- kennzeichnet die Bewegung von unten nach oben:

მე ავდივარ (შენ ადიხარ) ხეზე (მთაზე; გორაკზე; კლდეზე; კოშკში; ავტობუსში).	Ich steige (du steigst) auf einen Baum (Berg; Hügel; Felsen Turm; in den Bus).
თვითმფრინავი ადის 10000 (ათი ათასი) მეტრის სიმაღლეზე.	Das Flugzeug steigt in die Luft auf 10000 Meter Höhe.

და- kennzeichnet bei vielen Verben die Wiederholung der Handlung in unbestimmter Richtung:

ბავშვები დარბიან (დახტიან) აქეთ-იქით.	Die Kinder laufen (springen) hin und her.
თვითმფრინავები და ფრენენ ჰაერში.	Die Flugzeuge fliegen in der Luft.

[1] nicht ვზივართ. . .

[2] wird nur bei Lebewesen gebraucht, bei Dingen დევს (liegt). s. die Seite 45.

შე- kennzeichnet die Bewegung von außen nach innen:

შენ **შე**დიხარ ოთახში (ეზოში; ბაღში; დარბაზში). Du trittst ins Zimmer (in den Hof; Garten; Saal):

ჩა- kennzeichnet die Bewegung von oben nach unten. Außerdem schließt es die Bedeutungen der Präverbien **შე-** und **და** - ein:

ისინი **ჩა**რბიან კიბეზე. Sie laufen die Treppe hinunter.

გა- bezeichnet die Bewegung von innen nach außen (hinaus):

თქვენ მუდამ გარეთ გარბიხართ. Sie laufen immer hinaus.

გადა- kennzeichnet im allgemeinen die Richtung der Handlung einen Übergang von einem Ort bzw. Zustand zum anderen)

მე **გადა**ვდივარ ქუჩაზე. Ich gehe über die Straße.

ის **გადა**დის ახალ ბინაში. Er zieht in die neue Wohnung ein.

თქვენ **გადა**დიხართ ახალ თემაზე. Sie gehen zu einem anderen Thema über.

ჩვენ **გადა**ვდივართ მეშვიდე კლასში. Wir werden in die siebente Klasse versetzt.

მათი მეგობრობა სიყვარულში **გადა**დის. Ihre Freundschaft wandelt sich in Liebe.

წა- bezeichnet die Vollendung des Vorgangs und wird deshalb nur bei perfektiven Verben gebraucht:

წავიდა Er ist fortgegangen.

Im Georgischen wie im Deutschen gibt es Präverbien, die ein Kommen oder sich—Entfernen in bezug auf den Sprecher bezeichnen:

dorthin	hierher
vom Sprechenden weg	zum Sprechenden hin
მი- kennzeichnet den Ablauf des Vorgangs	**მო-**
მი-რბის er läuft	**მო**-რბის er läuft
მი-დის er geht	**მო**-დის er kommt
მი-ცურავს er schwimmt	**მო**-ცურავს er schwimmt
მი-ფრინავს er fliegt	**მო**-ფრინავს er fliegt

Wenn den Vorsilben ა-, შე-, ჩა-, გა-, გადა-, წა- die Vorsilbe მო- hinzugefügt wird, so bezeichnen sie die sich dem Sprechenden nähernde Bewegung.

Vergleiche:

ის ა-დის კიბეზე. Er geht die Treppe hinauf.

ის ჩა-დის კიბეზე. Er geht die Treppe hinunter.

ის ჩა-დის თბილისში დღეს. Er kommt heute nach Thbilissi[1].

ის შე-დის ოთახში. Er geht ins Zimmer hinein.

ის გა-დის გარეთ. Er geht hinaus.

ის გადა-დის ქუჩაზე. Er geht über die Straße.

ის წა-ვიდა კინოში. Er ging ins Kino.

ის ამო-დის კიბეზე. Er kommt die Treppe herauf (zum Sprechenden herauf).

ის ჩამო-დის კიბეზე. Er kommt die Treppe herunter.

ის ჩამო-დის თბილისში დღეს. Er kommt heute nach Thbilissi.

ის შემო-დის ოთახში. Er kommt ins Zimmer herein.

ის გამო-დის გარეთ. Er kommt heraus.

ის გადმო-დის ქუჩაზე. Er kommt über die Straße.

ის წამო-ვიდა კინოში. Er kam mit ins Kino.

ჩემი დღე

დილით სრულ შვიდ საათზე რეკს მაღვიძარა საათი. მე ვიღვიძებ, მაშინვე ვდგები და შევდივარ სამზარეულოში. ჩემი უმცროსი ვაჟი გია უკვე ფეხზეა. ის აღებს ფანჯარას, ანიავებს ოთახს, ალაგებს თავის საწოლს. გია საერთოდ მკაცრად იცავს დღის რეჟიმს. ჩემს უფროს ვაჟს დათოს ჯერ კიდევ სძინავს. ის მუდამ გვიან იძინებს და ამიტომ გვიან დგება. გია აღვიძებს მას და რთავს რადიოს. უკვე რვის ოცი წუთია. ამ დროს რადიო დილის ვარჯიშს გადმოსცემს. ჩემი ვაჟები ყოველ დილით ვარჯიშობენ. შემდეგ ისინი ესალმებიან ჩემს მეუღლეს, რომელიც სარკის წინ დგას და წვერს იპარსავს ელექტროსამართებლით. გია დგება აბაზანაში შხაპის ქვეშ და ტანს საპნით იბანს. დათო ტანს სველი პირსახოცით იზელს. ეს კარგია ჯანმრთელობისთვის. დათო იბანს ხელებს და სახეს ცივი წყლით, იწმენდს კბილებს ჯაგრისით და ფხვნილით, იღებს პირსახოცს და სახეს იმშრალებს. შემდეგ ბრუნდება თავის ოთახში და იცვამს. გია უკვე თითქმის მზადაა. დათო მუდამ ეძებს თავის ნივ-

[1] In diesem Fall muß sich der Sprechende nicht in Thbilissi befinden.

თებს: სავარცხელს, ფეხსაცმელს, ხშირად ავიწყდება პერანგის გამოცვლა, მერე აგვიანდება და გარბის.

ამასობაში მე ვამზადებ საუზმეს: ვხარშავ კვერცხებს, ვადუღებ რძეს და ჩაის და ვშლი სუფრას. გია ასხამს ჩაის და ჩვენ ვსაუზმობთ. მე და ჩემი მეუღლე ვსვამთ ჩაის, დათო რძეს, გია კი — ყავას. ჩემი მეუღლე ჩქარობს. ის ცხრაზე სამუშაოზე უნდა იყოს. დათო სტუდენტია. მისი ინსტიტუტი საკმაოდ შორს არის. ის გარბის. გიას სკოლა ახლოსაა. მას დრო რჩება და რეცხავს ჭურჭელს. გია საერთოდ ჭკვიანი და წესრიგის მოყვარული ბიჭია. ის დროს სწორად ანაწილებს და ყველაფერს ასწრებს. ის მისდევს სპორტს, სწავლობს მუსიკას და ბევრს კითხულობს. გიაც მიდის. მე მარტო ვრჩები სახლში, ვალაგებ ბინას და შემდეგ მივდივარ ბაზარში ან მაღაზიაში საყიდლებზე. მოვდივარ ბაზრიდან და ვიწყებ სადილის მომზადებას. ვხარშავ წვენს, ვწვავ ხორცს კარტოფილით, ვაცხობ ნამცხვარს, ვრეცხავ მწვანილსა და ხილს. ორ საათზე გია სკოლიდან მოდის. მას მოაქვს პური მაღაზიიდან და სუფრის გაშლაში მეხმარება. სამ საათზე ყველა სახლშია. ჩვენ ვსადილობთ. ნასადილევს ვალაგებ ჭურჭელს, ვრეცხავ სარეცხს ან ვაუთოებ. ყველა ისვენებს ნახევარი საათით. გია ზის მაგიდასთან და სწავლობს გაკვეთილებს, შემდეგ კითხულობს ან ბიბლიოთეკაში მიდის. მას ჩხირკედელაობაც უყვარს. ჩემი მეუღლე კითხულობს გაზეთს, უსმენს რადიოს ან უყურებს ტელევიზორს. მეც აქვე ვზივარ: ვქსოვ ან ვკერავ. ძილის წინ ყველანი ვსეირნობთ ოცი-ოცდაათი წუთი. თერთმეტის ნახევარზე ვიძინებთ. ჩემი დათო, სამწუხაროდ, ბევრ დროს კარგავს უქმად. ლექციების შემდეგ ქუჩაში დახეტიალობს.

შაბათობით დავდივართ კინოში, თეატრში ან კონცერტზე. კვირაობით, თუ ქალაქგარეთ არ მივდივართ, ყველანი შინ ვართ.

Texterläuterung

უკვე რვის ოცი წუთია—es ist schon zwanzig Minuten nach sieben

ის უნდა იყოს სამუშაოზე — er muß an der Arbeit sein

თუ ქალაქგარეთ არ მივდივართ — wenn wir nicht aufs Land fahren

Übungen

1. Konjugieren Sie im Präsens und gebrauchen Sie diese Verben in Sätzen:

მოვდივარ, მოვცურავ, გადავდივარ, დავრბივარ, მივფრინავ, გავდივარ, ავდივარ, ჩავდივარ.

2. Setzen Sie statt der Striche დეს oder წევს ein:

რვეული — მაგიდაზე; გოგონა — ლოგინში; წიგნები და რვეულები — ჩანთაში; სად — ბავშვები? ძაღლი — მაგიდის ქვეშ; ჩემი მშობლები ამ ოთახში —; სად — შენ? უკვე გვიანაა. რატომ არ — თქვენ? ჰურჭელი კარადაში —; ჩვენ ხშირად — ამ ტახტზე.

3. Setzen Sie statt der Striche das Verb ვზივარ in der entsprechenden Person und Zahl ein:

სად — შენი მშობლები? შენ აქ — ? შენ — ჩემ გცერდით; რატომ —უკან? ჩვენ აქ არ—; მე ხშირად — საათობით ჩემს ოთახში; აქ ვინ—? თქვენ აქ —?

4. Schreiben Sie aus dem Text die Verben mit Präverbien heraus; gebrauchen Sie diese Verben im Satz.

5. Setzen Sie statt der Striche die unten angegebenen Verben in der richtigen Person ein:

როდის — (შენ) ახალ ბინაში? ის — ავტობუსიდან. ჩიტები — მაღლა ჰაერში. ჩვენი ექიმი — კიბეზე. მოხუცი კაცი — ქუჩაზე. რატომ არ — (შენ) გარეთ? თქვენ არ —? მზე ადრე — და გვიან —. არ — კინოში? თქვენ რომელ კლასში —? ბავშვები ჩვენკენ არ —? როდის — შენ სოფლიდან? ტურისტები — კლდეებზე და გორაკებზე. მე ხშირად — აუდიტორიიდან. ჩვენ ყველა — ეზოში. ბავშვი — ქუჩაზე. ჩვენ ხშირად — თბილისში. ზარია, მე გარეთ —.

ჩამოდის; ამოდის; გადადის; გამოდის; მოდის; დაფრინავს; შემოდის; წამოხვალ; გადადის; მორბის; შედის; გადმორბის; გადადის; ჩადის; ადის; გადის.

6. Übersetzen Sie ins Georgische:

Gehst du nach dem Unterricht zu deinem Freund? Nach der Arbeit gehen wir ins Kino. Wir gehen morgen in den Wald. Jeden Morgen gehen sie in die Bibliothek. Wohin läufst du? Wir steigen oft auf den Felsen. Ich laufe die Treppe hinauf, er — herauf. Sie treten ins Zimmer ein. Der Hund kommt gelaufen. Ich liege hier. Wir eilen jeden Morgen zur Arbeit. Das Kind klettert auf den Baum. Im Garten sitzen alte Leute und Kinder. Der Vogel steigt in die Luft. Mein Lehrer tritt ins Zimmer ein. Unsere Katze läuft hin und her. Du gehst zu einem anderen Thema über. Sie gehen über die Straße. Um 8 Uhr essen wir zu Abend(brot).

მეთორმეტე გაკვეთილი

XII. Stunde

Futurum

მომავალი დრო (მყოფადი)

Die georgischen Verben haben im Futurum nicht immer einheitliche Formen[1], sie weisen in ihrer Bildung einige Besonderheiten auf:

1. Eine Reihe der Verben bilden das Futurum aus dem Präsens mittels beliebiger Präverbien, die beiden Personalzeichen (sowohl subjektive, als auch objektive) bleiben dabei unverändert:

Die subjektive Reihe	სუბიექტური წყობა
მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი	მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი
მე **და**-ვ-ხატავ მას ich werde ihn malen	ჩვენ **და**-ვ-ხატა-თ მას wir werden ihn malen
შენ **და**-ხატავ მას du wirst ihn malen	თქვენ **და**-ხატავ-თ მას ihr werdet ihn malen
ის **და**-ხატავ-ს მას er wird ihn malen	ისინი **და**-ხატავ-ენ მას sie werden ihn malen
Die objektive Reihe	ობიექტური წყობა
ის **და**-მ-ხატავ-ს მე er wird mich malen	ის **და**-გვ-ხატავ-ს ჩვენ er wird uns malen
ის **და**-გ-ხატავ-ს შენ er wird dich malen	ის **და**-გ-ხატავ-თ თქვენ er wird euch malen
ის **და**-ხატავ-ს მას er wird ihn malen	ის **და**-ხატავ-ს მათ er wird sie malen

Analog:

Präsens	Futurum	
უკრავ-ს	— **და**-უკრავ-ს	er wird spielen
წერ-ს	— **და**-წერ-ს	er wird schreiben
წვება-ა	— **და**-წვება-ა	er wird sich legen
აკეთებ-ს	— **გა**-აკეთებ-ს	er wird machen
ეხმარება-ა	— **მო**-ეხმარება-ა	er wird helfen
თარგმნი-ს	**გადა**-თარგმნი-ს	er wird übersetzen

[1] Deshalb muß man Futurformen eines Verbs auswendig lernen und sie im Wörterbuch nachschlangen, wo neben Präsensformen noch Futurformen angegeben sind.

ეკითხებ-ა — **შე**-ეკითხებ-ა	er wird fragen
უხსნი-ს — **ა**-უხსნი-ს	e. wird erklären
ასრულებ-ს — **შე**-ასრულებ-ს	er wird erfüllen
ასწორებ-ს — **გა**-ასწორებ-ს	er wird verbessern; korrigieren
აინტერესებ-ს—**და**-აინტერესებ-ს	er wird sich interessieren
ასწრებ-ს — **მო**-ასწრებ-ს	er wird es schaffen (bis...); er wird zurecht kommen

2. Bei manchen Verben wird das Futurum durch Stammwechsel gebildet:

ვარ

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი	მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი
მე ვ-იქნები ich werde sein	ჩვენ გ-იქნები-თ wir werden sein
შენ იქნები du wirst sein	თქვენ იქნები-თ ihr werdet sein
ის იქნება er wird sein	ისინი იქნები-ან sie werden sein

მ-ყავ-ს

მე მ-ეყოლება-ა ich werde haben	ჩვენ გვ-ეყოლება-ა wir werden haben
შენ გ-ეყოლება-ა du wirst haben	თქვენ გ-ეყოლება-ა-თ ihr werdet haben
მას ეყოლება er wird haben	მათ ეყოლება-ა-თ sie werden haben

მ-აქვ-ს

მე მ-ექნება-ა ich werde haben	ჩვენ გვ-ექნება-ა wir werden haben
შენ გ-ექნება-ა du wirst haben	თქვენ გ-ექნება-ა-თ ihr werdet haben
მას ექნება-ა er wird haben	მათ ექნება-ა-თ sie werden haben

ვ-ამბობ

მე ვ-იტყვი ich werde sagen	ჩვენ ვ-იტყვი-თ wir werden sagen
შენ იტყვი du wirst sagen	თქვენ იტყვი-თ ihr werdet sagen
ის იტყვი-ს er wird sagen	ისინი იტყვი-ან sie werden sagen

ვ-ეუბნები

მე ვ-ეტყვი ich werde ihm sagen	ჩვენ ვ-ეტყვი-თ wir werden ihm sagen
შენ ეტყვი du wirst ihm sagen	თქვენ ეტყვი-თ ihr werdet ihm sagen

ის ეტყვი-ს er wird ihm sagen

ისინი ეტყვი-ან sie werden ihm sagen

მ-ქვი-ა

მე მ-ერქმევ-ა ich werde heißen

ჩვენ გვ-ერქმევ-ა wir werden heißen

შენ გ-ერქმევ-ა du wirst heißen

თქვენ გ-ერქმევ-ა-თ ihr werdet heißen

მას ერქმევ-ა er wird heißen

მათ ერქმევ-ა-თ sie werden heißen

ვ-აძლევ

მე მი-ვ-ცემ ich werde geben

ჩვენ მი-ვ-ცემ-თ wir werden geben

შენ მი-ს-ცემ du wirst geben

თქვენ მი-ს-ცემ-თ ihr werdet geben

ის მი-ს-ცემ-ს er wird geben

ისინი მი-ს-ცემ-ენ sie we den geben

ვ-წევარ

მე ვ-იწვები ich werde liegen

ჩვენ ვ-იწვები-თ wir werden liegen

შენ იწვები du wirst liegen

თქვენ იწვები-თ ihr werdet liegen

ის იწვებ-ა er wird liegen

ისინი იწვები-ან sie werden liegen

მი-ვ-დივარ

მე წა-ვალ ich werde gehen

ჩვენ წა-ვალ-თ wir werden gehen

შენ წა-ხ-ვალ du wirst gehen

თქვენ წა-ხ-ვალ-თ ihr werdet gehen

ის წა-ვა er wird gehen

ისინი წა-ვლ-ენ sie werden gehen

და-ვ-ეძებ

მე მო-ვ-ძებნი ich werde suchen

ჩვენ მო-ვ-ძებნი-თ wir werden suchen

შენ მო-ძებნი du wirst suchen

თქვენ მო-ძებნი-თ ihr werdet suchen

ის მო-ძებნი-ს er wird suchen

ისინი მო-ძებნი-ან sie werden suchen

და-ვ-დივარ

მე ვ-ივლი ich werde gehen; besuchen	ჩვენ ვ-ივლი-თ wir werden gehen; besuchen
შენ ივლი du wirst gehen; besuchen	თქვენ ივლი-თ ihr werdet gehen; besuchen
ის ივლი-ს er wird gehen; besuchen	ისინი ივლი-ან sie werden gehen; besuchen

ვ-ზივარ

მე ვ-იჯდები ich werde sitzen	ჩვენ ვ-იჯდები-თ wir werden sitzen
შენ იჯდები du wirst sitzen	თქვენ იჯდები-თ ihr werdet sitzen
ის იჯდებ-ა er wird sitzen	ისინი იჯდები-ან sie werden sitzen

ვ-დგავარ

მე ვ-იდგები ich werde stehen	ჩვენ ვ-იდგები-თ wir werden stehen
შენ იდგები du wirst stehen	თქვენ იდგები-თ ihr werdet stehen
ის იდგებ-ა er wird stehen	ისინი იდგებიან sie werden stehen

მი-ვ-რბივარ

მე გა-ვ-იქცევი ich werde laufen	ჩვენ გა-ვ-იქცევი-თ wir werden laufen
შენ გა-იქცევი du wirst laufen	თქვენ გა-იქცევი-თ ihr werdet laufen
ის გა-იქცევ-ა er wird laufen	ისინი გა-იქცევიან sie werden laufen

3. Bei einzelnen Verben fallen die Formen des Präsens und des Futurums zusammen, so daß sie nur anhand des Kontextes unterschieden werden können.

მე სკოლაში გერმანულს ვასწავლი.	Ich unterrichte Deutsch in der Schule.
მე თქვენს შვილს სიამოვნებით ვასწავლი ქართულს.	Ich werde Ihr Kind Georgisch gern lehren.

Der Text

1. როდის გახვალთ შვებულებაში?

2. მე ხვალიდან შვებულებაში ვიქნები.

1. შვებულებას სად გაატარებთ?

2. საქართველოში. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა.

1. ტურისტული საგზურით წახვალთ?

2. არა, მე საქართველოდან, მამის სამშობლოდან, მოწვევა მივიღე.

1. ეს ძალიან სასიამოვნოა. რამდენ ხანს დარჩებით საქართველოში?

2. დაახლოებით ერთ თვეს.

1. რომელ ქალაქებს დაათვალიერებთ?

2. რამდენიმე ხანს თბილისში ვიცხოვრებ. დავათვალიერებ ქალაქის მიდამოებს, მის ღირსშესანიშნაობებს და ტაძრებს. ვივლი თეატრებში, მოვუსმენ საქართველოს ხელოვნების ოსტატებს. შემდეგ გავემგზავრები ჯერ მთაში და მერე ზღვაზე. საქართველო ხომ განთქმულია თავისი კურორტებით.

1. რით გაემგზავრებით საქართველოში?

2. წავალ რკინიგზით ან გავფრინდები თვითმფრინავით.

1. თვითმფრინავით სჯობს. დროს მოიგებთ.

2. მეც ასე ვფიქრობ. საქართველოს კი მანქანით ან ფეხით შემოვივლი. ჩვენს ნათესავებს საკუთარი მანქანები აქვთ და სადაც გვინდა, იქ წავალთ და დავისვენებთ.

1. მარტო წაბრძანდებით, თუ თქვენი მეუღლეც წამოვა?

2. არა, ჩემი მეუღლე აქ დარჩება.

1. ნახვამდის. მე, ალბათ, ვეღარ გნახავთ წასვლამდე, ამიტომ დაგემშვიდობებით და კეთილ მგზავრობას გისურვებთ.

2. გმადლობთ. ნახვამდის.

Texterläuterung

სადაც გვინდა, იქ წავალთ—wir werden fahren, wohin wir wollen.

ჩემი მხარე

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.

ვინც მიწვდება ჩემი მთების
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადიქცევა,
ღექსად ისაუბრებს.

საარაკო სილამაზე,
ხალხის სასახელო,
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო.

გიორგი ქუჩიშვილი

Texterläuterung

სიმღერაც რომ არ იცოდეს — wenn er nicht zu singen vermöchte
მგოსნად გადიქცევა = გადაიქცევა—er wird Dichter werden
ღექსად ისაუბრებს — er wird in Versen sprechen

Übungen

1. Konjugieren Sie im Futurum:

არის, დადის, ატარებს, წევს, აქვს, იღებს, რჩება, ამბობს, ეუბნება, იღებს, ჰქვია, ათვალიერებს, ცხოვრობს, ჰყავს, მიემგზავრება, აძლევს, უსმენს, მიდის, ისვენებს, ეძებს, ემშვიდობება, ზის, მირბის, დგას.

2. Schreiben Sie den Text im Futurum:

ჩვენ შვებულება აგვისტოში გვაქვს. ამ ზაფხულს გერმანიაში ვატარებ. მე დავდივარ კურსებზე. ისინი წერენ, სწავლობენ, ლაპარაკობენ გერმანულად. ათვალიერებთ მუზეუმებსა და ტაძრებს? დადიხარ კინოებსა და თეატრებში? ჩვენ ზაფხულში არსად არ მივდივართ და ქალაქში ვრჩებით. ზაფხულს ჩემი შვილები ბაკურიანში ან სვანეთში ატარებენ. დღეს ბავშვი ადრე წვება. ვინ აკეთებს დავალებას? ვის ეხმარები შენ? მე ამ ტექსტს ვერ ვთარგმნი. თქვენ შეცდომებს ასწორებთ. ვინ ხელმძღვანელობს დელეგაციას? მასწავლებელი დავალებას გვაძლევს.

3. Schreiben Sie die folgenden Sätze im Präsens:

ისინი აქ არ დასხდებიან. ჩემი მეგობარი ზაფხულში არ იქნება ქალაქში. ჩვენ ზღვაზე დავისვენებთ. ბავშვები დღეს სკოლაში წავლენ. თქვენ ზეპირად გეცოდინებათ გ. ქუჩიშვილის ლექსი „ჩემი მხარე“. თქვენი ნაცნობი საქართველოდან მოწვევას გამოგიგზავნით?

მე ამ ფილმს არ ვნახავ. ვინ იტყვის სიმართლეს? ის შენ რაღაცას გეტყვის. მას ახალი მანქანა ექნება. ბებია საავადმყოფოში დაწვება. ის მე ქართული ენის თვითმასწავლებელს მომცემს. ბავშვები ტყეში კენკრას მოძებნიან. შენ რომელ რიგში იჯდები? ისინი ჩვენ გვერდით დასხდებიან. მამა დილით ადრე ადგება. მე ჩქარა ვერ გავიქცევი.

4. Beantworten Sie folgende Fragen:

1. როდის ჩამოხვალთ ჩვენთან საქართველოში? 2. როდის დაამთავრებთ სამუშაოს? 3. როდის წავიდეთ კინოში? 4. ქალაქის რა ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებთ? 5. რომელ ქალაქში წახვალთ? 6. რამდენოთახიან ბინას მიიღებთ? 7. როგორ მოაწყობთ თქვენს საწოლ ოთახს? 8. როდის გექნებათ საკუთარი მანქანა? 9. როდის ჩაბარებთ სააბიტურიენტო (მისაღებ) გამოცდებს? 10. გამოგიგზავნოთ მოწვევა საქართველოდან?

5. Übersetzen Sie ins Georgische:

Ich werde meinen Urlaub auf dem Lande verbringen. Um 3 Uhr werde ich im Klub sein. Wer wird sich hier hinsetzen (stellen; legen)? Wann wirst du auf den Markt gehen? Gibst du mir morgen das georgische Lehrbuch? Wie wird dein Sohn heißen? Drei Tage werde ich in Thbilissi verbringen. Dann werde ich für einige Tage ans Meer fahren. Natürlich werde ich viel georgisch schreiben, lesen und sprechen. Abends werde ich Kinos und Theater besuchen.

მეცამეტე გაკვეთილი

XIII. Stunde

Numerale

(რიცხვითი სახელი)

1. Grundzahlen (რაოდენობითი რიცხვითი სახელები)

Grundzahlen antworten auf die Frage რამდენი? wieviel?

0 ნული	6 ექვსი	12 თორმეტი	18 თვრამეტი
1 ერთი	7 შვიდი	13 ცამეტი	19 ცხრამეტი
2 ორი	8 რვა	14 თოთხმეტი	20[1] ოცი
3 სამი	9 ცხრა	15 თხუთმეტი	100 ასი
4 ოთხი	10 ათი	16 თექვსმეტი	
5 ხუთი	11 თერთმეტი	17 ჩვიდმეტი	

[1] Die georgischen Zahlwörter von „zwanzig" bis „hundert" sind nach dem Vigesimalsystem gebildet.

21 ოცდაერთი	41 ორმოცდაერთი	500 ხუთასი
22 ოცდაორი	50 ორმოცდაათი	600 ექვსასი
23 ოცდასამი	59 ორმოცდაცხრამეტი	700 შვიდასი
24 ოცდაოთხი	60 სამოცი	800 რვაასი
25 ოცდახუთი	70 სამოცდაათი	900 ცხრაასი
26 ოცდაექვსი	78 სამოცდათვრამეტი	1000 ათასი
27 ოცდაშვიდი	80 ოთხმოცი	1002 ათას ორი
28 ოცდარვა	90 ოთხმოცდაათი	2000 ორი ათასი
29 ოცდაცხრა	101 ას ერთი	3655 სამი ათას ექვსას ორმოცდათხუთმეტი
30 ოცდაათი (zwanzig und zehn)	111 ას თერთმეტი	
	120 ას ოცი	100.000 ასი ათასი
31 ოცდათერთმეტი	130 ას ოცდაათი	1.000000 მილიონი ერ.
32 ოცდათორმეტი	200 ორასი	7356928 შვიდი მილიონ სამას ორმოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ოცდარვა
33 ოცდაცამეტი	300 სამასი	
40 ორმოცი	400 ოთხასი	

Von den Grundzahlen haben nur რვა und ცხრა vokalische Stämme, alle anderen konsonantische, deshalb werden sie wie die betreifenden vokal — oder konsonantstämmigen Substantive dekliniert:

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი[1] რიცხვი
სახ. ორ-ი zwei	ორ-ნ-ი zu zweit
მიც. ორ-ს zweien	ორ-თა zweien
ნათ. ორ-ის zweier	ორ-თა zweier
მთქ. ორ-ით mit zwei	—

წელიწადის დროები

გაზაფხულის თვეებია: მარტი, აპრილი და მაისი. მარტი ცნობილია საქართველოში თავისი ცვალებადი ამინდით, მაგრამ თოვლი უკვე დნება, მზე ყოველდღე უფრო და უფრო აშუქებს, ადრე ამოდის და გვიან ჩადის. მარტის განმავლობაში დღე თითქმის საათნახევრით დიდდება. პირველი ყვავილებიც მარტში ჩნდება. აპრილს დამდეგი უფრო მარტს წაგავს: ამაზე იტყვიან ხოლმე — ნასესხებიაო. მარტმა რომ თავისი ვერ გაიტანა, აპრილს დაესესხა რამდენიმე დღესო... მაგრამ შემდეგ დგება თბილი საამო დარი. მშვენიერია ჩვენში მაისი, დღე კიდევ ერთი საათით მატულობს, ხშირია ჟუჟუნა ან შხაპუნა, კოკისპირული წვიმები. ყვავის ნაირნაირი ვარდი. ტყუილად კი არ ჰქვია მაისს ხალხში ვარდობისთვე.

[1] Wird selten gebraucht.

რა კარგია გაზაფხული, რა ლამაზი, რა თბილი, რა მზიანი!

ზაფხულის თვეებია: ივნისი, ივლისი და აგვისტო. ოცდაერთი ივნისის დღე წლის ყველა დანარჩენ დღეზე გრძელია, ხოლო ღამე მოკლეა. ივნისში ბალახი იმდენად დიდია, რომ თიბვა იწყება. ამიტომ ეძახიან მას ხალხში თიბათვეს. ყველაზე ცხელი თვე საქართველოში ივლისია. ბარში ეს თვე ზოგჯერ ისე გაივლის, ციდან ცვარი არ ჩამოვარდება. ივლისში შემოდის პამიდორი, ბადრიჯანი, სალამთრო, ნესვი, საადრეო ვაშლი, ლეღვი, გულაბი მსხალი, ატამი და სხ. ხალხი ივლისს მკათათვეს ეძახის, რადგანაც ივლისში გრძელდება პურეულის მკა. აგვისტოში (მარიამობისთვე) პაპანაქება სიცხეა, ბუნება თანდათანობით კარგავს ჭრელ სამოსს. ბალი უკვე მოილია, ალუბალიც ილევა, სამაგიეროდ შემოდის ყურძენი, მწიფს ბროწეული, გარგარი, ქლიავი, ატამი, მსხალი... გადის აგვისტო და მზეს თითქოს ძალა აკლდება. შემოდგომა უკვე გვიკაკუნებს კარზე თავისი დოვლათითა და ბარაქით: ყურძნით, ხილით, ტკბილით და ღვინით.

სექტემბერში (ენკენისთვე) დღე სწრაფად კლებულობს. წვიმა უკვე იშვიათი აღარ არის. მშვენიერი სანახავია ამ დროს ქარვისფერი ან შავი მტევნებით დაყურსული ვრცელი ვენახები კახეთში. ქართლში, იმერეთში. შუა სექტემბრიდან რთველიც ჩაღდება. ოქტომბერი (მწიფობისთვე ან ღვინობისთვე) საქართველოში უმეტეს შემთხვევაში თბილია და წყნარი. ნოემბერში (გიორგობისთვე) უკვე საკმაოდ ცივა, უბერავს ქარი და დეკემბერში (ქრისტეშობისთვე) ზამთარი შედის თავის უფლებებში. 21 დეკემბერს არის წლის ყველაზე მოკლე დღე. დეკემბერი და იანვარი წლის ყველაზე ცივი თვეებია: ხშირად მოდის თოვლი, ყინავს, ცივა. თებერვალი წლის ყველაზე მოკლე თვეა, ოცდარვადღიანი, მხოლოდ ნაკიან წელიწადს არის თებერვალში ოცდაცხრა დღე. თებერვალში თავდება ზამთარი.

Lernen Sie auswendig:

თებერვალი დადგაო!
ხეში წყალი ჩადგაო!
ჩიტმა-ჩიორამაო
საძირკველი გადგაო!

ხალხური

Texterläuterung

თებერვალი დადგაო — der Februar ist da
ხეში წყალი ჩადგაო — der Saft steigt in den Baum
საძირკველი გადგაო — er hat einen Grundstein gelegt

სამი მგელი

(ხალხური)

სერზე მიდის სამი მგელი,
ტუჩმოკლე და კუდაგრძელი;
ერთმანეთს ეუბნებიან:
ჭალას არის ლურჯა ცხენი.

ერთმა თავსა დაურბინოს,
ორმა გავკრათ გავას ხელი,
პატრონს კაცი გავუგზავნოთ:
ნუღარ გინდა თივა-ქერი!

Texterläuterung

ჭალას=ჭალაში — im (ins) Gehölz

ერთმა თავსა დაურბინოს — einer von uns muß ihm von vorne den Weg versperren

ორმა გავკრათ გავას ხელი — wir zwei fassen (packen) ihn an der (w. du Hüfte)

პატრონს კაცი გავუგზავნოთ — wollen wir dem Besitzer einen Mann schicken

ნუღარ გინდა თივა-ქერი — du brauchst kein Heu und keine Gerste mehr (w. du brauchst Heu-Gerste nicht mehr).

Merken Sie:

Nach den Grundzahlen bzw. nach ბევრი (viel), მრავალი (viel), რამდენიმე (einige, etliche), ორივე (beide), ზოგიერთი (manche), რამდენი (wieviel), ყველა (alle) wird das Gezählte in den Singular gesetzt:

სამი წიგნი — drei Bücher
ორივე ბავშვი — beide Kinder
რამდენიმე მოსწავლე — einige Schüler
ბევრი ხილი — viel Obst
ზოგიერთი ადამიანი — manche Menschen
რამდენი ოთახი — wieviel Zimmer
ყველა ქვეყანა — alle Länder

Ausnahme bilden -ნ- Pluralformen:

ხუთნი ძმანი — fünf Brüder
შვიდნი გურჯანელნი — sieben Leute von Gurdschaani

Übungen

1. Lesen Sie und schreiben Sie die folgenden Zahlen in Wörtern: 25, 39, 55, 19, 808, 11, 101, 123, 253, 677, 879, 991, 12, 1007, 4415, 25655, 306583, 55555, 761, 13000, 5. 9, 1, 3, 7, 8, 6.

2. Antworten Sie auf die Fragen:

1. რამდენი დღეა კვირაში (თვეში; წელიწადში)? 2. რომელ თვეებს აქვს 31 დღე? 3. რა ჰქვია უმოკლეს თვეს? 4. როგორი ზამთარი (გაზაფხული; ზაფხული; შემოდგომა) იცის საქართველოში? 5. რომელია გაზაფხულის (ზაფხულის; შემოდგომის; ზამთრის) თვეები?

3. Übersetzen Sie ins Georgische:

Wieviel Kinder haben Sie? Ich habe fünf Kinder: zwei Söhne und drei Töchter. Mein Freund besitzt (hat) zehntausend Bücher. In zwei Wochen kommen unsere Gäste. Ich brauche für meine Schüler einige Lehrbücher. Viele Schüler haben kein Buch. Im August gibt es viel Obst und Gemüse. Beide Brüder sind Künstler. Sie sind zwei Geschwister. Wir werden zu zweit ins Kino gehen. Ich lerne für morgen drei georgische Gedichte. Wir verbringen 6 Monate in Tbilissi. Er wird viele Museen besuchen. Einige Touristen werden nach Kuthaissi fahren. Aus allen Ländern kommen Gäste zu uns.

მეთოთხმეტე გაკვეთილი

XIV. Stunde

Zeitangabe
Datum

Das Datum wird im Georgischen nicht aus Ordnungszahlen, sondern aus Grundzahlen[1] gebildet.

რა რიცხვია დღეს?	Der wievielte ist heute?
დღეს არის 1970 (ათას ცხრაას სამოცდაათი) წლის 2 (ორი) აგვისტო.	Heute ist der 2. August 1970.
როდის შედგება კონფერენცია?	Wann findet die Konferenz statt?
კონფერენცია შედგება 1972 (ათას ცხრაას სამოცდათორმეტი) წლის დეკემბერში (იანვარში; სექტემბერში; აპრილში; მაისში).	Die Konferenz findet im Dezember (Januar; September; April; Mai) 1972 statt.

[1] Nur der erste stimmt mit dem Deutschen überein:

1 (პირველ) სექტემბერს იწყება სასწავლო წელი	Am 1. September beginnt das Studienjahr; Lehrjahr.

Angabe des Lebensalters

Bei Angabe des Lebensalters wird die entsprechende Grundzahl zusammen mit dem Wort წელი (Jahr) in den Genitiv gesetzt:

რამდენი წლის ხარ(თ)?	Wie alt bist du (sind Sie)? (w. wieviel Jahres bist du?)
მე ვარ 19 წლის.	Ich bin 19 Jahre alt.
მალე ოცის გავხდები.	Ich werde bald 20.
როდის არის თქვენი დაბადების (სახელობის) დღე?	Wann ist Ihr Geburtstag (Namenstag)?
ჩემი დაბადების დღე არის 1948 წლის 2 მარტს.	Mein Geburtstag ist am 2. März 1948.
ჩემი სახელობის დღე არის 1 მაისს.	Mein Namenstag ist am 1. Mai.
როდის დაიბად(ე)თ?	Wann sind Sie geboren?
მე დავიბადე 1952 წლის 12 ნოემბერს.	Ich bin am 12. November 1952 geboren.
როდის დაიბადა ილია ჭავჭავაძე?	Wann ist Ilia Tschawtschawadse geboren?
ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს.	Ilia Tschawtschawadse ist am 27. Oktober 1837 geboren.
როდის მოკლეს ილია?	Wann wurde Ilia ermordet.
ილია მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს.	Ilia wurde am 30. August 1907 ermordet.

Uhrzeiten

რომელი საათია?	Wieviel Uhr ist es?
რა დროა?	Wie spät ist es?
პირველი (ორი; სამი) საათია.	Es ist ein (zwei; drei) Uhr.
სრული პირველია (ოთხია).	Es ist Punkt eins (vier.)
ხუთის თხუთმეტი წუთია.	Es ist fünfzehn Minuten nach vier.
ხუთს აკლია თხუთმეტი წუთი.	Es ist fünfzehn Minuten vor fünf.
ხუთის ნახევარია.	Es ist halb fünf.
რომელ საათზე?	Um wieviel Uhr?
თორმეტ საათზე.	Um zwölf Uhr.
სამს რომ ოცდახუთი წუთი დააკლდება.	Um 25 Minuten vor drei.

სამის ოცდახუთ წუთზე.	Um 25 Minuten nach zwei.
ჩვიდმეტ საათსა და ხუთ წუთზე.	Um 17 Uhr fünf Minuten.
თერთმეტ (ოც) საათზე.	Um elf (zwanzig) Uhr.
ექვსი საათისათვის.	Gegen 6 Uhr.
ოცდაორ საათსა და ოც წუთზე.	Um 22 Uhr zwanzig.
პირველი საათიდან ხუთ საათამდე.	Von eins bis fünf.
რომელ საათამდე?	Bis wieviel Uhr?
ათ საათამდე.	Bis zehn Uhr.
ათამდე.	Bis zehn.
მე მოვალ ხუთ წუთში (ერთ საათში; ორი საათის შემდეგ).	Ich komme in fünf Minuten (in einer Stunde; nach zwei Stunden).
უკვე გვიან არის.	Es ist schon spät.
ჯერ ადრეა.	Es ist noch früh.
შვიდ საათზე ძალიან ადრეა (გვიანაა).	Um 7 Uhr ist es zu früh (zu spät).

საათი

1. დილა მშვიდობისა, დათო!
2. დილა მშვიდობისა, გოგი!
1. სად მიიჩქარი?
2. ლექციაზე.

1. ჯერ ადრეა. ჩემს საათში ჯერ რვა არ არის. ლექცია ხომ ცხრაზე იწყება.

2. სწორად მუშაობს შენი საათი? მე მგონია, შენი საათი უკანაა ან გაჩერებულია.

1. ჩემი საათი მუდამ ზუსტად მუშაობს. ის არც წინ მიდის და არც უკან.

2. რომელი საათია ახლა?

1. რვა სრულდება.

2. ეს შეუძლებელია. შენი საათი 20 წუთით უკანაა.

1. გესმის კოშკის საათიც რვას რეკავს, ის ხომ მუდამ სწორად მუშაობს.

2. მართლაც ძალიან ადრეა, შენ მართალი ხარ, ქუჩის საათიც რვას უჩვენებს. ჩემი საათი 30 წუთით წინაა.

1. რა მოუვიდა შენ საათს? გაფუჭებულია? ალბათ, სისტემატურად არ მართავ.

2. მე მას რადიოს მიხედვით ვასწორებ, მაგრამ ახლა ჩემი რადიო გაფუჭებულია.

Übungen

1. Übersetzen Sie ins Deutsche:

რა რიცხვია დღეს? დღეს არის 20 მაისი. ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა 1786 წელს და გარდაიცვალა 1846 წლის 6 ნოემბერს. გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1800 წელს და გარდაიცვალა 1883 წლის 21 მარტს. ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1817 წლის 27 დეკემბერს და გარდაიცვალა 1845 წლის 21 ოქტომბერს. ჩემი დაბადების დღე არის 2 მარტს, სახელობის დღე კი — 14 იანვარს. როდის შედგება ლექცია ქართულ ენაში? თერთმეტს აკლია ხუთი წუთი. თერთმეტის ხუთი წუთია. ცხრას აკლია თხუთმეტი წუთი. ცხრის თხუთმეტი წუთია. რვის ოცი წუთია. რვას აკლია ოცი წუთი. ათის ოცდახუთი წუთია. ათს აკლია ოცდახუთი წუთი. ხუთის ნახევარია. სრული ექვსი საათია. 14 საათი და 8 წუთია. რომელ საათზე იწყება სწავლა? ცხრის ნახევარზე. ათის ათ წუთზე. 18 საათსა და 20 წუთზე. 22 საათსა და 45 წუთზე. თერთმეტს რომ აკლია ოცდახუთი წუთი. სრულ ცხრაზე. ჩემი საათი ათი წუთით წინაა (უკანაა).

2. Übersetzen Sie ins Georgische:

Der wievielte ist heute (morgen; übermorgen)? Wann ist dein Geburtstag? Mein Geburtstag ist am 1. September. Die Prüfung findet am 11. Januar statt. Wie spät ist es jetzt? Es ist drei Uhr. Es ist halb 12. Es ist 17 Minuten vor 1. Es ist 15 Minuten nach eins. Es ist 19 Uhr 47 Minuten. Um wieviel Uhr? Punkt 6. Um halb 8. Um 10 Minuten vor 7. Um 25 Minuten nach 12. Um 23 Uhr 3 Minuten. Meine Uhr steht. Sie ist kaputt. Deine Uhr geht 5 Minuten vor (nach). Ich ziehe meine Uhr nicht regelmäßig auf. Es ist 1 (12; 5; 6) Uhr. Es ist halb 11. Es ist 3 Minuten nach 7. Wieviel Jahre alt sind Ihre Geschwister? Mein Bruder ist 14 Jahre alt; meine Schwester wird bald 7 Jahre alt. Wann ist Ihr Namenstag? Mein Namenstag ist der 14. Januar. Wann sind Sie geboren? Ich bin am 22. August 1954 geboren. Wann wurde Goethe geboren? Wann ist Goethe gestorben? Wann beginnt der Unterricht?

მეთხუთმეტე გაკვეთილი

XV. Stunde

Adverbialis

ვითარებითი ბრუნვა

Die Kasusendung des Adverbialis ist bei konsonantstämmigen Substantiven **-ად** und bei vokalstämmigen **-დ**. Die synkopiertstämmigen Substantive werden im Adverbialis synkopiert. Bei Substantiven entspricht der Adverbialis im Deutschen meistens der Konstruktion mit «als»:

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ. მხატვარ-ი der Maler	მხატვარ-ებ-ი die Maler
ვით. მხატვარ-ად als Maler	მხატვარ-ებ-ად als Maler
სახ. მებაღე der Gärtner	მებაღე-ებ-ი die Gärtner
ვით. მებაღე-დ als Gärtner	მებაღე-ებ-ად als Gärtner

Adverbialis antwortet auf die Frage რად? «als was»?

რად მუშაობთ თქვენ?	Als was arbeiten Sie?
მე ვმუშაობ ექიმად.	Ich arbeite als Arzt.
მე ვყიდულობ კაბას ოც მანეთად.	Ich kaufe das Kleid für 20 Rubel.
ჩემი მეგობრები ჩემთან სტუმრად არიან.	Meine Freunde sind bei mir zu Gast.
წყალი იქცევა ყინულად.	Das Wasser wird zu Eis.
მე ვლაპარაკობ ქართულად.	Ich spreche georgisch.
ჩემი მეგობარი მეზობლად ცხოვრობს.	Mein Freund wohnt in der Nachbarschaft.

Der Adverbialis bildet aus Adjektiven Adverbien der Art und Weise und antwortet dann auf die Frage როგორ? (wie?)

ის კარგად (ცუდად) წერს და კითხულობს გერმანულად.	Er schreibt und liest gut (schlecht) deutsch.

Den Adverbialis regiert die Postposition **-მდე**, **-მდის** (bis). Bei konsonantstämmigen Substantiven bleibt von der Kasusendung des Adverbialis nur **ა**: სახლ-ა-მდე «bis zum Haus»; bei vokalstämmigen geht sie ganz verloren und **-მდე** wird direkt an dem Stamm angehängt:

ზარამდე ორი წუთი დარჩა.	Bis zum Glockenzeichen sind zwei Minuten geblieben.

აქედან უნივერსიტეტამდე სამი გაჩერებაა.	Von hier bis zur Universität sind drei Haltestellen.
მე ვიცდი ხვალამდე.	Ich warte bis morgen.

Ordnungszahlen

რიგობითი რიცხვითი სახელები

Ordnungszahlen antworten auf die Frage მერამდენე? (der wievielte?) Ordnungszahlen werden aus den Grundzahlen von eins bis zwanzig mit der Vorsilbe მე- und mit der Nachsilbe -ე gebildet.

Eine Ausnahme bildet პირველი der 1.

მეორე	der 2.	მეცხრე	der 9.[1]	მეთხუთმეტე	der 15.
მესამე	der 3.	მეათე	der 10.	მეთექვსმეტე	der 16.
მეოთხე	der 4.	მეთერთმეტე	der 11.	მეჩვიდმეტე	der 17.
მეხუთე	der 5.	მეთორმეტე	der 12.	მეთვრამეტე	der 18.
მეექვსე	der 6.	მეცამეტე	der 13.	მეცხრამეტე	der 19.
მეშვიდე	der 7.	მეთოთხმეტე	der 14.	მეოცე	der 20.
მერვე	der 8.[1]				

Bei den Ordnungszahlen, die mit der Konjunktion და verbunden sind, steht das Präfix მე- vor der letzten Zahl:

ოცდამეერთე der 21.	სამოცდამესამე der 63.
ოცდამეორე der 22.	სამოცდამეათე der 70.
ოცდამესამე der 23.	სამოცდამეთოთხმეტე der 74.
ოცდამეოთხე der 24.	მეოთხმოცე der 80.
ოცდამეხუთე der 25.	ოთხმოცდამეხუთე der 85.
ოცდამეექვსე der 26.	ოთხმოცდამეათე der 90.
ოცდამეშვიდე der 27.	ოთხმოცდამეთექვსმეტე der 96.
ოცდამერვე der 28.	მეასე der 100.
ოცდამეცხრე der 29.	ას მეერთე der 101.
ოცდამეათე der 30.	მეორასე der 200.
ოცდამეთერთმეტე der 31.	ორას მეთხუთმეტე der 215.
მეორმოცე der 40.	მესამასე der 300.
ორმოცდამეერთე der 41.	სამას მეშვიდე der 307.
ორმოცდამეათე der 50.	მეოთხასე der 400.
ორმოცდამეთორმეტე der 52.	ოთხას მეოცე der 420.
მესამოცე der 60.	მეხუთასე der 500.

[1] Der Endvokal -ა geht verloren.

ხუთას მერვე der 508.
მეექვსასე der 600.
ექვსას მეცხრე der 609.
მეშვიდასე der 700.
შვიდას მეთერთმეტე der 711.
მერვაასე der 800.
რვაას ოცდამეორე der 822.
მეცხრაასე der 900.
ცხრაას ოცდამეათე der 930.
მეათასე der 1000.
ათას მეერთე der 1001.

Bruchzahlen

წილობითი რიცხვითი სახელები

Die Bruchzahlen werden aus den Ordnungszahlen mit dem Suffix -დ gebildet, an welche im Nominativ -ი tritt:

1/3 ერთი მესამ-ედ-ი
3/4 სამი მეოთხ-ედ-ი
4/5 ოთხი მეხუთ-ედ-ი
5/8 ხუთი მერვ-ედ-ი
3/20 სამი მეოც-ედ-ი
2 9/10 ორი მთელი ცხრა მეათ-ედ-ი
5 1/20 ხუთი მთელი ერთი მეოც-ედ-ი

Eine Ausnahme bildet:

1/2 ნახევარი
1 1/2 ერთნახევარი
2 1/2 ორნახევარი
5 1/2 ხუთნახევარი

საუბარი ლიტერატურაზე

1. კარგად იცნობთ ქართული ლიტერატურის ისტორიას?
2. ძალიან კარგად. მე ამ დარგის სპეციალისტი გახლავართ.
1. რომელი საუკუნიდან იწყება ქართული ლიტერატურის ისტორია?
2. ქართული ლიტერატურის ისტორია იწყება მეხუთე საუკუნიდან.
1. მაშ, V საუკუნემდე ქართულ ენაზე არაფერია ცნობილი?
2. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე არაფერია მოღწეული.
1. ვინ არის მიჩნეული ყველაზე დიდ ქართველ პოეტად?
2. პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი.
1. როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი?
2. მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეთა მიჯნაზე. თამარ მეფის მეფობის ხანაში.
1. რომელ წლებში მეფობდა თამარი?
2. თამარი მეფობდა 1178—1213 წლებში. თამარის ეპოქას საქართველოს ძველი ისტორიის „ოქროს ხანა“ ეწოდება.

1. რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილეზე ხომ არ ყოფილხართ საქართველოში?

2. როგორ არა! მაშინ მე თბილისში ვიყავი.

1. ზეიმი მარტო თბილისში ჩატარდა?

2. თბილისშიც და საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

1. რუსთაველი პოეტის ნამდვილი გვარია?

2. არა, რუსთაველი ნიშნავს, რომ იგი წარმოშობით რუსთავიდანაა და რუსთავის მცხოვრები და რუსთავის მფლობელიც იყო.

1. რომელი რუსთავიდან არის რუსთაველი? საქართველოში, მგონი, ორი რუსთავია?

2. ლეგენდების თანახმად რუსთაველის სამშობლო მესხეთის დაბა რუსთავია. დანამდვილებით კი მისი წარმოშობის ადგილი სადაოა.

1. შოთას „ვეფხისტყაოსანზე" რას იტყვით?

2. „ვეფხისტყაოსანი" თამარ მეფისადმია მიძღვნილი. ის საარაკო პოემაა.

1. კიდევ რა იცით რუსთაველის შესახებ?

2. ფიქრობენ, რომ სიცოცხლის უკანასკნელი წლები რუსთაველმა გაატარა იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში.

1. ვინ იყო რუსთაველი?

2. ფიქრობენ, რომ ის მეჭურჭლეთუხუცესი ანუ ფინანსთა ვეზირი იყო თამარის კარზე.

1. ვინ არიან ქართველი რომანტიკოსი პოეტები.

2. ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

1. ვის თვლით მე-19 საუკუნის ყველაზე გამოჩენილ მწერლებად?

2. ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და ვაჟა ფშაველას.

1. ვინ მიგაჩნიათ XX საუკუნის ყველაზე დიდ პოეტად საქართველოში?

2. გალაკტიონ ტაბიძე. იგი 1961 წელს გარდაიცვალა. მისი ლექსები მე ძალიან მომწონს.

1. რა ჟანრის პოეტია გალაკტიონ ტაბიძე?

2. იგი ლირიკოსია.

Texterläuterung

ცხოვრობდა — er lebte (wohnte)

რომელ წლებში მეფობდა თამარი? — in welchen Jahren regierte (herrschte) Thamar?

რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილეზე ხომ არ ყოფილხართ საქართველოში?—haben Sie der (an der) 800 Jahrfeier von Rusthaweli in Georgien beigewohnt (teilgenommen)?

მე თბილისში ვიყავი — ich war in Thbilissi

ჩატარდა — es fand statt

ფიქრობენ — man denkt, man meint

გაატარა — er hat verbracht

ვინ იყო რუსთაველი? --wer war Rusthaweli?

Übungen

1. Lesen Sie folgende Zahlen:

5. 10. 1. 12. 17. 23. 26. 3. 34. 516. 8 1/2. 3 3/4. 1 1/2. 5/25. 7/9. 8 4/5.

2. Beantworten Sie folgende Fragen:

1. ვინ ითვლება XX საუკუნის საუკეთესო პოეტად (პროზაიკოსად) თქვენს ქვეყანაში? 2. რომელი საუკუნის მწერლებს (პოეტებს) იცნობთ კარგად? 3. რომელი საუკუნის მწერლებია ილია ჭავჭავაძე. აკაკი წერეთელი, შოთა რუსთაველი, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე? 4. რა იცით რუსთაველის შესახებ? 5. რომელ ტექსტს სწავლობთ ახლა? 6. ვინ არის პირველი მოსწავლე თქვენს კლასში? 7. რომელი გაკვეთილი იწყება? 8. ლაპარაკობთ ქართულად? 9. მერამდენედ მიემგზავრებით საქართველოში?

3. Setzen Sie die eingeklammerten Substantive im Adverbialis ein:

ჩემი მეგობარი მუშაობს (მასწავლებელი). ჩვენ არ ვხმარობთ ამ ტახტს (საწოლი). თქვენ ცუდად ლაპარაკობთ (ქართული). ვინ არის თქვენთან (სტუმარი)? მე შენ (მეზობელი) არ ვცხოვრობ. ჩემი მოსწავლეები კარგად კითხულობენ და წერენ (გერმანული).

4. Übersetzen Sie ins Georgische:

Sie sprechen schlecht georgisch. Mein Freund arbeitet als Lehrer der georgischen Sprache. Wir gehen oft (selten) zu Gast. Wann beginnt die zweite (dritte; vierte; fünfte) Stunde? Aus der Stadt bis zu meinem Dorf sind es anderthalb Kilometer. Ich begleite dich bis in den Garten. Bis zur Haltestelle gehen wir zu Fuß. Ich bleibe bei dir bis übermorgen. Er gilt als ein guter Fachmann. Mein Vater arbeitet hier als Gärtner. Wir leben im 20. Jahrhundert.

მეთექვსმეტე გაკვეთილი

XVI. Stunde

Aorist

წყვეტილი

Der georgische Aorist bezeichnet eine in der Vergangenheit abgeschlossene Handlung.

Zur Bildung des Aorists der 1. und 2. Person Singular und Plural dienen die Suffixe -ე oder -ი.

In der 3. Person gehen diese Suffixe vor dem subjektiven Personal- und Pluralzeichen verloren.

Die 3. subjektive Person Singular hat im Aorist die Personalzeichen -ა oder -ო, im Plural dagegen für transitive[1] Verben -ეს und für intransitive -ნენ:

მე გა-და-ვ-წყვიტ-ე[2]	ich habe beschlossen	ჩვენ გა-და-ვ-წყვიტ-ე-თ
შენ გა-და-წყვიტ-ე		თქვენ გა-და-წყვიტ-ე-თ
მან[3] გა-და-წყვიტ-ა		მათ გა-და-წყვიტ-ეს
მე შე-ვ-ცდ-ი	ich habe mich verrechnet (versehen, getäuscht, geirrt)	ჩვენ შე-ვ-ცდ-ი-თ
შენ შე-ცდ-ი		თქვენ შე-ცდ-ი-თ
ის შე-ცდ-ა		ისინი შე-ცდ-ნენ
მე ვ-აქ-ე	ich habe gelobt	ჩვენ ვ-აქ-ე-თ
შენ აქ-ე		თქვენ აქ-ე-თ
მან აქ-ო		მათ აქ-ეს
მე მო-ვ-კალ-(ი)[4]	ich habe getötet (totgeschlagen, ermordet, umgebracht)	ჩვენ მო-ვ-კალ-(ი)-თ
შენ მო-კალ-(ი)		თქვენ მო-კალ-(ი)-თ
მან მოკლ-ა		მათ მო-კლ-ეს

Merken Sie:

1. Wenn der Präsensstamm[5] eines Verbs auf -ავ, -ამ, -ებ, -ობ oder. -ი endet, so geht diese Endung im Aorist verloren:

---

[1] s. die Seite 77.

[2] Meist wird im Aorist ein Präverb angefügt.

[3] s. die Seite 78.

[4] Diese Verben können auch ohne -ი gebraucht werden. Dieses -ი dient hier nicht zur Bildung des Aorists.

[5] Der Aorist wird nicht aus dem Präsensstamm gebildet, deshalb wird im Wörterbuch neben Präsens und Futurum auch der Aorist angeführt.

Präsens	Aorist
ის უკრ-ავ-ს er spielt (musiziert)	მან და-უკრ-ა er hat gespielt
ის აშენ-ებ-ს er baut	მან ა-აშენ-ა er hat gebaut
ის აბ-ამ-ს er bindet an	მან და-აბ-ა er hat angebunden
ის ტირ-ი-ს er weint	მან იტირ-ა er hat geweint

2. Bei manchen Verben treten im Aoriststamm Vokale auf, die im Präsensstamm nicht vorhanden sind:

Präsens	Aorist
ის ზრდ-ი-ს er erzieht	მან გა-ზარდ-ა er hat erzogen
ის თხრ-ი-ს er gräbt	მან ამო-თხარ-ა er hat gegraben

3. Bei manchen Verben findet sich im Aorist ein Wechsel vom Präsensstammvokal -ე zu -ი:

Präsens	Aorist
ის წყვეტ-ს er beschließt	მან გადა-წყვიტ-ა er hat beschlossen
ის წმენდ-ს er putzt	მან გა-წმინდ-ა er hat geputzt

4. Bei manchen Verben wird das Aoristsuffix -ე dem Präsensstamm angefügt:

Präsens	Aorist
მე ვ-წერ ich schreibe	მე დავ-წერ-ე ich habe geschrieben

5. Einige Verben haben im Präsens und Aorist ganz verschiedene Formen:

Präsens: მე ვარ ich bin

Aorist

მე ვ-იყავი ich war	ჩვენ ვ-იყავი-თ
შენ იყავი	თქვენ იყავი-თ
ის იყ-ო	ისინი იყვ-ნენ

Präsens: მე ვამბობ ich sage

Aorist

მე ვ-თქვი ich habe gesagt	ჩვენ ვ-თქვი-თ
შენ თქვი	თქვენ თქვი-თ
მან თქვა	მათ თქვ-ეს

Präsens: მე ვეუბნები ich sage ihm

Aorist

მე ვ-უთხარი ich habe ihm gesagt	ჩვენ ვ-უთხარი-თ
შენ უთხარი	თქვენ უთხარი-თ
მან უთხრ-ა	მათ უთხრ-ეს

Präsens: მე ვდგავარ ich stehe

Aorist

მე ვ-იდექი ich habe gestanden	ჩვენ ვ-იდექი-თ
შენ იდექი	თქვენ იდექი-თ
ის იდგ-ა	ისინი იდგ-ნენ

Präsens: მე ვწევარ ich liege

Aorist

მე ვ-იწექი ich habe gelegen	ჩვენ ვ-იწექი-თ
შენ იწექი	თქვენ იწექი-თ
ის იწვ-ა	ისინი იწვ-ნენ

Präsens: მე ვზივარ ich sitze

Aorist

მე ვ-იჯექი ich habe gesessen	ჩვენ ვ-ისხედი-თ
შენ იჯექი	თქვენ ისხედი-თ
ის იჯდ-ა	ისინი ისხდ-ნენ

Transitive und intrausitive Verben

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები

Wie im Deutschen kann im Georgischen das Verb transitiv oder intransitiv sein.

Ein Verb ist dann transitiv, wenn ein direktes[1] Objekt bei ihm steht.

Verben, bei denen kein direktes Objekt, sondern nur ein indirektes[2] Objekt steht, zählen zu den intransitiven Verben.

Merken Sie:

---

[1] Ein direktes Objekt steht im Präsens bzw. im Futurum im Dativ und im Aorist im Nominativ; deshalb nennt man es fallveränderliches Objekt.

[2] Ein indirektes Objekt steht immer im Dativ; deshalb nennt man es fallunveränderliches Objekt.

Alle einpersönlichen Verben sind intransitiv. Alle dreipersönlichen Verben sind transitiv.

Zweipersönliche Verben können sowohl transitiv als auch intransitiv sein:

მუშები აშენებენ (ააშენებენ)[1] სახლს (D.)	Die Arbeiter bauen (werden) ein Haus (bauen).
მუშებმა ააშენეს[1] სახლი (N.)	Die Arbeiter haben ein Haus gebaut.
სტუდენტები ესალმებიან (მიესალმებიან)[2] რექტორს (D.)	Die Studenten begrüßen (werden) den Rektor (begrüßen).
სტუდენტები მიესალმნენ[2] რექტორს (D.)	Die Studenten haben den Rektor begrüßt.

Ergativ

მოთხრობითი ბრუნვა

Der Ergativ ist ein der georgischen Sprache eigentümlicher Kasus.

Die Kasusendung des Ergativs ist bei konsonantstämmigen Substantiven **-მა**, bei vokalstämmigen **-მ**.

Die einzige Funktion des Ergativs ist, das Subjekt eines transitiven Verbs im Aorist auszudrücken:

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ. ბავშვ-ი	ბავშვ-ებ-ი
მოთხ. ბავშვ-მა	ბავშვ-ებ-მა

Es gibt einige wenige Verben, bei denen das Subjekt auch in anderen Zeitformen und Modi im Ergativ und nicht im Nominativ steht, z. B.: ვიცი — ich weiß

ბავშვ-მა იცის Das Kind weiß.
ბავშვ-მა იცოდა Das Kind hat gewußt.

Personalpronomen der 3. Person im Ergativ

სახ. ეს er	სახ. ის, იგი er
მოთხ. ამან er	მოთხ. (ი)მან er
სახ. ეგ er	
მოთხ. მაგან er	

[1] ist transitiv.
[2] ist intransitiv.

სად და როდის დაიბადეთ?

მე დავიბადე საქართველოს დედაქალაქში 1948 წლის 22 აგვისტოს.

მერამდენედ იყავით საქართველოში?

საქართველოში პირველად ვიყავი წელს (შარშან).

მე ვისწავლე გალაკტიონ ტაბიძის ლექსი საქართველოზე.

თქვენ უკვე გადათარგმნეთ (დაწერეთ; წაიკითხეთ) ეს ტექსტი?

დიახ. მე ის სულ ადვილად გადავთარგმნე (დავწერე; წავიკითხე).

თქვენ შეასრულეთ საშინაო დავალება?

დიახ, შეკასრულე, თუმცა ცოტა გამიჭირდა.

თქვენმა ამხანაგმა იშოვა საჭირო წიგნები?

არა, მან ვერ იშოვა წიგნები.

თქვენი სტუმრები ჩამოვიდნენ (წავიდნენ; მოვიდნენ)?

დიახ, ისინი გუშინ ჩამოვიდნენ.

მამამ იცოდა თქვენი ჩამოსვლის შესახებ?

არა, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა.

თქვენი სტუმრები დაინტერესა საქართველოს ისტორიულმა ძეგლებმა?

დიახ, ისინი დაინტერესა საქართველოს ისტორიულმა ძეგლებმა.

თქვენმა მეგობარმა ნახა პროფესორი?

Wo und wann sind Sie geboren?

Ich bin in der Hauptstadt Georgiens am 22. August 1948 geboren.

Zum wievielten Mal waren Sie in Georgien?

Ich war in diesem (im vorigen) Jahr zum ersten Mal in Georgien.

Ich habe Galaktion Tabidses Gedicht über Georgien gelesen.

Haben Sie diesen Text schon übersetzt (geschrieben; gelesen)?

Ja, ich habe ihn ganz leicht übersetzt (geschrieben; gelesen).

Haben Sie die Hausaufgabe gemacht (erfüllt)?

Jawohl, ich habe sie gemacht, es fiel mir aber etwas schwer.

Hat Ihr Kamerad die nötigen Bücher gefunden?

Nein, er hat die Bücher nicht gefunden.

Sind ihre Gäste angekommen (gegangen; gekommen)?

Ja, sie sind gestern angekommen.

Hat der Vater von Ihrer Ankunft gewußt?

Nein, er hat nichts davon gewußt.

Haben die historischen Denkmäler Georgiens Ihre Gäste interessiert?

Ja, die historischen Denkmäler Georgiens haben sie interessiert.

Hat Ihr Freund den Professor gesehen?

დიახ, მან ნახა პროფესორი.

Ja, er hat den Professor gesehen.

უკაცრავად, მე ხომ არ შევცდი? ეს ქუჩა ბარათაშვილის სახელობის ხიდზე გადის?

Verzeihung, ich habe mich wohl nicht geirrt? Führt diese Straße zur Barathaschwili-Brücke?

სამწუხაროდ, თქვენ შეცდით. ეს ქუჩა არ გადის ბარათაშვილის სახელობის ხიდზე.

Leider, haben Sie sich geirrt, diese Straße führt nicht zur Barathaschwili—Brücke.

დაათვალიერეთ ეს გამოფენა? გუშინ თქვენმა მეგობარმა ძალიან აქო ის.

Haben Sie diese Ausstellung besichtigt? Gestern hat Ihr Freund sie sehr gelobt.

არა, მე ის ჯერ არ მინახავს.

Nein, ich habe sie noch nicht gesehen.

ეს დარბაზი ახალი აშენებულია?

Ist der Saal vor kurzem gebaut worden?

დიახ, ეს დარბაზი ახალი აშენებულია.

Ja, dieser Saal ist vor kurzem gebaut worden.

ვინ გაჭრა ეს საზამთრო?

Wer hat diese Wassermelone geschnitten?

არ ვიცი.

Ich weiß nicht.

Der Text

1. რა ეროვნების ბრძანდებით?
2. მე ქართველი გახლავართ. თქვენ?
1. მეც ქართველი ვარ.
2. მე კი თქვენ გერმანელი მეგონეთ.
1. ო, არა. მე მამით ქართველი ვარ, დედა კი გერმანელი მყავს.
2. ლაპარაკობთ ქართულად?
1. სამწუხაროდ, არა. მე სრულიად არ ვიცი ქართული. ვიცი მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, ცოტას ვკითხულობ კიდეც, ლაპარაკი კი მიჭირს.
2. თქვენმა მშობლებმა იციან ქართული?
1. მხოლოდ მამამ, დედამ არ იცის.
2. ყოფილხართ საქართველოში?
1. არა, მე არასოდეს არ ვყოფილვარ საქართველოში. თქვენ?
2. მე წელს პირველად ვიყავი საქართველოში, ჩემს სამშობლოში.

1. პირველად? მე მეგონა, რომ თქვენ საქართველოდან ხართ და იქ ცხოვრობთ.

2. სამწუხაროდ, არა. მაგრამ საქართველოში ყოფნის შემდეგ გადავწყვიტე ჩემი ოჯახით ჩემს სამშობლოში დაბრუნება.

1. მე მგონია, თქვენ ცდებით. იქაურ ხალხს, უცხო ქვეყანას ასე ადვილად ვერ შეეჩვევით, თავს უცხოდ იგრძნობთ. რა გინდათ საქართველოში?

2. თქვენ რომ ერთხელ მაინც ყოფილიყავით საქართველოში, ამას არ იტყოდით. საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა და დიდი კულტურა და საინტერესო ისტორია აქვს. ქართველი ხალხი გულთბილი და სტუმართმოყვარეა.

1. ეგ ვიცი, მაგრამ თქვენ ხომ აქ დაიბადეთ, აქ გაიზარდეთ და აქ სწავლობდით, განა იქ მარტოობას არ იგრძნობთ?

2. განა შეიძლება ადამიანმა მარტოობა იგრძნოს თავის სამშობლოში, სადაც მისი ნათესავები არიან? მარტოობას აქ ვგრძნობ. აქ მე არავინ მყავს ახლო ნათესავი. მე მინდა ჩემს ახლობლებთან ვიყო. მე მინდა, რომ ჩემი შვილები ქართულად ლაპარაკობდნენ და ქართულ კულტურას ეზიარონ.

1. თქვენ ისეთი გატაცებით ლაპარაკობთ, რომ მეც დამაინტერესეთ საქართველოთი. გთხოვთ, მიამბოთ რამე მის შესახებ. ის ხომ ჩემი სამშობლოცაა.

2. თქვენ რა გაინტერესებთ?

1. ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნაობანი, განსაკუთრებით ტაძრები, მონასტრები და ეკლესიები.

2. დავიწყოთ მცხეთიდან. მცხეთა თბილისის ახლოს მდებარეობს. ის არის საქართველოს ყოფილი დედაქალაქი. მცხეთასთან ახლოს მდებარეობს ჯვრის ტაძარი.

1. რომელი საუკუნის ძეგლია ის?

2. ჯვრის ტაძარი VII საუკუნის ძეგლია. მცხეთაში იმყოფება აგრეთვე სვეტიცხოვლის ტაძარი. ის XI საუკუნის ძეგლია.

1. გსმენიათ ლეგენდა სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ?

2. როგორ არა! მის ხუროთმოძღვარს ხელი მოსჭრეს, ეს ხელი ტაძრის კედელზეა გამოკვეთილი.

1. რა სახის ტაძრებია ჯვარი და სვეტიცხოველი?

2. ჯვარიც და სვეტიცხოველიც ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკური სტილის ნიმუშებია.

1. რა სახის ტაძრებია საერთოდ საქართველოში?

2. ქართული ტაძრები ორგვარია: გუმბათოვანი და ბაზილიკის სტილისა (უგუმბათო ტაძრები).

1. თამარ მეფის ფრესკები თუ არის შემონახული?

2. როგორ არა! თამარის ოთხი ფრესკა არსებობს.

1. სად, რომელ მონასტერში?

2. ბეთანიის ეკლესიის კედელზე. აქ გამოსახულია თამარ მეფე, მამამისი გიორგი მესამე და მისი ძე ლაშა.

1. კიდევ სად არის თამარ მეფის ფრესკა?

2. ყინწვისის ეკლესიაში, ბერთუბნის ეკლესიაში, რომელიც კლდეშია გამოკვეთილი და ვარძიის მონასტრის ეკლესიაში, რომელიც აგრეთვე კლდეშია გამოკვეთილი.

1. საქართველოს სხვა ტაძრებზე რას იტყვით?

2. ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ, ახლა კი ერთ პატარა ლექსს გეტყვით:

ბევრი მხარე მოვიარე —
ასე იწყებს ამბავს მთვარე, —
მაგრამ საქართველოსთანა
არ მინახავს არსად მხარე.

ბრწყინავს მისი ძველისძველი
უძლეველი მთა და ველი,
მისი წყალი, მისი სივრცე,
მისი შოთა რუსთაველი...

აქეთ მძლავრი და ტიტანი
მოსჩანს კავკასიის ტანი,
მიჯაჭვული აქ იყო და
აქ აეხსნა ამირანი!

1. ვისია ეს შესანიშნავი ლექსი?

2. ეს ლექსი გალაკტიონ ტაბიძისაა.

Texterläuterung

მე თქვენ გერმანელი მეგონეთ — ich dachte, Ihr seid Deutsche
მამით ქართველი — Georgier von väterlicher Seite
ყოფილხართ? — waren Sie?
არ ვყოფილვარ — ich war nie
მეგონა — ich glaubte, ich dachte, ich meinte
თქვენ რომ ერთხელ მაინც ყოფილიყავით საქართველოში, ამას არ

იტ ყოდით—wären Sie einmal in Georgien gewesen, würden Sie das nicht gesagt haben (hätten Sie das nicht gesagt)

განა შეიძლება ადამიანმა მარტოობა იგრძნოს? — kann man sich allein fühlen?

მინდა ვიყო — ich möchte sein

მე მინდა, რომ ჩემი შვილები ქართულ კულტურას ეზიარონ — ich möchte gern, daß meine Kinder die georgische Kultur kennenlernen

გთხოვთ, მიამბოთ რამე ამის შესახებ — erzählen Sie mir, bitte, etwas davon (darüber)

დავიწყოთ — wollen wir beginnen, fangen wir an

გსმენიათ? — haben Sie gehört?

ამაზე — davon, darüber

ვისაუბროთ — wollen wir sprechen

საქართველოსთანა — so wie Georgien

მინახავს — ich habe gesehen

Übungen

1. Konjugieren Sie im Aorist:

შეცდა, შეეჩვია, გაიზარდა, დააინტერესა, ილაპარაკა, წაიკითხა, იყო, იცხოვრა, იგრძნო, დაიბადა, ეზიარა, დაიწყო.

2. Beantworten Sie folgende Fragen:

1. ყოფილხართ საქართველოში? 2. სად და როდის დაიბადეთ? 3. იცით ზეპირად გალაკტიონ ტაბიძის ლექსი საქართველოს შესახებ? 4. სად გაატარეთ ზაფხული? 5. საქართველოს რომელ ძეგლებს გაეცანით? 6. რა გიამბოთ მასწავლებელმა საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ? 7. როგორ დაწერეს თქვენმა მოსწავლეებმა კარნახი? 8. რამდენი ქართული ლექსი იცის თქვენმა ბავშვმა? 9. საქართველოდან მიიღეთ მოწვევა? 10. გაგიჭირდათ ქართული ენის შესწავლა?

3. Setzen Sie die eingeklammerten Substantive in den Nominativ oder Ergativ und ersetzen Sie dann diese Substantive durch die entsprechenden Personalpronomen:

(სტუდენტები) ბევრი ქართული ლექსი ზეპირად იციან; (მასწავლებელი) წაგვიკითხა ლეგენდა სვეტიცხოველზე; (ტურისტები) ათვალიერებენ ქალაქს და მის ღირსშესანიშნავ ადგილებს; (ჩემი მეგობარი) დამპატიჟა და მიმიწვია მე საქართველოში; (ჩემი მშობლები) კარგად იციან ქართული ენა; (ჩემი ნათესავები და ახლობლები) საქარ-

თველოში ცხოვრობდნენ; (ჩვენი სტუდენტები) რამდენჯერმე იყვნენ გერმანიაში.

4. Übersetzen Sie ins Georgische:

Ich bin am 23. Februar 1953 in Berlin geboren; Ich habe eine Einladung von meinem Freund bekommen; Meine Schüler wissen viele Gedichte von Goethe; Unser Lehrer hat uns viel Interessantes über Deutschland erzählt; Diese Kinder haben Deutsch in der Schule gelernt; Wer hat dieses Gedicht geschrieben? Sie wußten nichts davon; Ich habe mich verrechnet: Bis zum V. Jahrhundert war Mzchetha die Hauptstadt von Georgien; Im V. Jahrhundert wurde Thbilissi zum Hauptstadt von Georgien; Hast du gestern die Aufgabe gemacht (erfüllt; geschrieben)?

მეჩვიდმეტე გაკვეთილი

XVII. Stunde

Vokativ

წოდებითი ბრუნვა

Der georgische Vokativ wird als Anrede sowohl bei Lebewesen als auch bei Dingen gebraucht:

ბატონ-ო! Herr!	ბატონ-ებ-ო! Meine Herrn!
მზე-ო! Sonne!	ბატონ-ო ვანო! Herr Wano!

Das Substantiv, das im Vokativ steht, ist kein Satzglied und wird durch ein Komma abgetrennt:

ბატონო, მომეცით წიგნი!	Herr, geben Sie mir das Buch!
მზეო, ამოდი!	Sonne, gehe auf!

Bei konsonantstämmigen und einsilbigen vokalstämmigen Substantiven ist -ო die Kasusendung des Vokativs. Mehrsilbige vokalstämmige Substantive haben im Vokativ entweder kein Zeichen oder, selten, -ე:

მოქალაქე-(ე)! Bürger!

Die -ნ Pluralform wird auch im Vokativ gebraucht:

მშვიდობით, ჩემ-ნ-ო! Auf Wiedersehen, ihr Meinigen! (Ausruf)

ჰოი, ნაპირ-ნ-ო, არაგვის პირ-ნ-ო! O, Ufer[1], Ufer des Aragwi!

Die Eigennamen werden im Vokativ ohne Zeichen gebraucht:

ლუარსაბ! Luarsab!

ნოდარ! Nodar!

[1] Plural

Imperativ

ბრძანებითი კილო

Der Imperativ besitzt im Georgischen keine selbständigen Formen. Sie sind den anderen Zeitformen entliehen.

Man unterscheidet im Georgischen einen bejahenden und einen verneinenden Imperativ.

Der bejahende Imperativ

Für die Bildung der 2. Person Singular und Plural des bejahenden Imperativs wird die entsprechende Person und der entsprechende Numerus des Aorists herangezogen:

დახატე! Male! დახატეთ! Malt! იყავი! Sei!

Ausnahmen:

მოდი! Komm!	მოდით! Kommt her!
შედი! Tritt ein!	შედით! Tretet ein!
წადი! Geh(e)!	წადით! Geht!

Der verneinenden Imperativ

Alle Formen der 2. Person des verneinenden Imperativs werden nach den betreffenden Präsens—(die Handlung bezieht sich auf die Gegenwart) oder Futurumformen (die Handlung bezieht sich auf die Zukunft) und mit der Partikel ნუ gebildet:

ნუ აკეთებ! Mach(e) nicht!
ნუ გააკეთებ! Mach(e) nicht!
ნუ ხარ! Sei nicht!
ნუ იქნები! Sei nicht!

ნე აკეთებთ! Macht nicht!
ნუ გააკეთებთ! Macht nicht!
ნუ ხართ! Seid nicht!
ნუ იქნებით! Seid nicht!

ქალბატონო ნინო, დღეს თქვენ ბევრი საქმე გაქვთ?

Frau Nino, haben Sie heute viel zu tun?

დიახ, მე დღეს ბევრი საქმე მაქვს. მომეხმარეთ, თუ შეიძლება!

Ja, ich habe heute alle Hände voll zu tun. Helfen Sie mir, bitte!

ბატონო ვანო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხვალ ლუარსაბის დაბადების დღეა. მობრძანდით ჩვენთან, მას ძალიან გაეხარდება.

Herr Wano, vergessen Sie nicht, daß morgen Luarsabs Geburtstag ist. Kommen Sie zu uns, er wird sich sehr freuen.

ქალბატონო ლალი, ამ სუნამოს ნუ იყიდით, სჯობს სხვა რამ იყიდოთ.

Frau Lali, kaufen Sie dieses Parfüm nicht, kaufen Sie lieber etwas anderes.

ზარს ნუ რეკავ, ისინი შინ არ არიან.

Klingle nicht, sie sind nicht zu Hause.

ნანა, ხვალ ჩემთან ნუ მოხვალ, სოფელში მივდივარ.

Nana, komm morgen nicht zu mir. Ich fahre aufs Land.

ვანო, წაიკითხე (დაწერე; ისწავლე; თარგმნე) ეს ნაწყვეტი.

Wano, lies (schreibe; lerne; übersetze) diesen Auszug.

გია, ნუ ხარ ზარმაცი! ივარჯიშე ყოველ დილით. ეს კარგია ჯანმრთელობისათვის.

Gia, sei nicht faul, turne jeden Morgen, das ist gesund.

თინა, ნუ ჰამ ასე ჩქარა! ჰამე ნელა!

Thina, iß nicht so schnell, iß langsam!

Lernen Sie auswendig:

ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ
ამ ეზოში დილ-დილასო,
ვერ[1] მომპარავ, არ გაგატან
ჩემს პატარა წიწილასო!

(ხალხური)

დაბადების დღე

დღეს გიას დაბადების დღეა და დედას ბევრი საქმე აქვს. ზარია. დედა აღებს კარებს.

დედა: ეს შენა ხარ, ჩემო ნანა? არ დაგავიწყდა, რომ დღეს გიას დაბადების დღეა?

ნანა: რასაკვირველია, არა, დეიდა თამარ! მე ეს არ დამვიწყებია. საჩუქარიც კი ვიყიდე მისთვის. საინტერესო წიგნი გერმანიის შესახებ.

დედა: წიგნი? შესანიშნავი საჩუქარია! აბა, მაჩვენე! მას წიგნები ყველაფერს ურჩევნია. ახლა ის გერმანულ ენას სწავლობს.

ნანა: სად არის გია? სად დაიკარგა?

დედა: ის ბიბლიოთეკაშია და დღე და ღამე კრუხივით აზის თავის წიგნებს.

ნანა: მე მგონია, დეიდა თამარ, მას ნამდვილად არ ახსოვს თავისი დაბადების დღე.

[1] Die Partikel ვერ drückt Unmöglichkeit aus.

დედა: დღეს ტელეფონით უკვე მოულოცეს. მან ბევრი სტუმარი დაჰპატიჟა, მათ შორის ორი უცხოელი, თავისი გერმანელი მეგობრები.

ნანა: გერმანელი მეგობრები? მე მათ არ ვიცნობ.

დედა: ო, მალე სტუმრები მოვლენ და მე კი ჯერ სუფრა არ გამიშლია.

ნანა: ნუ ღელავთ, დეიდა თამარ, მე მოგეხმარებით.

დედა: კარგია, რომ ადრე მოხვედი. ძალიან გთხოვ, აიღე ეს სუფრა და გადააფარე მაგიდას.

ნანა: სიამოვნებით. სად არის ჭურჭელი?

დედა: გააღე კარადა და გამოიღე ყველაფერი: ღრმა და ფრიალა თეფშები, დანა-ჩანგალი, ჭიქები და ხელსახოცები.

ნანა: რამდენ კაცზე გავშალო სუფრა?

დედა: ოცზე. თითოეულს სამ-სამი თეფში დაუდგი. მე სამზარეულოში წავალ. მარჯვნივ დადე დანა, დიდი და პატარა კოვზები, მარცხნივ კი ჩანგლები და ხელსახოცები. ყოველი თეფშის წინ სამი ჭიქა დადგი, სამარილე არ დაგავიწყდეს.

ნანა: თქვენ წაბრძანდით, დეიდა თამარ, სამზარეულოს მიხედეთ, ნუ გეშინიათ, მე არაფერი არ დამავიწყდება.

დედა: ნანა, დაალაგე ცივი საუზმე მაგიდაზე. აი, აიღე ხიზილალა, კარაქი, ყველი, შაშხი, ფხალი, კალმახი, თართი და მოხარშული ქათმები.

ნანა დგამს მაგიდის შუაში ყვავილების ლარნაკს და ალაგებს ღვინოს, კონიაკს, ლიმონათს და ბორჯომის წყალს. უკვე თითქმის ყველაფერი მზადაა. პირველი სტუმრებიც მოდიან. დეიდა თამარს შემოაქვს ცხელი ჭადები და ხაჭაპურები. ნანა ჭრის პურს და ალაგებს თეფშებზე.

გია ართობს თავის სტუმრებს. ის კარგად უკრავს როიალზე, მისი გერმანელი მეგობარი კი — ვიოლინოზე. გიას აქვს კარგი ჩანაწერები. ახალგაზრდები კარგად ატარებენ დროს, ბევრს ცეკვავენ და მღერიან. ყველა კარგ გუნებაზეა. დედას შემოაქვს შემწვარი წიწილები და გოჭი. ის სთავაზობს სტუმრებს ნამცხვარს, ხილსა და ყავას. გიას მეგობრები ღამის 12 საათამდე რჩებიან.

Texterläuterung

მას წიგნები ყველაფერს ურჩევნია — er liebt Bücher über alles
რამდენ კაცზე გავშალო სუფრა? — für wieviel Personen soll ich den
ოცზე — für zwanzig Tisch decken

Lernen Sie auswendig:

მოხუცის დარიგება

ტყუილის მთქმელს,
ცრუს და ორგულს
ნუ გაიხდი
თანამგზავრად,
თორემ ბოლოს
დაინანებ
და ჩაგყვება
გულში ჯავრად!
ვიდრე სიტყვას
წარმოთქვამდე,
გაცხრილე და
თქვი შერჩევით,
ამით ტყუილს
განირიდებ
და სიმართლეს
შეეჩვევი!
და თუ რამეს
დააშავებ,
ოამამად თქვი:
„მე ვიყავი!"
ჯხვას ნუ ერჩი,
დამნაშავედ
აღიარე
შენი თავი!
ტყუილ მოწმედ
არვის გაჰყვე,
ქედი არსად
დაიხარო,
ტყუილის თქმას
ჯირჩევნია,
გულში ტყვია
დაიხალო!
ჩემო ბალღო,
ჩემო შვილო,
ჩემო ნორჩო
მეგობარო,
გთხოვ, მოხუცის
დარიგება
ანდერძივით
მიიბარო!

იოსებ გრიშაშვილი

Texterläuterung

დაინანებ — das wirst du noch bereuen
ვიდრე სიტყვას წარმოთქვამდე — bevor du ein Wort sprichst
და თუ რამეს დააშავებ — und wenn du etwas angerichtet hast
ქედი არსად დაიხარო — beuge dich vor niemandem!
ტყუილის თქმას ჯირჩევნია, გულში ტყვია დაიხალო — lieber schieß dir eine Kugel durch den Kopf als lügen
ანდერძივით მიიბარო — hüte, bewahre es als Testament

Sprichwort:

ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო. Lügen haben kurze Beine.

Verwechseln Sie nicht:

alt =
1. მოხუცი — wird im allgemein nur in bezug auf Lebewesen gebraucht
2. ბებერი — Sowohl bei Tieren als auch in bezug auf böse alte Menschen
3. ძველი — nur bei Dingen

კაცი არის მოხუცი.	Der Mann ist alt
კატა არის ბებერი.	Die Katze ist alt
სახლი არის ძველი.	Das Haus ist alt.
ეს ბებერი არის ბოროტი.	Dieser (diese) Alte ist böse.

Übungen

1. Bilden Sie alle Formen des bejahenden und des verneinenden Imperativs:

იყიდა; ისწავლა; დაიკარგა; მიულოცა; დაჰპატიჟა; აიღო; გადაიფარა; გაშალა; დადგა; წაბრძანდა; დაალაგა; დაუკრა; იმღერა; შესთავაზა.

2. Setzen Sie statt der Striche die entsprechenden Verben im Imperativ ein:

შენ შეცდომებით წერ. ~ უშეცდომოდ! ნუ — შეცდომებით! თქვენ ცუდად მღერით. — სწორად და კარგად! ცუდად ნუ — ! თქვენ თარგმნით ქართულ ლექსებს? — ქართული ლექსები! თქვენ ცოტას მუშაობთ. ნუ — ცოტას! — ბევრი! შენ მიდიხარ კინოში? ნუ — კინოში! — შინ! შენ ცოტას კითხულობ. — ბევრი! ნუ — ცოტას! თქვენ ხმამაღლა ლაპარაკობთ. ნუ — ხმამაღლა! — ხმადაბლა! თქვენ არ ლაპარაკობთ ერთმანეთთან ქართულად. — ერთმანეთთან ქართულად! თქვენ არ ეხმარებით თქვენს მშობლებს. — თქვენს მშობლებს! შენ გვიან დგები. ნუ — გვიან! — ადრე! შენ ზარმაცი ხარ. ნუ — ზარმაცი! — ბეჯითი!

3. Übersetzen Sie ins Deutsche:

Stehen Sie auf! Gogi, geh nach Hause! Sprecht nicht so laut! Komm schnell! Lies viel deutsch! Frau Thina, helfen Sie mir, bitte! Sei fleißig! Lüge nicht! Setz dich! Setzen Sie sich! Gehen wir ins Kino! Korrigiere deine Fehler! Iß und trink langsam! Klingle nicht, sie sind nicht zu Hause.

მეთვრამეტე გაკვეთილი

XVIII. Stunde

Imperfekt

უწყვეტელი

Das georgische Imperfekt kennzeichnet den Ablauf einer unvollendeten, fortdauernden, wiederholten Handlung in der Vergangenheit.

Zur Bildung des Imperfekts dienen die Suffixe -დ(ი) oder -ოდ(ი), die an den Präsensstamm angefügt werden. -დი Suffix steht bei transitiven[2] Verben, -ოდი bei intransitiven[3].

მე მო-ვ-დი-ოდი	ich kam	ჩვენ მო-ვ-დი-ოდი-თ
შენ მო-დი-ოდი		თქვენ მო-დი-ოდი-თ
ის მო-დი-ოდ-ა		ისინი მო-დი-ოდ-ნენ
მე ვ-ღელავ-დი	ich beunruhigte mich	ჩვენ ვ-ღელავ-დი-თ
შენ ღელავ-დი		თქვენ ღელავ-დი-თ
ის ღელავ-დ-ა		ისინი ღელავ-დ-ნენ
მე ვ-ეკითხებ-ოდი	ich fragte	ჩვენ ვ-ეკითხებ-ოდი-თ
შენ ეკითხებ-ოდი		თქვენ ეკითხებ-ოდი-თ
ის ეკითხებ-ოდ-ა		ისინი ეკითხებ-ოდ-ნენ
მე ვ-უსმენ-დი	ich hörte zu	ჩვენ ვ-უსმენ-დი-თ
შენ უსმენ-დი		თქვენ უსმენ-დი-თ
ის უსმენ-დ-ა		ისინი უსმენ-დ-ნენ

მე ვღელავდი, რატომ დაიგვიანე?

Ich beunruhigte mich, warum hast du dich verspätet?

ვუშინ შენ მასწავლებელს არ უსმენდი, გიას ელაპარაკებოდი. ამიტომ ეს წესი სწორად ვერ გაგიგია.

Du hörtest gestern dem Lehrer nicht zu: du sprachst mit Gia, deshalb hast du diese Regel nicht richtig verstanden.

დიდხანს ველოდებოდით, რატომ არ მოხვედი?

Wir erwarteten dich lange, warum kamst du nicht?

მე ამ სკოლაში დავდიოდი, ჩემი ბავშვობა აქ გავატარე.

Ich besuchte diese Schule. Ich habe hier meine Kindheit verbracht.

ჰატარა გაუგებრობა

ვალტერი: გამარჯობა, გიორგი!
გიორგი: გაგიმარჯოს, ვალტერ!
ვალტერი: როგორა ხარ?
გიორგი: ცუდ გუნებაზე ვარ.

---

[1] -ი geht vor Personalzeichen der 3. Person sowohl im Singular als auch im Plural verloren.

[2] Eine Ausnahme bildet ვ-იც-: ვ-იც-ოდი.

[3] Die Verben auf -ი (ვ-დგებ-ი) verlieren dieses -ი im Imperfekt: ვ-დგებ-ოდი ich stand auf.

ვალტერი: რა მოხდა?

გიორგი: წერაში ორიანი მივიღე.

ვალტერი: ერთი ამას დამიხედეთ! ორიანი მიიღო და ცუდ გუნებაზეა! არც ისე ადვილია წერაში ორიანის მიღება. უნდა გიხაროდეს!

გიორგი: (ირონიით) სიხარულისაგან მეშვიდე ცაზე ვარ! ხუმრობ თუ?

ვალტერი: დამშვიდდი, გიორგი, ზეპირში აუცილებლად ერთიანს მიიღებ.

გიორგი: თუ ძმა ხარ, თავი დამანებე! მე ჩავიჭერი და შენ კი დამცინი?

ვალტერი: რა მოგივიდა, გიორგი? აქ რაღაც გაუგებრობაა! ჩვენთან ყველაზე მაღალი ნიშანი ერთიანია, შემდეგ მოდის ორიანი, მას სამიანი მიჰყვება, ხოლო ოთხი ყველაზე ცუდი ნიშანია.

გიორგი: სასაცილოა! ჩვენთან შებრუნებითაა: თქვენი ერთიანი და ორიანი ჩვენთან ყველაზე ცუდ — არადამაკმაყოფილებელ — ნიშნებად ითვლება; სამიანი დამაკმაყოფილებელია, ოთხი კარგი ნიშანია, ხუთი კი ფრიადია.

ვალტერი: მაპატიე, ჩემო გიორგი! მე ეს არ ვიცოდი. ძალიან საწყენია, რომ ჩაიჭერი. შენ ხომ სკოლაში კარგად სწავლობდი და კარგ ნიშნებსაც იღებდი. ზარმაცი არასოდეს ყოფილხარ. რა მოხდა? ალბათ, ძალიან ღელავდი?

გიორგი: არა, ჩემო ვალტერ, არ ვღელავდი. შენ მართალი ხარ: სკოლაში კარგად ვსწავლობდი. მისაღები გამოცდებიც წარმატებით ჩავაბარე. შემდეგ კი არაფერს ვაკეთებდი. მეგონა, რომ უკვე ყველაფერი ვიცოდი. ბევრს ვსეირნობდი, დავდიოდი კინოებსა და თეატრებში, დროს უქმად ვკარგავდი და დავცინოდი ჩემს მეგობრებს, რომლებიც ისხდნენ, იმეორებდნენ განვლილ მასალას და სერიოზულად ემზადებოდნენ გამოცდებისათვის. ახლა კი ვნანობ, მაგრამ უკვე გვიანაა!

Sprichwort:

რომელ ქვეყანაშიც ჩახვალ, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო.
Andere Länder, andere Sitten.

Texterläuterung

უნდა გიხაროდეს! — du mußt dich freuen!
თუ ძმა ხარ — wenn du mein Bruder bist (eine Anrede).
ზარმაცი არასოდეს ყოფილხარ — du warst nie faul.

Aspekt

ასპექტი

Nach dem zeitlichen Verlauf des Geschehens unterscheidet man im Georgischen einen imperfektiven Aspekt, der den Ablauf einer unvollendeten Handlung bezeichnet und einen perfektiven Aspekt, der ein Geschehen kennzeichnet, das vollendet ist.

Der Aspekt ist im Georgischen eine grammatische Kategorie.

Die georgischen Stammverben drücken den imperfektiven Aspekt, die abgeleiteten und präfigierten den perfektiven aus:

Imperfektive Verben	**Perfektive Verben**
წერ-ს er schreibt	და-წერ-ს er wird geschrieben haben
წერ-ა er schrieb	და-წერ-ა er hat geschrieben

Imperfektive Verben bilden alle Zeitformen, perfektive nur zwei: Vergangenheit und Zukunft.

Einige wenige georgische Verben bringen infolge ihrer Bedeutung keinen Aspekt zum Ausdruck:

არი-ს er ist	იცი-ს er weiß
უყვარ-ს er liebt	შე-დი-ს er tritt ein
ს-ძინავ-ს er schläft	მი-ფრინ-ავ-ს er fliegt

Manche präfigierten Verben sind imperfektiv und umgekehrt nicht präfigierte—perfektiv:

მი-დი-ს er geht	ნახ-ა er hat gesehen
მო-ჩან-ს es ist sichtbar	იყიდ-ა er hat gekauft
	ბრძან-ა er hat befohlen

თეატრში

გუშინ ჩვენ ოპერის თეატრში ვიყავით. გადიოდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი". როგორც ყოველთვის, მე ცოტათი ვღელავდი, თუმცა თეატრში ხშირად დავდივართ.

ოპერის თეატრის წინ, ჩვეულებისამებრ, ბევრი ხალხი ირეოდა. ყველა ბილეთი გაყიდული იყო.

ბილეთები ჩვენ წინასწარ შევიძინეთ.

— ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ? — გვეკითხებოდნენ ჩვენ.

შევედით ოპერაში, გასახდელში პალტოები გავიხადეთ და მაყურებელთა დარბაზს მივაშურეთ. ადგილები პარტერის მესამე რიგში

გვქონდა. შევიძინეთ პროგრამა და ინტერესით ვათვალიერებდით მას. დღეს პირველი შემადგენლობა თამაშობს. — ვინ დირიჟორობს? — მკითხა ჩემმა მეზობელმა.

დარბაზი თანდათან ივსებოდა. დროდადრო ორკესტრიდან ინსტრუმენტების ხმა ისმოდა. დაირეკა უკანასკნელი ზარი, სინათლე ჩაქრა და სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ გვერდით ადგილი თავისუფალია? — იკითხა ვიღაცამ. — დაბრძანდით! — იყო პასუხი.

გაისმა შესავალი, ფარდა ნელ-ნელა მაღლა აიწია და დარბაზში ტაშმა იგრიალა. მსმენელები კმაყოფილებით ესალმებოდნენ საყვარელ მსახიობებს.

შესვენებაზე ფოიეში ვსეირნობდით და ვათვალიერებდით კედლებზე გამოფენილ საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა — კომპოზიტორების, მუსიკოსების, დირიჟორების, რეჟისორების, მსახიობების, ბალერინების, მომღერლებისა და მხატვრების — პორტრეტებს.

მოქმედება მოქმედებას მიჰყვებოდა და ჩვენ სულგანაბულნი ვუსმენდით დიდი ქართველი კომპოზიტორის უკვდავ მუსიკას.

აი, აბესალომისა და მურმანის ცნობილი დუეტიც და ბოლოს აბესალომისა და უთერის ტრაგიკული სიკვდილი.

სპექტაკლი დამთავრდა. მსმენელები დიდხანს უკრავდნენ ტაშს ნიჭიერ მსახიობებს, დირიჟორსა დაგამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის უკვდავ მუსიკას. პრემიერამ კარგად ჩაიარა.

შთაბეჭდილებებით აღსავსენი ვბრუნდებოდით შინ და ჩვენს შეხედულებებს გზაში ერთმანეთს ვუზიარებდით. გზაზე აფიშებსაც ვათვალიერებდით. ჩვენი არჩევანი ამჯერად ოპერა „დაისზე“ შეჩერდა. ეს ოპერა არაერთხელ მოგვისმენია, მაგრამ არასდროს მოგვბეზრდება.

გადაწყდა, შემდეგ კვირას „დაისს“ მოვუსმენთ.

Texterläuterung

მოგვისმენია — wir haben es gehört, wir haben es uns angehört

Übungen

1. Konjugieren Sie folgende Verben im Imperfekt:

ღელავს; ეკითხება; აქვს; ათვალიერებს; ხვდება; სეირნობს; მიჰყვება; უსმენს; უკრავს; ბრუნდება; ადევნებს; იხდის; იძენს; ჩერდება.

2. Verwandeln Sie die Sätze ins Imperfekt:

ჩვენ ვიხდით პალტოს; ეთერის პარტიას ასრულებს ცნობილი ქართველი მსახიობი; ორკესტრში ინსტრუმენტებს აწყობენ; ამ ოპე-

რას ძალიან აქებენ; თქვენ რომელ სპექტაკლში თამაშობთ? როგორი მუსიკა გიყვართ? რა გადის დღეს კინოში? ვინ დირიჟორობს ამ ოპერას?

3. Schreiben Sie aus dem Text die Verben heraus und gruppieren Sie dann nach dem Aspekt.

4. Beantworten Sie folgende Fragen:

1. რა გადიოდა გუშინ თეატრში? 2. მოგისმენიათ ქართული ოპერა? 3. რომელ ქართველ მსახიობებს იცნობთ? 4. იყავით გუშინ ოპერაში? 5. ვინ მღეროდა მთავარ პარტიას? 6. ვინ არის თქვენი საყვარელი მომღერალი? 7. რა თანამედროვე სპექტაკლები იდგმებოდა წელს თქვენს სცენაზე?

5. Übersetzen Sie ins Georgische:

Vor einigen Tagen besuchten wir eine Premiere im Theater; Vor dem Theater drängten sich viele Menschen; Alle Karten waren ausverkauft; Ich saß allein auf meinem Platz und sah im Programm nach; Gestern dirigierte mein Freund zum ersten Mal und ich war beunruhigt. Haben Sie sich eine georgische Oper angehört? Noch nicht; Wer sang gestern die Hauptpartie? Ich weiß nicht, ich war gestern nicht im Theater.

მეცხრამეტე გაკვეთილი

XIX. Stunde

Die Deklinationsmuster

სახელთა ბრუნების მაგალითები

I. Die konsonantstämmigen Substantive

თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელები

1. Die nicht synkopiertstämmigen Substantive

უკუმშველი არსებითი სახელები

მხოლობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი		
სახელობითი (N.)	კაც-ი		der; den Mann	კაც-ებ-ი	კაც-ნ-ი
მოთხრობითი (Er.)	კაც-მა		der Mann	კაც-ებ-მა	კაც-თა
მიცემითი (D.)	კაც-ს(ა)		der; dem; den Mann	კაც-ებ-ს(ა)	კაც-თა
ნათესაობითი (G.)	კაც-ის(ა)		des Mannes	კაც-ებ-ის(ა)	კაც-თა
მოქმედებითი (In.)	კაც-ით(ა)		mit dem; durch den Mann	კაც-ებ-ით(ა)	—
ვითარებითი (Adv.)	კაც-ად(ა)		als Mann	კაც-ებ-ად(ა)	—
წოდებითი (V.)	კაც-ო		Mann!	კაც-ებ-ო	კაც-ნ-ო

2. Die synkopiertstämmigen Substantive

კუმშვადი არსებითი სახელები

სახ.	ატამ-ი	ატმ-ებ-ი	ატამ-ნ-ი
მოთ.	ატამ-მა	ატმ-ებ-მა	ატამ-თა
მიც.	ატამ-ს(ა)	ატმ-ებ-ს(ა)	ატამ-თა
ნათ.	ატმ-ის(ა)	ატმ-ებ-ის(ა)	ატამ-თა
მოქ.	ატმ-ით(ა)	ატმ-ებ-ით(ა)	—
ვით.	ატმ-ად(ა)	ატმ-ებ-ად(ა)	—
წოდ.	ატამ-ო	ატმ-ებ-ო	ატამ-ნ-ო

II. Die vokalstämmigen Substantive

ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები

1. Die gekürztstämmigen Substantive

ფუძეკვეცადი არსებითი სახელები

სახ.	მოქალაქე	და	მოქალაქე-ებ-ი	მოქალაქე-ნ-ი	დ-ებ-ი და-ნ-ი
მოთ.	მოქალაქე-მ	და-მ	მოქალაქე-ებ-მა	მოქალაქე-თა	დ-ებ-მა და-თა
მიც.	მოქალაქე-ს(ა)	და-ს(ა)	მოქალაქე-ებს(ა)	დ-ებ-ს(ა)	მოქალაქე-თა და-თა
ნათ.	მოქალაქ-ის(ა)	დ-ის(ა)	მოქალაქე-ებ-ის(ა)	დ-ებ-ის(ა)	მოქალაქე-თა და-თა
მოქ.	მოქალაქ-ით(ა)	დ-ით(ა)	მოქალაქე-ებ-ით(ა)	დ-ებ-ით(ა)	— —
ვით.	მოქალაქ-ედ(ა)	და-დ(ა)	მოქალაქე-ებ-ად(ა)	დ-ებ-ად(ა)	— —
წოდ.	მოქალაქე-(ვ)	და-ო	მოქალაქე-ებ-ო	დ-ებ-ო	მოქალაქე-ნ-ო და-ნ-ო

2. Die nichtgekürztstämmigen Substantive

ფუძეუკვეცელი არსებითი სახელები

სახ.	ორმო	ორმო-ებ-ი	ორმო-ნ-ი
მოთ.	ორმო-მ	ორმო-ებ-მა	ორმო-თა
მიც.	ორმო-ს(ა)	ორმო-ებ-ს(ა)	ორმო-თა
ნათ.	ორმო-ს(ი)	ორმო-ებ-ის(ა)	ორმო-თა
მოქ.	ორმო-თი	ორმო-ებ-ით(ა)	—
ვით.	ორმო-დ(ა)	ორმო-ებ-ად(ა)	—
წოდ.	ორმო-(ვ)	ორმო ებ-ით(ა)	ორმო-ნ-ო

III. Die synkopiert-gekürztstämmigen Substantive

კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელები

სახ. ქარხანა	ქარხნ-ებ-ი
მოთ. ქარხანა-მ	ქარხნ-ებ-მა
მიც. ქარხანა-ს(ა)	ქარხნ-ებ-ს(ა)
ნათ. ქარხნ-ის(ა)	ქარხნ-ებ-ის(ა)
მოქ. ქარხნ-ით(ა)	ქარხნ-ებ-ით(ა)
ვით. ქარხნ-ად(ა)	ქარხნ-ებ-ად(ა)
წოდ. ქარხანა-(ვ)	ქარხნ-ებ-ო

Merken Sie:

Die Eigennamen bzw. die alleinstehenden, d. h. substantivierten Adjektive und Numerale folgen den Regeln der Deklination der betreffenden vokal- und konsonantstämmigen Substantive. Eine Ausnahme bilden die Personennamen. Sie unterliegen weder der Synkope noch dem Kürzen und haben im Vokativ kein Zeichen:

სახ. ლუარსაბ-ი	ვანო
მოთ. ლუარსაბ-მა	ვანო-მ
მიც. ლუარსაბ-ს(ა)	ვანო-ს(ა)
ნათ. ლუარსაბ-ის(ა)	ვანო-ს(ი)
მოქ. ლუარსაბ-ით(ა)	ვანო-თი
ვით. ლუარსაბ-ად(ა)	ვანო-დ(ა)
წოდ. ლუარსაბ	ვანო

Die Deklination der Personalpronomen

პირის ნაცვალსახელთა ბრუნება

სახ. მე ich; mich	ჩვენ wir; uns	შენ du; dich	თქვენ ihr; euch
მოთ. მე ich	ჩვენ wir	შენ du	თქვენ ihr
მიც. მე ich; mir; mich	ჩვენ wir; uns	შენ du; dir; dich	თქვენ ihr; euch
ნათ. ჩემ... meiner	ჩვენ... unser	შენ... deiner	თქვენ... euer
მოქ. —	—	—	—
ვით. —	—	—	—
წოდ. —	—	შენ (შე)[1] du! Sie!	თქვენ (თქვე)[1] ihr!

[1] Die Formen შე und თქვე werden nur adjektivisch im Vokativ gebraucht: შე ზარმაცო! Du Faulpelz! თქვე ულმერთოებო! Ihr Gottlosen!

სახ. ის იგი er;	ihn	ისინ-ი იგი-ნ-ი[1]	sie
მოთ. იმა-ნ მა-ნ	er	იმა-თ მა-თ	sie
მიც. იმა-ს მა-ს	er; ihm; ihn	იმა-თ მა-თ	sie; ihnen
ნათ. იმ-ის მ-ის	seiner	იმა-თ მა-თ	ihrer
მოქ. იმ-ით მ-ით	mit ihm; damit; durch ihn; dadurch	— —	
ვით. იმა-დ მა-დ[1]		— —	
წოდ. — —		— —	

Merken Sie:

Die Genitivform der Personalpronomina wird nicht allein gebraucht, sondern ausschließlich in Verbindung mit Postpositionen, die den Genitiv regieren. Z. B.:

ჩემ-თვის	für mich
შენ-თვის	für dich
მის-თვის	für ihn
ჩვენ-თვის	für uns
თქვენ-თვის	für euch
მათ-თვის	für sie
ჩემ-გან	aus mir; von mir
ჩემ მიერ	von mir
ჩემ-კენ	zu mir; auf mich
შენ-კენ	zu dir; auf dich

Die Deklination der Demonstrativpronomen

ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება

სახ. ეს ეგ dieser; diesen	ის იგი jener; jenen
მოთ. ამა-ნ მაგა-ნ dieser	იმა-ნ მა-ნ jener
მიც. ამა-ს მაგა-ს dieser; diesem; diesen	იმა-ს მა-ს jener; jenem; jenen
ნათ. ამ-ის მაგ-ის dieses	იმ-ის მ-ის jenes
მოქ. ამ-ით მაგ-ით mit diesem; durch diesen	იმ-ით მ-ით mit jenem; durch jenen
ვით. ამა-დ მაგა-დ	იმა-დ
წოდ. — —	— —
სახ. ესე-ნ-ი ეგე-ნ-ი diese	ისი-ნ-ი იგი-ნ-ი jene
მოთ. ამა-თ მაგა-თ diese	იმა-თ მა-თ jene
მიც. ამა-თ მაგა-თ diese; diesen	იმა-თ მა-თ jene; jenen

[1] wird selten gebraucht.

ნათ.	ამა-თ	მაგა-თ	dieser	იმა-თ	მა-თ	jener
მოქ.	—	—		—	—	
ვით.	—	—		—	—	
წოდ.	—	—		—	—	

Merken Sie:

1. Die Formen der Demonstrativpronomen fallen mit denen der Personalpronomen zusammen.

In der Bedeutung des Demonstrativs werden sie ausschließlich attributiv in Verbindung mit dem Nomen gebraucht. Alleinstehend fungieren sie als Personalpronomen.

2. Possessivpronomen werden nur attributiv in Verbindung mit dem Nomen dekliniert und gebraucht.

Bei der Deklination des attributiven, als Bestimmungswort gebrauchten Nomens (der Adjektive. Numerale, Possesiv- und Demonstrativpronomen) gibt es einige Sonderfälle:

a) Endet ein attributiv gebrauchtes Nomen (Adjektive; Numerale) auf Vokal, so bleibt es in der Regel unverändert:

სახ.	სუფთა ოთახ-ი	სუფთა ოთახ-ებ-ი	რვა რვეულ-ი
მოთ.	სუფთა ოთახ-მა	სუფთა ოთახ-ებ-მა	რვა რვეულ-მა
მიც.	სუფთა ოთახ-ს	სუფთა ოთახ-ებ-ს	რვა რვეულ-ს
ნათ.	სუფთა ოთახ-ის	სუფთა ოთახ-ებ-ის	რვა რვეულ-ის
მოქ.	სუფთა ოთახ-ით	სუფთა ოთახ-ებ-ით	რვა რვეულ-ით
ვით.	სუფთა ოთახ-ად	სუფთა ოთახ-ებ-ად	რვა რვეულ-ად
წოდ.	სუფთა ოთახ-ო	სუფთა ოთახ-ებ-ო	რვა რვეულ-ო

b) Ein attrubutiv gebrauchter Genitiv beim Substantiv bleibt von der Flexion des Grundwortes unberührt:

სახ.	ხ-ის სახლ-ი	ხ-ის სახლ-ებ-ი
მოთ.	ხ-ის სახლ-მა	ხ-ის სახლ-ებ-მა
მიც.	ხ-ის სახლ-ს	ხ-ის სახლ-ებ-ს
ნათ.	ხ-ის სახლ-ის	ხ-ის სახლ-ებ-ის
მოქ.	ხ-ის სახლ-ით	ხ-ის სახლ-ებ-ით
ვით.	ხ-ის სახლ-ად	ხ-ის სახლ-ებ-ად
წოდ.	ხ-ის სახლ-ო	ხ-ის სახლ-ებ-ო

c) Geht dem Substantiv ein konsonantstämmiges Nomen (Adjektiv, Numerale, Possessivpronomen) voraus, so bildet es den Nominativ wie gewöhnlich auf -ი. Die -ი- haltigen Endungen des Ge-

nitivs und Instrumentalis verlieren den Konsonanten, sie stimmen also in der Form mit dem Nominativ überein. Dativ und Adverbialis bleiben undekliniert als reiner Stamm. Ergativ und Vokativ nehmen die üblichen Kasuszeichen an:

მხოლობითი რიცხვი

სახ. დიდ-ი კედელ-ი	ჩემ-ი ძმა	ორ-ი წიგნ-ი
მოთ. დიდ-მა კედელ-მა	ჩემ-მა ძმა-მ	ორ-მა წიგნ-მა
მ. ც. დიდ კედელ-ს	ჩემ-ს[1] ძმა-ს	ორ წიგნ-ს
ნათ. დიდ-ი კედლ-ის	ჩემ-ი ძმ-ის	ორ-ი წიგნ-ის
მოქ. დიდ-ი კედლ-ით	ჩემ-ი ძმ-ით	ორ-ი წიგნ-ით
ვით. დიდ კედლ-ად	ჩემ ძმ-ად	ორ წიგნ-ად
წოდ. დიდ-ო კედელ-ო	ჩემ-ო ძმა-ო	ორ-ო წიგნ-ო

მრავლობითი რიცხვი

სახ. დიდ-ი კედლ-ებ-ი	ჩემ-ი ძმ-ებ-ი
მოთ. დიდ-მა კედლ-ებ-მა	ჩემ-მა ძმ-ებ-მა
მიც. დიდ კედლ-ებ-ს	ჩემ-ს ძმ-ებ-ს
ნათ. დიდ-ი კედლ-ებ-ის	ჩემ-ი ძმ-ებ-ის
მოქ. დიდ-ი კედლ-ებ-ით	ჩემ-ი ძმ-ებ-ით
ვით. დიდ კედლ-ებ-ად	ჩემ ძმ-ებ-ად
წოდ. დიდ-ო კედლ-ებ-ო	ჩემ-ო ძმ-ებ-ო

d) Attributiv gebrauchte Demonstrativpronomen haben je zwei Formen: eine für den Nominativ und eine für die übrigen Kasus:

სახ. ეს ხე	ეს ხე-ებ-ი
მოთ. ამ ხე-მ	ამ ხე-ებ-მა
მიც. ამ ხე-ს	ამ ხე-ებ-ს

3. Durch das Possessivpronomen der 3. Person wird nicht nur der Besitz als solcher, ausgedrückt, sondern auch gleichzeitig die räumliche Beziehung des Besitzers zu der 1., 2. oder 3. Person bestimmt:

ამისი sein d. h. diesem gehörig
ამათი ihr d. h. diesen gehörig

[1] Die attributiv gebrauchten Possessivpronomen ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი haben im Dativ immer die Kasusendung -ს.

მაგისი sein d. h. dem da gehörig
მაგათი ihr d. h. denen da gehörig
იმისი sein d. h. jenem gehörig
იმათი ihr d. h. jenen gehörig

4. Das Possessivpronomen der 3. Person (sowohl Singular als auch Plural) hat zwei Formen მისი und თავისი. Beide werden in Deutschen durch das Possessivpronomen «sein» wiedergegeben:

მისი, მათი wird nur dann gebraucht, wenn der Besitzer nicht das Subjekt des Satzes ist:

ბავშვი ეხმარება მის დედას d. h. das Kind hilft nicht seiner eigenen Mutter, sondern eines anderen.

თავისი wird nur dann gebraucht, wenn der Besitzer das Subjekt des Satzes ist:

ბავშვი ეხმარება თავის დედას d. h. das Kind hilft seiner eigenen Mutter.

სასურსათო მაღაზიაში

ჩვენი სახლის პირველი სართული დიდ სასურსათო მაღაზიას უჭირავს. ამ მაღაზიაში ბევრი განყოფილებაა — პურის, საკონდიტრო, რძის ნაწარმის, ხორცის, თევზის, ხილის. აქ ყოველნაირი სურსათ-სანოვაგის ყიდვა შეიძლება, ბოსტნეულისა და მწვანილის გარდა. ბოსტნეული და მწვანილი იყიდება სპეციალურ მაღაზიაში და ბაზარში.

ყველა დიდ სასურსათო მაღაზიაში არის ნახევარფაბრიკატების განყოფილება. ამ განყოფილებაში შეიძლება შეიძინოთ უმი კატლეტები, ბიფშტექსები, თევზეული. აქვე შეიძლება იყიდოთ მოხარშული ან შემწვარი ქათამი, სალათა, მზა პუდინგი და ნამცხვარი.

მე შევდივარ მაღაზიაში და ვარჩევ იმას, რაც დღეისათვის მჭირდება. ვიტრინებში გამოფენილია პროდუქტების ნიმუშები. მე მივდივარ სალაროსთან, ვაწვდი მოლარეს ფულს და ვასახელებ, რისი ყიდვაც მინდა. მოლარე ანგარიშობს და მაძლევს ქვითარს და ხურდას. ქვითრით მივდივარ გამყიდველთან. გამყიდველი პროდუქტებს წონის და ახვევს ქაღალდში. დღეს მე ვიყიდე ერთი კილოგრამი ხორცი, ერთი ქილა მწვანე ლობიო, ნახევარი კილოგრამი ყველი, ორი ბოთლი რძე, ერთი კოლოფი ყავა, ერთი ფილა შოკოლადი, კილო-ნახევარი კანფეტი და ორი კილოგრამი ვაშლი. საცალო განყო-

ფილებაში ვიყიდე სიგარეტები და ხუთი კოლოფი ასანთი. ნაყიდი საქონელი ჩავალაგე ბადეში.

ჩვენი მაღაზია დილის რვა საათიდან ღამის თერთმეტ საათამდეა ღია. დღისით ორიდან სამ საათამდე შესვენებაა.

ჩვეულებრივ მე მაღაზიაში მივდივარ საღამოს რვა ან ცხრა საათზე, რადგანაც ამ დროს მაღაზიაში ცოტა ხალხია.

ჩვენს მაღაზიაში ყველა პროდუქტი ახალია. გამყიდველები თავაზიანად, სწრაფად მუშაობენ, ამიტომ აქ თითქმის არ არის რიგი და მყიდველიც ბევრი ეტანება.

Texterläuterung

აქ შეიძლება შეიძინოთ აქ შეიძლება იყიდოთ —	hier kann man kaufen
რისი ყიდვაც მინდა —	was ich kaufen will

სასაუბრო

— მითხარით, თუ შეიძლება, ეს ფუნთუშები ახალია?

— დიახ, დღევანდელია.

— მომეცით, თუ შეიძლება, სამი ფუნთუშა და ნახევარი კილოგრამი შავი (თეთრი) პური.

.————.

— რა ღირს ეს ნამცხვარი?

— კილოგრამი მანეთი და 50 კაპიკი.

— მომეცით, თუ შეიძლება, ერთი კილოგრამი ნამცხვარი, ერთი შეკვრა ორცხობილა. რამდენი ღირს ეს ყველაფერი?

— სამი მანეთი და 70 კაპიკი.

.————.

— მითხარით, გეთაყვა, რომელ განყოფილებაში იყიდება კარაქი, ხაშო, ნაღები, არაქანი?

— რძის ნაწარმის განყოფილებაში.

— გმადლობთ.

.————.

— ძეხვი თუ გაქვთ?

— სხვადასხვანაირი. არჩევანი დიდია. თქვენ რომელი გნებავთ?

— ამიწონეთ ეს ძეხვი 200 გრამი.

Übungen

1. Deklieren Sie:

ნანა; ლალი; თბილისი; ვენა; პატარა ეზო; ცხრა სკამი; ის ქუჩა; ქვის კედელი; ჩვენი სკოლა; ახალი ხორცი; ქართული პური; შავი ყავა; ეგ სალარო.

2. Beantworten Sie die Fragen; gebrauchen Sie dabei verschiedene Adjektive:

1. სად ყიდულობთ თქვენ პროდუქტებს, მაღაზიაში თუ ბაზარში? 2. რომელ საათებშია ღია თქვენი მაღაზია? 3. როდის არის შესვენება? 4. რა იყიდეთ დღეს მაღაზიაში? 1. სად შეიძლება ხილისა და მწვანილის ყიდვა? 6. რამდენი კილოგრამი ხორცი გჭირდებათ დღეში?

3. Setzen Sie statt der Striche მისი, თავისი, მათი:

მასწავლებელი ეხმარება — მოსწავლეებს; მამას — შვილები და — მეგობრები ცირკში მიჰყავს; ყველას უყვარს — სამშობლო; მე ვეხმარები ჩემს ვაჟს და — ამხანაგებს; გუშინ ვინახულე ჩემი გერმანელი მეგობარი და — მშობლები; მთაწმინდიდან ვხედავ მე ჩემს თბილისს, — ქუჩებსა და სახლებს; დედამ უყიდა — ვაჟიშვილს წითელი ბურთი, ხოლო — ამხანაგს ლამაზი დედოფალა; ესენი თქვენი მოსწავლეები და — მშობლები არიან? ეს ჩემი მეგობრის წერილია, მე — ხელწერას კარგად ვცნობ.

4. Übersetzen Sie ins Georgische:

In diesem Laden kaufe ich weißes Brot; Mein Freund trinkt schwarzen Kaffee; Dieses große Zimmer ist unser Gastzimmer; Meine Mutter hat eine goldene Uhr; Mein Freund und seine Frau kommen oft zu uns; Ich habe dieses schöne Geschenk für dich; Er lobt seine Schüler; Dein Onkel und seine Frau sind bei uns.

მეოცე გაკვეთილი

XX. Stunde

Version

ქცევა

Die georgischen Verben vermögen nicht nur den Träger und das Objekt einer Handlung zum Ausdruck zu bringen, sondern auch die Person, für die diese Handlung geschieht oder bestimmt ist.

Das Subjekt führt eine Handlung an einem Objekt für sich (für die subjektive Person); für jemanden (für die objektive Person) und für niemanden (weder für das Subjekt noch für das Objekt) aus.

Diese Eigenart des georgischen Verbs nennt man Version und die zum Ausdruck dieser Version dienenden Vokale Versionszeichen.

Demzufolge kann also das georgische Verb drei verschiedene Versionen angeben:

1. Die neutrale Version (საარვისო ქცევა) bezeichnet eine Handlung, die für niemanden bestimmt ist.

Die transitiven Verben ziehen zum Ausdruck der neutralen Version entweder kein Versionszeichen oder den Vokal ა.

ის სწავლობ-ს er lernt	ის ა-შენებ-ს er baut
ის ჭამ-ს er ißt	ის ა-კეთებ-ს er tut; er macht
ის კლავ-ს er tötet	ის ა-მზადებ-ს er bereitet
მე ვ-სწავლობ ლექსს.	Ich lerne ein Gedicht
შენ წერ წერილს.	Du schreibst einen Brief
ის ა-შენებ-ს სახლს.	Er baut ein Haus

2. Die subjektive Version (სათავისო ქცევა) drückt eine Handlung aus, die sich auf das Subjekt des Satzes zurückbezieht.

Die subjektive Version haben nur transitive Verben.

Als Versionszeichen für die subjektive Version eines transitiven Verbs dient der Vokal ი in allen Person und in allen Zeiten:

მე ვი-შენებ სახლს	ich baue mir (für mich)	ein Haus
შენ ი-შენებ „	du baust dir (für dich)	ein Haus
ის ი-შენებს „	er baut sich (für sich)	ein Haus
ჩვენ ვი-შენებთ „	wir bauen uns (für uns)	ein Haus
თქვენ ი-შენებთ „	ihr baut euch (für sich)	ein Haus
ისინი ი-შენებენ „	sie bauen sich (für sich)	ein Haus
მე ავი-შენებ „	ich werde mir (für mich) ein Haus bauen	
მე ავი-შენე სახლი	ich habe mir (für mich) ein Haus gebaut	

3. Die objektive Version (სახვისო ქცევა) bezeichnet die für einen anderen (indirektes Objekt) bestimmte Handlung.

Als Versionszeichen für die objektive Version dienen: in be-

zug auf die 1. und 2. Person Singular und Plural der Vokal -ი- und auf die 3. Person Singular und Plural der Vokal -უ-.

მე მიწერს	ის მოხსენებას	er schreibt mir (für mich) einen Vortrag
შენ გიწერს	„	er schreibt dir (für dich) einen Vortrag
მას უწერს		er schreibt ihm (für ihn) einen Vortrag
ჩვენ გვიწერს	„ „	er schreibt uns (für uns) einen Vortrag
თქვენ გიწერთ	„ „	er schreibt euch (für euch) einen Vortrag
მათ უწერს	„	er schreibt ihnen (für Sie) einen Vortrag

Merken Sie:

Das Versionszeichen steht immer nach dem Personalzeichen.

Die objektiven Personalzeichen bei diesen Verben weisen auf das Objekt hin, für das die Handlung bestimmt ist.

Die neutrale Version		Die subjektive Version		Die objektive Version	
მე ვაშენებ	მას	მე ვხატავ	მას	მე ვიშენებ	მას
შენ აშენებ	„	შენ ხატავ	„	შენ იშენებ	„
ის აშენებს	„	ის ხატავს	„	ის იშენებს	„
ჩვენ ვაშენებთ	„	ჩვენ ვხატავთ	„	ჩვენ ვიშენებთ	„
თქვენ აშენებთ	„	თქვენ ხატავთ	„	თქვენ იშენებთ	„
ისინი აშენებენ	„	ისინი ხატავენ	„	ისინი იშენებენ	„

Die objektive Reihe		Die subjektive Reihe		
მე მიშენებს	ის მას	მე ვუშენებ	მას მას	
შენ გიშენებს	„ „	შენ უშენებ	„ „	
მას უშენებს	„ „	ის უშენებს	„ „	
ჩვენ გვიშენებს	„ „	ჩვენ ვუშენებთ	„ „	
თქვენ გიშენებთ	„ „	თქვენ უშენებთ	„ „	
მათ უშენებს	„ „	ისინი უშენებენ	„ „	

რა ლამაზი ყელსაბამი გიყიდია. — Was für ein schönes Halsband hast du.

ვინ გიყიდა? — Wer hat es dir gekauft?

დედამ მიყიდა. — Die Mutter hat es mir gekauft.

მეც მიყიდე! — Kaufe auch mir eins!

ნანას ხელზე ახალი საათი უკეთია. ვინ უყიდა?

თვითონ იყიდა.

რატომ არ უვარცხნი ბავშვს თმებს?

თვითონ დაივარცხნის ან დედა დაუვარცხნის.

მე თმებს ვივარცხნი, ვიცვამ კაბას და მივდივარ.

Nana hat eine neue Uhr am Arm. Wer hat sie ihr gekauft?

Sie hat sie sich selbst gekauft.

Warum kämmst du dem Kind das Haar nicht?

Sie wird es sich selbst kämmen oder die Mutter wird es ihm kämmen.

Ich kämme mir das Haar, ziehe mich an und gehe.

უნივერმაღში

გუშინ სადილობისას ცოლმა შემახსენა:

დღესასწაულებამდე სულ ორიოდე კვირა დარჩა. დროა საჩუქრებზე ვიზრუნოთ. თუ გვინდა საჩუქრები ჩვენი გემოვნების მიხედვით ავირჩიოთ, ეს ახლავე უნდა გავაკეთოთ, რადგანაც ახალი წლის წინ ბევრი საქმე დაგვიგროვდება.

მე გავიფიქრე, რომ ჩემი ცოლი, როგორც ყოველთვის, მართალია, და ვუპასუხე.

— მოვასწრებთ. დრო ბევრი გვაქვს. ორ კვირაში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება.

მაგრამ გულმა არ მომითმინა და იმ დღესვე სამსახურის შემდეგ უნივერმაღში გავქანდი. პირველ რიგში საჩუქარი ცოლს უნდა შევურჩიო. მაგრამ რა ვუყიდო? საფულე უკვე ვაჩუქე. ხელთათმანებიც, ქოლგაც, სუნამო ბევრჯერ მივართვი. რა მოვიფიქრო? საახალწლოდ მინდა განსაკუთრებით ვასიამოვნო.

ერთ-ერთ განყოფილებაში დავინახე განიერი შალის მოსასხამები. ამას უეჭველად ვუყიდი დედას — რბილ და თბილ მოსასხამს. მამას სწორედ ამ დღეებში თბილი ჯემპრი ვაჩუქე. ჩემს ვაჟიშვილს, დარწმუნებული ვარ, ყველაზე მეტად თხილამურები გაახარებს. თხილამურებისთვის საჭიროა სპორტულ მაღაზიაში წასვლა. ხვალ წავალ. ხვალვე შევათვალიერებ საჩუქარს ქალიშვილისთვისაც. ის გატაცებულია მხატვრობით და თვითონაც რიგიანად ხატავს. ამიტომ მისთვის საღებავებსა და ფერად ფანქრებს შევიძენ, იქნებ რეპროდუქციებიც შევურჩიო.

— მაინც რა ვუყიდო ცოლს? შემოვიარე ყველა განყოფილება: პარფიუმერიის, პლასტმასის, საიუველირო ნაწარმის, შემდეგ ავე-

დი მეორე სართულზე, სადაც არის განყოფილებები: ქსოვილების, მზა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თეთრეულისა და ბეწვეულის, მაგრამ ასეთი რამეების ყიდვას უცოლოდ ვერ გავბედავ. ისევ ქვემოთ ჩამოვდივარ და ისევ ყურადღებით ვათვალიერებ ვიტრინებს. ეგებ ლამაზი მძივები ან ლამაზი ჰურჭელი ვუყიდო? არ ვიცი! სჯობს ჩემს ქალიშვილს მოვეთათბირო და ეს საკითხი ისე გადავწყვიტო. ძალიან ძნელია ქალისათვის რამე საჩუქრის შერჩევა.

Texterläuterung

დროა საჩუქრებზე ვიზრუნოთ — es ist höchste Zeit, für Geschenke zu sorgen

თუ გვინდა, საჩუქრები ჩვენი გემოვნების მიხედვით ავირჩიოთ—wenn wir ein Geschenk nach unserem Geschmack auswählen wollen

უნდა გავაკეთოთ —man muß machen

იმ დღესვე — an demselben Tag

უნდა შევურჩიო — ich muß für sie auswählen

რა ვუყიდო — was muß ich für sie kaufen

რა მოვიფიქრო — was muß (soll) ich mir einfallen lassen

მინდა განსაკუთრებით ვასიამოვნო — ich möchte ihr insbesondere etwas Angenehmes tun

საჭიროა წასვლა — man muß gehen

შევურჩიო — vielleicht wähle ich für sie aus

სჯობს ჩემს ქალიშვილს მოვეთათბირო — ich bespreche es besser mit meiner Tochter

ეს საკითხი ისე გადავწყვიტო—diese Frage muß ich so entscheiden Lernen Sie auswendig:

ჩემი ქვეყნის ოქროყანა

(ნაწყვეტი)

ჩემი ქვეყნის ოქროყანავ, დიდი გარჯით მოწეულო,
სიწითლისგან დაბრაწულო, კანდამსკდარო ბროწეულო,
ნაცრისფერო ღრუბლის ძნებო, ფიჩვის ტევრში გარეულო,
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო,
ცხენისწყალის ხეობაო, დაღარულო, დასერილო,
ხვავიანო პურის ყანავ, გლეხის ხელით მოწეულო,
ვარდებო და ყვავილებო, ბარდებო და იელებო,
ახოვანო ვაჟკაცებო, უშიშარო ჯეელებო,

კოლხელებო, ქართლელებო, კახელებო, მთიელებო, —
თქვენთვის მინდა ავამღერო ლექსი ჩემი ახლებური,
თქვენთვისა მაქვს გულის კარი სასიმღეროდ გაღებული,
მინდა ლექსით გესაუბროთ, დაგირხიოთ ხმა სალხენო
და ქართველი მგოსნის ჩანგი ამ სიმღერით ვასახელო!

ლადო ასათიანი

Texterläuterung

მინდა თქვენთვის ავამღერო — ich will es für euch singen lassen
თქვენთვისა მაქვს გულის კარი სასიმღეროდ გაღებული—mein Herz steht euch zum Singen offen
მინდა ლექსით გესაუბროთ — ich möchte mit euch in Versen sprechen
დაგირხიოთ ხმა სალხენო—ich will fröhliche Töne für euch erklingen lassen
მინდა ვასახელო — ich möchte mit Ruhm bedecken

Übungen

1. Übersetzen Sie folgende Sätze ins Deutsche und bestimmen Sie die Version der gegebenen Verben:

ჩემს მეგობრებს საახალწლოდ საჩუქრები შევურჩიე. მასწავლებელმა მოსწავლეს საინტერესო წიგნი უყიდა. მოდი ჩემთან, პირს დაგბან, თმებს დაგივარცხნი და ახალ კაბას ჩაგაცვამ. მე პეტრეს სავარჯიშოები გადავუწერე. გადამითარგმნე ეს ლექსი? ამ სამაჯურს მიყიდი? ვერა, ვერ გიყიდი, ფული არა მაქვს. თუ შეიძლება, ეს წიგნები ჩანთაში ჩამილაგე! თვითონ ჩაილაგე, მე დრო არა მაქვს! ირინეს მიუტანე ფერადი ფანქრები და სახატავი რვეული? არა, მე არ მიმიტანია, ნინომ მიუტანა. თეომ უბის წიგნაკში რა ჩაგიწერა? თავისი მისამართი ჩამიწერა, მე კი ჩემი მისამართი ჩავუწერე.

2. Übersetzen Sie ins Georgische:

Heute habe ich meine Kinder warm angekleidet. Komm zu mir, ich wasche dir die Hände und kämme dir das Haar. Lege ihm diese Bücher in die Tasche. Ich habe mir einen Geldbeutel ausgesucht. Er hat sich meine Adresse aufgeschrieben. Er hat für dich diese Bücher gekauft.

3. Beantworten Sie folgende Fragen:

1. რა საჩუქრები შეურჩიეთ და მოუმზადეთ თქვენი ოჯახის წევრებს? 2. რა გაჩუქათ თქვენმა მეგობარმა და რა აჩუქეთ თქვენ მას? 3. თქვენი მეგობრები წერილებს ხშირად გწერენ? 4. ეს სტატია თარჯიმანმა გითარგმნათ თუ თვითონ თარგმნეთ? 5. სადილს ვინ გიმზადებთ?

4. Schreiben Sie aus dem Text Verben heraus und gruppieren Sie dann nach der Version.

ოცდამეერთე გაკვეთილი

XXI. Stunde

Kausativa

შუალობითი კონტაქტი

Im Georgischen bilden das Kausativ[1]. nur transitive Verben. Es drückt eine Handlung aus, zu der das Subjekt des Satzes jemanden veranlaßt, d. h. die es mit fremder Hilfe ausführen läßt.

Kennzeichen des Kausativs sind die Suffixe **-ინ** oder **-ევინ**, die im Präsens und in den zugehörigen Zeitformen unmittelbar vor **-ებ** angehängt werden.

Das georgische Kausativ wird im Deutschen am ehesten durch Umschreibung mit dem Verb «lassen» wiedergegeben, und zwar im Sinne von «jemanden etwas tun lassen».

Kausativ mit **-ინ**	Kausativ mit **-ევინ**
ის აწერინებს er läßt jemanden etwas schreiben	ის აწევევინებს er läßt jemanden etwas braten, verbrennen
ის დააწერინებს	ის დააწევევინებს
მან დააწერინა	მან დააწევევინა
მასწავლებელმა მოსწავლეებს ძველი მასალა გაამეორებინა.	Der Lehrer ließ die Schüler den alten Lehrstoff wiederholen.
მე თმები შევაკრეჭინე.	Ich habe mir die Haare schneiden lassen.
უფროსმა პასუხი მდივანს დააწერინა.	Der Chef ließ seinen Sekretär die Antwort schreiben.
მან თავის ძმას დაკარგული წიგნი მოაძებნინა.	Er ließ seinen Bruder das verlorene Buch suchen.

[1] Er gibt keine allgemeingültige Regel für de Bildung des Kausativs.

მან ახალი ტექსტი ჯერ წაგვაკითხა, შემდეგ გვაამბობინა და მისი შინაარსი დაგვაწერინა.

დედამ პური მომატანინა, სუფრა გამაშლევინა და შემდეგ ოთახი დამალაგებინა.

მასწავლებელმა მოსწავლეს სიტყვა გააწყვეტინა.

ვიღაცამ მძღოლს მანქანა ჩემი სახლის წინ გააჩერებინა.

ის ყოველ დილით დილის ვარჯიშს მაკეთებინებს.

Er ließ uns zuerst den neuen Text vorlesen und dann seinen Inhalt nacherzählen und niederschreiben.

Die Mutter ließ mich das Brot holen, den Tisch decken und dann das Zimmer aufräumen.

Der Lehrer ließ den Schüler die Rede unterbrechen.

Jemand ließ den Fahrer das Auto vor meinem Haus halten.

Er läßt mich jeden Morgen Turnübungen machen.

მალა ერთობაშია

(იგავ-არაკი)

იყო ერთი კაცი, ჰყავდა ათი ვაჟი. როდესაც სიკვდილის დრო მიუახლოვდა, მოუხმო შვილებს, მოატანინა ათი ისარი და მაგრა შეაკვრევინა კონად. მერე უთხრა: ეს კონა გადატეხეთო.

შვილებმა ვერ გადატეხეს.

შემდეგ დააშლევინა ისრების კონა და სთხოვა, ისრები სათითაოდ დაემტვრიათ. ვაჟებმა ადვილად გადატახეს ისრები.

მაშინ მამამ უთხრა: წელან ისრების კონა ვერ გადატეხეთ, სათითაოდ კი ადვილად დაამტვრიეთ. ასე დაგემართებათ ცხოვრებაში. თუ მეგობრულად იცხოვრებთ, მტერი ვერაფერს დაგაკლებთ, ცალ-ცალკე კი ადვილად გძლევთ.

სულხან-საბა ორბელიანი

Texteläuterung

როცა სიკვდილის დრო მიუახლოვდა — als er auf dem Sterbebett lag (w. als er nah dem Tode war)

სთხოვა ისრები სათითაოდ დაემტვრიათ — er forderte sie auf, die Pfeile einzeln zu zerbrechen

ილია ჭავჭავაძე

დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს (8 ნოემბერს ახალი სტილით) სოფელ ყვარელში.

8 წლის ბავშვი მშობლებმა სასწავლებლად მიაბარეს ადგილობრივი სოფლის მთავარ დიაკვანს. 1848 წელს ილია მშობლებმა შეიყვანეს თბილისის ერთ-ერთ კერძო პანსიონში, ხოლო შემდეგ ილიამ სწავლა განაგრძო თბილისის გიმნაზიაში. 1856 წელს ილია ჭავჭავაძემ დაამთავრა გიმნაზია, ხოლო 1857 წელს ის გაემგზავრა პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში) უმაღლესი განათლების მისაღებად. უნივერსიტეტში სწავლისას ილია გატაცებით მუშაობდა, ხშირად დღე-ღამეში 18—20 საათსაც კი. 1861 წელს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე იძულებული გახდა უნივერსიტეტში სწავლისათვის თავი დაენებებინა და საქართველოში დაბრუნებულიყო. 1863 წლის აპრილში ილიამ ცოლად შეირთო ოლღა გურამიშვილი. 1863 წელსვე ილიამ დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე", რომელიც მალე დახურეს, 1877 წელს კი გაზეთი „ივერია", რომლის რედაქტორი თვითონვე იყო 1902 წლამდე.

ილია ხელმძღვანელობდა ყოველგვარ კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებას საქართველოში. დააარსა ჟურნალ-გაზეთები, უძღვებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, თავმჯდომარეობდა თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკს და სხვ.

ილია ჭავჭავაძე ავაზაკურად მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს.

Texterläuterung

ის იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა — er war gezwungen, das Studium aufzugeben

ის იძულებული გახდა დაბრუნებულიყო—er war gezwungen zurückzukehren

Übungen

1. Bilden Sie Sätze mit diesen Verben:

ვაწყვეტინებ, დაგაწერინებ, ვათარგმნინებთ, ალაგებინებს, გაძებნინებს, აჩერებინებენ, შემადგენინა.

2. Übersetzen Sie ins Georgische:

Der Gelehrte läßt seinen Assistenten den Versuch wiederholen. Er ließ mich ein georgisches Gedicht vortragen. Der Redakteur läßt uns einen Artikel schreiben. Die Mutter ließ uns das Mittagessen zubereiten. Er läßt dich lange warten. Der Direktor ließ die Sekretärin die Liste aufstellen.

ოცდამეორე გაკვეთილი

XXII. Stunde

Die Genera

გვარი

Die Genera drücken im Georgischen, ähnlich wie im Deutschen, das Verhältnis des Subjekts zum Geschehen aus.

Im Georgischen unterscheidet man drei Genera: Aktiv, Passiv und Medium.

Das Aktiv (Tatform) (მოქმედებითი გვარი) bezeichnet im allgemeinen eine Handlung des Subjekts, die sich auf das direkte Objekt erstreckt, deshalb dürfen die aktiven Verben nur transitiv sein.

Für Aktiv gibt es kein Zeichen.

Die aktiven Verben können alle Versionen angeben:

აკეთებს er macht	უკეთებს er macht ihm (für ihn)	იკეთებს er macht sich (für sich)
ამზადებს er bereitet	უმზადებს er bereitet ihm (für ihn)	იმზადებს er bereitet sich (für sich)
აწყობს er legt	უწყობს er legt ihm (für ihn)	იწყობს er legt sich (für sich)
წმენდს er putzt	უწმენდს er putzt ihm (für ihn)	იწმენდს er putzt sich (für sich)
რეცხავს er wäscht	ურეცხავს er wäscht ihm (für ihn)	ირეცხავს er wäscht sich (für sich)
ტეხს er bricht	უტეხს er bricht ihm (für ihn)	იტეხს er bricht sich (für sich)

Das Passiv (Leideform) (ვნებითი გვარი) bezeichnet eine auf das Subjekt gerichtete Handlung ohne Nennung dessen, von dem die Handlung ausgeht.

Der Bildung nach unterscheidet man drei Formen des georgischen Passivs: mit den Präfixen -ი- und -ე-, mit dem Suffix -დ- und ohne Zeichen.

Die mit dem -ი- Präfix gebildeten Passiva können nur einpersönlich, die mit dem -ე- zweipersönlich und die mit dem Suffix -დ- gebildete sowohl ein- als auch zweipersönlich sein:

იწერება	es wird geschrieben
იგზავნება	es wird geschickt
ეწერება	es wird ihm (für ihn) geschrieben
ეზრდება	es wird ihm (für ihn) erzogen, aufgewachsen
ფითრდება	er wird blaß, bleich
უფითრდება	es wird ihm blaß, bleich

Merken Sie:

Endet bei Verben im Aktiv der Stamm auf -ებ-, so lautet die Endung im Passiv -დ-, bei allen anderen werden die Präfixe -ი- oder -ე- gebraucht.

Die Präfixe -ი- und -ე- stehen im Verb nach der Personalpräfixen, während das Suffix -დ- unmittelbar der Verbwurzel vor Personal- und Pluralzeichen hinzugefügt wird. Wenn aber das Verb die Silbe -ებ- vor den Personal- and Pluralzeichen hat, so wird -დ- vor dieser -ებ- Silbe gesetzt.

ვიმალები	ich verstecke mich	ვიმალებით
იმალები		იმალებით
იმალება		იმალებიან
ვემალები	ich verstecke mich	ვემალებით
ემალები	vor jemanden	ემალებით
ემალება		ემალებიან
ვწითლდები	ich werde rot	ვწითლდებით
წითლდები		წითლდებით
წითლდება		წითლდებიან
მიწითლდება	mir wird (etwas)	გვიწითლდება
გიწითლდება	rot	გიწითლდებათ
უწითლდება		უწითლდებათ

Im Passiv wird das Objekt des aktiven Geschehens zum (grammatischen) Subjekt und das Subjekt des aktiven Satzes bleibt logisches Subjekt. Grammatisch wird es zum Präpositionalen Objekt mit მიერ (von)[1].

Die Passiva mit -ი- und -ე- werden auch im Deutschen durch das Passiv der Handlung wiedergegeben:

[1] Manchmal ist es besser den passiven Sinn durch aktive Verbform zum Ausdruck zu bringen.

Aktiv	Passiv
ქალატოზი აშენებს სახლს.	სახლი შენდება ქალატოზის მიერ.
Der Maurer baut ein Haus.	Das Haus wird von dem Maurer gebaut.
მოსწავლე წერს თხზულებას.	თხზულება იწერება მოსწავლის მიერ.
Der Schüler schreibt einen Aufsatz.	Ein Aufsatz wird von dem Schüler geschrieben.
ის ლურჯდება	Er wird blau.

Das ohne Zeichen gebildete Passiv läßt sich mit dem Aktiv nicht verwechseln, da es ähnlich anderen Passivformen im Präsens bzw. im Futurum in der 1. und 2. subjektiven Personen die Endung -ებ-ი erhält:

ვთბები	ich erwärme mich	ვთბებით
თბები		თბებით
თბება		თბებიან

Dem ohne Zeichen gebildeten Passiv entspricht im Deutschen ein reflexives Verb oder das Aktiv der Verben, die eine Eigenschaft, die das Subjekt besitzt oder erhält, als Tätigkeit darstellen:

თოვლი დნება	Der Schnee schmilzt
სარეცხი შრება	Die Wäsche trocknet

Die passiven Verben besitzen keine Formen für die subjektive Version. Sie haben nur neutrale und objektive Versionen:

ბრუნდება er kehrt zurück	უბრუნდება er kehrt zu ihm zurück
ბნელდება es wird dunkel	უბნელდება es wird ihm dunkel
ფართოვდება es wird breit	უფართოვდება es wird ihm breit

Das Passiv bringt oft die Modalität einer Handlung zum Ausdruck:

იჭმევა es ist eßbar, es kann gegessen werden
ისმევა es ist trinkbar, es kann getrunken werden; es wird getrunken

ეს წერილები სხვადასხვა ქალაქებში იგზავნება.	Diese Briefe werden nach verschiedenen Städten geschickt.
მაგიდა გაიშლება სამი საათისათვის.	Der Tisch wird gegen drei Uhr gedeckt.

ინგრევა ძველი სახლები.	Alte Häuser werden abgetragen.
ბავშვები მეზრდებიან.	Meine Kinder werden groß.
თმები უკვე გითეთრდება.	Die Haare werden dir schon grau.
შენი მშობლები გელოდებიან.	Deine Eltern erwarten dich.
ეს წიგნები მას ეგზავნება.	Diese Bücher werden ihm geschickt.
შენ ამ წრეში ეწერები?	Läßt du dich in diesem Zirkel einschreiben?
როდის დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?	Wann wurde die Staatliche Universität Thbilissi gegründet?
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წელს.	Die Staatliche Universität Thbilissi wurde im Jahre 1918 gegründet.
ის მზეზე ადვილად შაედება.	Er wird in der Sonne leicht braun (w. schwarz).
ეს ყვავილები უკვე იშლება (ჭკნება).	Diese Blumen öffnen sich (verwelken) schon.
ფოთლები ყვითლდება, ხმება და ცვივა.	Die Blätter werden gelb, verdorren und fallen.
ფოთლები შრიალებენ.	Die Blätte. rauschen.
ეს წყალი არ დაილევა.	Dieses Wasser ist nicht trinkbar.
ეს კენკრა იქმევა.	Diese Beeren sind eßbar.

ბვრიტი

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გვრიტი. ცხოვრობდა თავისთვის ერთ ხეზე. ერთხელ თავისი ბარტყებისათვის საჭმლის საშოვნელად შორს მოუხდა წასვლა. ბოროტმა კაცმა ამ დროს ბარტყები ამოსხა ბუდიდან და შინ წაიყვანა.

დაბრუნდა შინ გვრიტი და შვილები ბუდეში აღარ დაუხვდნენ. დაღონდა მწარედ. წავიდა ბარტყების საპოვნელად. შემოეყარა წინ მამალი.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო? — შვილების საპოვნელადაო. — მეც შენი მშველელი ვიქნებიო. — ძალიან კარგიო.

იარეს, იარეს და ახლა მახათი შემოეყარათ გზაზე

— გვრიტო გვრიტო, სად მიფრინავო? — შვილების საპოვნელადაო. — მეც შენი მშველელი ვიქნებიო. — ძალიან კარგიო.

დაედევნა უკან მახათიც. იარეს, იარეს და ახლა ფილთაქვა შეხვდათ.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო? — შვილების საპოვნელადაო. — მეც შენი მშველელი ვიქნებიო. — ძალიან კარგიო.

გამოუდგა უკან ფილთაქვაც.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ბოლოს წინ შემოეყარათ ვირი.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო? — შვილების საპოვნელადაო. — მეც შენი მშველელი ვიქნებიო. — ძალიან კარგიო.

დაედევნა უკან ვირიც.

მივიდნენ ღამით ერთ სოფელში. დაუგდეს ყური. ერთი სახლიდან პატარა გვრიტების ჭყიპინი შემოესმათ. ყველანი იმ სახლთან მივიდნენ და საომრად მოემზადნენ.

ვირი კარებთან აიტუზა. მახათი კარებიდან შეძვრა. სხვები ერდოდან ჩავიდნენ სახლში. მამალი ბუხრის თავზე შეფრინდა. ფილთაქვა ნაღვერდალში ჩაფლო. მახათი ბუხრის პირას დაერჭო.

გვრიტი გალიასთან მიფრინდა თავისი ბარტყების გამოსაშვებად. ამასობაში კაცს გამოეღვიძა, წამოვარდა ზეზე, მივიდა ბუხართან, ცეცხლი უნდა აენთო.

ამ დროს ფილთაქვა გასკდა და ნაღვერდალი კაცს შიგ თვალებში შეეყარა. მახათი ბარძაყში შეერჭო. მამალმა ზევიდან დაჰყივლა. კაცი შეშინდა, გარეთ გამოვარდა. იქაც ვირმა ერთი ღონიერი წიხლი ჰკრა და გონება სულ დაუბნია.

ამასობაში გვრიტმა გალია გაუღო თავის ბარტყებს, შეისხა მხრებზე და ბუდისაკენ გააქანა.

ა ნ დ ა ზ ა:

მახათი თივაში არ დაიმალებაო. Die Wahrheit kommt (doch) an den Tag.

Texterläuterung

ცეცხლი უნდა აენთო — er wollte Feuer machen (auzünden).

Lernen Sie auswendig!

ქართველ ცხენოსანს

ამხედრებულო ვაჟკაცო, წვერ-ულვაში რომ გიხდება,
როცა გულხარბი მტარვალი ხმალდახმალ გადმოგიხტება,
ასჩეხე, სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწვდება,
გახსოვდეს, რომ ხარ ვაჟკაცი, ნურასდროს დაგავიწყდება!
გახსოვდეო ლამპიონებით განათებული ასპინძა, —
მამულისათვის ქართველი მტერს როგორ გაუმასპინძლდა.
გალაღებული თეთრონით გადაერიე ლაშქარში,
რომ დუშმანთ თავბრუ დაესხას შენი ფრანგულის კაშკაშით...

ლადო ასათიანი

Texterläuterung

გახსოვდეს! — denke!
რომ დუშმანთ თავბრუ დაესხას—damit es dem Feind schwindelt, damit es dem Feind schwindlig wird.

Übungen

1. Schreiben Sie folgende Verben im Passiv:

დააბრუნა, დააღონა, დაადევნა, მოამზადა, შეაძვრინა, შეაფრინა, ჩაფლო, დაარჭო, გამოაღვიძა, შეაშინა, გააქანა, დაავიწყა.

2. Schreiben Sie die folgenden Sätze im Passiv:

მან წერილები სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნა. მაგიდა ოთხი საათისათვის გაშალეს. ძველი სახლები სულ დაანგრიეს. სტუდენტი ლიტერატურულ წრეში ჩაწერეს. მზემ სულ გააშავა ჩემი ძმა.

3. Übersetzen Sie ins Georgische:

Meine Eltern werden alt; Ein neues Haus wird hier gebaut; Hier werden neue Bücher verkauft; Dieser Text wird ins Georgische übersetzt; Bäume werden grün; Dieser Mantel wird für dich genäht; Der Pfirsich wird schon reif; Wann ist Ihre Hochschule gegründet worden?

Wann wurde Goethe geboren? Das ist eßbar; Dieses Wasser ist trinkbar; Wohin werden diese Briefe geschickt?

ოცდამესამე გაკვეთილი

XXIII. Stunde

Media

საშუალო გვარი

Die Media zählen weder zu den Aktiva noch zu den Passiva. Das Medium hat seine eigene Formen nur im Präsens und in den von ihm abgeleiteten Formen. In allen anderen Zeitformen sind seine Formen entweder dem Passiv (medio-passive Verben) oder dem Aktiv (medio-aktive Verben) entlehnt.

Bei der Entlehnung erhalten Medio-Passiva Passivzeichen und fallunveränderliches Subjekt, Medio-Aktiva dagegen haben: 1. fallveränderliches Subjekt; 2. in entlehnten Formen das Zeichen der subjektiven Version -ი- und 3. Inversion[1] in der III. Zeitgruppe[2].

Medio-Aktiva können intransitiv, selten transitiv sein.

Medio-Passiva sind immer intransitiv.

In den meisten Fällen wird das Medium ohne Vorsilben gebildet

მედიოაქტიური ზმნები Medio-aktive Verben	მედიოპასიური ზმნები Medio-passive Verben
Präsens	
ის { ცხოვრობს, მეფობს, ტრიალებს, ღრიალებს, ღიღინებს }	ის { დგას, წევს }
Imperfekt	
ის { ცხოვრობდა, მეფობდა, ტრიალებდა, ღრიალებდა, ღიღინებდა }	———
Futurum	
ის { იცხოვრებს, იმეფებს, იტრიალებს, იღრიალებს, იღიღინებს }	ის { იდგება, იწვება }

[1] s. die Seite 40.

[2] s. die Seite 142—143.

Aorist

მან	იცხოვრა იმეფა იტრიალა იღრიალა იღიღინა	ის	იდგა იწვა

ის შრომობს დილიდან გვიან საღამომდე. — Er arbeitet vom Morgen bis spät in die Nacht.

თევზები წყალში ცხოვრობენ. — Die Fische leben im Wasser.

მეურმე ღიღინებს. — Der Fuhrmann singt für sich.

ამ საწოლზე დიდედა წევს. — Auf diesem Bett liegt die Großmutter.

ქარი ქრის ჩრდილოეთიდან. — Der Wind weht vom Norden.

წვიმს. — Es regnet.

Nomen actionis

საწყისი

Wie schon erwähnt, gibt es im Georgischen keinen Infinitiv. Statt des Infinitivs wird im Georgischen das Nomen actionis gebraucht, das aus dem Verbstamm gebildet wird. Seiner Bedeutung nach steht es den Substantiven nahe, die einen Vorgang bzw. Zustand bezeichen.

Das Nomen actionis wird aus dem Präsens- oder Futurstamm durch das Suffix -ა gebildet:

წერს er schreibt	წერა Schreiben
გრეხს er zwirnt	გრეხა Zwirnen
აშენებს er baut	შენება Bauen
აკეთებს er macht	კეთება Machen

Merken Sie!

1. Verben auf -ი verlieren bei der Bildung des Nomen actionis das Verbsuffix -ი.

გზავნის er schickt	გზავნა Schicken
ჭრის er schneidet	ჭრა Schneiden

2. Verben auf -ავ und -ამ verlieren bei der Bildung des Nomen actionis den Vokal -ა- in der Endsilbe:

წვავს er brät	წვა Braten
დგამს er stellt	დგმა Stellen

3. Hat ein Verb auf -ავ am Ende der Verbwurzel ein ლ, რ oder ნ, so tritt Umstellung des Konsonanten ein:

კლავს er tötet	კვლა Töten
ხნავს er pflügt	ხვნა Pflügen
ძრავს er rührt (etwas) von der Stelle	ძვრა Rühren

4. Es gibt besondere Formen des Nomen actionis:

დგას er steht	დგომა Stehen
წევს er liegt	წოლა Liegen
სთხოვს er bittet	თხოვნა Bitten
ჩივის er klagt	ჩივილი Klagen

5. Das Nomen actionis wird in der Regel nicht in den Plural gesetzt.

6. Das Nomen actionis kann dekliniert werden.

7. Die präfigierten Formen des Nomen actionis bringen den perfektiven Aspekt und die unpräfigierten den imperfektiven Aspekt zum Ausdruck:

გზავნა — გაგზავნა (შეგზავნა; მიგზავნა; გადაგზავნა)
კეთება — გაკეთება (შეკეთება; მოკეთება; გადაკეთება)
მზადება — მომზადება (შემზადება)

Das Nomen actionis kann wie jedes Substantiv Satzgliedcharakter haben. Es kann Subjekt, Objekt oder ein anderes Glied des Satzes ausdrücken:

ხვნა-თესვას გაზაფხულზე იწყებენ.	Pflügen und Säen beginnt man im Frühling.
წერა-კითხვა ქართულად ვინ გასწავლა?	Wer hat dich georgisch schreiben und lesen gelernt?
ჩვენ სიცილ-ხარხარი გვესმოდა.	Wir hörten Gelächter.
ეს კაკუნი ნერვებს მიშლის.	Dieses Klopfen geht mir auf die Nerven.
თბილ წყალში ბანაობა სასიამოვნოა.	Baden im warmen Wasser ist angenehm.
ამ მისვლა-მოსვლას ბოლო არ უჩანს.	Dieses Hin — und Hergehen hat kein Ende.
შაბათობით ჩვენთან რეცხვა, წმენდა და ლაგება იწყება.	Sonnabends beginnt man bei uns zu waschen, zu putzen und aufzuräumen.

თვითმფრინავმა გეზი თბილისისაკენ აიღო. ფიქრებში გავერთე. სულ ორიოდე საათი და თბილისში ვიქნები. თბილისი, თბილისი! გუგუნებენ თვითმფრინავის ძრავები. რა ვიცი მე თბილისის შესახებ? ბევრი არაფერი. მხოლოდ ის, რომ აქ დავიბადე და ფეხი ავიდგი. მერე? თვითმფრინავი გუგუნებს. ბავშვობა! ეს იყო სადღაც შორს! უცხო ქვეყანა, შენი სამშობლო, რა უცნაური გრძნობაა! თბილისი, თბილისი! რას მეუბნება ეს სიტყვები? თითქმის არაფერს. ეს ქალაქი უცხოა ჩემთვის... თვითმფრინავი დაეშვა. მე ფეხი დავდგი საქართველოს წმინდა მიწაზე!

აეროპორტიდან ქალაქში გავემართეთ. გზა მტკვრის ნაპირს მიჰყვება. ძველი თბილისის მაღლობებიდან დაგვყურებენ ხის აივნიანი და შუშაბანდიანი სახლები. აი, საქართველოს დიადი წარსულის მოწმე მეტეხიც, ვახტანგ გორგასლის ძეგლი, ნარიყალას ციხის ნახევრად დანგრეული ქონგურები და ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობისა და სიმამაცის უტყუარი სიმბოლო „ქართვლის დედა“, რომელსაც ცალ ხელში ხმალი უპირავს და მეორეში ღვინით სავსე ფიალა. გამოჩნდა მთაწმინდაც.

ქალაქში გაცხოველებული მოძრაობაა. ულამაზესი რუსთაველის სახელობის პროსპექტით მივედით 22 სართულიან სასტუმრო „ივერია“-სთან. ჩემი ოთახი მე-16 სართულზეა. აივანზე ვდგავარ და აღელვებული დავყურებ ქალაქს. რა შესანიშნავი ხედია! მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სადა ორნამენტები, ესეც შენი აღმოსავლეთი! მტკვარი დუდუნებს და გაუგებარ ენაზე მაგონებს ჩემს ბავშვობას.

მეორე დღეს ქალაქში დავეხეტებოდი. ყველაფრის ნახვა მინდოდა. პირველ რიგში მთაწმინდის ფერდობზე მამა დავითის ეკლესიის ეზოში მოთავსებულ ქართველ მწერალთა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს ვეწვიე. მე მუხლს ვიდრეკ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის საფლავების წინაშე და გული სევდითა და სიამაყით მევსება. მწვანე ქალაქი, მოდუდუნე მტკვარი, დიადი მამადავითი, რომელიც დღე და ღამე დარაჯობს ქალაქის სიმშვიდეს, ათასგვარ ფიქრებს იწვევს.

დაღამდა. მე ისევ მთაწმინდაზე ვარ, მაგრამ უკვე პლატოზე. დავყურებ ლამპიონების ზღვაში ჩაძირულ ქალაქს — ძველ ეკლესიებს, სამლოცველოებს, განთქმულ გოგირდის აბანოებს, ახალ მრავალსართულიან სახლებს, პარკებსა და ბაღებს. გული აღფრთოვანებას ვერ იტევს და მე ჩუმად ვღიღინებ:

რევაზ ლაღიძე

სიმღერა თბილისზე

Texterläuterung

ნაიარევი წარსულის ნანგრევი ნარიყალასი—die Ruine von Nariq'ala, Narbe der Vergangenheit

ჭაღარასავით შემოგრჩენია — sie sind dir als graues Haar noch erhalten geblieben

და გაზაფხულის მაყრები, გეგებებიან მწვანე ჭადრები=და გეგებებიან გაზაფხულის მაყრები, მწვანე ჭადრები — und die Platanen, die Brautführer des Frühlings, empfangen dich

აქ არ იმღერო, ძნელია — hier singe nicht, es ist schwer

ცა ფირუზზე ლურჯი ფერია — der Himmel ist blauer als die Lasur (der Türkis)

Lernen Sie auswendig!

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი.
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი.
მთაო წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ, დარაჯო, ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზედ სალოცავად მოვედი.
დიდო ზარო, ჩვენო სიონისაო,
ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო,
ჩვენო მტკვარო, ძმაო რიონისაო,
ნაწამები საბანაოდ მოვედი.

იეთიმ-გურჯი

Texterläuterung

მთაო წმინდავ=წმინდა მთაო — heiliger Berg (Anrede)

მთაო წმინდავ, მამადავითისაო=მამადავითის წმინდა მთაო — heiliger Berg von Vater David (Anrede)

დარაჯო ქალაქ თბილისისაო=ქალაქ თბილისის დარაჯო—Wächter der Stadt Thbilissi (Anrede)

წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო=უკვდავ მწერლების წმინდა მიწავ — heiliger Boden der unsterblichen Schriftsteller (Anrede)

საფლავზედ=საფლავზე — auf dem (das) Grab

მათ საფლავზედ სალოცავად მოვედი — ich besuchte ihre Gräber, um zu beten; ich kam zu ihren Gräbern, um zu beten

დიდო ზარო, ჩვენო სიონისაო = ჩვენი სიონის დიდო ზარო — große Glocke von unserem Ssioni!

ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო= შენი დიდებული ხმის ნატრული ვარ — ich sehne mich nach deinen großartigen Tönen

ჩვენო მტკვარო, ძმაო რიონისაო=რიონის ძმაო ჩვენო მტკვარო—unser Mtkwari, Bruder des Rioni

Übungen

1. Übersetzen Sie ins Deutsche:

გოგონა როიალთან ზის და უკრავს. ჩვენი თვითმფრინავი მაღლა დაფრინავს. დღეს ჩრდილოეთის ქარი ქრის. ჩემი კნუტი ბევრს კნავის. ამ სახლში ჩემი სკოლის ამხანაგი ცხოვრობდა. ამ ახალ სახლში ჩვენ ვიცხოვრებთ. დღეს იწვიმებს. ბავშვმა ბევრი იტირა. ის უკვე საწოლში იწვა. რამდენი წელი იმეფა თამარ მეფემ?

2. Bilden Sie von folgenden Verben das Nomen actionis und gebrauchen Sie es dann in Sätzen:

სვამს, ჭამს, ბანაობს, ღიღინებს, ცხოვრობს, შრომობს, ხატავს, ხაზავს, ტირის, მღერის, ცეკვავს.

3. Übersetzen Sie ins Georgische:

Die junge Saat bewegt sich. Der Hund liegt unter dem Tisch. Die Katze sitzt auf dem Bett. Das Flugzeug fliegt sehr hoch. Im Hof spielen und laufen die Kinder. Ich höre Klopfen. Während des Essens spricht niemand. Haben Sie mit Pflügen begonnen? Mir fällt das Lesen nicht schwer (leicht). Es friert heute.

ოცდამეოთხე გაკვეთილი

XXIV. Stunde

Permansiv

ხოლმეობითი

Der Permansiv wird vom Futurum mit den Suffixen des Imperfekts **-დი** oder **-ოდი** gebildet.

Subjektives Personalzeichen der 3. Person ist im Singular immer **-ა**, im Plural **-ნენ**.

Der Permansiv drückt abgeschlossene, wiederholte, aufeinander folgende, gewohnheitsmäßige Handlungen in der Vergangenheit aus[1].

[1] Während das Imperfekt eine unvollendete, fortdauernde Handlung zum Ausdruck bringt.

Der Permansiv antwortet auf die Frage რას ვიზამდი? Was machte ich (gawöhnlich; wiederholt; immer; jeweils; immer wenn)?

მე ვისწავლიდი	ich lernte (gewöhnlich)	ჩვენ ვისწავლიდით
შენ ისწავლიდი		თქვენ ისწავლიდით
ის ისწავლიდა		ისინი ისწავლიდნენ
ვიმალებოდი	ich versteckte mich	ვიმალებოდით
იმალებოდი	(gewöhnlich...)	იმალებოდით
იმალებოდა		იმალებოდნენ

Der Permansiv kann auch eine Bedingung ausdrücken, unter welcher die Handlung geschehen konnte. In all diesen Fällen wird im Deutschen der Konjunktiv Plusquamperfekt herangezogen:

მე რომ არ მივშველებოდი, ძაღლი დაგლეჯდა.

Wenn ich ihm nicht zu Hilfe gekommen wäre, hätte ihn der Hund zerrissen.

ჩვენ რომ ასეთი დაღლილები არ ვყოფილიყავით, კიდევ რამდენიმე საათს ვიმუშავებდით.

Wenn wir nicht so müde gewesen wären, hätten wir noch einige Stunden gearbeitet.

ის რომ ავად არ ყოფილიყო, აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას შეჯიბრში.

Wenn er nicht krank wäre, hätte er an dem Wettkampf teilgenommen.

დასასვენებელ სახლში

— გამარჯობა, ლალი!

— გაგიმარჯოს, გურამ!

— შენ შესანიშნავად გამოიყურები. სად გაატარე შვებულება?

— დასასვენებელ სახლში, ზღვაზე.

— ჭამად იყავი გადაქცეული, ასე რომ მოგიმატებია?

— მართლაც ბევრს გვაჭმევდნენ, დღეში ოთხჯერ: საუზმეს, სადილს, სამხარს და ვახშამს. ამის გარდა, დღის რეჟიმიც კარგი გვქონდა: ვდგებოდით ადრე, საუზმემდე ვვარჯიშობდით, ზღვაში ვბანაობდით...

— რომელ საათზე საუზმობდით?

— რვიდან ცხრა საათამდე. ზღვაში ბანაობის შემდეგ ტანისამოსს გამოვიცვლიდით და სასაუზმოდ მივდიოდით. საუზმეზე მადიანად შევექცეოდით, ვისაც რა მოესურვებოდა: ხაჭოს, ნაღებს, მოხარშულ კვერცხებს, ყველს, კარაქს, ფუნთუშებსა და სხვადასხვანაირ ფაფებს...

— შემდეგ რას აკეთებდი?

— ან ექსკურსიაზე წავიდოდი ჩემს ახლად გაცნობილ მეგობრებთან ერთად, ან ტყეში ვგორაობდი ხის ძირას, ან კიდევ ციხის ნანგრევებს მოვინახულებდი, არც პარკში სეირნობაზე ვამბობდი უარს. ამასობაში სადილობის დროც მოაღწევდა. სადილი მუდამ გემრიელი იყო და არჩევანიც დიდი: წვენი, შემწვარი ან მოხარშული ხორცი, ქათამი, თევზეული, ბოსტნეულის კერძები, ხილი..

— სადილის შემდეგ რას აკეთებდი?

— ერთ საათს დავისვენებდი, თუმცა ვერ ვიძინებდი, ჟურნალ-გაზეთებს თუ გადავათვალიერებდი ან წიგნს წავიკითხავდი. ზოგჯერ ჰადრაკის სათამაშოდ კლუბში შევიდოდი. შემდეგ ვისამხრებდით კიდეც, მსუბუქად, რა თქმა უნდა: ერთი ჰიქა რძით, ყავით ან ჩაით და ნამცხვრით.

— ზღვაზე აღარ მიდიოდით?

— როგორ არა! ვახშმამდე კიდევ 2—3 საათი გვქონდა და ამ დროს სულ ზღვაზე ვატარებდით: ეცურავდით, ვშავდებოდით, ბურთს ვთამაშობდით...

— ძილს თუ ასწრებდით?

— რა გაცინებს, ვახშმის შემდეგ ზოგჯერ კინოში ან კონცერტზეც კი წავიდოდით. ჩვეულებრივ კი 10—11 საათზე უკვე გვეძინა.

— შენ, როგორც ჩანს, ძალიან კმაყოფილი ხარ წლევანდელი დასვენებით?

— ძალიან, რაც მთავარია, ამინდიც ძალიან კარგი იყო და ეს განსაკუთრებით კარგად მოქმედობდა ჩემს გუნება-განწყობილებაზე.

— ძალიან სასიამოვნოა! აბა, კარგად იყავი, მოკითხვა გადაეცი შენი ოჯახის წევრებს.

— გმადლობთ, ნახვამდის!

Texterläuterung

ჰამად იყავი გადაქცეული, ასე რომ მოგიმატებია? — hast du nichts getan als zu essen, da du so zugenommen hast.

Übungen

1. Bilden Sie das Permansiv aus folgenden Verben:

გაატარებს, მოიმატებს, გააკეთებს, ივარჯიშებს, იცვლის, ისაუზმებს, ისეირნებს, დაისვენებს, დაიძინებს, დაწვება, წაიკითხავს, დათვალიერებს, ითამაშებს.

2. Übersetzen Sie ins Deutsche:

ლექცია რომ დამთავრდებოდა, პროფესორს შეკითხვებს ვაძლევდით. თეატრში ყოველთვის ახალ კაბას ვიცვამდით. ჩემს მასწავლებელს დავინახავდი თუ არა, შორიდანვე ვესალმებოდი. სკოლის გვერდით როცა ჩავივლიდი, ჩემი ბავშვობა მაგონდებოდა. როცა შენგან წერილები მომდიოდა, ძალიან მიხაროდა.

3. Übersetzen Sie ins Georgische:

Wenn wir zu ihm kamen, spielte er immer mit uns Schach. Wenn unsere Sommerferien begannen, fuhren wir zunächst in die Berge, dann an die See; Wenn meine Mutter Geburtstag hatte, so brachte ihr der Vater immer einen schönen Blumenstrauß.

ოცდამეხუთე გაკვეთილი

XXV. Stunde

Konjunktiv

კავშირებითი

Der georgische Konjunktiv kennt verschiedene Formen.

Der 1. Konjunktiv hat zwei Formen: Konjunktiv Präsens und Konjunktiv Futur.

Der 1. Konjunktiv bezieht sich sowohl auf die Gegenwart (er bringt den imperfektiven Aspekt zum Ausdruck: Konjunktv Präsens, als auch auf die Zukunft (er drückt den perfektiven Aspekt aus: Konjunktiv Futur).

Das Präsens des Konjunktivs bildet man vom Imperfekt mit dem Suffix -ე.

Das Suffix -ი des Imperfekts in der 1. und 2. Personen geht verloren.

ვწერდე	(wenn) ich schriebe	ვწერდეთ
წერდე		წერდეთ
წერდეს		წერდნენ
ვიმალებოდე	(wenn) ich mich	ვიმალებოდეთ
იმალებოდე	versteckte	იმალებოდეთ
იმალებოდეს		იმალებოდნენ

Analog:

ამშვიდებდეს wenn er ihn beruhigte	ხატავდეს wenn er malte
ამზადებდეს wenn er ihn vorbereitete	დნებოდეს wenn er schmölze
	იცინოდეს wenn er lachte
	ტიროდეს wenn er weinte

Der Konjunktiv Futur wird aus dem Permansivstamm mittels der Suffixe -ე oder -ო gebildet. Der Konjunktiv Futur bezieht sich auf die Zukunft und drückt eine auf Vollendung gerichtete Handlung aus:

დავწერდე	wenn ich schriebe	დავწერდეთ
დაწერდე		დაწერდეთ
დაწერდეს		დაწერდნენ
გავთბებოდე	wenn ich mich wärmte	გავთბებოდეთ
გათბებოდე		გათბებოდეთ
გათბებოდეს		გათბებოდნენ

Wie aus den obenangeführten Konjugationsmustern ersichtlich st, hat die 3. subjektive Person im Konjunktiv Präsens und im Konjunktiv Futur im Singular immer das Personalzeichen -ს und im Plural -ნენ, vor denen das Konjunktivzeichen -ე verloren geht.

Der 1. Konjunktiv wird in irrealen Bedingungssätzen gebraucht, die oft durch die Konjunktion რომ eingeleitet werden:
დრო რომ მქონდეს წამოვიდოდი. Wenn ich Zeit hätte, ginge ich mit.

In der 3. Person fallen einerseits Imperfekt—und Konjunktivformen, andererseits die des Permansivs und des Futurs Konjunktiv zusammen. Sie lassen sich nur im Kausativ unterscheiden:

მე რომ ლექსებს ვწერდე, ყველას შენ მოგიძღვნიდი.	Wenn ich Gedichte schriebe, so würde ich sie alle dir widmen.
მე რომ ვმღეროდე, მარტო შენ გიმღერებდი, ჩემო ძვირფასო!	Wenn ich sänge, sänge ich nur für dich, mein Schatz!
ისინი რომ აქ რჩებოდნენ, დროს კარგად გავატარებდით.	Blieben sie hier, so würden wir die Zeit gut verbringen.

ცოდნა სინათლეა

ცოდნა სიმდიდრეა. მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ. რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზე რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე, პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწუებს ლაპლაპს.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს:

იქ სინათლეა — ჩანს, ღვთაებრივი. დაგვიანებულ მოყვარეს კი იმით ახარებს, რომ იქ მღვიძარები დამხვდებიანო. სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე: ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არ გაქრება: მამიდან შვილზე გადადის, შვილიდან — შვილიშვილზე, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

ილია ჭავჭავაძე

Texterläuterung

რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება — wenn du das unter immer mehr (Menschen) austeilst; (an viele (Menschen) verteilst), verlierst du nichts, im Gegenteil, das bereichert deine Kentnisse

ერთ სანთელზე რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო — wenn man an einer Kerze tausend andere Kerzen anzündet

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ... — der Kerze gleichen die Kenntnisse auch darin, daß...

როცა იქნება — einmal

ჩაიწვის = ჩაიწვება — sie wird niederbrennen

Lernen Sie auswendig:

ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუკი გსურს გახდე ადამიანად.

მამია გურიელი

Texterläuterung

ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად = ცხოვრების მიზნად გქონდეს სიმართლე, ხოლო მოძმეთა სიყვარული ვალად (გქონდეს) — setze die Wahrheit als Ziel des Lebens und die Liebe zu den Mitbrüdern als deine Pflicht

თუკი გსურს გახდე ადამიანად — wenn du ein Mensch werden willst

Übungen

1. Konjugieren Sie folgende Verben im Konjunktiv Präsens und Futur:

დაურიგებია, გაუნაწილებია, დააკლდებოდა, მოგემატებოდა, მოუკიდებდა, დაიწყებდა, დაიფრთხობდა, გაჭრებოდა.

2. Übersetzen Sie ins Deutsche:

სოფელში რომ კიდევ ორიოდე დღე ვრჩებოდე, ტყეში წავიდოდი და სოკოებს მოვაგროვებდი. შენ რომ სიმღერა იცოდე, კონცერტში მიიღებდი მონაწილეობას. ასე ბევრს რომ არ ლაპარაკობდე, კარგი გოგო იქნებოდი. საგანი რომ კარგად ვიცოდე, ხვალ ჩავაბარებდი.

3. Übersetzen Sie ins Georgische:

Wenn du noch eine Eintrittskarte hättest, so ginge ich mit ins Theater; Wäre ich jetzt nicht so beschäftigt, führe ich an die See in ein Erholungsheim. Ich riefe ihn an, wenn ich seine Nummer wüßte. Wenn es jetzt nicht regnete, säße ich nicht zu Hause. Wenn du mir oft Briefe schriebest, wäre ich sehr glücklich. Hätte er nicht die Fahrkarten zu Hause vergessen, so wären wir jetzt auf dem Lande. Liebtest du mich, bliebest du den ganzen Tag bei mir.

ოცდამეექვსე გაკვეთილი

XXVI. Stunde

Optativ (II Konjunktiv)

ქავშირებითი II

Der Optativ antwortet auf die Frage რა ექნა? «Was muß (soll) ich tun?».

Der Optativ bildet man vom Aorist mit den Suffixen -ო, -ე oder -ა.

Der Optativ auf -ო tritt bei den Verben auf, die einen Aorist auf -ე haben:

z. B.: Aorist: დავწერე

დავწერო	ich muß (soll)	დავწეროთ
დაწერო	schreiben	დაწეროთ
დაწეროს		დაწერონ

Den Optativ auf -ე haben auch die Verben mit Aorist auf -ი:

z. B.: Aorist: გავხდი

გავხდე	ich muß (soll)	გავხდეთ
გახდე	abnehmen; werden	გახდეთ
გახდეს		გახდნენ

Der Optativ auf -ა trifft man bei den Verben, die einen Aorist ohne Zeichen haben:

z. B. Aorist: მოვკალ(ი)

მოვკლა	ich muß (soll) töten	მოვკლათ
მოკლა		მოკლათ
მოკლას		მოკლან

Ausnahme:

შევძელი	aber	შევძლო	(wenn) ich könnte (vermöchte).
გავყავი	aber	გავყო	ich muß (soll) teilen
მივეცი	aber	მივეც	ich muß (soll) geben.

Das Personalzeichen der 3. subjektiven Person Singular ist im Optativ -ს und das des Plurals -ნ (nach -ა und -ო) oder -ნენ (beim mit -ე gebildeten Optativ, vor dem das Optativzeichen -ე verloren geht). In diesem letzten Fall fallen der Aorist und die mit -ე gebildeten Formen des II Konjunktivs zusammen. Sie sind nur durch den Kontext zu unterscheiden.

Der Optativ hat futurische Bedeutung. Beim Optativ steht das Subjekt der transitiven Verben im Ergativ, das direkte Objekt im Nominativ.

მან სამუშაო მალე უნდა დაამთავროს:	Er muß (soll) die Arbeit bald beenden.

Die entsprechenden Formen des Optativs dienen zur Bildung des positiven (affirmativen) Imperativs der 1. Person Plural, der 3. Person Singular und Plural bzw. des verneinenden Imperativs der 1. Person Plural, der 2. und der 3. Person Singular und Plural:

დავწეროთ!	Wollen wir schreiben!
არ დაწერო!	Schreibe nicht!
არ დაწეროთ!	Schreibt nicht!
არ გააკეთოს!	Er soll (möge) nicht machen!
არ გააკეთონ!	Sie sollen (mögen) nicht machen!
წავიდეს!	Er mag gehen! Laß ihn gehen!
წავიდნენ!	Sie mögen gehen! Lassen wir sie gehen!
მე დეკანთან უნდა წავიდე და ყველაფერი ვუამბო.	Ich muß (soll) zum Dekan gehen und ihm alles erzählen.
მანქანა ხვალ აქ უნდა იყოს.	Das Auto muß morgen hier sein.

ჟურნალისტებმა სტატია უნდა დაწეროონ.

დავრჩეთ კიდევ ერთი საათი და ვიმუშაოთ.

ძალიან ცივა, არ გაცივდე!

მე ჩემს სამშობლოში უნდა მოვკვდე.

ტექსტი კიდევ ერთხელ უნდა გაიმეორით.

Die Jurnalisten müssen den Artikel schreiben.

Wollen wir noch eine Stunde hier bleiben und arbeiten.

Es ist sehr kalt, erkälte dich nicht!

Ich muß in meiner Heimat sterben.

Ihr müßt den Text noch einmal wiederholen.

დედასთან საუბარი

(ნაწყვეტი)

— ხვალ დილას ძალიან ადრე უნდა ავდგე, დედა, ძალიან ადრე!

— ჰო, შვილო, ვისაც სკოლაში წასვლა უნდა, დილით ადრე უნდა ადგეს ხოლმე, ტანთ ჩაიცვას, პირი დაიბანოს, გაკვეთილები გაიმეოროს, გაიმზადოს აბგა და გასწიოს სკოლისაკენ...

— უჰ, მერე რა კარგი იქნება! რამდენი ბიჭი იქნება იქ, რამდენი ამხანაგი... ან...ბან... — მოაყოლა პატარა ბიჭიკომ და თან თითი გააყოლა წიგნს.

მართალია, მას ჯერ სკოლის კარები არ ენახა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ იქ წიგნს ასწავლიდნენ და წიგნის სწავლის სურვილი ხომ დიდი ჰქონდა.

— დედაჩემო, პატარა წიგნს როცა ვისწავლი, მერე ხომ დიდ წიგნს მომცემს მასწავლებელი, ჰა?

— ჰო, შვილო, თუ პატარას კარგად ისწავლი, მერე დიდ წიგნს დაიწყებ.

— ახლა, იცი, დედა, სკოლაში როგორ ჭკვიანად მოვიქცევი? ისე დავუგდო ყური მასწავლებელს, რომ ერთი სიტყვაც არ გამომეპაროს... არა, აბა, ამაზე კარგი რაღა იქნება! ერთი ნახე, რა ლამაზი კურდღელია დახატული... თითქოს ცოცხალი იყოს... როგორ გგონია, მე ვერ დავხატავ ამისთანას?

— რატომ, გენაცვალე, თუკი ისწავლი, როგორ ვერ დახატავ!

ბიჭიკომ ფანქარი ამოიღო აბგიდან, გადაშალა რვეული, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეხმარა ფანქარი, როგორ დაეხატა კურდღელი და სინანულით ორივე ისევ აბგაში ჩადო.

იროდიონ ევდოშვილი

Texterläuterung

ან. . . . ბან . . . a . . . be

ვისაც სკოლაში წასვლა უნდა — wer in die Schule gehen will
უნდა ტანთ ჩაიცვას=ტანზე ჩაიცვას — er muß sich anziehen
უნდა პირი დაიბანოს — er muß sich waschen
უნდა გასწიოს სკოლისაკენ — er muß in die Schule gehen
მას ჯერ სკოლის კარები არ ენახა — er hatte die Schule noch nicht gesehen
ისე დავუგდო ყური მასწავლებელს, რომ ერთი სიტყვაც არ გამომეპაროს — ich werde dem Lehrer so (aufmerksam) zuhören, daß mir kein Wort entgeht
აბა, ამაზე კარგი რაღა იქნება? — was wird aber besser sein als das?
არ იცოდა, როგორ ეხმარა ფანქარი — er wußte nicht, wie man einen Bleistift gebrauchen muß
როგორ დაეხატა კურდღელი — wie man einen Hasen malt

Lernen Sie auswendig:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იხაროს იმის მარჯვენამ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

ზეცამ გოგზავნოს ცვარ-ნამი,
მზემ შუქი გფინოს თანაო,
ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყრებმა მოგძახონ ნანაო.

ამაღლდი, თავი დაიხსი,
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო,
იმისი საზრდო შეიქენ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

ხალხური

Texterläuterung

ან. . . ბან. . . a. . . be

გახდი ყანაო — werde zum Getreidefeld, Kornfeld

იმის მარჯვენამ=იმისმა მარჯვენამ; იმისმა მარჯვენამ იხაროს, ვინც გთესა, მოგიყვანოო — möge sich die Rechte dessen freuen, der dich säte und anbaute
მზემ შუქი გფინოს თანაო — die Sonne spende dir Licht
საზრდო შეიქენ — werde Nahrungsmittel

Übungen

1. Bilden Sie den Optativ aus folgenden Verben:

ადგა, დაიბანა, გაიმეორა, მოიმზადა, მოაყოლა, ნახა, ასწავლა, მომცა, დაიწყო, მოიქცა, დაუგდო (ყური), გამოეპარა, დახატა, ამოიღო, გადაშალა, იხმარა, ჩადო, დაიბადა, შეწუხდა, დაბრუნდა, მოიქლა, მოკვდა, გაგრძელდა, განმეორდა, გაიგო, დატოვა, გაჩნდა.

2. Setzen Sie die eingeklammerten Verben in Optativ:

ჩვენ დღეს საკონტროლო წერა უნდა (დავწერეთ). საიდან უნდა (ვიშოვეთ) ამდენი დრო? თქვენ მათ უნდა (ელოდეთ). შენ მამას ხელი არ უნდა (შეუშალე). ეს სარეცხი უნდა (გაირეცხა) და (გაუთოვდა). დამნაშავე შენ ხარ და სხვა უნდა (გაწითლდა)? არ (დაწვა), ჩვენ ახლავე მოვალთ. დღეს კარგი ამინდია, მოდი, ტყეში (წავედით)!

3. Übersetzen Sie ins Georgische:

Er ist dick und muß abmagern. Dieses Brot muß man schneiden. Wir müssen (sollen) heute eine Kontrollarbeit schreiben. Ihr müßt zuerst das Studium an der Universität beenden. Was für einen Mantel mußt du kaufen? Heute ist es kalt, du mußt einen warmen Mantel anziehen. Was soll ich tun? Woher soll ich das wissen? Wollen wir die Gedichte von Nikolos Barathaschwili lesen und dann auswendig lernen.

ოცდამეშვიდე გაკვეთილი

XXVII. Stunde

Ableitung

სიტყვათწარმოება

Mittels der Ableitungsaffixe werden von einem Grundwort neue Wörter abgeleitet. Die Ableitung geschieht im Georgischen entweder mit Hilfe von Suffixen oder Präfix-Suffixen. Ihrem Inhalt nach unterscheidet man im Georgischen folgende Ableitungsaffixe:

1. Verkleinerungs — und Liebkosungsaffixe **-იკო, -უნა** u. a.

ილიკო Iliko (Eigenname)
დედიკო Mütterchen, Mutti
ბიჭიკო Bürschchen, Bürschlein
დათუნა Bärchen
თაგუნა Mäuschen, Mäuslein

2. **-იან, -ოსან, -ოვან, -იერ** u. a. bezeichnen im allgemein sowohl jemanden, der etwas besitzt, als auch einen Zustand:

ცოლშვილიანი ein verheirateter Mann, der Frau und Kinder hat
ქმარშვილიანი eine Frau, die Mann und Kinder hat
მარილიანი salzig
ცხენოსანი Reiter
ფრიადოსანი ein ausgezeichneter Schüler
სახელოვანი ruhmbedeckt, berühmt, angesehen
ძლიერი[1] kräftig
ღონიერი mächtig

3. Die Präfix -Suffixe **უ-ო, უ-ურ** u. a. drücken das Fehlen von etwas aus und bilden Antonyme. Sie geben manchmal den Wörtern einen negativen Sinn:

ულამაზო unschön
უფეხო beinlos, ohne Bein
უპატრონო herrenlos
უბედური unglücklich
უგემური unschmackhaft

4. **-ელ, -ურ** (**-ულ**) werden sowohl zur Bezeichnung der Herkunft und der Zugehörigkeit als auch zur Bezeichnung einer bestimmten Eigenschaft oder der Neigung zu einem Verhalten gebraucht:

ქალაქელი städtisch; Städter
სოფლელი[2] ländlich; Ländler
სოფლური[3] ländlich
თბილისელი Thbilisser
კახელი Kachetier
ბავშვური kindisch
ცხოველური tierisch

[1] Bei synkopiertstämmigen Substantiven rufen die Ableitungssuffixe Synkope hervor.

[2] Bezeichnet die Herkunft von Menschen.

[3] Bezeichnet die Herkunft von Dingen.

აქაური hiesig; Hiesige
იქაური dortig
სადაური der woher Stammende?
რუსული russisch

5. სი-ე, -ობა, -ება bezeichnen Abstrakta:

სისულელე Dummheit
სიმაღლე Höhe
ეშმაკობა Listigkeit
ღირსება Würde; Ehre; gute Eigenschaft, Qualität, hoher Wert

6. სა-ო, სა-ე charaktersieren Sachen, Gegenstände bzw. Menschen nach ihrer Zweckbestimmung bzw. Verwendung:

სასადილო Gaststätte, Kantine; Eßzimmer
საექიმო ärztlich
სასაუზმე Imbißstude, Imbißraum
საქვეყნო welt-
საცოლე Braut
საქმრო Bräutigam
სასარგებლო nützlich, nutzbringend, vorteilhaft

7. მე-ე wird zu Berufsbezeichnungen verwendet:

მებაღე Gärtner
მენავე Schiffer
მეთევზე Fischer
მეურმე Fuhrmann
მეწისქვილე Müller

8. -ეთ, სა-ო bezeichnen geografische Benennungen:

კახეთი Kachethien
რუსეთი Rußland
საქართველო Georgien

9. ნა-არ bezeichnet das ursprünglich Vorhandene bzw. das Ergebnis eines einmaligen Zustands, einer Tat oder Handlung:

ნასოფლარი eine Stelle, wo früher ein Dorf war
ნასახლარი eine Stelle, wo früher ein Haus war
ნატყვიარი die Verletzungstelle durch einen Kugel

10. Mittels მო-ო werden die Formen der Minderungsstufe abgeleitet:

მოლურჯო bläulich
მოთეთრო weißlich
მოწითალო rötlich

11. Das Affix უ-ეს bildet im Georgischen die einem Superlativ entsprechende Form:

ლამაზი	schön	ულამაზესი	am schönsten der schönste sehr schön
გრძელი	lang	უგრძესი	am längsten der längste sehr lang
მაგარი	stark	უმაგრესი	am stärksten der stärkste sehr stark

Komparation des Adjektivs

Komparationsfähig sind im Georgischen nur qualitative Adjektive. Der Form nach unterscheidet man nur eine Steigerungsstufe: «Die Mehrstufe».

Die dem Deutschen entsprechenden drei Stufen werden durch Gradadverbien gebildet.

Dem deutschen Komparativ entspricht der Positiv mit უფრო (mehr). Deutsch «als» ist durch ვიდრე oder ზე wiederzugeben:

უფრო დიდი	größer
მასზე კარგი	besser als er
ჩემი ოთახი უფრო ნათელია, ვიდრე შენი.	Mein Zimmer ist heller als dein.
oder:	
ჩემი ოთახი უფრო ნათელია შენსაზე.	

Der Superlativ kann auch durch Zusammensetzung des Positivs mit folgenden Gradadverbien ausgedrückt werden: მეტად (sehr), ძალიან (höchst), უაღრესად (äußerst):

აინტერესო interessant	მეტად (ძალიან, უაღრესად) საინტერესო höchst (äußerst) interessant

სამასი თავდადებული არაგველი

წინათ ქართლ-კახეთში მეფობდა მეფე ერეკლე. სპარსეთის ხელმწიფემ მოსთხოვა მას, ეცნო იგი მეფეთამეფედ და ხარკი ეძლია. მეფე ერეკლემ ცივი უარი შეუთვალა.

სპარსეთის ხელმწიფემ შეკრიბა დიდძალი ჯარი და სწრაფად მოადგა თბილისს. მეფე ერეკლემ მხოლოდ მცირეოდენი ჯარის მოგროვება მოასწრო. სპარსელები ერთიათად მეტნი იყვნენ ქართველებზე.

ქართველთა ჯარში ერია სამასი არაგველის რაზმი.

ბრძოლის დაწყების წინ ამ რაზმის მეომრებმა შეჰფიცეს ერთმანეთს, თუ ბედმა გვიღალატა და მტერი ვერ დავძლიეთ, შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენგანი ცოცხალი თავით შინ დაბრუნდესო. ან გაგამარჯვება მტერზე და ან სიკვდილი ბრძოლის ველზეო!

ეს ვაჟკაცური ფიცი რაზმმა ვაჟკაცურადვე შეასრულა. სპარსელების აუარებელმა ჯარმა სძლია ქართველთა ჯარს, მაგრამ არც ერთმა არაგველმა მტერს ზურგი არ უჩვენა. ყველანი ებრძოდნენ მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ეს ბრძოლა მოხდა კრწანისის ველზე, თბილისის მახლობლად.

Texterläuterung

მან მოსთხოვა მას, ეცნო იგი მეფეთამეფედ და ხარკი ეძლია — er forderte von ihm, ihn als König der Könige anzuerkennen und ihm Steuern zu bezahlen

თუ მტერი ვერ დავძლიეთ — wenn wir den Feind nicht überwältigen können

Lernen Sie auswendig:

საქართველოში

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე:
„ეხ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“.

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.

ჩვენ ვაქკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

ლადო ასათიანი

Übungen

1. Bilden Sie von folgenden Eigennamen und Substantiven Diminutiva mit dem Verkleinerungsuffix -იკო:

თამარი, გივი, დედა, მამა.

2. Trennen Sie die Ableitungssuffixe ab und gruppieren Sie diese dann dem Inhalt nach:

ოთარიკო, ჩიტუნა, სიწითლე, მეგობრობა, სოფლელი, იქაური, აქაური, არსება, მებაღე, საქათმე, კახეთი, რუსეთი, სამშობლო.

3. Beantworten Sie folgende Fragen:

1. რა მოსთხოვა სპარსეთის ხელმწიფემ მეფე ერეკლეს? 2. რა შეუთვალა მეფე ერეკლემ სპარსეთის ხელმწიფეს? 3. რომელ ქალაქს მოადგა დიდძალი ჯარით სპარსეთის ხელმწიფე? 4. ვინ იყვნენ არაგველები? 5. რა გადაწყვიტეს არაგველებმა? 6. როგორ შეასრულეს ფიცი არაგველებმა? 7. სად მოხდა ეს ბრძოლა?

4. Übersetzen Sie ins Deutsche:

დასავლეთ საქართველოში უფრო თბილა, ვიდრე აღმოსავლეთში. ეს მანდილოსანი მასწავლებელია. ეს წინადადება ბუნდოვანია. ისინი თბილისელი ტურისტები არიან. ჩემი სამშობლო საქართველოა. ჩვენი სასადილო უფრო დიდია, ვიდრე საწოლი ოთახი. ლექცია უაღრესად საინტერესო იყო. თქვენ უფრო კარგად ლაპარაკობთ ქართულად, ვიდრე თქვენი ძმა. რომელი საგანი გაინტერესებთ ყველაზე უფრო?

5. Übersetzen Sie ins Georgische:

Mein ältester Bruder ist 20 Jahre alt. Die Höhe dieses Felsens beträgt 15 Meter. Das sind rötlich weiße Blumen. Kachethi liegt in Ost-

georgien. Sie trägt ein geblümtes Kleid. Unser Gärtner ist ein guter Mensch. Dieses Buch ist höchst interessant. Das ist eine nützliche Erfindung (აღმოჩენა). Heute ist es wärmer. Dieser Satz ist undeutlich (unklar). Das ist mein jüngster Sohn.

ოცდამერვე გაკვეთილი

XXVIII. Stunde

Partizip

მიმღეობა

Das Partizip ist ein aus dem Verbalstamm gebildetes Adjektiv. Das Partizip hat nominale und verbale Züge.

Das Partizip Aktiv (Präsenspartizip) wird aus dem Präsensstamm mit dem Präfix-Suffix მ(ა)-ელ oder nur mit dem Präfix მ gebildet, die auf seinen nominalen (substantivischen) Charakter, auf die Person, welche eine Tätigkeit ausführt, hinweisen.

მშენებელი Bauarbeiter	მსმელი Trinker, Trinkender
ალმაშენებელი Erbauer	მჭამელი Esser

დამწერი Schreiber (die Person, die das geschrieben hat)

Beim Partizip Passiv unterscheidet man zwei Formen: Futurpartizip und Perfektpartizip.

Das Futurpartizip drückt im allgemeinen eine bevorstehende, in der Zukunft liegende Handlung aus. Es wird aus dem Verbstamm mit dem Prafix ხა- und dem Suffix -ელ gebildet:

დასამუშავებელი მასალა	das zu bearbeitende Material
მოსალოდნელი ამბავი	die zu erwartende Nachricht= die Nachricht, die erwartet wird

Das Futurpartizip trägt passiven Charakter.

Im Deutschen hat man keine Bezeichnung für das Futurpartizip. Es entspricht dem lateinischen Gerundivum.

Im Deutschen entspricht dem georgischen Futurpartizip die Konstruktion Partizip I und präpositionaler Infinitiv mit „zu“:

დასამუშავებელი მინდორი	das zu bearbeitende Feld=das Feld, das bearbeitet werden soll (das zu bearbeiten ist)

წასაკითხი წიგნი	das zu lesende Buch = das Buch, das gelesen werden soll (das zu lesen ist)

Das Perfektpartizip wird mit den Suffixen -ულ oder -ილ und mit dem Präfix ნა- gebildet. Es drückt immer die Vollendung aus und hat bei transitiven Verben passiven Charakter.

Das Perfektpartizip entspricht dem deutschen Partizip II der transitiven Verben:

დამუშავებული მინდორი	das bearbeitete Feld = das Feld, das bearbeitet worden ist.
მოხნული ყანა	ein gepflügtes Feld (ein Feld, das gepflügt worden ist)
გათხრილი მიწა	die ausgegrabene Erde = die Erde, die ausgegraben worden ist.
გახსნილი მარილი	das aufgelöste Salz
ნაკეთები	gemacht
ნახელავი	handwerklich gearbeitetes Stück

Das Perfektpartizip intransitiver Verben kann auch aktiven Sinn haben:

დამსახურებული მასწავლებელი	ein verdienter Lehrer
ჩამოსული სტუმარი	ein angekommener Gast
გაშლილი ვარდი	eine verblühte Rose

Das Partizip Medium hat überhaupt keine zeitliche Bedeutung. Es wird mittels folgender Zeichen gebildet: მ, მ-არ, მ-ალ:

მცურავი	schwimmend; Schwimmender
მტირალი	weinend; Weinender
მოთამაშე	spielend; Spielender

Das Negativpartizip

Die Partizipien werden vorwiegend durch Präfix-Suffix უ-ელ verneint:

დაუმუშავებელი	nicht zu bearbeitet
მოუსვლელი	nicht gekommen

დავით აღმაშენებელი

ქართველთა სახელოვანმა მეფემ, დავით აღმაშენებელმა, საქართველო ძლიერ სახელმწიფოდ აქცია, გარეშე მტრები დაამარცხა,

ხოლო ურჩი დიდებულები დასაჯა და სახელმწიფოში წესრიგი დაამყარა.

ისტორიკოსი ბევრ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის გონიერებაზე, გმირობაზე, ნებისყოფაზე, მის საქვეყნო საქმეებზე.

დავითი დიდად განათლებული ადამიანი ყოფილა. მას ძალიან ჰყვარებია წიგნების კითხვა. მიუხედავად იმისა, რომ საქვეყნო საქმეებით მოუცლელი იყო, წიგნის კითხვისათვის დროს მაინც პოულობდა. კითხულობდა წიგნებს ღამე ლაშქრობებისა და სხვა სახელმწიფო საქმეებისაგან მცირე შესვენების დროს. ზოგიერთ წიგნს, რომელიც მოეწონებოდა, მრავალჯერ გადაიკითხავდა. წაკითხვის შემდეგ ჩვეულებად ჰქონია: წიგნის შემდეგ ნიშანს დაუსვამდა ხოლმე. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავითის მიერ წაკითხული ერთ-ერთი ასეთი წიგნის ბოლოს 24 ნიშანი ესვაო.

ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა დავითი ლაშქრობის წირა ღამეს თავის კარავში წიგნის კითხვას შესდგომია. ამ დროს ქართველთა ჯარს მტერი მოულოდნელად თავს დასხმია. დავითი ისე ყოფილა წიგნის კითხვაში გართული, რომ ვერაფერი შეუტყვია — რა ხდება. კარზე მდგომ მცველებს კი ერიდებოდათ ამბის მიტანისა, რადგან იცოდნენ — წიგნის კითხვის დროს თუ ვინმე ხელს შეუშლიდა, იწყენდა ხოლმე. მაგრამ როგორც კი ხმაური გაძლიერდა, დავითი კარვიდან გამოიჭრა და მტერს ეკვეთა.

დავითის დანახვაზე გამხნევებული ქართველი მეომრები მიჰყვნენ მას და მტერი სასტიკად დაამარცხეს.

სვიმონ გამსახურდია

Texterläuterung

ყოფილა — er sei
მას კითხვა ჰყვარებია — er läse gern
ჩვეულებად ჰქონია — er pflegte
ყოფილა ისეთი შემთხვევა — es gab auch einen solchen Fall
წიგნის კითხვას შესდგომია — er begann ein Buch zu lesen
ქართველთა ჯარს მტერი თავს დასხმია — der Feind hat das georgische Heer überfallen
ის ისე ყოფილა წიგნის კითხვაში გართული, რომ ვერაფერი შეუტყვია — er war so mit dem Lesen eines Buches beschäftigt (ins Lesen vertieft; versunken), daß er nichts bemerkte
წიგნის კითხვის დროს — während des Lesens eines Buches
იწყენდა ხოლმე — das verdroß ihn oft

Übungen

1. Trennen Sie Zeichen des Partizips von folgenden Wörtern ab:

მჭამელი, მსმელი, მხსნელი, მსმენელი, მწველავი, მოტანილი, გაშლილი, დათოვლილი, შეშინებული, გადმოფრენილი, გაღვიძებული, შემოპარული, გახარებული, დასაკლავი, გასახარებელი, დასაკომპლექტებელი, წასაკითხი, დასაწერი, მდგომი, მჯდომი, მოციმციმე.

2. Beantworten Sie folgende Fragen:

1. ვინ იყო დავით აღმაშენებელი? 2. როგორ აქცია დავით აღმაშენებელმა საქართველო ძლიერ სახელმწიფოდ? 3. დაახასიათეთ დავით აღმაშენებელი.

3. Übersetzen Sie ins Deutsche:

ის არის ჩემი მხსნელი. ჩვენ ბევრი უცხოელი მსმენელი გვყავს. მარჯვნივ მჯდომი გოგონა ჩემი დაა. აყვავებული ალუბლის ხეები ძალიან ლამაზია. მე მიყვარს მოციმციმე ვარსკვლავები. ჩვენ დიდხანს ვაკვირდებოდით ამომავალ მზეს. ის მომღიმარი სახით შემხვდა. მან რამდენიმე გამამხნევებელი სიტყვა მითხრა. მან აკანკალებული ხელებით გამიღო კარი. გატეხილი ჭიქა მაგიდაზე იდო.

4. Übersetzen Sie ins Georgische:

Die gekauften Bücher legte er in seine Tasche. Die brennende Kerze erlosch. Das aufgeschlagene Buch lag auf dem Tisch. Die untergegangene Sonne sank ins Meer. Er las den geschriebenen Brief noch einmal. Die eingeschneite Gegend war sehr schön. Sie sah mich mit erschrockenen Augen an. Diese Hörer sind vom Lande. Dawid der Erbauer war ein sehr gebildeter Mensch.

ოცდამეცხრე გაკვეთილი

XXIX. Stunde

Perfekt (Resultativ)

თურმეობითი I

Das georgische Perfekt drückt einen zeitlich unbegrenzten Vorgang in der Vergangenheit aus. auf dessen Folgen oder Ergebnissen die gegenwärtige Lage oder Handlung beruht.

Die im Perfekt gebrauchten transitiven Verben sind inversiv, d. h. bei diesen Verben steht das Subjekt im Dativ und das direkte Ob-

jekt im Nominativ. Das subjektive Personalzeichen drückt das direkte Objekt aus, während das objektive das Subjekt des Satzes bezeichnet.

Das Perfekt der transitiven Verben wird mit oder ohne Präverb gebildet:

Alle Verben auf -ავ und -ამ[1] haben im Perfekt in der 3. Person -ს als Personalzeichen und alle auf -ი enden auf -ა.

Merken Sie:

Nach den objektiven Personalzeichen steht im Perfekt in der 1. und 2. Personen -ი- und in der 3. -უ-.

მე მომიკლავს	ich soll es getötet haben	ჩვენ მოგვიკლავს
შენ მოგიკლავს	ich habe es offenbar	თქვენ მოგიკლავთ
მას მოუკლავს	getötet	მათ მოუკლავთ
მე ჩამიცვამს	ich soll mich angezogen	ჩვენ ჩაგვიცვამს
შენ ჩაგიცვამს	haben	თქვენ ჩაგიცვამთ
მას ჩაუცვამს	ich habe mich offenbar angezogen	მათ ჩაუცვამთ
მე ამიშენებია	ich soll es gebaut haben	ჩვენ აგვიშენებია
შენ აგიშენებია	ich habe es offenbar	თქვენ აგიშენებიათ
მას აუშენებია	gebaut	მათ აუშენებიათ

Analog:

უნახავს er hat gesehen	უთქვამს er hat gesagt
დაუფარავს er hat verdeckt (bemäntelt, maskiert)	გაუზრდია er hat erzogen
შეუნიშნავს er hat bemerkt	დაუბამს er hat angebunden

Die intransitiven einpersönlichen Verben bilden das Perfekt durch Umschreibung: Perfekt-Partizip des Passivs+Hilfsverb ვარ im Präsens:

მე გავპარულვარ	ich habe mich (heim-	ჩვენ გავპარულვართ
შენ გაპარულხარ	lich) gedrückt	თქვენ გაპარულხართ
ის გაპარულა		ისინი გაპარულან

Merken Sie:

Das Personalzeichen der 1. Person ვ- steht nicht nur beim Hilfsverb, sondern auch beim Partizip nach dem Präverb. In der 3. Person Singular von არის ist nur -ა und in der 3. Person Plural von არიან nur ან erhalten.

[1] Im Perfekt bleiben -ავ und -ამ immer erhalten.

Intransitive zweipersönliche Verben bilden das Perfekt aus dem um ა- gekürzten Nomen actionis (ყოლ-). Vor dem Nomen actionis stehen entsprechende objektive Personalzeichen und am Ende wird das Suffix -ი angehängt, und dann folgt das Hilfsverb in der betreffenden Person und Zahl im Präsens:

მე მყოლია; მქონია	ich habe gehabt	ჩვენ გვყოლია; გვქონია
შენ გყოლია; გქონია	ich soll gehabt haben	თქვენ გყოლიათ; გქონიათ
მას ჰყოლია; ჰქონია		მათ ჰყოლიათ; ჰქონიათ

Diese Verben können manchmal ein Präverb haben:

მე ამშენებია	etwas ist offenbar	ჩვენ აგვშენებია
შენ აგშენებია	für mich gebaut	თქვენ აგშენებიათ
მას აშენებია		მათ აშენებიათ

Analog:

გამოლაპარაკებია er hat (ihn) angesprochen	შესცვლია er hat ihn aus Versehen genommen
er soll (ihn) angesprochen haben	er soll es aus Versehen genommen haben
მოჰხვედრია er hat (ihn) getroffen (beim Schießen)	წაჰკიდებია er hat mit ihm gestritten
er soll (ihn) getroffen haben	er soll mit ihm gestritten haben

Merken Sie:

1. Das Perfekt bezeichnet einen Vorgang, der tatsächlich geschehen ist und dessen zeitliche Bedeutung in den Hintergrund gedrängt wird:

ჩემს პატარა ბიჭობაში აქ ბევრი მითამაშია (მირბენია).	In meiner Knabenzeit habe ich hier viel gespielt (gelaufen).

2. Das Perfekt steht bei der Feststellung eines Geschehens (einer Tatsache):

გინახავს ეს კინოსურათი?	Hast du diesen Film gesehen?

3. Das Perfekt benutzt man, wenn man einen Vorgang verneinen will, der tatsächlich nicht stattgefunden hat:

მე კინოში არ წავსულვარ.	Ich bin nicht ins Kino gegangen.

4. Das Perfekt kann auch eine Handlung oder eine Tatsache ausdrücken, die der Sprechende nicht selbst gesehen oder erlebt hat und

die für ihn unerwartet ist. Er sieht nur die Folgen oder kennt die Tatsache vom Hörensagen. In diesem Fall hat das Perfekt die Bedeutung der Partikel თურმე[1].

რა კარგი სურათი დაგიხატავს!	Was für ein schönes Bild sollst (muβt) du gemalt haben!
მას კარგი სტატია დაუწერია.	Er soll (muβ) einen schönen Artikel geschrieben haben.

Wie man sieht, läβt sich das georgische Perfekt sowohl durch das Perfekt als auch durch Umschreibung mit den Verben «sollen» oder «müssen» wiedergeben:

ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენაზე იყავი?	Hast du die Gemäldeausstellung von Lado Gudiaschwili besucht?
ჯერ არ ვყოფილვარ, მინდა ხვალ წავიდე.	Noch nicht, ich will morgen hingehen.
მოხსენება დაწერე?	Hast du den Vortrag geschrieben?
არა, არ დამიწერია.	Nein, ich habe ihn noch nicht geschrieben.
გუშინ ლექციებზე იყავი?	Hast du gestern die Vorlesungen besucht?
არა, სახლიდან არ გამოვსულვარ.	Nein, ich bin nicht ausgegangen.
ჩემს ქალიშვილს გუშინ დიდი სიცხე ჰქონია.	Meine Tochter soll (muβ) gestern hohe Temperatur gehabt haben.
თქვენს მეგობარს გუშინ კარგი მოხსენება წაუკითხავს.	Ihr Freund soll (muβ) gestern einen guten Vortrag gehalten haben.
ეს სახლი ახლახან აუშენებიათ.	Dieses Haus soll (muβ) vor kürzem gebaut worden sein.

აგარაკზე

— დილა მშვიდობისა, დავით!
— გაგიმარჯოს, რევაზ!
— შენ აქ რა გინდა?

[1] Vom თურმე («anscheinend») stammt die georgische Benennung dieser Zeitform თურმეობითი.

— მე აქ საკუთარი აგარაკი მაქვს. შენ?

— მე ჩემს ძმასთან ვარ სტუმრად. აი, ის სახლი მარჯვნივ მისი აგარაკია.

— ის სახლი? მაშ, ალექსანდრე შენი ძმაა? ალექსანდრე ჩემი მეზობელია.

— ძალიან სასიამოვნოა! მაშ, თქვენ ერთად აგიშენებიათ აგარაკი? შენს აგარაკს კარგი ეზო ჰქონია. კარგად მოგივლია. ხეხილი დაგირგავს და ბოსტანიც გაგიშენებია.

— შემოდი, ნახე ჩემი კარმიდამო. სიმართლე გითხრა, აქ მე ბევრი არაფერი გამიკეთებია. მივლინებაში ვიყავი და ჩემი ეზოსთვის ვერ მოვიცალე, მაგრამ ჩემს აქ არყოფნაში ჩემი დედა-მამა ჩამოსულა და ყველაფრისთვის მიუხედავთ. მამას ბაღი და ბოსტანი დაუბარავს, ეზოში ბალახი დაუთესია, ყვავილები დაურგავს, ხეივანი გაუწმენდია, ღობე შეუკეთებია, კედლები გაულესავს და სახურავი შეუღებავს, ერთი სიტყვით, ყველაფერი წესრიგში მოუყვანია, დედას კი სახლი დაულაგებია, სარეცხი გაურეცხავს და, რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ გაუკეთებია. იმ კაკალს კარგი ჩრდილი აქვს, წავიდეთ, დავსხდეთ!

— სამწუხაროდ, დრო ძალიან ცოტა მაქვს, მალე უნდა წავიდე და ამიტომ უნდა დაგემშვიდობო. ძალიან მესიამოვნა, რომ ჩემი ძმის მეზობელი ხარ. მოიკითხე თქვენები, ნახვამდის!

— გმადლობთ, ნახვამდის!

Texterläuterung

და, რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ გაუკეთებია — und ich weiß nicht, was sie noch alles gemacht hat.

Lernen Sie auswendig:

წუთისოფელი ესეა:
ღამეს დღე უთენებია.
რაც მტრობას დაუქცევია —
სიყვარულს უშენებია.

ილია ჭავჭავაძე

Texterläuterung

წუთისოფელი ესეა — die flüchtige Welt ist so

Übungen

1. Bilden Sie das Perfekt zu folgenden Verben:

აშენებს, ხატავს, წერს, ამზადებს, კლავს, უკრავს, აბამს, სვამს, ყვავის, ბრუნდება.

2. Setzen Sie die eingeklammerten Verben ins Perfekt:

დღეს დილით ჩემი გოგონა ადრე (დგება), თავისი ლოგინი (ალაგებს), ფანჯრები (აღებს), ჰაერი (წმენდს), ოთახი (ალაგებს), პური (მოაქვს), ჩაი და რძე (ადუღებს), სუფრა (შლის), შემდეგ (საუზმობს) და სკოლაში (მიდის). სკოლის შემდეგ ის ჩემს მეუღლეს მაღაზიაში (მიჰყავს) და ახალი კაბა (ყიდულობს) მისთვის, ეს ლამაზი მიხაკები კი ჩემთვის (მოაქვს). ამ პატარა გოგონას რამდენი საქმე (აკეთებს).

3. Übersetzen Sie ins Deutsche:

გუშინ საღამოს ლიასთან იყავი? არა, ხვალ მინდა წავიდე. შენი ძმა ბერლინიდან ჩამოვიდა? არა, ჯერ არ ჩამოსულა. კინოში იყავი? არა, სახლიდან არ გამოვსულვარ. თქვენს მეგობარს კარგი ლექსები დაუწერია. მე ამ მდინარეში ბევრი მიბანავია. რამდენჯერ მითქვამს შენთვის ეს ამბავი.

4. Übersetzen Sie ins Georgische:

Er hat das nicht gemacht. Was für einen schönen Ball hast du gekauft. Ich habe gestern keine Vorlesung gehalten. Ich habe das nicht gemacht. Ich bin nie hier gewesen. Unser Haus hat man vor kurzem abgetragen. Er soll (muß) eine «Eins» bekommen haben. Er soll den Aufsatz nicht geschrieben haben. Mein Bruder soll sich gestern sehr schlecht benommen haben. Die Kleinen sollen im Zimmer Ball gespielt haben. Er soll (muß) das nicht gehört haben. Diesen schönen Blumenstrauß hat er für dich gekauft.

ოცდამეათე გაკვეთილი

XXX. Stunde

Plusquamperfekt (Resultativ)

თურმეობითი II

Das Plusquamperfekt stellt Vorgänge dar, deren Folgen oder Ergebnisse in der Vergangenheit bereits vollendet sind.

Das Plusquamperfekt ähnelt der Form nach dem Aorist, das vor

dem Verbstamm nach dem objektiven Personalzeichen steht. Subjekt konstruktion ist jedoch inversiv:

მე დამეხატა	ich hatte gemalt	ჩვენ დაგვეხატა
შენ დაგეხატა		თქვენ დაგეხატათ
მას დაეხატა		მათ დაეხატათ
მე მექო	ich hatte gelobt	ჩვენ გვექო
შენ გექო		თქვენ გექოთ
მას ექო		მათ ექოთ

Das Plusquamperfekt intransitiver einpersönlicher Verben wird aus dem Partizip Perfekt und dem Hilfsverb im Aorist (ვიყავი) gebildet:

მე გავპარულიყავი	ich hatte mich	ჩვენ გავპარულიყავით
შენ გაპარულიყავი	gedrückt	თქვენ გაპარულიყავით
ის გაპარულიყო		ისინი გაპარულიყვნენ

Merken Sie:

Das Personalzeichen der ersten Person steht nach dem Präverb und fehlt im Partizip.

Das Plusquamperfekt der intransitiven zweipersönlichen Verben wird aus dem Perfekt gebildet. Das Perfekt verliert dabei das Suffix -ი nach dem Stamm des Nomen actionis und erhält das Suffix -ოდ:

მე გამწითლებოდა	mir war (etw.) rot geworden	ჩვენ გაგვწითლებოდა
შენ გაგწითლებოდა	mir wurde (etw.) rot...	თქვენ გაგწითლებოდათ
მას გასწითლებოდა		მათ გასწითლებოდათ

Merken Sie:

1. Das Plusquamperfekt wird gebraucht, wenn man betonen will, daß die Handlung in einem gewissen Moment der Vergangenheit bereits vollendet war.

როცა მე პირველად სოხუმში ჩავედი, ზღვა ჯერ არ მენახა.	Als ich zum ersten Mal nach Ssuchumi kam, hatte ich das Meer noch nicht gesehen.

2. Das Plusquamperfekt, wie das Perfekt, bezeichnet eine ungesehene Handlung in der Vergangenheit (s. die 29. Stunde):

მეგობარს ეთქვა მისთვის.	Der Freund hatte ihm gesagt = Der Freund soll ihm gesagt haben.

Bei den Konjunktionalsätzen **რომ**=«wenn» drückt das Plusquamperfekt den Zweck oder die Bedingung einer vorangehenden Handlung in der Vergangenheit aus:

რომ დაგეხატა, ახლა თავისუფალი იქნებოდი.	Wenn du gemalt hättest, wärest du jetzt frei.

Das georgische Plusquamperfekt wird wiedergegeben:

1. Durch eine Modalkonstruktion:

მე ცოტა დრო მქონდა და არ შემეძლო შენ მოგხმარებოდი.	Ich hatte wenig Zeit und konnte dir nicht helfen.
ჩვენ შეგვეძლო ეს ლანდშაფტი დაგვეხატა და სურათი ოსტატისთვის გაგვეგზავნა.	Wir hätten diese Landschaft malen und das Gemälde dem Meister schicken können.
თქვენ დავალება უნდა გადაგეწერათ და შემდეგ მასწავლებლისთვის ჩაგებარებინათ.	Sie sollten die Aufgabe abschreiben und dann der Lehrerin abgeben (abliefern).

2. Durch abhängigen Infinitiv:

წელს მე შესაძლებლობა მქონდა საქართველოში წავსულიყავი, იქ დავრჩენილიყავი და ზაფხული მთებში გამეტარებინა.	In diesem Jahr hatte ich die Möglichkeit nach Georgien zu fahren, dort zu bleiben und den Sommer in den Bergen zu verbringen.
ის იძულებული იყო ქალაქი დაეტოვებინა და სოფელში წასულიყო.	Er war gezwungen die Stadt zu verlassen und aufs Land zu fahren.

3. Durch das deutsche Plusquamperfekt (als Bezeichnung der Vergangenheit):

როცა მე რესტორანში შევედი, ჩემს მეგობრებს უკვე ესადილათ.	Als ich ins Restaurant trat, hatten meine Freunde schon zu Mittag gegessen.

4. Durch das Plusquamperfekt Konjunktiv:

მას რომ ეს წიგნი წაეკითხა, ამას აღარ იტყოდა.	Wenn er dieses Buch gelesen hätte, hätte er das nicht gesagt.
შენ რომ კარნახში შეცდომები არ დაგეშვა, არც ცუდ ნიშანს მიიღებდი.	Wenn du keine Fehler im Diktat gemacht hättest, hättest du keine schlechte Note bekommen.

Konjunktiv III

კავშირებითი III

Der Konjunktiv III wird aus dem Plusquamperfekt mit dem Suffix -ა oder -ო gebildet:

მე მომეკლას	ich würde getötet	ჩვენ მოგვეკლას
შენ მოგეკლას	haben	თქვენ მოგეკლათ
მას მოეკლას		მათ მოეკლათ
მე მექოს	ich hätte gelobt	ჩვენ გვექოს
შენ გექოს		თქვენ გექოთ
მას ექოს		მათ ექოთ

Der Konjunktiv III wird im Georgischen selten gebraucht, deshalb verzichten wir auf eine ausführliche Darstellung.

გიორგი სააკაძე

სპარსეთის მრისხანე მეფის — შაჰ-აბასის სურვილი იყო, მოესპო, გაენადგურებინა საქართველო.

შაჰის ამ ბოროტ განზრახვას წინ აღუდგა გამოჩენილი ქართველი გმირი — გიორგი სააკაძე.

გიორგი სააკაძე აღიზარდა სოფელ ნოსტეში, კავთისხევის მახლობლად. ის იყო შესანიშნავი სარდალი, მხნე, მამაცი მებრძოლი, საოცარი ღონის მქონე და ფრიად ნიჭიერი კაცი. ამიტომ იგი მეფე ლუარსაბთან დაახლოებული იყო და დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოში.

ძლიერ უყვარდა ქართველ ხალხს თავისი სახელოვანი გმირი გიორგი სააკაძე; მაგრამ მას ჰყავდა მტრებიც. ბევრ თავადს შეშურდა მისი ასეთი სახელი.

თავადების შურმა და გაუტანლობამ გიორგი სააკაძე აიძულა გადახვეწილიყო სპარსეთში, სადაც მრავალ ომში მიიღო მონაწილეობა და დიდად გაითქვა სახელი არა მარტო იქ, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც.

შაჰ-აბასი დიდად აფასებდა გიორგი სააკაძეს, როგორც ბრწყინვალე ნიჭის მქონე ადამიანსა და დიდ სარდალს.

შაჰ-აბასმა გადაწყვიტა, გიორგი სააკაძე გამოეყენებინა ქართლ-კახეთის დასაპყრობად. მან საქართველოში გამოგზავნა გიორგი სააკაძე და ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი ყარჩიხა-ხანის სარდლობით. შაჰ-აბასს ეშინოდა, ვაითუ მიღალატოს გიორგიმო. და მძევლად დაიტოვა გიორგის საყვარელი შვილი პაატა.

შაჰ-აბასის დავალება ასეთი იყო: ირანის ჯარს კახელები სრულიად უნდა ამოეწყვიტა და იქ ყიზილბაშები და თურქმან-თათრები დაესახლებინათ, ლუარსაბისა და თეიმურაზის მომხრე თავადები კი სპარსეთში წაეყვანათ.

საკაძეს სამშობლოს ხსნის საუკეთესო დრო დაუდგა, მაგრამ ყველას ისე აჩვენებდა თავს, თითქოს შაჰის ერთგული იყო. როცა ქართლში მოვიდა, გიორგიმ თავი მოუყარა გავლენიან პირებს და გაანდო მათ თავისი საიდუმლო განზრახვა — ყიზილბაშთა ამოჟლეტისა და ქართლ-კახეთის ხსნის შესახებ.

გიორგი საკაძემ ფრთხილად, მოფიქრებულად შეადგინა ქართლის აჯანყების გეგმა.

ყარჩიხა-ხანის ჯარი დაბანაკებული იყო მარტყოფის მიდამოებში. მარტყოფის ვიწროებში ყარჩიხა-ხანის ჯარს მოულოდნელად თავს დაესხნენ აჯანყებული ქართველები. ამ დროს გიორგი საკაძე თავისი შვილით — ავთანდილით სპარსელების ბანაკში მიიჭრა და შუბით განგმირა ყიზილბაშთა სარდალი ყარჩიხა-ხანი, შემდეგ კი — შირვანის ხანი. ავთანდილმა ყარჩიხა-ხანის ვაჟს მოუსპო სიცოცხლე.

ამ მოულოდნელმა ამბავმა დიდი არევ-დარევა გამოიწვია ყიზილბაშებში. ისინი დაიბნენ. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. ეს ამბავი მოხდა 1625 წელს.

გაბოროტებულმა შაჰმა საშინლად იძია შური გიორგი საკაძეზე: მან თავი მოჰკვეთა გიორგის ვაჟს, პაატას.

Lernen Sie auswendig:

დილა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

— აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.

Übungen

1. Bilden Sie Plusquamperfekt zu folgenden Verben:

ყოფილა, აღზრდილა, ჰქონია, ჰყვარებია, ჰყოლია, შეშურებია, გაუთქვამს, დაუფასებია, გადაუწყვეტია, გამოუგზავნია, შეშინებია, უღალატია, დაუტოვებია, დასდგომია, მოსულა, მოუყრია, შეუდგენია, დასხმია, განუგმირავს, გამოუწვევია, დაუმარცხებია.

2. Beantworten Sie folgende Fragen:

1. რა სურდა სპარსეთის მეფეს — შაჰ-აბასს? 2. სად აღიზარდა გიორგი სააკაძე? 3. ჰყავდა თუ არა მტრები გიორგი სააკაძეს? 4. რამ აიძულა გიორგი საკაძე სპარსეთში გადახვეწილიყო? 5. რით გაითქვა სახელი გიორგი სააკაძემ? 6. სად გაგზავნა შაჰ-აბასმა გიორგი სააკაძე? 7. რატომ დაიტოვა მძევლად შაჰ-აბასმა გიორგი სააკაძის შვილი პაატა? 8. როგორი იყო შაჰ-აბასის დავალება? 9. რა გადაწყვიტა გიორგი სააკაძემ? 10. რით დამთავრდა ომანყება? 11. როგორ იძია შური გიორგი სააკაძეზე შაჰ-აბასმა?

ოცდამეთერთმეტე გაკვეთილი

XXXI. Stunde

Zeitgruppen oder Serien

სერიები

Die georgischen Zeit- und Modusformen werden ihrer Bildung und ihren syntaktischen Besonderheiten (Konstruktionen) nach in drei Hauptgruppen geteilt, die man Serien nennt. Im Georgischen gibt es also drei Serien:

I Serie

Die Reihen der I. Serie werden in zwei Unterserien oder Kreise eingeteilt, nämlich Präsens- und Futurkreis.

1. Präsenskreis

Präsens რას ვშვრები? Was tue ich?

ვკლავ[1]	ვიმალები	ვეზრდები	ვცხოვრობ	ვწევარ	ვწერივარ
კლავ	იმალები	ეზრდები	ცხოვრობ	წევხარ	წერიხარ

[1] Im Georgischen unterscheidet man vier Typen der Konjugation: 1. Zum ersten Typus gehören aktive Verben: კლავს «er tötet», წმენდს «er putzt», წერს «er schreibt»; 2. Zum zweiten — dynamische passive Verben: იმალება «er versteckt sich», ეზრდება «er wächst für ihn», წითლდება «er wird rot», დნება «er schmilzt»; 3. Zum dritten Typus — medio-aktive Verben: ტირის «er weint», ცხოვრობს «er lebt»; 4. Zum vierten — medio-passive Verben: წევს «er liegt», წერია «er steht geschrieben», უყვარს «er liebt».

კლავს	იმალება	ეზრდება	ცხოვრობს	წევს	წერია
ვკლავთ	ვიმალებით	ვეზრდებით	ვცხოვრობთ	ვწევართ	ვწერივართ
კლავთ	იმალებით	ეზრდებით	ცხოვრობთ	წევხართ	წერიხართ
კლავენ	იმალებიან	ეზრდებიან	ცხოვრობენ	წვანან	წერია

Imperfekt რას ვშვრებოდი? Was tat ich?

ვკლავდი	ვიმალებოდი	ვეზრდებოდი	ვცხოვრობდი
კლავდი	იმალებოდი	ეზრდებოდი	ცხოვრობდი
კლავდა	იმალებოდა	ეზრდებოდა	ცხოვრობდა
ვკლავდით	ვიმალებოდით	ვეზრდებოდით	ვცხოვრობდით
კლავდით	იმალებოდით	ეზრდებოდით	ცხოვრობდით
კლავდნენ	იმალებოდნენ	ეზრდებოდნენ	ცხოვრობდნენ

Präsens Konjunktiv რას ვშვრებოდე? Was würde ich tun?

ვკლავდე	ვიმალებოდე	ვეზრდებოდე	ვცხოვრობდე
კლავდე	იმალებოდე	ეზრდებოდე	ცხოვრობდე
კლავდეს	იმალებოდეს	ეზრდებოდეს	ცხოვრობდეს
ვკლავდეთ	ვიმალებოდეთ	ვეზრდებოდეთ	ვცხოვრობდეთ
კლავდეთ	იმალებოდეთ	ეზრდებოდეთ	ცხოვრობდეთ
კლავდნენ	იმალებოდნენ	ეზრდებოდნენ	ცხოვრობდნენ

2. Futurkreis

Futurum რას ვიზამ? Was würde ich tun?

მოვკლავ	დავიმალები	გავეზრდები	ვიცხოვრებ	ვიწვები	ვეწერები
მოკლავ	დაიმალები	გაეზრდები	იცხოვრებ	იწვები	ეწერები
მოკლავს	დაიმალება	გაეზრდება	იცხოვრებს	იწვება	ეწერება
მოვკლავთ	დავიმალებით	გავეზრდებით	ვიცხოვრებთ	ვიწვებით	ვეწერებით
მოკლავთ	დაიმალებით	გაეზრდებით	იცხოვრებთ	იწვებით	ეწერებით
მოკლავენ	დაიმალებიან	გაეზრდებიან	იცხოვრებენ	იწვებიან	ეწერებიან

Permansiv რას ვიზამდი? Was machte ich (gewöhnlich, jeweils)?

მოვკლავდი	დავიმალებოდი	გავეზრდებოდი	ვიცხოვრებდი	ვიწვებოდი	ვეწერებოდი
მოკლავდი	დაიმალებოდი	გაეზრდებოდი	იცხოვრებდი	იწვებოდი	ეწერებოდი
მოკლავდა	დაიმალებოდა	გაეზრდებოდა	იცხოვრებდა	იწვებოდა	ეწერებოდა

მოვკლავ-დით	დავიმალე-ბოდით	გავეზრდე-ბოდით	ვიცხოვრებ-დით	ვიწვებოდით	ვეწერებო-დით
მოკლავდით	დაიმალებო-დით	გაეზრდებო-დით	იცხოვრებ-დით	იწვებოდით	ეწერებო-დით
მოკლავდნენ	დაიმალებო-დნენ	გაეზრდებო-დნენ	იცხოვრებ-დნენ	იწვებოდნენ	ეწერებოდ-ნენ

Futurum Koujunktiv რას ვიზამდე? Was täte ich? Was werde ich tun? (bezieht sich auf die Zukunft)

მოვკლავდე	დავიმალე-ბოდე	გავეზრდე-ბოდე	ვიცხოვრებ-დე	ვიწვებოდე	ვეწერებოდე
მოკლავდე	დაიმალებო-დე	გაეზრდებო-დე	იცხოვრებ-დე	იწვებოდე	ეწერებოდე
მოკლავდეს	დაიმალებო-დეს	გაეზრდებო-დეს	იცხოვრებ-დეს	იწვებოდეს	ეწერებოდეს
მოვკლავ-დეთ	დავიმალე-ბოდეთ	გავეზრდე-ბოდეთ	ვიცხოვრებ-დეთ	ვიწვებოდეთ	ვეწერებო-დეთ
მოკლავდეთ	დაიმალებო-დეთ	გაეზრდებო-დეთ	იცხოვრებ-დეთ	იწვებოდეთ	ეწერებო-დეთ
მოკლავდნენ	დაიმალებო-დნენ	გაეზრდებო-დნენ	იცხოვრებ-დნენ	იწვებოდნენ	ეწერებოდ-ნენ

Die obenangeführten Zeit- und Modiformen bilden eine (die I.) Serie, weil der Präsensstamm in allen Reihen erhalten bleibt. Eine Ausnahme bilden die Verben, die den Stamm wechseln.

II. Serie

Aorist რა ვქენი? Was habe ich getan?

მოვკალ(ი)	დავიმალე	გავეზარდე	ვიცხოვრე	ვიწექი	ვეწერე
მოკალ(ი)	დაიმალე	გაეზარდე	იცხოვრე	იწექი	ეწერე
მოკლა	დაიმალა	გაეზარდა	იცხოვრა	იწვა	ეწერა

II Konjunktiv (Optativ) რა ვქნა? Was muß (soll, möchte) ich tun?

მოვკლა	დავიმალო	გავეზარდო	ვიცხოვრო	ვიწვე	ვეწერო
მოკლა	დაიმალო	გაეზარდო	იცხოვრო	იწვე	ეწერო
მოკლას	დაიმალოს	გაეზარდოს	იცხოვროს	იწვეს	ეწეროს
მოვკლათ	დავიმალოთ	გავეზარ-დოთ	ვიცხოვროთ	ვიწვეთ	ვეწეროთ

მოკლათ	დაიმალოთ	გაეზარდოთ	იცხოვროთ	იწვეთ	ეწეროთ
მოკლან	დაიმალონ	გაეზარდონ	იცხოვრონ	იწვენ	ეწერონ

Auch bei der II. Serie bleibt der Aoriststamm unverändert.

III. Serie

Perfekt რა მიქნია? Was habe ich gemacht?

მომიკლავს	დავმალულ-ვარ	გავზრდი-ვარ	მიცხოვრია	ვწოლილ-ვარ	ვწერებივარ
მოგიკლავს	დამალულ-ხარ	გაზრდი-ხარ	გიცხოვრია	წოლილხარ	წერებიხარ
მოუკლავს	დამალულა	ეზრდია	უცხოვრია	წოლილა	წერებია
მოგვიკლავს	დავმალულ-ვართ	გავზრდი-ვართ	გვიცხოვრია	ვწოლილ-ვართ	ვწერები-ვართ
მოგიკლავთ	დამალულ-ხართ	გაზრდი-ხართ	გიცხოვრიათ	წოლილ-ხართ	წერებიხართ
მოუკლავთ	დამალულან	გაზრდიან	უცხოვრიათ	წოლილან	წერებია(ნ)

Plusquamperfekt რა მექნა? Was sollte (muβte) ich tun?

მომეკლა	დავმალუ-ლიყავ(ი)	გავზრდოდი	მეცხოვრა	ვწოლილი-ყავ(ი)	ვწერებოდი
მოგეკლა	დამალული-ყავ(ი)	გაზრდოდი	გეცხოვრა	წოლილი-ყავ(ი)	წერებოდი
მოეკლა	დამალული-ყო	გაზრდოდა	ეცხოვრა	წოლილიყო	წერებოდა
მოგვეკლა	დავმალუ-ლაყავ(ი)თ	გავზრდო-დით	გვეცხოვრა	ვწოლილი-ყავ(ით)	ვწერებო-დით
მოგეკლათ	დამალული-ყავ(ი)თ	გაზრდო-დით	გეცხოვრათ	წოლილი-ყავ(ი)თ	წერებოდით
მოეკლათ	დამალული-ყვნენ	გაზრდოდ-ნენ	ეცხოვრათ	წოლილიყვ-ნენ	წერებოდნენ

III Konjunktiv (Konjunktiv Präterit) რა მექნას? Was hatte ich getan?

მომეკლას	დავმალუ-ლიყო	გავზრდოდე	მეცხოვროს	ვწოლილი-ყო	ვწერებოდე
მოგეკლას	დამალული-ყო	გაზრდოდე	გეცხოვროს	წოლილიყო	წერებოდე
მოეკლას	დამალული-ყოს	გაზრდოდა	ეცხოვროს	წოლილი-ყოს	წერებოდეს

მოგვეკლას	დავმალუ-ლიყოთ	გავზრდო-დეთ	გვეცხოვ-როს	ვწოლილი-ყოთ	ვწერებო-დეთ
მოგეკლათ	დამალული-ყოთ	გაზრდო-დეთ	გეცხოვროთ	წოლილი-ყოთ	წერებოდეთ
მოეკლათ	დამალუ-ლიყვნენ	გაზრდოდ-ნენ	ეცხოვროთ	წოლილი-ყვნენ	წერებოდ-ნენ

Merken Sie besonders:

Das Subjekt (S) steht bei intransitiven ein- und zweipersönlichen Verben immer im Nominativ (ის იმალება; ის ემალება მას).

Eine Ausnahme bilden die inversiven Verben, bei denen das Subjekt immer im Dativ und das Objekt im Nominativ steht (მას უყვარს ის; მას სძულს ის; მას აქვს ის).

Die medioaktiven Verben und die transitiven zwei- und dreipersönlichen Verben haben ein fallveränderliches Subjekt in der I. Serie im Nominativ, in der II. Serie im Ergativ und in der III. Serie im Dativ: (ის ხატავს; მან დახატა; მას დაუხატავს; ის თამაშობს; მან ითამაშა; მას უთამაშნია).

Das direkte Objekt (Od) steht in der I. Serie im Dativ, in der II. und III. Serie im Nominativ (ის ხატავს სურათს; მან დახატა სურათი; მას დაუხატავს სურათი).

Das indirekte Objekt (Oi) steht immer im Dativ (ის ემალება მას; ის დაემალა მას; ის დამალია მას).

ფოსტაში

მე ძალიან ბევრ წერილს ვიღებ ჩემი მეგობრებისაგან და თვითონაც ხშირად ვწერ მათ. თითქმის ყოველდღე ფოსტალიონს ჩემთვის გაზეთებთან ერთად რამდენიმე წერილიც მოაქვს. მეც. ჩემი მხრით, ხშირად ვუგზავნი ჩემს მეგობრებს მოკითხვისა და მილოცვის ბარათებს, ტელეგრამებს, ამანათებსა და წერილებს.

წერილებს მე ჩვეულებრივ საღამოს ვწერ, მეორე დღეს კი მათ საფოსტო ყუთში ვყრი. ტელეგრამებს, ბანდეროლებსა და ამანათებს კი უახლოესი საფოსტო განყოფილებიდან ვგზავნი. ერთი კვირის წინ, ახალი წლის წინა დღეებში, მე დავწერე რამდენიმე წერი-

ლი, მოვამზადე გასაგზავნად საჭირო წიგნები და ამანათისთვის ჩურჩხელები, გოზინაყი, ხმელი ხილი და წავედი ფოსტაში. პირველად მე იმ სარკმელთან მივედი, სადაც ბანდეროლებს იღებენ, მივაწოდე წიგნები და ვთხოვე — შეეფუთათ ისინი. მერე მე დავაწერე ბანდეროლს მისამართი და გადავიხადე მარკების ფული.

განყოფილებაში „ამანათების მიღება და გაცემა" მე შევავსე ამანათების ბლანკი, დავწერე მისამართი. ადრესატის სახელი და გვარი და ჩემი მისამართი. ფოსტის მუშამა შეამოწმა ყველაფერი, აწონა ამანათი და გამომიწერა ქვითარი. მე ფული გადავიხადე და გავეშურე სხვა განყოფილებისაკენ.

სარკმელთან „ტელეგრამების მიღება" ავიღე რამდენიმე ბლანკი და აქვე, ფოსტაში, დავწერე თხუთმეტამდე მისალოცი ტელეგრამა და ღია ბარათი. ეს დებეშები მე გავუგზავნე ჩემს მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს.

Übungen

1. Setzen Sie das Subjekt und beide Objekte in den richtigen Kasus ein:

ჩვენ (ავტობუსი) ველოდებით. (მოსწავლე) სჭირდება (ახალი წიგნები) და (ლექსიკონი). რა ჰქვია (შენი და)? (ბავშვები) (ტექსტი) გაიმეორეს. (ლალი) გალაკტიონ ტაბიძის (ლექსი) ზეპირად არ ისწავლა. (ბებია) უამბო (თავისი შვილიშვილი) (ზღაპარი) (ის) უყიდა (ჩემი შვილი) (ახალი კალმისტარი). (ის) მთელი საღამო უმღეროდა (თავისი სტუმრები) (სიმღერები და რომანსები). (თქვენი ვაჟიშვილი) ულექსიკონოდ უშეცდომოდ თარგმნა (უცნობი ტექსტი). (ნანა) ტექსტის (შინაარსი) ვერ გაიგო. (მასწავლებელი) (ის) (ტექსტი) ხელახლა აუხსნა. (მხატვარი) უჩვენა (მეგობრები) (თავისი უკანასკნელი ნამუშევარი).

2. Übersetzen Sie ins Georgische:

Wir fliegen morgen mit dem Flugzeug nach Berlin. Die Schüler schreiben heute ein Diktat. Das Buch ist sehr interessant. Ich habe es in zwei Tagen gelesen. Mein Bruder heißt Gogi. Ich studiere an der Staatlichen Universität Thbilissi. Er besucht fast alle Vorlesungen. Ich wasche mich mit kaltem Wasser und kämme mich vor dem Spiegel. Ich ziehe mich an. Wessen Bleistift ist das? Warum hast du mir das nicht gesagt? Im Januar hatte er die erste Prüfung abgelegt. Er kam spät in der Nacht nach Hause. Diesen Text muß ich übersetzen. Diesen Brief hat er mir geschrieben. Er läßt mich viel arbeiten. Wann

wurde Ihr Haus gebaut? Unser Lehrer muß bei dir gewesen sein. In der Schule habe ich eine «Vier» bekommen. Meine Schüler haben mir diese Nelken geschenkt.

Schlüssel

I. Stunde, Seite 9

2. j, z, b, tsch, l, sch, d, r, m, g, w, n, h, ch, ž.

3. ჩ, ნ, ბ, დ, ვ, შ, რ, მ, ხ, ლ, ც, ჰ, ქ, ჯ, გ.

4. ჰაერი, ჩაიდანი, ვაჟი, ჯეჯილი, ცეცხლი, ბებია, ხეხილი, გოგო, მამიდა, შვილი, ჟურნალი, ჯუჯა, ვარდი, ნავი.

5. ლალი და გოგი ხვალ ჩამოდიან? დიახ, ლალი და გოგი ხვალ ჩამოდიან. არა, ლალი და გოგი ხვალ არ ჩამოდიან. ჯუმბერი და ვაჟა შინ არიან? დიახ, ჯუმბერი და ვაჟა შინ არიან. არა, ჯუმბერი და ვაჟა შინ არ არიან. ვანო და შალვა ვარჯიშობენ? დიახ, ვანო და შალვა ვარჯიშობენ. არა, ვანო და შალვა არ ვარჯიშობენ.

II. Stunde, Seite 13, 14

1. p, ss, t, s, ph, kh, th, k.

2. ტ, პ, ზ, ფ, ს, თ, ქ.

3. პური, კაკანი, ქარი, ნეზვი, სოლი, პაპა, ფური, პირი, ქუდი, ტარო, თარი, ფაქტი, ჩიტი, ნესვი, ქაქანი, ზარი, კუდი, კერა, ჩითი, თუში, თარო, კარი, ტარი, ფაფა, ფაქტი, ქერა, სარი, ზოლი, ტუში, ფირი.

4. ჩემი ქუდი ახალია. Meine Mütze ist neu. ფაფა თეთრია. Die Brei ist weiß. ეს ნესვი ახალი არ არის. Diese Melone ist nicht frisch. ჩემი თარო ახალია. Mein Regal ist neu. ეს ტუში შავი არ არის (არაა). Diese Tusche ist nicht schwarz. ეს ზოლი თეთრია. Dieses Streifen ist weiß. ეს რა ქარია? Was für ein Wind ist das? ეს ჩემი კარია. Das ist meine Tür. ეს რა ფირია? Was für ein Tonband (Filmband) ist das? ეს ტარო არ არის (არაა) დიდი. Dieser Kolben ist nicht groß. ეს რა ქაკანია (ქაქანია)? Was für ein Gackern (Schwatzen) ist das? ეს ტარი შავი არ არის (არაა). Dieser Griff ist nicht schwarz. ეს სოლი არ არის (არაა). Das ist kein Keil. ეს სარია. Das ist ein Pfahl. მანანა ქერა გოგონაა. Manana ist ein blondes Mädchen. შენი მეგობარი თუშია? Ist dein Freund Thuschi? თოლია თეთრი ჩიტია. Die Möwe ist ein weißer Vogel.

5. ვინ არის ეს ქერა გოგონა? ეს რა არის? ის ვაჟი (ქალი) შენი რა არის? ეს რა ჩიტია? შენ ვინ ხარ? თქვენ ვინ ხართ? ისინი ვინ არიან?

III. Stunde, Seite 16, 17

1. ჰ, ყ, ღ, ძ, წ.

2. ფ, ქ, ჯ, ყ, ჭ.

3. ჯეჯილი, ღიმილი, ძიძა, ყაყაჩო, წიწილა, ჭიანჭველა, ძუძუ, წრუწუნა, ყმაწვილი, ბიჭი, ბიძია, ბაყაყი, სიწითლე, ჭინჭარი.

4. ძაღლი ძაგძაგებს. ჭრიჭინა ჭრიჭინებს. ჯეჯილი მწვანედ ბიბინებს. მტრედი ღუღუნებს. ყაყაჩო წითელი ყვავილია. ბაყაყი ყიყინებს. შალვა ჯიუტი და ზარმაცი ბიჭია. წრუწუნა წრიპინებს. ბეღურა ჟღურტულებს. ჭინჭარი მწვანეა. ეს ჭია წითელია. ჭიანჭველა შავია. თქვენი წიწილა თეთრია. ვინ არის ეს ყმაწვილი? ეს ღვინო ახალია. როგორი ყვავილია ყაყაჩო? ყაყაჩოს ყანა დაუმშვენებია. ყმაწვილს დედა გაუხარებია.

IV. Stunde, Seite 19

1. Vokalstämmige Substantive: გოგო, გოგონა, და, თარო, ტარო, მამა, ყაყაჩო, დიდედა, ძიძა, წიწილა, წრუწუნა, ჭიანჭველა, ჭია, სიძე, მოსწავლე, ძმა.

Konsonantstämmige Substantive: ვარდი, ვაჟი, შვილი, ქუდი, კარი, კუდი, ჩიტი, თუში, ფირი, ფაქტი, ექიმი, მეგობარი, მეზობელი, ნათესავი, ნაცნობი, ბაყაყი, ყვავილი, ყმაწვილი, ქალი, მანდილოსანი, სტუდენტი, ბავშვი, მსახიობი.

2. თარო, ჩიტი, ვარდი, ტარო, შვილიშვილი, ნათესავი, ნაცნობი, და, ძმა, ჭია, ექიმი, წიწილა, წრუწუნა, ყაყაჩო.

3. მე ექიმი არა ვარ. შენ სტუდენტი ხარ? თქვენ მოსწავლეები ხართ? ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ. ისინი და-ძმა არ არიან. თინა და დავითი თქვენი ქალ-ვაჟი არ არიან? ისინი ნათესავები არიან. მე შენი მეზობელი ვარ. ვინ არის შენი ბიძაშვილი? ჩემი ბიძაშვილი მოსწავლეა. ჩემი დედ-მამა შინ არ არის. თქვენ ჩემი მეგობრები ხართ. შენ ჩემი ძმა არა ხარ.

4. ისინი ნაცნობები არიან. გია და მზია და-ძმაა. ეს გოგონა და ეს ვაჟი ტყუპები არიან? ეს კაცი და ეს ქალი ცოლ-ქმარია? სად არიან შენი მშობლები? ეს კაცი შენი რა არის? გია და გოგი ძმები არიან.

V. Stunde, Seite 22, 23

1. მე ვსწავლობ, ვცხოვრობ, ვხატავ, ვცეკვავ, ვიცინი, ვტირი, ვიზრდები

შენ სწავლობ, ცხოვრობ. ხატავ, წერ, ცეკვავ, იცინი, ტირი, იზრდები

ის სწავლობს, ცხოვრობს, ხატავს, წერს, ცეკვავს, იცინის, ტირის, იზრდება

ჩვენ ვსწავლობთ, ვცხოვრობთ, ვხატავთ, ვწერთ, ვცეკვავთ, ვიცინით, ვტირით, ვიზრდებით

თქვენ სწავლობთ, ცხოვრობთ, ხატავთ, წერთ, ცეკვავთ, იცინით, ტირით, იზრდებით

ისინი სწავლობენ, ცხოვრობენ, ხატავენ, წერენ, ცეკვავენ, იცინიან, ტირიან, იზრდებიან

მე ვდგები	ჩვენ ვდგებით
შენ დგები	თქვენ დგებით
ის დგება	ისინი დგებიან

3. ისინი აქ მუშაობენ. მე კარგად ვკითხულობ და ვწერ. თქვენი სტუდენტები კარგად მღერიან. თქვენ ხატავთ? ვინ მღერის? ბავშვები იცინიან. შენი ძმა ჩვენთან იზრდება.

4. ის მღერის. ისინი მღერიან. ის სწავლობს. ისინი სწავლობენ. ის იცინის. ისინი იცინიან. ის კითხულობს და წერს. ისინი კითხულობენ და წერენ. ის ტირის? ისინი ტირიან? ის სად იზრდება? ისინი სად იზრდებიან? ის სოფელში ცხოვრობს და იზრდება. ისინი სოფელში ცხოვრობენ და იზრდებიან.

5. ჩემი ვაჟი ცოლიანია (უცოლოა). მისი ქალიშვილი გაუთხოვარია (გათხოვილია). ჩვენი ბავშვები დიდები და დამოუკიდებელნი არიან. ჩვენი ბაბუა მოხუცია. მისი (მათი) ბებია არ მუშაობს. ის დიასახლისია. თქვენ ტყუპები ხართ?

VI. Stunde, Seite 27, 28

2. ჩვენი სკოლის ეზო არ არის დიდი. ეზოში დგას ნაძვისა და ფიჭვის ხეები. ნანას მამა არ არის მწერალი. გოგის მეგობარი არ არის პოეტი. ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი ჩვენი კლასის დამრიგებელია. ჩემი მეგობრის სახლი არ არის ახალი და ლამაზი. ჩემი კაბინეტის ფანჯრები და კარები არ არის განიერი. ჩემი ამხანაგის ნაცნობი არ არის უცხოელი. ეს შენობა მწერალთა კავშირია. ჩვენთან ქალთა და ვაჟთა სკოლები ცალ-ცალკე არ არის.

3. ეს რა კიოსკია? ეს წიგნების კიოსკია. ვისი სტუმრები (მეგობრები, ამხანაგები, ნათესავები, ახლობლები, ნაცნობები) არიან ისინი? ისინი ჩვენი სკოლის სტუმრები არიან. ეს რა კაბინეტია? ეს

ექიმის კაბინეტია. ეს ვისი ლექსებია? ეს გიორგი ლეონიძის ლექსებია. დღეს ვინ არის მორიგე? დღეს მორიგეები გოგი და თინა არიან. თქვენ ვისი მოსწავლეები ხართ? ზარია. შესვენება იწყება. ეს რა კარადაა?

VII. Stunde, Seite 32

2. სავარჯიშოს, გრამატიკას, ტექსტს, ანდაზას, პოემას, მოთხრობას, ზღაპარს, იგავს, დავალებას, სახელმძღვანელოს, წიგნს, აკვანს, გულს, ფრინველს.

3. მოწაფეები აკეთებენ დავალებას უშეცდომოდ. შენ კარგად წერ ლექსებს. თინა თარგმნის მოთხრობებს, პოემებსა და ანდაზებს. კითხულობ ქართულად წიგნებს, ზღაპრებსა და იგავებს? სწავლობენ ბავშვები ანდაზებსა და გამოთქმებს? რა საგნებს სწავლობენ ისინი? მასწავლებელი აძლევს მოწაფეებს წერილობით დავალებას. მე არ ვხელმძღვანელობ ლიტერატურულ წრეს. სწავლობ გრამატიკის წესებს, ზეპირად?

4. მოწაფეები აკეთებენ სავარჯიშოებს (თარგმანებს). გერმანელები სწავლობენ გერმანულ ენასა და ლიტერატურას. ვინ თარგმნის ანდაზებს? კითხულობ (წერ და ლაპარაკობ) შენ უშეცდომოდ ქართულად? მე ვასწორებ ჩემს შეცდომებს.

VIII. Stunde, Seite 39

1. Subjektive Reihe:

ვასწავლი, ვეხმარები, ვაქებ, ვწერ, ვესალმები, ვთხოვ, ველაპარაკები, ვემალები

ასწავლი, ეხმარები, აქებ, წერ, ესალმები, სთხოვ, ელაპარაკები, ემალები

ასწავლის, ეხმარება, აქებს, წერს, ესალმება, სთხოვს, ელაპარაკება, ემალება

ვასწავლით, ვეხმარებით, ვაქებთ, ვწერთ, ვესალმებით, ვთხოვთ, ველაპარაკებით, ვემალებით

ასწავლით, ეხმარებით, აქებთ, წერთ, ესალმებით, სთხოვთ, ელაპარაკებით, ემალებით

ასწავლიან, ეხმარებიან, აქებენ, წერენ, ესალმებიან, სთხოვენ, ელაპარაკებიან, ემალებიან

მასწავლის, მეხმარება, მაქებს, მწერს, მესალმება, მთხოვს, მელაპარაკება, მემალება

2. Objektive Reihe

გასწავლის, გეხმარება, გაქებს, გწერს, გესალმება, გთხოვს, გელაპარაკება, გემალება

ასწავლის, ეხმარება, აქებს, სწერს, ესალმება, სთხოვს, ელაპარაკება, ემალება

გვასწავლის, გვეხმარება, გვაქებს, გვწერს, გვთხოვს, გვესალმება, გველაპარაკება, გვემალება

გასწავლით, გეხმარებათ, გაქებთ, გწერთ, გთხოვთ, გესალმებათ, გელაპარაკებათ, გემალებათ

ასწავლის, ეხმარება, აქებს, სწერს, ესალმება, სთხოვს, ელაპარაკება, ემალება

2. უცხოელი გვასწავლის ჩვენ ქართულ ენასა და ლიტერატურას. ვინ გეხმარება შენ? ჩვენ გვეხმარებიან ჩემი მშობლები. თქვენ ჩვენ გერმანულს გვასწავლით? დიახ, მე გერმანულს გასწავლით თქვენ. მასწავლებელი თქვენ გაქებთ? არა. მასწავლებელი ჩვენ არ გვაქებს. ჩვენ ცუდად ვსწავლობთ ქართულს. მშობლებს ხშირად წერთ წერილებს? არა, მე მშობლებს იშვიათად ვწერ წერილებს. მეგობრები შენ წერილებს იშვიათად გწერენ? არა, ისინი ხშირად მწერენ წერილებს. ის გვაძლევს დავალებას. ისინი გაქებენ შენ (თქვენ). ვინ აქებს მას (მათ)?

3. რას გასწავლით ჩემი მეგობარი? ის ქართულს მასწავლის. მასწავლებელი შენ გაქებს (თქვენ გაქებთ; მას, მათ აქებს; დიახ, მასწავლებელი მე მაქებს (ჩვენ გვაქებს; მას, მათ აქებს). შენი მეგობრები შენ (თქვენ) გეხმარებიან (მას, მათ ეხმარებიან)? დიახ, ისინი მე მეხმარებიან (ჩვენ გვეხმარებიან).

IX. Stunde, Seite 43

2. თქვენ როდის მუშაობთ? მე ვმუშაობ დილით (ღამით, სამშაბათობით, საღამოს). თქვენ რითი წერთ? ჩვენ ფანქრით ვწერთ. რა პროფესიის ხართ? მე პროფესიით ექიმი ვარ. სამუშაოზე (უნივერსიტეტში) რითი მიემგზავრებით, ავტობუსით თუ მეტროთი? შენი ფულით რას ყიდულობ? ბავშვი უკვე კოვზით ჭამს. კვირაობით ქალაქგარეთ მივდივართ. ჩემი მეგობრები ჩემთან არიან.

X. Stunde, Seite 49, 50

2. ამერკავკასიაში (D;). შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა (D.). ღაღესტნისაგან (G.). მთებიდან (Instr.). სამხრეთისაკენ (G.). ქართლსა და იმერეთს შუა (D.). რიყოთის გადასასვლელზე (D.). საქართველოში (D.). დიდ ნაწილში (D.). მთიანეთში (D.). მთელი წლის განმავლობაში (D.). ბზიფის ახუზში (D.). მსოფლიოში (D.). საპორტო ქალაქებიდან (Instr.).

3. ყოველწლიურად საქართველოში ბევრი ტურისტი ჩამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ჩემი სოფელი მდინარის ნაპირზე მდებარეობს. ზაფხულს მე ჩემს ბიძასთან ვატარებ. ლამაზი ყვავილები იზრდება ამ ველზე? რა იცი საქართველოს შესახებ? მოსწავლე დაფის წინ დგას. მე ხშირად მომდის წერილები ჩემი გერმანელი მეგობრებისაგან ბერლინიდან. შემოდგომაზე ჩიტები მიფრინავენ სამხრეთისაკენ. ძლიერი წვიმის გამო დღეს მე მასწავლებელთან ვერ მივდივარ. თბილისი ყველაზე დიდი ქალაქია საქართველოში. მას აქვს საჩუქარი შენთვის. მე არ მიმიღია წერილი შენგან. ვისთან მიდიხარ? ამ ლექსის გარდა კიდევ ვისი ლექსი იცი?

4. ავადმყოფობის გამო ის სახლში რჩება. სკოლის შემდეგ ჩემს ბიძასთან მივდივარ. ის ლომივით ღონიერია. ჩვენს ქალაქში ბევრი სტუმარია ბერლინიდან. მერხზე წიგნები და რვეულები დევს. როიალსა და ფანჯარას შორის სავარძელი დგას. მე შენს მშობლებთან ვსაუბრობ. როდის მოვა ის შენთან? ჩვენ კონცერტზე მივდივართ. მე ჩემს ნათესავთან ვცხოვრობ. ეს ყვავილები შენთვისაა. ჩვენ აღმოსავლეთში მივემგზავრებით. მასწავლებელი ჩვენ რიწის ტბის შესახებ გვიამბობს. ბაღის წინ ბევრი ბავშვი თამაშობს.

XI. Stunde, Seite 54, 55

1. მოვდივარ, მოვცურავ, გადავდივარ, დავრბივარ, მივფრინავ, გავდივარ. ავდივარ, ჩავდივარ

   მოდიხარ, მოცურავ, გადადიხარ, დარბიხარ, მიფრინავ, გადიხარ, ადიხარ, ჩადიხარ

   მოდის, მოცურავს, გადადის, დარბის, მიფრინავს, გადის, ადის, ჩადის

   მოვდივართ, მოვცურავთ, გადავდივართ, დავრბივართ, მივფრინავთ, გავდივართ, ავდივართ, ჩავდივართ

   მოდიხართ, მოცურავთ, გადადიხართ, დარბიხართ, მიფრინავთ, გადიხართ, ადიხართ, ჩადიხართ

   მოდიან, მოცურავენ, გადადიან, დარბიან, მიფრინავენ, გადიან, ადიან, ჩადიან

2. რვეული დევს მაგიდაზე. გოგონა წევს ლოგინში. წიგნები და რვეულები დევს ჩანთაში. სად წვანან ბავშვები? ძაღლი წევს მაგიდის ქვეშ. ჩემი მშობლები ამ ოთახში წვანან. სად წევხარ შენ? უკვე გვიანაა, რატომ არ წვებით? ჰურჰელი კარადაში დევს. ჩვენ ხშირად ვწევართ ამ ტახტზე.

3. სად სხედან შენი მშობლები? შენ აქ ზიხარ? შენ ზიხარ ჩემ

გვერდით. რატომ ზიხარ უკან? ჩვენ აქ არ ვსხედვართ. მე ხშირად ვზივარ საათობით ჩემს ოთახში. აქ ვინ ზის? თქვენ აქ სხედხართ?

5. როდის გადადიხარ ახალ ბინაში? ის ჩადის ავტობუსიდან. ჩიტები დაფრინავენ მაღლა ჰაერში. ჩვენი ექიმი ადის კიბეზე. მოხუცი კაცი გადადის ქუჩაზე. რატომ არ გადიხარ გარეთ? თქვენ არ მოდიხართ? მზე ადრე ამოდის და გვიან ჩადის. არ წამოხვალ კინოში? თქვენ რომელ კლასში გადადიხართ? ბავშვები ჩვენკენ არ მორბიან? როდის ჩამოდიხარ შენ სოფლიდან? ტურისტები ადიან კლდეებზე და გორაკებზე. მე ხშირად გავდივარ აუდიტორიიდან. ჩვენ ყველა ჩავდივართ ეზოში. ბავშვი გადმორბის ქუჩაზე. ჩვენ ხშირად ჩამოვდივართ თბილისში. ზარია. მე გარეთ გავდივარ.

6. გაკვეთილების შემდეგ შენს მეგობართან მიდიხარ? მუშაობის შემდეგ კინოში მივდივართ. ხვალ ტყეში მივდივართ. ყოველ დილით ისინი ბიბლიოთეკაში მიდიან. საით გარბიხარ? ჩვენ ხშირად ავდივართ კლდეზე. მე ჩავრბივარ კიბეზე, ის ამოდის. ისინი ოთახში შემოდიან. ძაღლი მორბის. მე აქ ვწევარ. ყოველ დილით ჩვენ სამუშაოზე მივიჩქარით. ბავშვი ადის ხეზე. ბაღში მოხუცები და ბავშვები სხედან. ჩიტი ჰაერში ადის. ჩემი მასწავლებელი ოთახში შემოდის. ჩვენი კატა აქეთ-იქით დარბის. შენ სხვა თემაზე გადადიხარ. ისინი ქუჩაზე გადადიან. ჩვენ რვა საათზე ვვახშმობთ.

XII. Stunde, Seite 61, 62

1. ვიქნები, ავალ, გავატარებ, ვიწვები, მექნება, ავიღებ, დავრჩები, ვიტყვი

იქნები, ახვალ, გაატარებ, იწვები, გექნება, აიღებ, დარჩები, იტყვი

იქნება, ავა, გაატარებს, იწვება, ექნება, აიღებს, დარჩება, იტყვის

ვიქნებით, ავალთ, გავატარებთ, ვიწვებით, გვექნება, ავიღებთ, დავრჩებით, ვიტყვით

იქნებით, ახვალთ, გაატარებთ, იწვებით, გექნებათ, აიღებთ, დარჩებით, იტყვით

იქნებიან, ავლენ, გაატარებენ, იწვებიან, ექნებათ, აიღებენ, დარჩებიან, იტყვიან

ვეტყვი, ავიღებ, მერქმევა, დავათვალიერებ, ვიცხოვრებ, მეყოლება, გავემგზავრები

ეტყვი, აიღებ, გერქმევა, დაათვალიერებ, იცხოვრებ, გეყოლება, გაემგზავრები

ეტყვის, აიღებს, ერქმევა, დაათვალიერებს, იცხოვრებს, ეყოლება, გაემგზავრება

ვეტყვით, ავიღებთ, გვერქმევა, დავათვალიერებთ, ვიცხოვრებთ, გვეყოლება, გაემგზავრებით

ეტყვით, აიღებთ, გერქმევათ, დაათვალიერებთ, იცხოვრებთ, გეყოლებათ, გაემგზავრებით

ეტყვის, აიღებს, ერქმევათ, დაათვალიერებენ, იცხოვრებენ, ეყოლებათ, გაემგზავრებიან

მივცემ, მოვუსმენ, წავალ, დავისვენებ, მოვძებნი, დავემშვიდობები, ვიჯდები, გავიქცევი, ვიდგები

მისცემ, მოუსმენ, წახვალ, დაისვენებ, მოძებნი, დაემშვიდობები, იჯდები, გაიქცევი, იდგები

მისცემს, მოუსმენს, წავა, დაისვენებს, მოძებნის. დაემშვიდობება, იჯდება, გაიქცევა, იდგება

მივცემთ, მოვუსმენთ, წავალთ, დავისვენებთ, მოვძებნით, დავემშვიდობებით, ვიჯდებით, გავიქცევით, ვიდგებით

მისცემთ, მოუსმენთ, წახვალთ, დაისვენებთ, მოძებნით, დაემშვიდობებით, იჯდებით, გაიქცევით, იდგებით

მისცემენ, მოუსმენენ, წავლენ, დაისვენებენ, მოძებნიან, დაემშვიდობებიან, იჯდებიან, გაიქცევიან, იდგებიან.

2. ჩვენ შვებულება აგვისტოში გვექნება. ამ ზაფხულს გერმანიაში გავატარებ. მე ვივლი კურსებზე. ისინი დაწერენ, ისწავლიან, ილაპარაკებენ გერმანულად. დაათვალიერებთ მუზეუმებსა და ტაძრებს? ივლი კინოებსა და თეატრებში? ჩვენ ზაფხულში არსად არ წავალთ და ქალაქში დავრჩებით. ზაფხულს ჩემი შვილები ბაკურიანში ან სვანეთში გაატარებენ. დღეს ბავშვი ადრე დაწვება. ვინ გააკეთებს დავალებას? ვის დაეხმარები შენ? მე ამ ტექსტს ვერ გადავთარგმნი. თქვენ შეცდომებს გაასწორებთ. ვინ უხელმძღვანელებს დელეგაციას? მასწავლებელი დავალებას მოგვცემს.

3. ისინი აქ სხედან. ჩემი მეგობარი ზაფხულში არ არის ქალაქში. ჩვენ ზღვაზე ვისვენებთ. ბავშვები დღეს სკოლაში მიდიან. თქვენ ზეპირად იცით გიორგი ქუჩიშვილის ლექსი „ჩემი მხარე“. თქვენი ნაცნობი საქართველოდან მოწვევას გიგზავნით? მე ამ ფილმს არ ვუყურებ. ვინ ამბობს სიმართლეს? ის შენ რაღაცას გეუბნება. მას ახალი მანქანა აქვს. ბებია საავადმყოფოში წვება. ის მე ქართული ენის თვითმასწავლებელს მაძლევს. ბავშვები ტყეში კენკრას ეძებენ. შენ რომელ რიგში ზიხარ? ისინი ჩვენ გვერდით სხედან. მამა დილით ადრე დგება. მე ჩქარა ვერ მივრბივარ.

5. მე ჩემს შვებულებას სოფელში გავატარებ. სამ საათზე კლუბში ვიქნები. იქ ვინ დაჯდება (დადგება, დაწვება)? ბაზარში როდის წახვალ? ხვალ ქართულ სახელმძღვანელოს მომცემ? რა ერქ-

მევა შენს ვაჟს? სამ დღეს თბილისში გავატარებ, შემდეგ რამდენიმე დღით ზღვაზე წავალ. რასაკვირველია, ქართულად ბევრს დავწერ, წავიკითხავ და ვილაპარაკებ. საღამოობით ვიელი კინოებსა და თეატრებში.

XIII. Stunde, Seite 66

1. ოცდახუთი. ოცდაცხრამეტი. ორმოცდათხუთმეტი. ცხრამეტი. რვაას რვა. თერთმეტი. ას ერთი. ას ოცდასამი. ას ორმოცდაცამეტი. ექვსას სამოცდაჩვიდმეტი. რვაას სამოცდაცხრამეტი. ცხრაას ოთხმოცდათერთმეტი. ას ოცდაერთი ათას შვიდი. ოთხი ათას ოთხას თხუთმეტი. ოცდახუთი ათას ექვსას ორმოცდათხუთმეტი. სამას ექვსი ათას ოთხმოცდასამი. ორმოცდათხუთმეტი ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი. ცამეტი ათასი. ხუთი. ცხრა. ერთი. სამი. შვიდი. რვა. ექვსი.

3. რამდენი შვილი გყავთ? მე ხუთი შვილი მყავს: ორი ვაჟი და სამი ქალი. ჩემს მეგობარს ათი ათასი წიგნი აქვს. ორ კვირაში ჩვენი სტუმრები ჩამოვლენ. მე ჩემი მოსწავლეებისათვის რამდენიმე სახელმძღვანელო მჭირდება. ბევრ მოსწავლეს წიგნი არა აქვს. აგვისტოში ბევრი ხილი და ბოსტნეული ია. ორივე ძმა ხელოვანია. ისინი და-ძმა არიან. კინოში ორნი წავალთ. მე ხვალისთვის სამ ქართულ ლექსს ვსწავლობ. თბილისში ექვს თვეს გავატარებთ. ის ბევრ მუზეუმს დაათვალიერებს. ზოგი ტურისტი ქუთაისში წავა. ჩვენთან სტუმრები ყველა ქვეყნიდან ჩამოდიან.

XIV. Stunde, Seite 69

1. Der wievielte ist heute? Heute ist der 20. Mai. Alexander Tschawtschawadse wurde 1786 geboren und ist am 6. Nowember 1846 gestorben. Grigol Orbeliani wurde 1804 geboren und ist am 21. März 1883 gestorben. Nikolos Baratha schwili wurde am 27. Dezember 1817 geboren und ist am 21. Oktober 1845 gestorben. Am 2. März ist mein Geburtstag, mein Namenstag ist aber am 14. Januar. Wann findet die Vorlesung in der georgischen Sprache statt? Es ist 5 Minuten vor 11. Es ist 5 Minuten nach 10. Es ist 15 Minuten vor 9. Es ist 15 Minuten nach 8. Es ist 20 Minuten nach 7. Es ist 20 Minuten vor 8. Es ist 25 Minuten nach 9. Es ist 25 Minuten vor 10. Es ist halb 5. Es ist Punkt 6. Es ist 14 Uhr 8 Minuten. Um wieviel Uhr beginnt der Unterricht? Um halb 9. Um 10 Minuten nach 9. Um 18 Uhr 20 Minuten. Um 22 Uhr 45 Minuten. Um 25 Minuten vor 11. Punkt 9. Meine Uhr geht 10 Minuten vor (nach).

2. რა რიცხვია დღეს (ხვალ, ზეგ)? როდის არის შენი დაბადების დღე? ჩემი დაბადების დღე არის პირველ სექტემბერს. გამოცდა შედგება თერთმეტ იანვარს. რომელი საათია? სამი საათია. თორმეტის ნახევარია. პირველს ჩვიდმეტი წუთი აკლია. ორის თხუთმეტი წუთია. ცხრამეტი საათი და ორმოცდაშვიდი წუთია. რომელ საათზე? სრულ ექვსზე. რვის ნახევარზე. შვიდს რომ ათი წუთი დააკლდება. პირველის ოცდახუთ წუთზე. ოცდასამ საათზე და სამ წუთზე. ჩემი საათი გაჩერებულია, ის გაფუჭებულია. შენი საათი ხუთი წუთით წინაა (უკანაა). მე ჩემს საათს რეგულარულად არ ემართავ. პირველი (თერთმეტი, ხუთი, ექვსი) საათია. თერთმეტის ნახევარია. რვის სამი წუთია. რამდენი წლისაა თქვენი და-ძმა? ჩემი ძმა თორმეტი წლისაა, ჩემი და მალე გახდება შვიდი წლის. როდის არის თქვენი სახელობის დღე? ჩემი სახელობის დღე არის თოთხმეტ იანვარს. როდის დაიბადეთ? მე დავიბადე 1945 წლის 22 აგვისტოს. როდის დაიბადა გოეთე? როდის გარდაიცვალა გოეთე? როდის იწყება სწავლა?

XV. Stunde, Seite 74

1. მეხუთე. მეათე. პირველი. მეთორმეტე. მეჩვიდმეტე. ოცდამესამე. ოცდამეექვსე. მესამე. ოცდამეოთხმეტე. ხუთას მეთექვსმეტე. რვა-ნახევარი. სამი მთელი და სამი მეოთხედი. ერთ-ნახევარი. ხუთი ოცდამეხუთედი. შვიდი მეცხრედი. რვა მთელი და ოთხი მეხუთედი.

3. ჩემი მეგობარი მუშაობს მასწავლებლად. ჩვენ არ ვხმარობთ ამ ტახტს საწოლად. თქვენ ცუდად ლაპარაკობთ ქართულად. ვინ არის თქვენთან სტუმრად? მე შენ მეზობლად არ ვცხოვრობ. ჩემი მოსწავლეები კარგად კითხულობენ და წერენ გერმანულად.

4. თქვენ ცუდად ლაპარაკობთ ქართულად. ჩემი მეგობარი მუშაობს ქართული ენის მასწავლებლად. ჩვენ ხშირად (იშვიათად) დავდივართ სტუმრად. როდის იწყება მეორე (მესამე, მეოთხე, მეხუთე) გაკვეთილი? ქალაქიდან ჩემს სოფლამდე კილომეტრნახევარია. მე გაგაცილებ ბაღამდე. გაჩერებამდე ჩვენ ფეხით მივდივართ. მე შენთან ზეგამდე დავრჩები. ის კარგ სპეციალისტად ითვლება. მამაჩემი აქ მებაღედ მუშაობს. ჩვენ ვცხოვრობთ მეოცე საუკუნეში.

XVI. Stunde, Seite 83, 84

1. შეეცდი, შეეჩვიე, გავიზარდე, დამაინტერესა, ვილაპარაკე. წავიკითხე

შეცდი, შეეჩვიე, გაიზარდე, დაგაინტერესა, ილაპარაკე. წაიკითხე

შეცდა, შეეჩვია, გაიზარდა, დააინტერესა, ილაპარაკა, წაიკითხა
შევცდით, შეეჩვიეთ, გავიზარდეთ, დაგვაინტერესა, ვილაპარაკეთ, წავიკითხეთ
შეცდით, შეეჩვიეთ, გაიზარდეთ, დაგაინტერესათ, ილაპარაკეთ, წაიკითხეთ
შეცდნენ, შეეჩვივნენ, გაიზარდნენ, დააინტერესათ, ილაპარაკეს, წაიკითხეს

ვიყავი, ვიცხოვრე, ვიგრძენი, დავიბადე, ვეზიარე, დაიწყე
იყავი, იცხოვრე, იგრძენი, დაიბადე, ეზიარე. დაიწყე
იყო, იცხოვრა, იგრძნო, დაიბადა, ეზიარა, დაიწყო
ვიყავით, ვიცხოვრეთ, ვიგრძენით, დავიბადეთ, ვეზიარეთ, დავიწყეთ
იყავით, იცხოვრეთ, იგრძენით, დაიბადეთ, ეზიარეთ, დაიწყეთ
იყვნენ, იცხოვრეს, იგრძნეს, დაიბადნენ, ეზიარნენ, დაიწყეს.

3. სტუდენტებმა ბევრი ქართული ლექსი ზეპირად იციან. მასწავლებელმა წაგვიკითხა ლეგენდა სვეტიცხოველზე. ტურისტები ათვალიერებენ ქალაქს და მის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ჩემმა მეგობარმა დამპატიჟა და მიმიწვია მე საქართველოში. ჩემმა მშობლებმა კარგად იციან ქართული ენა. ჩემი ნათესავები და ახლობლები საქართველოში ცხოვრობენ. ჩვენ სტუდენტები რამდენჯერმე იყვნენ გერმანიაში.

4. მე დავიბადე 1953 წლის 23 თებერვალს ბერლინში. მე მივიღე მოწვევა ჩემი მეგობრისაგან. ჩემმა მოსწავლეებმა იციან გოეთეს ბევრი ლექსი. ჩვენმა მასწავლებელმა გვიამბო ბევრი რამ საინტერესო გერმანიის შესახებ. ამ ბავშვებმა გერმანული სკოლაში ისწავლეს. ვინ დაწერა ეს ლექსი? მათ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. მე შევცდი. V საუკუნემდე საქართველოს დედაქალაქი იყო მცხეთა. V საუკუნეში საქართველოს დედაქალაქი გახდა თბილისი. გააკეთე (შეასრულე, დაწერე) შენ გუშინ დავალება?

XVII. Stunde, Seite 89

1. ვიყიდოთ! იყიდე! იყიდოს! იყიდონ! ნუ ვიყიდით! ნუ იყიდი! ნუ იყიდით! ნუ იყიდის! ნუ იყიდიან! არ ვიყიდოთ![1] არ იყიდო! არ იყიდოთ! არ იყიდოს! არ იყიდონ!

ვისწავლოთ! ისწავლე! ისწავლეთ! ისწავლოს! ისწავლონ! ნუ ვისწავლით! ნუ ისწავლი! ნუ ისწავლით! ნუ ისწავლის! ნუ ისწავლიან!

[1] s. die Seite 130.

დავიკარგოთ! დაიკარგე! დაიკარგეთ! დაიკარგოს! დაიკარგონ! ნუ დავიკარგებით! ნუ დაიკარგები! ნუ დაიკარგებით! ნუ დაიკარგებაა! ნუ დაიკარგებიან! არ დავიკარგოთ! არ დაიკარგო! არ დაიკარგოთ! არ დაიკარგოს! არ დაიკარგონ!

მივულოცოთ! მიულოცე! მიულოცეთ! მიულოცოს! მიულოცონ! ნუ მივულოცავთ! ნუ მიულოცავ! ნუ მიულოცავთ! ნუ მიულოცავს! ნუ მიულოცავენ! არ მივულოცოთ! არ მიულოცო! არ მიულოცოთ! არ მიულოცოს! არ მიულოცონ!

დავპატიჟოთ! დაპატიჟე! დაპატიჟეთ! დაპატიჟოს! დაპატიჟონ! ნუ დავპატიჟებთ! ნუ დაპატიჟებ! ნუ დაპატიჟებთ! ნუ დაპატიჟებს! ნუ დაპატიჟებენ! არ დავპატიჟოთ! არ დაპატიჟო! არ დაპატიჟოთ! არ დაპატიჟოს! არ დაპატიჟონ!

ავიღოთ! აიღე! აიღეთ! აიღოს! აიღონ! ნუ ავიღებთ! ნუ აიღებ! ნუ აიღებთ! ნუ აიღებს! ნუ აიღებენ! არ ავიღოთ! არ აიღო! არ აიღოთ! არ აიღოს! არ აიღონ!

გადავაფაროთ! გადააფარე! გადააფარეთ! გადააფაროს! გადააფარონ! ნუ გადავაფარებთ! ნუ გადააფარებ! ნუ გადააფარებთ! ნუ გადააფასებს! ნუ გადააფარებენ! არ გადავაფაროთ! არ გადააფარო! არ გადააფაროთ! არ გადააფაროს! არ გადააფარონ!

გავშალოთ! გაშალე! გაშალეთ! გაშალოს! გაშალონ! სუ გავშლით! ნუ გაშლი! ნუ გაშლით! ნუ გაშლის! ნუ გაშლიან! არ გავშალოთ! არ გაშალო! არ გაშალოთ! არ გაშალოს! არ გაშალონ!

დავდგეთ! დადექი! დადექით! დადგეს! დადგნენ! ნუ დავდგებით! ნუ დადგები! ნუ დადგებით! ნუ დადგება! ნუ დადგებიან! არ დავდგეთ! არ დადგე! არ დადგეთ! არ დადგეს! არ დადგნენ!

წაბრძანდი! წაბრძანდით! წაბრძანდეს! წაბრძანდნენ! ნუ წაბრძანდები! ნუ წაბრძანდებით! ნუ წაბრძანდება! ნუ წაბრძანდებიან! არ წაბრძანდე! არ წაბრძანდეთ! არ წაბრძანდეს! აარ წაბრძანდნენ!

დავალაგოთ! დაალაგე! დაალაგეთ! დაალაგოს! დაალაგონ! ნუ დავალაგებთ! ნუ დაალაგებ! ნუ დაალაგებთ! ნუ დაალაგებს! ნუ დაალაგებენ! არ დავალაგოთ! არ დაალაგო! არ დაალაგოთ! არ დაალაგოს! არ დაალაგონ!

დავუკრათ! დაუკარი! დაუკარით! დაუკრას! დაუკრან! ნუ დავუკრავთ! ნუ დაუკრავ! ნუ დაუკრავთ! ნუ დაუკრავს! ნუ დაუკრავენ! არ დავუკრათ! არ დაუკრა! არ დაუკრათ! არ დაუკრას! არ დაუკრან!

ვიმღეროთ! იმღერე! იმღერეთ! იმღეროს! იმღერონ! ნუ ვიმღერებთ! ნუ იმღერებ! ნუ იმღერებთ! ნუ იმღერებს! ნუ იმღერებენ! არ ვიმღეროთ! არ იმღერო! არ იმღეროთ! არ იმღეროს! არ იმღერონ!

შევთავაზოთ! შესთავაზე! შესთავაზეთ! შესთავაზოს! შესთავაზონ! ნუ შევთავაზებთ! ნუ შესთავაზებ! ნუ შესთავაზებთ! ნუ შესთავაზებს! ნუ შესთავაზებენ!

2. შენ შეცდომებით წერ. წერე უშეცდომოდ! ნუ წერ შეცდომებით! თქვენ ცუდად მღერით. იმღერეთ სწორად და კარგად! ცუდად ნუ მღერით! თქვენ თარგმნით ქართულ ლექსებს? თარგმნეთ ქართული ლექსები! თქვენ ცოტას მუშაობთ. ნუ მუშაობთ ცოტას! იმუშავეთ ბევრი! შენ მიდიხარ კინოში? ნუ წახვალ კინოში! წადი შინ! შენ ცოტას კითხულობ. იკითხე ბევრი! ნუ კითხულობ ცოტას! თქვენ ხმამაღლა ლაპარაკობთ. ნუ ლაპარაკობთ ხმამაღლა! ილაპარაკეთ ხმადაბლა! თქვენ არ ლაპარაკობთ ერთმანეთთან ქართულად. ილაპარაკეთ ერთმანეთთან ქართულად! თქვენ არ ეხმარებით თქვენს მშობლებს. მიეხმარეთ თქვენს მშობლებს! შენ გვიან დგები. ნუ დგები გვიან! ადექი ადრე! შენ ზარმაცი ხარ. ნუ ხარ ზარმაცი! იყავი ბეჯითი!

3. ადექით! გოგი, წადი შინ! ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ! მოდი ჩქარა! ბევრი იკითხე გერმანულად! ქალბატონო თინა, მოეხმარეთ, თუ შეიძლება! იყავი ბეჯითი! ტყუილს ნუ ამბობ (ნუ ცრუობ)! დაჯექი! დაბრძანდით! წავიდეთ კინოში! გაასწორე შენი შეცდომები! ნელა ჰამე და სვი! ნუ რეკავ, ისინი შინ არ არიან!

XVIII. Stunde, Seite 93

1. ვღელავდი, ვეკითხებოდი, მქონდა, ვათვალიერებდი, ვხვდებოდი, ვსეირნობდი

ღელავდი, ეკითხებოდი, გქონდა, ათვალიერებდი, ხვდებოდი, სეირნობდი

ღელავდა, ეკითხებოდა, ჰქონდა, ათვალიერებდა, ხვდებოდა, სეირნობდა

ვღელავდით, ვეკითხებოდით, გვქონდა, ვათვალიერებდით, ვხვდებოდით, ვსეირნობდით

ღელავდით, ეკითხებოდით, გქონდათ, ათვალიერებდით, ხვდებოდით, სეირნობდით

ღელავდნენ, ეკითხებოდნენ, ჰქონდათ, ათვალიერებდნენ, ხვდებოდნენ, სეირნობდნენ

მივყვებოდი, ვუსმენდი, ვუკრავდი, ვბრუნდებოდი, ვადევნებდი, ვიხდიდი

მიჰყვებოდი, უსმენდი, უკრავდი, ბრუნდებოდი, ადევნებდი, იხდიდი

მიჰყვებოდა, უსმენდა, უკრავდა, ბრუნდებოდა, ადევნებდა, იხდიდა
მივყვებოდით, ვუსმენდით, ვუკრავდით, ვბრუნდებოდით, ვადევნებდით, ვიხდიდით
მიჰყვებოდით, უსმენდით, უკრავდით, ბრუნდებოდით, ადევნებდით, იხდიდით
მიჰყვებოდნენ, უსმენდნენ, უკრავდნენ, ბრუნდებოდნენ, ადევნებდნენ, იხდიდნენ

ვიძენდი, ვჩერდებოდი
იძენდი, ჩერდებოდი
იძენდა, ჩერდებოდა
ვიძენდით, ვჩერდებოდით
იძენდით, ჩერდებოდით
იძენდნენ, ჩერდებოდნენ

2. ჩვენ ვიხდიდით პალტოს. ეთერის პარტიას ასრულებდა ცნობილი ქართველი მსახიობი. ორკესტრში ინსტრუმენტებს აწყობდნენ. ამ ოპერას ძალიან აქებდნენ. თქვენ რომელ სპექტაკლში თამაშობდით? როგორი მუსიკა გიყვარდათ? რა გადიოდა დღეს კინოში? ვინ დირიჟორობდა ამ ოპერას?

3. Perfektive Verben:

ვიყავი, შევიძინეთ, შეეცდით, გავიხადეთ, მივაშურეთ, მკითხა, დაირეკა, ჩაქრა, ჩამოვარდა, იკითხა, დაბძანდით, იყო, ავიდა, იგრიალა, დამთავრდა, ჩაიარა, შეჩერდა, მოგვბეზრდება, მოვუსმინეთ.

Imperfektive Verben:

გადიოდა, ვღელავდი, დავდივართ, ირეოდა, გაქვთ, გვეკითხებოდნენ, გვქონდა, ვათვალიერებდით, თამაშობს, დირიჟორობს, ივსებოდა, ისმოდა, ესალმებოდნენ, ვსეირნობდით, მიჰყვებოდა, ვუსმენდით, უკრავდნენ, ვბრუნდებოდით, ვუზიარებდით.

5. რამდენიმე დღის წინ თეატრში პრემიერაზე ვიყავით. თეატრის წინ ბევრი ხალხი ირეოდა. ყველა ბილეთი გაყიდული იყო. მე მარტო ვიჯექი ჩემს ადგილზე და პროგრამას ვათვალიერებდი. გუშინ ჩემი მეგობარი პირველად დირიჟორობდა და მე ვღელავდი. მოგისმენიათ ქართული ოპერა? ჯერ არა. ვინ მღეროდა გუშინ მთავარ პარტიას? მე არ ვიცი. მე გუშინ თეატრში არ ვყოფილვარ.

XIX. Stunde, Seite 102

3. მასწავლებელი ეხმარება თავის მოსწავლეებს. მამას თავისი შვილები და მათი მეგობრები ცირკში მიჰყავს. ყველას უყვარს თა-

ვისი სამშობლო. მე ვეხმარები ჩემს ვაჟს და მის ამხანაგებს. გუშინ ვინახულე ჩემი გერმანელი მეგობარი და მისი მშობლები. მთაწმინდიდან ვხედავ მე ჩემს თბილისს, მის ქუჩებსა და სახლებს. დედამ უყიდა თავის ვაჟიშვილს წითელი ბურთი, ხოლო მის ამხანაგს — ლამაზი დედოფალა. ესენი თქვენი მოსწავლეები და მათი მშობლები არიან? ეს ჩემი მეგობრის წერილია, მე მის ხელწერას კარგად ვცნობ.

4. ამ მაღაზიაში მე თეთრ პურს ვყიდულობ. ჩემი მეგობარი სვამს შავ ყავას. ეს დიდი ოთახი ჩვენი სასტუმრო ოთახია. დედაჩემს აქვს ოქროს საათი. ჩემი მეგობარი და მისი მეუღლე ჩვენთან ხშირად დადიან. მე ეს მშვენიერი (ლამაზი) საჩუქარი შენთვისა მაქვს. ის აქებს თავის მოსწავლეებს. შენი ბიძა და მისი ცოლი ჩვენთან არიან.

XX. Stunde, Seite 107

1. Ich habe für meine Freunde Geschenke zum Neuen Jahr ausgewählt. Der Lehrer hat dem Schüler ein interessantes Buch gekauft. Komm zu mir, ich wasche dir das Gesicht, kämme dir das Haar und ziehe dir das neue Kleid an. Ich habe (für) Peter Übungen abgeschrieben. Übersetze mir dieses Gedicht! Kaufst du mir dieses Armband? Nein, ich kann es dir nicht kaufen, ich habe kein Geld. Bitte, lege mir diese Bücher in die Tasche! Tu es (lege sie) selbst, ich habe keine Zeit! Hast du (für) Irine Buntstifte und Skizzenheft gebracht? Nein, ich habe es nicht gebracht, Nona hat es ihr gebracht. Was hat dir Theo ins Notizbuch geschrieben? Sie hat mir ihre Adresse aufgeschrieben, ich aber habe ihr meine Adresse aufgeschrieben.

2. დღეს მე ჩემს ბავშვებს თბილად ჩავაცვი. მოდი ჩემთან, მე დაგბან შენ ხელებს და დაგვარცხნი თმას. ჩაულაგე ეს წიგნები მას ჩანთაში! მე ჩემთვის საფულე შევარჩიე. მან ჩაიწერა ჩემი მისამართი. მან შენთვის ეს წიგნები იყიდა.

4. Die neutrale Version:

შემახსენა, დარჩა, გავაკეთოთ, მოვასწრებთ, გვაქვს, გავქანდი, ვაჩუქე, მივართვი, ვასიამოვნო. ვაჩუქო, ვარ, გაახარებს, წავალ, შევათვალიერებ, ხატავს, ავედი. არის, გავბედავ, ჩამოვდივარ. ვათვალიერებ, სჯობს, მოვეთათბირო, გადავწყვიტო.

Die subjektive Version

ვიზრუნოთ, ავირჩიოთ, გავიფიქრე, მოვიგონო, დავინახე, შევიძენ, შემოვიარე, ვიცი.

Die objektive Version:

გვინდა, დაგვიგროვდება, ვუპასუხე, მომითმინა, შევურჩიო, ვუყიდო, მინდა, ვუყიდი.

XXI. Stunde, Seite 110

2. მეცნიერი თავის ასისტენტს ცდას ამეორებინებს. მან ქართული ლექსი მათქმევინა. რედაქტორმა სტატია დაგვაწერინა. დედამ სადილი მოგვამზადებინა. ის დიდხანს გაცდევინებს. დირექტორმა მდივანს სია შეადგენინა.

XXII. Stunde, Seite 116

1. დაბრუნდა, დაღონდა, დაედევნა, მომზადდა, შეძვრა, შეფრინდა, ჩაეფლო, დაერჭო, გამოეღვიძა, შეშინდა, გაქანდა, დაავიწყდა.

2. წერილები სხვადასხვა ქალაქებში გაიგზავნა. მაგიდა ოთხი საათისათვის გაიშალა. ძველი სახლები სულ დაინგრა. სტუდენტი ლიტერატურულ წრეში ჩაეწერა. ჩემი ძმა მზეზე გაშავდა.

3. ჩემი მშობლები ბერდებიან. აქ ახალი სახლი შენდება. აქ ახალი წიგნები იყიდება. ეს ტექსტი ქართულად ითარგმნება. ხეები მწვანდება. ეს პალტო შენთვის იკერება. ატამი უკვე მწიფდება. როდის დაარსდა თქვენი უმაღლესი სასწავლებელი? როდის დაიბადა გოეთე? ეს იჭმევა. ეს წყალი ისმევა. სად იგზავნება ეს წერილები?

XXIII. Stunde, Seite 123

1. Das Mädchen sitzt am Flügel und spielt. Unser Flugzeug fliegt hoch. Heute weht ein Nordwind. Mein Kätzchen miaut viel. In diesem Haus wohnte mein Schulfreund. In diesem neuen Haus werden wir wohnen. Heute wird es regnen. Das Kind weinte viel. Er lag schon im Bett. Es schneit. Wieviel Jahre lang herrschte die Königin Thamar?

2. სმა, ჭამა, ბანაობა, ღიღინი, ცხოვრება, შრომა, ხატვა, ხაზვა, ტირილი, სიმღერა, ცეკვა.

3. ჯეჯილი მწვანედ ბიბინებს. ძაღლი მაგიდის ქვეშ წევს. კატა საწოლზე ზის. თვითმფრინავი ძალიან მაღლა დაფრინავს. ბავშვები ეზოში თამაშობენ და დარბიან. მე კაკუნი მესმის. ჭამის დროს არ ლაპარაკობენ. ხვნა დაიწყეთ? მე კითხვა არ მიჭირს. დღეს ყინავს.

XXIV. Stunde, Seite 125

1. გაატარებდა, მოუმატებდა, გააკეთებდა, ივარჯიშებდა, გამო-

რცვლიდა, ისაუზმებდა, ისეირნებდა, დაისვენებდა, დაიძინებდა, დაწვებოდა, წაიკითხავდა, დაათვალიერებდა, ითამაშებდა.

2. Wenn die Vorlesung zu Ende war, stellten wir dem Professor Fragen. Ins Theater zogen wir immer ein neues Kleid an. Wenn ich meinen Lehrer sah, begrüßte ich ihn schon von weitem. Wenn ich an der Schule vorbeiging, dachte ich an meine Kindheit. Wenn ich deine Briefe bekam, freute ich mich sehr.

3. როცა ჩვენ მასთან მივდიოდით, ის მუდამ ჯადრაკს გვეთამაშებოდა. როცა ჩვენი საზაფხულო არდადეგები იწყებოდა, ჩვენ ჯერ მთებში მივდიოდით, შემდეგ კი — ზღვაზე. როცა დედაჩემის დაბადების დღე იყო ხოლმე, მამას მისთვის მუდამ მშვენიერი ყვავილების თაიგული მოჰქონდა.

XXV. Stunde, Seite 129

1 ვურიგებდე, ვუნაწილებდე, მაკლდებოდეს, მემატებოდეს, ვუკიდებდე
ურიგებდე, უნაწილებდე, გაკლდებოდეს, გემატებოდეს, უკიდებდე
ურიგებდეს, უნაწილებდეს, აკლდებოდეს, ემატებოდეს, უკიდებდეს
ვურიგებდეთ, ვუნაწილებდეთ, გვაკლდებოდეს, გვემატებოდეს, ვუკიდებდეთ
ურიგებდეთ, უნაწილებდეთ, გაკლდებოდეთ, გემატებოდეთ, უკიდებდეთ
ურიგებდნენ, უნაწილებდნენ, აკლდებოდეთ, ემატებოდეთ, უკიდებდნენ
ვიწყებდე, ვაფრთხობდე, ვქრებოდე
იწყებდე, აფრთხობდე, ქრებოდე
იწყებდეს, აფრთხობდეს, ქრებოდეს
ვიწყებდეთ, ვაფრთხობდეთ, ვქრებოდეთ
იწყებდეთ, აფრთხობდეთ, ქრებოდეთ
იწყებდნენ, აფრთხობდნენ, ქრებოდნენ
დავურიგებდე, გავუნაწილებდე, დამაკლდებოდეს, მომემატებოდეს
დაურიგებდე, გაუნაწილებდე, დაგაკლდებოდეს, მოგემატებოდეს
დაურიგებდეს, გაუნაწილებდეს, დააკლდებოდეს, მოემატებოდეს

დავურიგებდეთ, გავუნაწილებდეთ, დაგვაკლდებოდეს, მოგვემატებოდეს

დაურიგებდეთ, გაუნაწილებდეთ, დაგაკლდებოდეთ, მოემატებოდეთ

დაურიგებდნენ, გაუნაწილებდნენ, დააკლდებოდეთ, მოემატებოდეთ

მოვუკიდებდე, დავიწყებდე, დავაფრთხობდე, გავქრებოდე
მოუკიდებდე, დაიწყებდე, დააფრთხობდე, გაქრებოდე
მოუკიდებდეს, დაიწყებდეს, დააფრთხობდეს, გაქრებოდეს
მოვუკიდებდეთ, დავიწყებდეთ, დავაფრთხობდეთ, გავქრებოდეთ
მოუკიდებდეთ, დაიწყებდეთ, დააფრთხობდეთ, გაქრებოდეთ
მოუკიდებდნენ, დაიწყებდნენ, დააფრთხობდნენ, გაქრებოდნენ

2. Wenn ich noch für zwei Tage auf dem Lande bliebe, ginge ich in den Wald Pilze sammeln. Wenn du singen könntest, nähmest du am Konzert teil. Wenn du nicht so viel sprächest, wärest du ein gutes Mädchen. Wenn ich das Fach gut wüßte, so würde ich morgen eine Prüfung (darin) ablegen.

3. შენ რომ კიდევ ერთი ბილეთი გქონდეს, შენთან ერთად წამოვიდოდი თეატრში. ახლა რომ ასე დაკავებული არ ვიყო, ზღვაზე გავემგზავრებოდი სანატორიუმში. მე დავურეკავდი, მისი ნომერი რომ ვიცოდე. რომ არ წვიმდეს, შინ არ ვიჯდებოდი. შენ რომ წერილებს ხშირად მწერდე, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი. მას რომ ბილეთები შინ არ დარჩენოდა, ახლა სოფელში ვიქნებოდით. შენ რომ გიყვარდე. მთელი დღე ჩემთან დარჩებოდი.

XXVI. Stunde, Seite 133

1. ადგეს, დაიბანოს, გაიმეოროს, მოიმზადოს, მოაყოლოს, ნახოს, ასწავლოს, მომცეს, დაიწყოს, მოიქცეს, დაუგდოს (ყური). გამოეპაროს, დახატოს, ამოიღოს, გადაშალოს, იხმაროს, ჩადოს, დაიბადოს, შეწუხდეს, დაბრუნდეს, მოიკლას, მოკვდეს, გაგრძელდეს, განმეორდეს, გაიგოს, დატოვოს, გაჩნდეს.

2. ჩვენ დღეს საკონტროლო წერა უნდა დავწეროთ. ამდენი დრო საიდან უნდა ვიშოვოთ? თქვენ მათ უნდა ელოდოთ. შენ მამაც ხელი არ უნდა შეუშალო. ეს სარეცხი უნდა გაირეცხოს და გაუთავდეს. დამნაშავე შენ ხარ და სხვა უნდა გაწითლდეს? არ დაწვე. ჩვენ ახლავე მოვალთ. დღეს კარგი ამინდია, მოდი, ტყეში წავიდეთ!

3. ის მსუქანია და უნდა გახდეს. ეს პური უნდა დაიჭრას. ჩვენ დღეს საკონტროლო წერა უნდა ვწეროთ. თქვენ ჯერ უნივერსიტეტში სწავლა უნდა დაამთავროთ. როგორი პალტო უნდა იყიდო? დღეს

ცივა, შენ თბილი პალტო უნდა ჩაიცვა. რა უნდა გავაკეთო? საიდან უნდა ვიცოდე? მოდი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები წავიკითხოთ და შემდეგ ზეპირად ვისწავლოთ.

XXVII. Stunde, Seite 138

1. თამრიკო. გივიკო, დედიკო, მამიკო, დაიკო, ძმიკო.

2. Diminutiva: ოთარ-იკო, ჩიტ-უნა; Abstrakta: სი-წითლ-ე, მეგობრ-ობა, არს-ება; Zugehörigkeitssuffixe: სოფლ-ელ-ი, იქა-ურ-ი, აქა-ურ-ი; Berufsaffixe: მე-ბაღ-ე; Zweckbestimmungsaffixe: სა-ქათმ-ე; geografische Benennungen: კახ-ეთ-ი, რუს-ეთ-ი, სა-მშობლ-ო.

4. In Westgeorgien ist es wärmer als im Ostgeorgien. Diese Frau ist Lehrerin. Dieser Satz ist undeutlich (unklar). Sie sind Touristen von Thbilissi. Meine Heimat ist Georgien. Unser Eßzimmer ist größer, als Schlafzimmer. Die Vorlesung war höchst interessant. Sie sprechen georgisch besser als Ihr Brunder. Welches Fach interessiert Sie am meisten?

5. ჩემი უფროსი ძმა ოცი წლისაა. ამ კლდის სიმაღლე 15 მეტრს აღემატება. ეს არის მოწითალო-მოთეთრო ყვავილები. კახეთი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. მას ყვავილებიანი კაბა აცვია. ჩვენ მებაღე კარგი კაცია. ეს წიგნი უაღრესად საინტერესოა. ეს სასარგებლო აღამოჩენაა. დღეს უფრო თბილა. ეს წინადადება ბუნდოვანია. ეს ჩემი უმცროსი ვაჟია.

XXVIII. Stunde, Seite 142

1. მ-ჯამ-ელ-ი, მ-სმ-ელ-ი, მ-ხსნ-ელ-ი, მ-სმენ-ელ-ი, მ-წველავ-ი, მოტან-ილ-ი, გაშლ-ილ-ი, დათოვლ-ილ-ი, შეშინებ-ულ-ი, გადმოფრენ-ილ-ი, გაღვიძებ-ულ-ი, შემოპარ-ულ-ი, გახარებ-ულ-ი, და-სა-კლავ-ი. გა-სა-ხარებ-ელ-ი, და-სა-კომპლექტებ-ელ-ი, წა-სა-კითხ-ი, და-სა-წერ-ი, მ-დგომ-ი, მ-ჯდომ-ი, მო-ციმციმ-ე.

3. Er ist mein Retter. Wir haben viele ausländische Hörer. Das rechtsitzende Mädchen ist meine Schwester. Die blühenden Kirschenbäume sind sehr schön. Ich habe die funkelnden Sterne gern. Wir beobachteten lange die aufgehende Sonne. Er empfing mich mit lächeldem Gesicht. Er sagte mir einige ermunternde Worte. Er öffnete mir die Tür mit zitternden Händen. Das zerbrochene Glas lag auf dem Tisch.

4. ნაყიდი წიგნები მან თავის ჩანთაში ჩადო. ანთებული სანთელი ჩაქრა. გაშლილი წიგნი მაგიდაზე იდო. ჩამავალი მზე ზღვაში

ჩაიძირა. მან კიდევ ერთხელ წაიკითხა დაწერილი წერილი. დათოლილი მიდამო ძალიან ლამაზი იყო. მან შეშინებული თვალებით შემომხედა. ეს მსმენელები სოფლიდან არიან. დავით აღმაშენებელი ძალიან განათლებული კაცი იყო.

XXIX. Stunde, Seite 147

1. ააშენა, დახატა, დაწერა, მოამზადა, მოკლა, დაუკრა, დააბა, დალია, აყვავდა, დაბრუნდა.

2. დღეს დილით ჩემი გოგონა ადრე ამდგარა, თავისი ლოგინი აულაგებია, ფანჯრები გაუღია, ჰაერი გაუწმენდია, ოთახი დაულაგებია, პური მოუტანია, ჩაი და რძე აუდუღებია, სუფრა გაუშლია, შემდეგ უსაუზმია და სკოლაში წასულა. სკოლის შემდეგ ის ჩემ მეუღლეს მაღაზიაში წაუყვანია და ახალი კაბა უყიდია. ეს ლამაზი მიხაკები კი ჩემთვის მოუტანია. ამ პატარა გოგონას რამდენი საქმე გაუკეთებია.

3. Bist du gestern abend bei Lia gewesen? Nein, ich will morgen gehen. Ist dein Bruder aus Berlin gekommen? Nein, er ist noch nicht angekommen. Bist du im Kino gewesen? Nein, ich bin nicht ausgegangen. Ihr Freund soll (muß) gute Gedichte geschrieben haben. Ich habe in diesem Fluß viel gebadet. Wie viele Male habe ich dir das gesagt?

4. მას ეს არ გაუკეთებია. რა ლამაზი ბურთი გიყიდია! მე გუშინ ლექცია არ წამიკითხავს. მე ეს არ გამიკეთებია. მე აქ არასოდეს არ ვყოფილვარ. ჩვენი სახლი ამ ცოტა ხნის წინათ აუღიათ. მას „ერთიანი" მიუღია. მას თხზულება არ დაუწერია. ჩემი ძმა გუშინ ძალიან ცუდად მოქცეულა. პატარებს ოთახში ბურთი უთამაშნიათ. მას ეს არ გაუგია. ყვავილების ეს მშვენიერი თაიგული მას შენთვის უყიდია.

XXX. Stunde, Seite 152

1. ყოფილიყო, აღზრდილიყო, ჰქონოდა, ჰყვარებოდა, ჰყოლოდა, შეშურებოდა. გაეთქვა, დაეფასებინა, გადაეწყვიტა, გამოეგზავნა, შეშინებოდა, ეღალატა, დაეტოვებინა, დასდგომოდა, მოსულიყო, მოეყარა, შეედგინა, დასხმოდა, განეგმირა, გაეწვია, დაემარცხებინა.

XXXI. Stunde, Seite 157, 158

1. ჩვენ ავტობუსს ველოდებით. მოსწავლეს სჭირდება ახალი წიგნები და ლექსიკონი. რა ჰქვია შენს დას? ბავშვებმა ტექსტი გაიმეორეს. ლალიმ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი ზეპირად არ ისწავლა. ბებიამ უამბო თავის შვილიშვილს ზღაპარი. მან უყიდა ჩემს შვილს ახალი კალმისტარი. ის მთელი საღამო უმღეროდა თავის

სტუმრებს სიმღერებს და რომანსებს. თქვენმა ვაჟიშვილმა ულექსიკონოდ უშეცდომოდ თარგმნა უცნობი ტექსტი. ნანამ ტექსტის შინაარსი ვერ გაიგო. მასწავლებელმა მას ტექსტი ხელახლა აუხსნა. მხატვარმა უჩვენა თავის მეგობრებს თავისი უკანასკნელი ნამუშევარი.

2. ჩვენ ხვალ თვითმფრინავით ბერლინში მივფრინავთ. მოსწავლეები დღეს კარნახს წერენ. წიგნი ძალიან საინტერესოა. მე ის ორ დღეში წავიკითხე. ჩემს ძმას გიორგი ჰქვია. მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ. ის თითქმის ყველა ლექციას ესწრება. მე ცივი წყლით ვიბან და სარკის წინ ვივარცხნი. მე ვიცვამ. ეს ვისი ფანქარია? რატომ არ მითხარი შენ ეს? იანვარში მან პირველი გამოცდა ჩააბარა. ის შინ გვიან ღამით დაბრუნდა. ეს ტექსტი მე უნდა ვთარგმნო. ეს წერილი მან მომწერა. ის ბევრს მამუშავებს. როდის აშენდა თქვენი სახლი? ჩვენი მასწავლებელი შენთან ყოფილა. სკოლაში მე „ოთხიანი" მივიღე. ეს მიხაკები ჩემმა მოსწავლეებმა მაჩუქეს.

სიამოვნებით და გულისყურით გავეცანი გაზეთ „სამშობლოს ჰმაში" ადრე გამოქვეყნებულ გარეჭართველთა პოეზიის ნიმუშებს, რომელთაც დედა-სამშობლოსადმი განსაკუთრებული სევდის ბეჭედი აზის ეს გასაგებია და ბუნებრივიცაა: „ხატია ჩემი სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანაო" — ამბობდა ჩვენი დიდი აკაკი წერეთელი. მას ხატი სახატის გარეშე ვერ წარმოედგინა, მით უფრო სახატე ხატის გარეშე მართლაც მძიმე წარმოსადგენია.

მოსაწონია დედულ-მამულის სიყვარულით აღგზნებული, უცხოეთში მუდმივად მცხოვრებ ქართველთა პოეზია, რომელშიც საქართველო „უკვდავი სანთელი", „ნათელი სვეტი", „მანათობელი ჩირაღდანია".

ჩვენი პოეზიის გენიალური ტიტანის, უკვდავი შოთა რუსთაველის სამშობლოდან მივესალმები უცხოელ ქართველ შემოქმედთ და ვუსურვებ, მათი პოეტური ნაღველი, სევდა თუ ცრემლი სიხარულით, ბედნიერებით შეცვლილიყოს.

პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე**

დ. ქიმერიძე

შ. რუსთაველის ახალ სურათთან

კრძალვით გიმზერ, დიდო ბრძენო, ნება მომეც შენს ხატებას
ჩემი ქვეყნის ჩირაღდანო, მივესალმო, ვეთაყვანო.

გხედავ უკვე გათეთრებულს
მოხუც პოეტს, სულით ძლიერს,
აფრქვევ ღვთისგან მინიჭებულს
უხვ მადლსა და ნათელ იერს.
მაღალ ზენით მოვლენილო,
ქვეყნად კაცთა საკვირველად,
სიცოცხლის და სილამაზის
და ბრძნულ აზრთა საძირკველად.
გიცან, ის ხარ, ქართულ ცაზე
ვარსკვლავი რომ არა ქრება,
საუკუნოდ რომ გვიმკვიდრე
სიცოცხლე და ნეტარება.
ლოფელს უდროდ შემომწყრალო,
არ ვიცოდით, სად შეჩერდი,
სდუმდა შენი ტკბილი ჩანგი,
შეწებურად რად არ მღერდი?
დაგეძებდით ამ ხმელეთზე,
ქვესკნელში და მაღლა ცაში,
როგორც იქნა, მიგაგენით,
გპოვეთ უცხო ქვეყანაში.
ორთავ მუხლზე დაჩოქილხარ,
მუხთალ ბედზე დანდობილი,
სრულ რვაას წელს გილოცია
მაღლა ხელებაპყრობილი.
პიტოვებულ სატრფოს ბედზე
კიტირია, გიგლოვია,
გოლგოთასთან ქრისტეს ახლო
მყუდრო ბინა გიპოვია.
დარდ-ნაღველის შავ კოცონზე
უპატრონოდ დადაგულხარ.
ქართველთ წმინდა საკანეში
დაუტირლად დამარხულხარ.
დღეს იპოვეს, გაამზევეს
შეცი ხატი სახელწმინდა,
ნათელი რომ მოგვაშუქე,
სამშობლო კვლავ გაგვიბრწყინდა.
შენ რომ ძეგლად დაგვიტოვე
ოქროს წიგნი საგოგმანო,
შენი ქვეყნის სარკედ იქცა
და მკვლევართა სათაყვანო.
ჩვენ დროს მოსდევ მამაცურად,
როგორც სულის წინამძღვარი,
ქართულ ცაზე აწერია
სახელი და შენი გვარი.
შენს ნათელით დედულ-მამულს
ცა ლაჟვარდი მოელიბრა,
შენი სიბრძნე საზღვარს გასცდა,
უცხოეთიც კი მოხიბლა.
თამარის დროს არ გაღირსეს
არც სახელი, არც დიდება,
ვერ გაიგეს, შენ რომ იყავ
ერის სულის უკვდავება.
დღეს ყოველი გესალმება,
ტანჯვა აღარ გაიხსენო,
დედულში გაქვს თბილი ბინა,
რომ დაწყნარდე, დაისვენო.
გთხოვთ გვიბერტყო მადლის კალ-
თა,
გაგვიბრწყინდი, არ იბინდო,
ეხლა გელის ოქროს თასი,
დაფნ-გვირგვინი, დიდი ჯილდო.
აგვიჟღერე ოქროს ჩანგი,
მოგვაღვარე სიბრძნის წყარო,
კვლავ დაგვატკბე, დაგვაშაქრე,
ქართულ სიტყვის ჯადოქარო.
ჩვენ სამშობლოს სადიდებლად
და მომავლის გასაშვრეტად
აღიმართე მთაწმინდაზე
უკვდავების ნათლის სვეტად,
მარჩი ლოცვას, წინაპარო,
ბრძენო, სულის მნათობელო,
დაბადების ზეიმს გიხდის
დღეს ახალი საქართველო.

ქ. ბ ე ზ ა ნ ს ო ნ ი.

17/9—1962 წ.

მოხეტიალის კანცდები

ვეხეტებოდი მთებში... და ბარად
სამიკიტნოში... კარიდან კარად,
ცხარე ცრემლებით... მარტოდ და
ცალად,
ეეცადე დარდი მექცია წყალად,
ბაკრამ ვერ შევძელ... ვიყავი
არად,
გრძნობა მიქროდა ყინულის ქა-
რად,
ვერაფერს ვხედდი, ხე სჩანდა
ჭალად
და ერთი ცხვარი შირაქის ფარად.
მზე გაბადრული დალეულ მთვა-
რად,
სევდები მჩხვლეტდა მე გულში
მკვალად,
შენთან მოვედი თავშესაფარად.
კარს არ მიღებდი, შემოველ ძა-
ლად.
გთხოვდი დავრჩები მუდამ და
მარად!
რომ მომატყუეს, ამას მდებ
ბრალად?
მიტომ მიწყრები და მაგდებ
ფრთხალად?
შენი სიტყვები მუხისა ნალად
არ წამეშლება, დამრჩება კვა-
ლად,
მე არ მოვკვდები, იცოდე, მხდა-
ლად!
არ გაგიხდები შენ ხათაბალად!
მე ხომ არა ვარ შობილი ქალად?

ხანჯალი მაინც მომეცი ხმალად,
დავტრიალდები მარტოკა ჯარად!
სიცოცხლე ჩემი არცა ღირს ჩა-
ლად,
ნუგეში შენი მომეცი ფარად,
ავკეპო მტერი, ვაქციო მხალად.
მაინც არ მიღებ? არც შენსა ზვა-
რად?
რომ შეგეწირო აბრამის ცხვა-
რად?
თუ ასე არის, მითხარი ნელად,
ნუ მიჯავრდები უბრალოდ, ხე-
ლად,
არც მკვდარს მიმიღებ? შენს სა-
სახელად?
და გარეთ მისვრი... შეუნახვე-
ლად?!
არც გსურს აღუჩნდე ჩემს სულს
ნათელად,
რომ მოევლინო უკვდავ
სანთელად?
ვაშ თუ ასეა: ვერ ვდგები ზნე-
ლით,
და ვეჭქნები ფიქრით, დარდით,
ნაღველით,
სევდებით სავსე, სისხლის სახვე-
ლად,
უცხო მიწაში დასამარხველად!

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი 1928—36
წელი.

ივლიანე ნადარეიშვილი

საღამო ნიუ-იორკის ქუჩებში

საღამო ბნელი სხვა ბნელთა შორის
ან რაღას ვხედავ უკეთესს მწირი? —
ქუჩა დაყრილი, ჭუჭყი და შმორი,
თვალთაგან ცრემლი გადმომდის ხშირი.

ნაცნობი სითბო არ მოდის მზიდან,
ცა ჩამტვრეული, დაჭრილი მთვარე,
გზები გარყვნილი ყოველი მხრიდან.
რაც დღემდე სიმწრით გამოვიარე...

მივაბიჯებდი ნაღვლიან ფიქრით,
თავი დაკიდულ გოდრის ტოლია,
თვალი კი ჩემად დაკარგულს ეძებს,
რაც უწინ მქონდა, რაცა მყოლია.

მაგრამ ვინ გაცლის იფიქრო შენთვის? —
გზას დოღის ხალხი გადაგიგორავს,
ჩაგივლის ვიღაც, შეხედვა ვეფხის
და უწმაწურად თავისთვის ბორავს.

გარბის მოხუცი, პატარა, დიდი
ვით დაფრთხობილი მგლებისგან კვიცი,
არ გამჩნევს, თუ შენ მიდიხარ იქით,
მაგრამ სად გარბის, არც თვითონ იცის.

რამ დაიყვანა ეს ხალხი დაღმა,
ან რად არიან ძაღლივით ხელი?!
გავიფიქრე და გავედი გაღმა,
სხვა მოგონებამ დამრია ხელი.

ნ ი უ-ო რ კ ი, ნოემბერი
1963 წ.

გიორგი გამყრელიძე

მოგზაურის ოცნება
(ბალადა)

ამ შარაგზას რომ გავცდები
ქარიანს და მტვრიანს,
დავინახავ კოხტა ეზოს,
სახლებს კრამიტიანს.
დავინახავ ჩრდილში ხარებს,
ღვინიას და წაბლას,
ღობის ყურში, საბძლის ახლოს,
კოპიტების დაბლა.
კრუხი დადის წიწილებით
და ყარიაც ორი;
ეზოს ისევ დატრიალებს
ძველებურად ქორი.
მკათათვეა, ოქროს ძნები
ამშვენებენ სოფლებს,
ჭიანური გაუმართავთ
ცაცხვზე ჭრიჭინობელებს.
უმღერიან მზეს და გვალვას,
ერთფეროვან ჰანგებს.
მე კი მინდა ჩვენ ეზოსთან
ჩავიარო განგებ.

— ჰე, ეზოში მოხუცს ვხედავ
ყავარჯენით ხელში,
თეთრი თმით და თეთრი წვერით
ოდნავ მოხრილს წელში.
სალამს ვაძლევ თავდახრილი
მის წინაშე მდგომი —
„ყარიბი ვარ, მგზავრი ვინმე.
დასვენების მდომი“.
მაკვირდება... მაგრამ ვერ
მცნობს, —
თანაც ამბობს თბილად:
„აი, აგერ კაკლის ჩრო,
წამოწექი, გრილა!“
„მე გოგონებს გადავძახებ,
შენ არ მოიწყინო,
დაღლილი ხარ, გენდომება
სამხარი და ღვინო“.
თავს ვიმაგრებ... არ მსურს მიც-
ნოს,
მაგრამ როდი მჯერა!
ცრემლი მახრჩობს, გულს გაუ-
დის
ბაგა-ბუგით ძგერა.
სული ყელში მებჯინება,
თვალებს ცრემლი ნამავს
და უეცრად აღმომხდება
ყრუ ქვითინით — „მამავ!“
მამა სტირის: „ვაი, შვილო,
რა განგებით გნახე!“
და ბამბისფერ წვერულვაშით
მეფარება სახე.
ყვირის: „მოხდა სასწაული
დიადი და ძვირი,
დაბრუნდა უცხოეთში
გაყიდული შვილი“.
ზეიმია, ხარი დაკლეს,
თონეს ასდის ალი,
ლალის ღვინოს ყველა აქებს
ფხიზელი და მთვრალი.

2

დილით, მზის რომ გამოჩნდება
ოქროქოჩორ თავი,
ხარირემი ბღავის.
მთაში ჰყეფენ არწივები,
მაგრამ ღამით რომ გაეკვრის
ზეცას მთვარე მკრთალი,
კოშკში შუქი გაიელვებს
მზეთუნახავ ქალის.
ჩვენი ძველი წინაპრები
როს ჩეხავდნენ დევებს,
ხმლის ნაკვესი ელვარება
ანათებდა ხევებს.

3

განა მართლა საწყალი ვარ
და უჯიშო გვარის?
მაწანწალა ემიგრანტი,
უპატრონო მკვდარი?
არა, ისევ მდიდარი ვარ,
ძველ ოცნებით ვთბები;
ვენახიც მაქვს, სახნავებიც,
ტყეც და სათიბებიც.
ფუძეს უძევს ნადუღარი
ფოლადი და კირი,
ორიათას წელზე გრძელი
ჩვენი ტომის ძირი.
და თუ მიმცემს უცხოეთის
მიწას ბედი ავი,
თუ ჩემს საფლავს ვერ იტირებს
ძმა და ნათესავი, —
ოკეანეს გადმოლახავს
საქართველოს ქარი
და ჩამძახებს: „სალამს გითვლის
რიონი და მტკვარი“.

ქ. პ ა რ ი ზ ი

1956 წელი

გიორგი ყიფიანი

ჩემს შვილს

შვილო, ეს სიტყვა ისე შეგერგოს,
როგორც სიცოცხლე ვარდზე რხე-
ული,
ქართული ძუძუ არ გიწოვია,
მაინც შვილი ხარ ქართულ
სხეულის.
თუ ჩემ სიცოცხლეს, დარდზე
ანაგებს,
ელის სამარე უცხო მხარეში,
ასე უამბე მეგობარ ფრანგებს,
ბედის იდუმალ სიმწუხარეში,
რომ გყავდა მამა გზადაკარგული,
მხოლოდ სიყვარულს ეძებდა
ქვეყნად;
შეეხოალმდა უცხო მხარეში
და ვით ფოთოლი წაიღო სეტყვამ.
უსიხარულოდ ის გარდიცვალა,
დედის წერილი ჩაყვა უბეში,
უცხო მხარეში დიდხანს იცადა,
მისთვის სამშობლო იყო ნუგე-
ში...
ქართველი — დარჩა მისი სახელი,
და ყიფიანი მოგცა შენ გვარად,
ბევრი ვაების იყო მნახველი
და ქვეყნად არვინ არ შეიყვარა.
გივი, ეს თხოვნა ისე შეგერგოს,
როგორც სიცოცხლე ვარდზე რხე-
ული,
ქართული ძუძუ არ გიწოვია,
მაინც სისხლი ხარ ჩემი სხეულის.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

აქ წარმოდგენილი 5 ლექსის სიტყვები ლექსიკონის შედგენისას არ გავითვალისწინეთ, რადგან ისინი საწყაოდ გვინდა გამოვიყენოთ და განვსაზღვროთ „თვთმასწავლებლით“ მიღებული ქართული ენის ცოდნის თქვენი დონე, ძვირფასო მეგობრებო. ლექსებში თუ გაუგებარი ან ბუნდოვანი სიტყვები, ანდა გრამატიკული ფორმები შეგხვდეთ, ახსნა-განმარტებისთვის მოურიდებლად მოგვმართეთ და სახელმძღვანელოს ავტორებთან ერთად პირადად ან გაზეთ „სამშობლოს“ მეშვეობით თქვენ მიერ დასმულ საკითხებსა თუ კითხვებზე სიამოვნებით გიპასუხებთ. მაშ ასე, ბატონებო, თქვენც წარმატებებს გისურვებთ ქართული ენისა და წერა-კითხვის შესწავლაში.

Hinweise zur Benutzung des Wörterbuches

Die Stichwörter sind alphabetisch geordnet. Bei allen Stichwörtern wird die Wortart vermerkt.

Im allgemeinen stehen unter jedem Stichwort die Einzelbedeutungen des Wortes, die dem Satzmaterial des vorliegenden Buches entsprechen. Zuweilen jedoch sind neben den Einzelbedeutungen eines Stichwortes noch andere Bedeutungsrichtungen geboten, die im praktischen Sprachgebrauch häufig auftreten.

Verschiedene Bedeutungen eines Stichworts sind durch Komma oder Semikolon getrennt. Dabei trennt das Komma Synonyme oder leichtere Bedeutungsnuancen.

Die synkopiertstämmigen Substantive sind mit einem hochgestellten Sternchen (*) versehen.

Die georgischen Verben werden grundsätzlich in der 3. Person Singular in vier Zeitformen (im Präsens, Futurum, Aorist und Perfekt) angeführt.

Der Gedankenstrich innerhalb der runden Klammern nach dem Verb weist darauf hin, daß das genannte Verb in dieser Zeitform überhaupt nicht vorkommt.

Die Tilda innerhalb des Satzmaterials ersetzt das Stichwort.

Abkürzungen

A	Akkusativ	Gramm	Grammatik
Adj	Adjektiv	Höf	Höflichkeitsform
Adv	Adverb	Imp	Imperativ
Aor	Aorist	Impf	Imperfekt
B	Berg	Interj	Interjektion
B u. K	Berg und Kirche	iron	ironisch
bzw.	beziehungsweise	j-m	jemandem
D	Dativ	j-n	jemanden
Eign	Eigenname	K	Kirche
etw.	etwas	Kl	Kloster
F	Fluß	Kur	Kurort
Fut	Futurum	Konj	Konjunktion
G	Genitiv	Konjun	Konjunktiv

N	Nominativ	Post	Postposition
nom ac	Nomen actionis	S	der See
Num	Numerale	s.	siehe
Or	Ortschaft	Sub	Substantiv
Perm	Permansiv	St	Stadt
Perf	Perfekt	u.	und
Pl	Plural	übtr	in übertragener Bedeutung
Plusq	Plusquamperfekt		
Präs	Präsens	umg	umgangssprachlich
Pron	Pronomen	usw.	und so weiter
Ptk	Partikel	w.	wörtlich
Ptz	Partizip	vi	intransitives Verb
		vt	transitives Verb

აამბობინებს Fut (აამბობინა, უამბობინებია) vt er wird j-n etw. (nach)erzählen lassen

აარსებს Präs (დააარსებს, დააარსა, დაუარსებია) vt er begründet

აბა Interj nun, mal; ~ ნახე! siehe (schau) mal an!

აბაზანა Sub Badezimmer; Bad; ~ ში im, ins Badezimmer

აბამს Präs (დააბამს, დააბა, დაუბამს) vt er bindet an

აბანო Sub Badehaus

აბარებს Präs 1. (მიაბარებს, მიაბარა, მიუბარებია) vt er gibt j-m etw. zur Aufbewahrung; 2.(ჩააბარებს, ჩააბარა, ჩაუბარებია) vt er liefert ab, er gibt ab; ის გამოცდას ~ er legt eine Prüfung ab

აბგა Sub (Schul)ranzen; აბგიდან aus dem Ranzen; ~ ში im (in den) Ranzen

აბესალომი Eign Abessalom

აბია Präs (— , ება, ბმულა) vi er ist angebunden

აბიტურიენტი Sub Abiturient

აგარაკი Sub Landhaus; აგარაკზე auf dem (aufs) Land

აგებული Ptz aufgebaut

აგერ Ptk da; hier ist! (Anrede)

აგვიანდება Präs (დააგვიანდება, დააგვიანდა, დაჰგვიანებია) vi er hat es eilig; er verspätet sich; er verpaßt

აგვისტო Sub August

აგია Präs (— , ეგო, გებულა) vi er liegt; იატაკზე ნოხი ~ auf dem Fußboden liegt ein Teppich; პარკეტი ~ Parkett ist belegt

აგიშენებიათ Perf (s. აშენებს); ერთად ~ Sie haben zusammen gebaut; ihr habt zusammen gebaut

აგონდება Präs (მოაგონდება, მოაგონდა, მოჰგონებია) vi er erinnert sich; es fällt ihm ein

აგონებს Präs (მოაგონებს, მოაგონა, მოუგონებია) vt er erinnert (j-n an etw.)

აგრეთვე Adv auch

აგროვებს Präs (მოაგროვებს, მოაგროვა, მოუგროვებია) vt er (ver)sammelt

აგრძელებს Präs (გააგრძელებს, გააგრძელა, გაუგრძელებია) vt er setzt fort

ადამიანი Sub Mensch

ადგება 1. Präs (მოადგება, მოადგა, მოსდგომია) vi er kommt (auf...) zu; 2. Fut (s. დგება) er wird aufstehen

ადგენს Präs (შეადგენს, შეადგინა, შეუდგენია) vt: ის ~ გეგმას er stellt einen Plan auf

ადგეს II Konjun (s. დგება): უნდა ~ er muß aufstehen

ადგილი Sub (Sitz)platz; Stelle, Ort; ~ პარტერის მესამე რიგში ჩვქონდა wir hatten Parkettplätze in der dritten Reihe

ადგილობრივი Adj hiesig; lokal

ადვილად Adv leicht

ადვილი Adj leicht; არც ისე ~ა es ist gar nicht so leicht

ადის Präs (ავა, ავიდა, ასულა) vi er steigt (hinauf)

ადრე Adv früh; დილით ~ früh am Morgen

ადრესატი Sub Adressat

ადუღებს Präs (ადუღებს, ადუღა, აუდუღებია) vt er kocht (Tee)

აეროპორტი Sub Flughafen

აენთო Plusq (s. ანთებს): მას უნდოდა ცეცხლი ~ er wollte Feuer machen (w. anzünden)

აეშვა Aor (s. აეშვება): აქ ~ ამირანი hier hat sich Amirani befreit

აეშვება Fut (აეშვა, აშვებულა) vi er wird sich losbinden

ავად Adv krank

ავადმყოფობა Sub Krankheit

ავაზაკურად Adv heimtückisch, räuberisch

ავამღერო II Konjun (s. ამღერებს): მინდა ~ ჩემი ლექსი ich möchte mein Gedicht vorsingen

ავარჯიშებს Präs (ავარჯიშებს, ავარჯიშა, უვარჯიშებია) vt er läßt j-n üben (turnen; trainieren)

ავედი Aor (s. ადის): მეორე სართულზე ~ ich stieg auf den ersten Stock

ავეჯი Sub Möbel

ავიდა Aor (s. ადის): ფარდა მაღლა ~ der Vorhang erhob sich (ging in die Höhe)

ავირჩიოთ II Konjun (s. ირჩევს): თუ გვინდა, რომ ~ wenn wir (etwas) auswählen wollen

ავიღე Aor (s. იღებს) ich habe genommen

ავიწყდება Präs (დაავიწყდება, დაავიწყდა, დავიწყებია) vi er vergißt

ავსებს Präs ს. (აავსებს, აავსო, აუვსია) vt er füllt; 2. (შეავსებს, შეავსო, შეუვსია) vi er füllt aus

ავტობუსი Sub Autobus

ავტორი Sub Autor, Verfasser

აზის Präs (—, აჯდა, სჯდომია) vi: ის კრუხივით ~ თავის წიგნებს er hockt über seinen Büchern

აზნაური Sub Adlige

ათასგვარი Adj: ~ აზრები Tausend von Gedanken

ათასი Num tausend; Tausend; ~ სხვა tausend andere; ~ წლის იუბილე tausendjähriges Jubiläum

ათენებს Präs (გაათენებს, გაათენა, გაუთენებია) vt er wacht durch; er übernachtet; er nächtigt; er liegt wach

ათვალიერებს Präs 1. (დაათვალიერებს, დაათვალიერა, დაუთვალიერებია) vt er besichtigt, er sieht sich an; 2. (გადაათვალიერებს, გადაათვალიერა, გადაუთვალიერებია) vt er sieht durch; 3. (შეათვალიერებს, შეათვალიერა, შეუთვალიერებია) vt er macht ausfindig, er treibt auf

ათი Num zehn

აი Ptk (Anrede) hier ist!

აივანი* Sub (აივნის) Balkon; აივანზე auf dem (den) Balkon

აინტერესებს Präs (დააინტერესებს, დააინტერესა, დაუინტერესებია) vt er interessiert sich

აიტუზა Aor (s. აიტუზება): ვირი კარებთან ~ der Esel stellte sich an die Tür

აიტუზება Fut (აიტუზა, ატუზულა) vi er wird sich stellen

აიღე! Imp (s. ღებს) nimm!

აიძულა Aor (s. აიძულებს) er hat j-n gezwungen

აიძულებს Präs (აიძულებს, აიძულა, აუძულებია) vt er zwingt

აკაკი Eign Akaki

აკანკალებული Ptz zitternd

აკეთებს Präs 1. (გააკეთებს, გააკეთა, გაუკეთებია) vt er macht, er tut; 2. (შეაკეთებს, შეაკეთა, შეუკეთებია) vt er bessert aus, er repariert

აკეთებინებს Präs (გააკეთებინებს, გააკეთებინა, გაუკეთებინებია) vt er läßt j-n etw. machen

აკვანი* Sub (აკვნის) Wiege; აკვანზე auf der (die) Wiege

აკვირდება Präs (დააკვირდება, დააკვირდა, დაჰკვირვებია) vi er beobachtet

აკვრევინებს Präs 1. (დააკვრევინებს, დააკვრევინა, დაუკვრევინებია) vt er läßt j-n etw. (vor)spielen; 2. (შეაკვრევინებს, შეაკვრევინა, შეუკვრევინებია) vt er läßt j-n etw. (zu)binden, (an)knüpfen

აკითხებს Präs (წააკითხებს, წააკითხა, წაუკითხებია) vt er läßt ihn etw. (vor)lesen

აკლდება Präs (დააკლდება, დააკლდა, დაჰკლებია) vi es fehlt (mangelt) ihm an etw., es reicht ihm nicht aus

აკლებს Präs (დააკლებს, დააკლო, დაუკლია) vt er gibt j-m von etw. weniger (als es ihm zusteht); übtr ის მას ვერაფერს ~ er schadet ihm nichts

აკლია Präs (—, აკლდა, ჰკლებია) vi es mangelt ihm an etw., es reicht ihm nicht aus; er fehlt, er ist abwesend

აკრებინებს Präs (შეაკრებინებს, შეაკრებინა, შეუკრებინებია) vt er läßt (j-n etw.)sammeln (eintreiben)

აკრეჭინებს Präs (შეაკრეჭინებს, შეაკრეჭინა, შეუკრეჭინებია) vt er läßt j-n sich etw. schneiden

ალაგებს Präs 1. (აალაგებს, აალაგა, აულაგებია) vt er räumt ab; ის თავის საწოლს ~ er macht sein Bett; ის ჭურჭელს ~ er räumt das Geschirr ab; 2. (დაალაგებს, დაალაგა, დაულაგებია) vt er räumt auf; er legt; er stellt; ის ბინას ~ sie räumt die Wohnung auf; ის თეფშებს ~ sie stellt Teller hin; 3. (ჩაალაგებს, ჩაალაგა, ჩაულაგებია) vt er legt etw. (in...)

ალაგი Sub Stelle; Platz; Ort

ალაზანი* F (ალაზნის) Alasani

ალბათ Adv wohl, wahrscheinlich; vielleicht

ალი Sub Flamme

ალუბალი* Sub (ალუბლის) Kirsche

ამ Pron (s. ეს): ~ დროს in (zu) dieser Zeit

ამაზე Adv davon, darüber; ~ იტყვიან ხოლმე davon sagt man

ამათი Pron ihr (Pl)

ამანათი Sub Paket; ამანათების მიღება და გაცემა Paketannahme und Ausgabe

ამაოდ Adv umsonst

ამარცხებს Präs (დაამარცხებს, დაამარცხა, დაუმარცხებია) vt er besiegt, er überwältigt

ამას Pron; (s. ეს): ~ ამბობდა sie sagte das

ამასობაში Adv inzwischen, unterdessen; ~ სადილობის დროც მოაღწევდა inzwischen kam auch die Mittagszeit

ამაღლდი! Imp (s. მაღლდება) werde höher!

ამბავი* Sub (ამბის) Nachricht; Angelegenheit; Erreignis; Erzählung; ახალი ~ Neugkeit; ვინმესთვის ამბის მიტანა j-n benachrichtigen; საინტერესო ~ eine interessante Geschichte

ამბობდა Impf (s. ამბობს) er sagte

ამბობენ Präs (s. ამბობს) man sagt; sie sagen

ამბობს Präs (იტყვის, თქვა, უთქვამს) vt er sagt

ამდენი Pron soviel

ამეორებინებს Präs (გაამეორებინებს, გაამეორებინა, გაუმეორებინებია) vt er läßt ihn wiederholen

ამზადებს Präs (დაამზადებს, დაამზადა, დაუმზადებია) vt er bereitet

აჩთავრებს Präs (დაამთავრებს, დაამთავრა, დაუმთავრებია) vt er (be)endet, er absolviert, er macht Schluß; er ist fertig (mit)

ამიერკავკასია Eign Transkaukasien

ამით Pron (s. ეს) damit

ამინდი Sub Wetter; ~ც ძალიან კარგი იყო das Wetter war auch sehr schön

ამირანი Eign Amiran

ამისთანა Pron ein solcher; einen solchen

ამისი Pron (s. ეს) sein (bei der ersten Person)

ამიტომ Adv deshalb, deswegen

ამოდის Präs (ამოვა, ამოვიდა, ამოსულა) vi sie geht auf; er steigt (empor); er steigt herauf

ამოიღო Aor (s. იღებს) er nahm (aus...), er nahm heraus

ამოჟლეტა nom ac Ausrottung, Vertilgung, Vernichtung, Niedermetzeln

ამოსხა Aor (s. სხამს): მან ბარტყები ბუდიდან ~ sie nahm Nestlinge aus dem Netz heraus

ამოწმებს Präs (შეამოწმებს, შეამოწმა, შეუმოწმებია) vt er prüft, er kontroliert

ამოხლართული Ptz verwoben; გულში ~ ins Herz verwoben

ამრიგად Adv so; also

ამტვრევს Präs (დაამტვრევს, დაამტვრია, დაუმტვრევია) vt er zerbricht

ამღერებს Präs (ამღერებს, ამღერა, ამღერებია) vt er läßt (j-n) singen

ამღერებული Ptz singend

ამყარებს Präs (დაამყარებს, დაამყარა, დაუმყარებია) vt er stellt her; წესრიგს ~ er macht Ordnung

ამყნობს Präs (დაამყნობს, დაამყნო, დაუმყნია) vt er pfropft (Baum)

ამშვენებს Präs (დაამშვენებს, დაამშვენა, დაუმშვენებია) vt er verschönt (etw)

ამხანაგი Sub Kamerad; Genosse

ამხედრებული Ptz: ~ ვაჟკაცი der auf dem Pferde sitzende Reiter

ამჯერად Adv diesmal

ან 1. Konj oder; ~ ... ~ entweder... oder; ~ კიდეც oder noch; 2. a; „ან...ბან მიაყოლა მან" „a... be" fügte er hinzu

ანადგურებს Präs (გაანადგურებს, გაანადგურა, გაუნადგურებია) vt er vernichtet, er hebt auf; er schafft auf; er macht zunichte

ანაწილებს Präs (გაანაწილებს, გაანაწილა, გაუნაწილებია) vt er (ver)teilt; ის დროს სწორად ~ er teilt die Zeit richtig

ანგარიშობს Präs (იანგარიშებს, იანგარიშა, უანგარიშია) vi er rechnet

ანდაზა Sub Sprichwort

ანდერძი Sub Testament; ~ კით als Testament

ანდობს Präs (გაანდობს, გაანდო, გაუნდვია) vt er vertraut, er schenkt Vertrauen

ანებებს Präs (დაანებებს, დაანება, დაუნებებია) vt: ის თავს ~ (სწავლას) er gibt (Studium) auf

მივლინება Sub Dienstreise; ~ში auf Dienstreise

მივყვები Präs (s. მიჰყვება): ფეხით ნელა ~ მამადავითის აღმართს ich steige den Mamadavithi-Abstieg langsam bergauf

მიცხვდი Aor (s. ხვდება) ich habe verstanden (erraten)

მიზანი* (მიზნის) Sub Ziel; ცხოვრების ~ Ziel des Lebens

მიიბარო II Konjun (s. იბარებს): ანდერძივით ~bewahre es als Testament auf (w. nimm es in Aufbewahrung als Testament)

მიიტანს Fut (მიიტანა, მიუტანია) vt er wird mitnehmen

მიიღო Aor (s. იღებს) er hat bekommen; er hat empfangen; მონაწილეობა ~ er hat teilgenommen

მიიჩნევს Fut (მიიჩნია, მიუჩნევია) vt er wird ihn für... halten

მიიჩქარის Präs (—, —, —) vi er eilt; სად ~? wohin eilt er?

მიიჯრა Aor (s. იჯრება) vi er stürzte sich (auf A); ის ~ ბანაკში er drang ins Lager ein

მილიონი Num Million

მილოცვა nom ac Gratulation; gratulieren; მილოცვის ბარათი Gratulationskarte

მინახავს Perf (s. ნახავს): არ ~ ich habe nicht gesehen

მინდა Präs (s. უნდა) ich will, ich möchte; არ ~ ich will nicht; ~ ვიყო ich möchte sein

მინდორი* Sub (მინდვრის) Feld

მინერალური Adj mineralisch; Mineral=; ~ წყლები Mineralwasser

მირბის Präs (—, —, —) vi er läuft, er rennt

მისალოცი Ptz Glückwunsch=; Gratulations = ; ~ ტელეგრამა Gratulationstelegramm

მისამართი Sub Adresse

მისაღებად Adv: ის გაემგზავრა უმაღლესი განათლების ~ er fuhr studieren

მისაღები Ptz Aufnahme=; ~ გამოცდები Aufnahmeprüfungen

მისდევს Präs (—, მისდია, —) vi er treibt; er folgt; er verfolgt; ~ სპორტს er treibt Sport

მისვლა nom ac Kommen (zu); ~ მოსვლა nom ac Hin- und Hergehen

მისი Pron sein

მისწვდება Fut (s. სწვდება): ვინც~ der, wer erreichen wird

მიტანა nom ac bringen; ამბის~ benachrichtigen

მიუახლოვდა Aor (s. უახლოვდება): როცა სიკვდილს ~ als er auf dem Sterbebett lag; als er nah dem Tode war; als er im Sterben lag

მიუხედავად Adv ungeachtet; ~ ამისა ungeachtet dessen

მიუხედავთ Perf (s. ხედავს): მათ ყველაფრისთვის ~ sie haben auf alles achtgegeben

მიფრინავ Präs (s. მიფრინავს): სად ~? wohin fliegst du?

მიფრინავს Präs (—, —, —) er fliegt (zu...)

მიფრინდა Aor (s. მიფრინავს): ის ~ გალიასთან თავისი ბარტყების გამოსაშვებად sie flog zum Käfig, um ihre Nestlinge herauszuholen (zu befreien)

მიღალატოს II Konjun (s. ღალატობს): ვაი თუ ~ o weh, wenn er mich verrät

მიღება nom ac Annahme; Empfang; Sprechstunde; Einnehmen (Arznei); არც ისე ადვილია წერაში ორიანის ~ es ist gar nicht so leicht eine Zwei im Schriftlichen zu bekommen

მიჩნეული Ptz anerkannt; ვინ არის ~ ყველაზე დიდ პოეტად? wen hält man für den größten Dichter? wer gilt als bester Dichter?

მიცურავს Präs (—, მიცურა, მიუცურავს) vi er schwimmt

მიძღვნილი Ptz gewidmet; თამარ მეფისადმია ~ es ist Königin Thamar gewidmet

მიწა Sub Erde, Boden

მიწა-წყალი* Sub (მიწა-წყლის) Heimat (w. Erde und Wasser); საქართველოს ~ Heimatboden von Georgien

მიწერ-მოწერა nom ac Briefwechsel; ~ მაქვს ჩემს ვერმანელ კოლეგებთან ich stehe mit meinen deutschen Kollegen in Briefwechsel

მიხაკი Sub Nelke

მიხედვით Adv nach; ქართული ენის თვითმასწავლებლის ~ nach dem Lehrbuch zum Selbstudium der georgischen Sprache

მიჯაჭვული Ptz gefesselt, an der Kette liegend; ~ იყო er lag an der Kette

მიჯნა Sub: XII და XIII საუკუ-

ნუთა ~ um die Wende vom XII. zum XIII. Jahrhundert

მიჰყავს Präs (von vt geliehen: მიიყვანს, მიიყვანა, მიუყვანია) vi er nimmt mit (in bezug auf Lebewesen)

მიჰყვება Präs (—, მიჰყვა, მიჰყოლია) vi er geht mit; er folgt; გზა მტკვრის ნაპირს ~ der Weg führt Mtkwari entlang

მიჰყვნენ Aor (s. მიჰყვება); მას ~ sie folgten ihm

მკა nom ac Kornschneiden, abmähen

მკათათვე Sub (veraltet) Juli (w. Monat des Kornschneidens)

მკაცრად Adv streng

მკვეხარა Adj prahlerisch

მოადგა Aor (s. ადგება) er kam auf Thbilissi zu

მოამბე Sub Bote; საქართველოს ~ der Bote von Georgien

მოასწრო Aor (s. ასწრებს): მან ~ მცირედენი ჯარის მოგროვება er vermochte nur ein kleines Heer zu sammeln

მოატანინა Aor (s. მოატანინებს) er ließ bringen

მოატანინებს Fut (მოატანინა, მოუტანინებია) vt er läßt bringen

მოაქვს Präs (von vt geliehen: მოიტანს, მოიტანა, მოუტანია) vi er bringt (holt) mit (in bezug auf leblose Dinge)

მოაღწევდა Perm (s. აღწევს): ამასობაში სადილობის დროც ~ inzwischen kam auch Mittagszeit

მობრძანდება Präs (მობრძანდება, მობრძანდა, მობრძანებულა) vi (Höf u iron) er kommt

მოგდის Präs (s. მოსდის) რა ~? was ist mit dir?

მოგემატება Fut (s. ემატება) es wird dir noch hinzugefügt (bereichert)

მოგეხმარებით Fut (s. ეხმარება) ich werde Ihnen (euch) helfen; wir werden Ihnen (euch) helfen

მოგვბეზრდებოდა Perm (s. ბეზრდება) wenn es uns langweilte

მოგვდევს Präs (s. მოსდევს): ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან ~ Kühnheit ist bei uns seit alten Zeiten Sitte (Brauch)

მოგვითხრობს Präs (s. მოუთხრობს) er erzählt uns

მოგვისმენია Perf (s. ისმენს) wir haben uns angehört

მოგვიდა Aor (s. მოგდის): რა ~? was ist mit dir?

მოგვივლია Perf (s. უვლის) du hast gepflegt

მოგიმატებია Perf (s. იმატებს): ... ასე რომ ~ ..., daß du so zugenommen hast

მოგიყვანა Aor (s. მოჰყავს):... ვინც გთესა, ~ო der dich säte und anbaute

მოგროვება nom ac versammeln

მოდის Präs (მოვა, მოვიდა, მოსულა) vi er kommt

მოდუდუნე Prtz murmelnd

მოედანი* Sub (მოედნის) Platz; სპორტის ~ Sportplatz

მოემზადნენ Aor (s. ემზადება) sie bereiteten sich vor

მოესპო Plusq (s. სპობს): მისი სურვილი იყო ~ sein Wunsch war, zu vernichten

მოეწონებოდა Perm (s. მოსწონს) vi: ზოგიერთ წიგნს, რომელიც ~, მრავალჯერ გადაიკითხავდა manches Buch, das ihm gefiel, las er einigemal

მოვამზადე Aor (s. ამზადებს) ich bereitete vor (zu)

მოვდივარ Präs (s. მოდის) ich komme

მოვედი Aor (s. მოდის) ich kam

მოვეთათბირო II Konjun (s. ეთათბირება): სჯობს ჩემს ქალიშვილს ~ ich bespreche es lieber mit meiner Tochter

მოვიარე Aor (s. მოივლის): ბევრი მხარე ~ ich habe viele Länder besucht

მოვიდა Aor (s. მოდის) er kam: როცა ის ქართლში ~ als er nach Kharthli kam

მოვივლი Fut (s. მოივლის) ich besuche, ich bereise

მოვიფიქრო II Konjun (s. ფიქრობს): რა ~ ? was soll (muß) ich mir einfallen lassen?

მოვინახულებ Fut (s. მოინახულებს) wir werden besuchen

მოვიცალე Aor (s. იცლის): ვერ ~ ich hatte (fand) keine Zeit

მოთავსებული Ptz gelegen

მოთამაშე Ptz spielend; Spielender

მოთეთრო Adj weißlich

მოივლის Fut (მოიარა, მოუვლია) vt er wird besuchen, er wird bereisen

მოიკითხავს Fut (მოიკითხა, მოუკითხავს) vt er wird ihm einen Gruß bestellen

მოიკითხე Imp (s. მოიკითხავს): ~თქვენები! grüße Deinigen (von mir)!

მოიკლავს Fut (s. იკლავს): თაკს არ ~ ქართველი ein Georgier wird nie Selbstmord begehen (sich das Leben nehmen, Freitod wählen)

მოილია Aor (s. ილევა): ბალი ~ die Süßkirschenzeit ist vorbei

მოინადირებს Fut (მოინადირა, მოუნადირებია) vt er wird erwerben (gewinnen); მტერსაც კი ~er wird sich (damit) sogar den Feind erwerben (gewinnen)

მოიტანს Fut (მოიტანა, მოუტანია) er wird mitbringen (holen)

მოინახულებს Fut (მოინახულა, მოუნახულებია) vt er wird besuchen

მოიყვანს Fut (მოიყვანა, მოუყვანია) vi er wird mitbringen

მოკეთება nom ac Besserung, Genesung; gesund werden

მოკვდეს II Konjun (s. კვდება): ის შეიძლება ბრძოლაში ~ er kann in der Schlacht fallen

მოკითხვა nom ac Gruß; შენი ოჯახის წევრებს ~ გადაეცი Grüße an deine Familienmitglieder; მოკითხვამდე postlagernd; მოკითხვის ბარათი Grußkarte

მოკლეს Aor (s. კლავს) man hat ihn getötet

მოკლე Adj kurz

მოლარე Sub Kassier(er)

მოლურჯო Adj bläulich

მომზადება nom ac Vorbereitung; Heranbildung; Ausbildung: Schulung; Zubereiten; Vorbereiten; სადილის ~ს ვიწყებ ich beginne das Mittagessen zubereiten

მომაქვს Präs (s. ?მაქვს) ich bringe, ich hole

მომითმინა Aor (s. უთმენს): გულმა არ ~ es drängte mich

მომპარავ Fut (s. ჰპარავს): ვერ ~! du kannst mir nicht stehlen!

მომღერალი* Ptz (მომღერლის) Sänger(in)

მომღიმარი* Ptz (მომღიმრის) lächelnd

მომწონს Präs (s. მოსწონს) es gefällt mir; რა ~ ამ ქალაქის? was gefällt mir an dieser Stadt?

მომხრე Adj Anhänger

მონადირე Sub Jäger

მონასტერი* Sub (მონასტრის) Kloster ქართველთა ჯვრის ~ das georgische Kreuz-Kloster

მონაწილეობა nom ac Teilnahme; Mittäterschaft; მიიღო ~ er nahm teil

მოპირკეთებული Prtz bebaut sein; კედლები ფილებით არის ~ die Wände sind mit Kachel bebaut

მორიგე Sub Ordner

მოსალოდნელი Ptz bevorstehend

მოსასხამი Sub Umschlagetuch; Schal; შალის ~ ein wollener Schal

მოსდევს Präs (—, მოსდია, —) vi er verfolgt

მოსდის Präs (მოუვა, მოუვიდა, მოსულია) vi: რა ~ ? was ist mit ihm? რა მოგივიდა? was ist mit dir? რა მოუვიდა შენს საათს? was ist mit deiner Uhr los?

მოსთხოვა Aor (s. სთხოვს): მან ~ მას ეცნო იგი მეფეთმეფედ er forderte von ihm, ihn als König der Könige anzuerkennen

მოსპობა nom ac Aufheben, Abschaffen

მოსძახის Präs (მოსძახებს, მოსძახა, მოუძახნია) vt er singt mit, er ruft mit

მოსწავლე Sub Schüler(in)

მოსწონს Präs (მოეწონება, მოეწონა, მოსწონებია) vi er gefällt ihm

მოტანილი Ptz (mit) gebracht

მოუვლელი Ptz nicht gepflegt

მოუვიდა Aor (s. მოსდის): რა ~ ჩემს საათს? was ist mit meiner Uhr los?

მოუთხრობს Präs (მოუთხრობს, მოუთხრო, —) vt er erzählt, er berichtet (ihm)

მოუკიდო II Konjun (s. უკიდებს): ერთ სანთელზე რომ ათას სხვა სანთელს ~ wenn man an einer Kerze tausend andere (Kerzen) anzündet

მოულოდნელად Adv unerwartet

მოულოდნელი Ptz unerwartet; ~ ამბავი eine unerwartete Angelegenheit (ein unerwartetes Erreignis, eine unerwartete Nachricht)

მოუსპო Aor (s. სპობს): მან მას სიცოცხლე ~ er nahm (raubte) ihm das Leben

მოუყვანია Perf (s. მოიყვანს): წესრიგში ~ er hat in Ordnung gebracht

მოუცლელი Ptz beschäftigt; საქვეყნო საქმეებით ~ mit Landangelegenheiten beschäftigt

მოუხდა Aor (s. უხდება): მას შორს წასვლა ~ საჭმლის საშოვნელად sie mußte fortfliegen, um Nah-

rung zu suchen (w. sie mußte weit entfernt fliegen, um Futter zu finden, zu beschaffen)

მოუხმო Aor (s. უხმობს) er rief zu sich

მოფიქრებული Ptz überlegt, durchdacht

მოქალაქე Sub Bürger

მოქმედება Sub Akt; ~ ~ს მიჰყვებოდა einem Akt folgte der andere; Einwirkung

მოქმედებდა Impf (s. მოქმედებს): და ეს კარგად ~ ჩემს გუნება-განწყობაზე und das wirkte auf meine Laune gut ein

მოქმედებს Präs (იმოქმედებს, იმოქმედა, უმოქმედნია) vi er wirkt ein

მოღვაწე Sub Persönlichkeit; პოლიტიკური~ Politiker; საზოგადო ~ Persönlichkeit des öffentlichen Lebens; ხელოვნების ~ Kultu rschafende

მოღწეული Ptz erreicht; ჩვენამდე არაფერია ~ nichts ist auf uns gekommen

მოყვარე* Sub (მოყვრის) Verwandte, Nächste

მოყვარული Ptz Freund, Liebhaber, Amateur; წესრიგის ~ Freund von Ordnung

მოჩანს Präs (—, —, —) vi es ist sichtbar (es ist zu sehen)

მოსჭრეს Aor (s. სჭრის) : მის ხუროთმოძღვარს ხელი ~ man hat seinem Erbauer die Hand abgeschnitten

მოჩუხჩუხე Ptz rauschend (nur in bezug auf Wasser)

მოციმციმე Ptz funkend

მოძმე Sub Mitbruder

მოძრაობა nom ac Bewegung; Verkehr; გაცხოველებული ~ reger Verkehr

მოწაფე Sub Schüler(in)

მოწეული Ptz reif; დიდი გარჯით მოწეულო mit vieler (großer) Mühe reif geworden

მოწვევა nom ac Einladung

მოწითალო Adj rötlich

მოწმე Sub Zeuge; ტყუილი ~ falscher Zeuge

მოწყობილი Ptz eingerichtet

მოხარშული Ptz gekocht

მოხდა Aor (s. ხდება): ეს ამბავი ~ ...dieses Ereignis fand statt რა ~ ? was ist passiert? was ist los?

მოხერხებული Ptz bequem

მოხვედი Aor (s. მოდის); კარგია, რომ ადრე ~ gut, daß du früher gekommen bist

მოხნული Ptz gepflügt

მოხსენება Sub Vortrag

მოხუცი Sub Alte; Adj alt (in bezug auf Menschen)

მოჰკვეთა Aor (s. ჰკვეთს): თავი ~ man hat ihn enthauptet (den Kopf abgehauen)

მოჰყავს Präs (von vt geliehen: მოიყვანს, მოიყვანა, მოუყვანია) vi er bringt mit; წესრიგში ~ er bringt in Ordnung

მპარავი Ptz Dieb

მრავალი* (მრავლის) viel, unzählig, zahlreich

მრავალსართულიანი Adj vielstöckig

მრავალფეროვანი* Adj (მრავალფეროვნის) mannigfaltig, verschieden

მრავალჯერ Adv vielmal, mehrmals

მრისხანე Adj grausam

მსახიობი Sub Schauspieler (in)

მსმელი Ptz Trinker, Trinkender

მსმენელი Ptz (Zu)hörer, Zuhörerschaft

მსოფლიო Sub Welt; ~ში auf (in) der ganzen Welt

მსუბუქად Adv leicht

მსხალი* Sub (მსხლის) Birne

მტარვალი Sub Despot, Gewaltherrscher, Tyrann

მტევანი* Sub (მტევნის) Traube

მტერი* Sub (მტრის) Feind

მტირალი Prtz Weinender, weinend

მტკვარი* F (მტკვრის) Mtkwari; მტკვართან an Mtkwari

მტრედი Sub Taube

მტრობა nom ac Feindschaft

მუდამ Adv immer

მუდმივი Adj ewig

მუსიკა Sub Musik

მუსიკოსი Sub Musiker

მუქი Adj dunkel; ~ ცისფერი dunkelhimmelblau

მუშა Sub Arbeiter(in)

მუშაკი Sub Angestellte; ფოსტის ~ Postangestellte

მუშაობა nom ac arbeiten, schaffen, beschäftigen, beschäftigt sein

მუშაობს Präs (იმუშაებს, იმუშავა, უმუშავნია) vi er arbeitet; er ist beschäftigt, er beschäftig sich

მუხლი Sub Knie; ~ს მოდრეკა knien (vor)

მფლობელი Ptz Besitzer, Herscher

მქონე Ptz vermögend, besitzend, wohlhabend; ბრწყინვალე ნიჭის ~ ადამიანი ein Mann mit glänzender Begabung (glänzender Fähigkeiten) საოცარი ღონის ~ ein Mann mit erstaunlicher Kraft

მღალატობს Präs (s. ღალატობს) er verrät mich

მღერიან Präs (s. მღერის): აქ ხომ ფოთლებიც~hier singen sogar die Blätter

მღერის Präs (იმღერებს, იმღერა, უმღერია) vi er singt

მღვიძარი Ptz wach

მყიდველი Ptz Käufer

მყინვარი Sub Gletscher

მყუდრო Adj gemütlich

მშენებელი* Ptz (მშენებლის) Erbauer

მშველელი Ptz Gehilfe, Helfer; მეც შენი ~ ვიქნებიო ich kann auch dir helfen (ich werde auch dir helfen)

მშვენიერი* Adj (მშვენიერის) hübsch, wunderschön, wunderbar

მშვიდდება Präs (დამშვიდდება, დამშვიდდა, დამშვიდებულა) vi er beruhigt sich

მშვიდობა Sub Frieden

მშვიდობით! auf Wiedersehen! auf Wiederhören!

მშობლები Pl Eltern; მშობელთა კრება Elternversammlung

მშობლიური Adj: ~ მხარე Heimatland

მცველი Ptz Wächter; Hütter; Beschützer

მცირე Adj wenig, gering, minder

მცირეოდენი Adj ein wenig, gering; ~ ჯარი ein kleines Heer

მცურავი Ptz schwimmend; Schwimmender

მცხეთა St Mzchetha

მცხოვრები Sub Einwohner

მძევალი* Sub (მძევლის) Geisel; მძევლად დაიტოვა er behielt ihn als Geisel

მძივი Sub Perlenkette

მძლავრი Adj mächtig

მძღოლი Sub Fahrer

მწარედ Adv bitter; ~ დაღონდა er wurde sehr traurig

მწერალი* Sub (მწერლის) Schriftsteller

მწვანე Adj grün

მწვანედ Adv grün

მწკანილი Sub Grünzeug (eßbar)

მწყელავი Ptz Melkerin

მწყერვალი Sub Gipfel

მწიფდება Präs (დამწიფდება, დამწიფდა, დამწიფებულა) vi es wird reif

მწიფობისთვე Sub Oktober (veraltet)

მწიფს Präs (—, —, —) vi es reift, es wird reif

მწყერი* Sub (მწყრის) Wachtel

მჭამელი Ptz Esser

მჭირდება Präs (s. სჭირდება): რაც დღეისათვის ~ was ich für heute brauche

მხარე Sub Ort, Gegend, Landteil, Seite, Gebiet, Provinz; ჩემი ~ mein Land; მეორე ~ს an der anderen Seite; თავისი მხრით seinerseits; ჩემი მხრით meinerseits

მხარი* Sub (მხრის): მხრებზე შეისხა sie hob (nahm) sie auf die Schultern

მხატვარი* Sub (მხატვრის) Maler

მხატვრობა nom ac Malerei

მხნე Adj mutig, tapfer, munter, mutvoll, standhaft, tatkräftig

მხოლოდ Adv nur; erst

მხსნელი Ptz Retter

მჯდომი Ptz Sitzender

მჯერა Präs (s. სჯერა) ich glaube; მე ასე ვფიქრობ, მე ასე ~ w. ich denke so, ich glaube auch so

ნადირობა nom ac Jagd

ნადირობს Präs (ინადირებს, ინადირა, უნადირნია) vi er jagt, er macht Jagd

ნავარდობს Präs (ინავარდებს, ინავარდა, უნავარდია) vi er tummelt sich herum; რადგან ცოცხლე ასე ~ weil das Leben so tanzt

ნავი Sub Boot; ~თ სეირნობა Bootfahren

ნაზი Adj zart; sanft; fein; ~ხმით mit süsser (w. feiner) Stimme

ნათელი* Adj (ნათლის) hell

ნათესავი Sub Verwandte; მე არ მყავს ახლო ~ ic h habe keinen nahen Verwandten

ნათურა Sub elektrische Birne

ნაიარევი Adj Narbe; Wundmal; ~ წარსული Narbe der Vergangenheit

ნაირნაირი Adj verschieden, verschiedenartig

ნაირფერები Adj Pl: ~თ ნაქარგი mit verschiedenen Farben gestickt

ნაკადული Sub Bach, Bächlein

ნაკეთები Ptz gemacht

ნაკიანი Adj: ~ წელიწადი Schaltjahr

ნაკითხი Ptz belesen

ნაკლებად Adv weniger, minder; ~ თოვლიანი schneearm

ნაკლები Adj wenig, gering

ნამდვილად Adv sicher, wirklich, wahrhaftig

ნამდვილი Adj echt, wahrhaftig; მისი ~ გვარი sein echter Familienname

ნამუშევარი* Ptz (ნამუშევრის) Arbeit; Leistung

ნამცხვარი* Sub (ნამცხვრის) Gebäck

ნანა Sub Wiegenlied; Eign Nana

ნანგრევი Sub Ruine; ძველი ციხის ~ Trümmer der alten Festung

ნანობს Präs (დაინანებს, დაინანა, დაუნანია) vi er bedauert, er bereut

ნაპირი Sub Ufer, Rand; მტკვრის ორივე ნაპირს გასდევს sie zieht sich an beide Ufer der Mtkwari entlang

ნარიყალა Eign Nariq'ala; ნანგრევი ~სი Ruine von Nariq'ala

ნასადილევს Adv am Nachmittag, nach dem Mittagessen

ნასახლარი Sub eine Stelle, wo früher ein Haus war

ნასესხები Ptz geliehen

ნასოფლარი Sub eine Stelle, wo früher ein Dorf war

ნატრული Ptz ersehnt; ~ ვარ შენ დიდებულ ხმისაო; ich sehne nach deinen großartigen Tönen

ნატყვიარი Adj die Verletzungsstelle (durch einen Kugel)

ნაქარგი Ptz angenäht, eingestrickt (mit einer Nähnadel)

ნაღები Sub Rahm, Sahne

ნაღვერდალი* Sub (ნაღვერდლის) Aschenglut

ნაყიდი Ptz Einkäufe, gekauft

ნაცნობი Sub Bekannte

ნაცრისფერი* Adj (ნაცრისფრის) grau, graufarbig

ნაძვი Sub Tanne; ~ს ხე Tannenbaum

ნაწამები Ptz gequält, gemartert

ნაწარმი Sub Produktion, Erzeugnis

ნაწილი Sub Teil; ორ ნაწილად in zwei Teile; დიდ ნაწილში im großen Teil

ნაწყვეტი Sub Auszug (aus einem Text)

ნახავთ Fut (s. ნახავს): აქ ~ hier kann man sehen

ნახავს Fut (ნახა, უნახავს) vt er wird sehen

ნახე Imp (s. ნახავს) sieh (schau) ამ! ერთი ~! sieh (schau) mal an!

ნახატი Ptz Gemälde, gemalt

ნახევარი* (ნახევრის) halb; თერთმეტის ნახევარზე um halb elf; ~ საათი eine halbe Stunde; Sub Hälfte

ნახევარფაბრიკატი Sub Halbfabrikat, Halberzeugnis

ნახევრად Adv halb (unvollkommen, unvollständig; teils)

ნახელავი Ptz handwerklich gearbeitetes Stück

ნახვა nom ac Sehen; Besuchen

ნახვამდის! auf Wiedersehen! auf Wiederhören!

ნახულობს Präs (—, —, —) vi er sieht, er besucht

ნებავს Präs (—, —, —) vi er wünscht; რა გნებავთ? Sie wünschen? was wünschen Sie?

ნებისყოფა Sub Wille

ნეზვი Sub Weibchen; Tiermutter

ნელა Adv langsam

ნელ-ნელა Adv allmählich, langsam

ნერვი Sub Nerv

ნესვი Sub Melone

ნეტავ(ი) Ptk wenn... doch; wenn... nur; wenn... auch; ~ სად არის კიდევ ცა? wo ist bloß noch Himmel?! ~ რომელ სახლში დავიბადე?! wenn ich bloß wüßte, in welchem Haus ich geboren bin?!

ნიავი Sub Brise

ნივთი Sub Sache, Ding

ნიმუში Sub Muster

ნიშანი* Sub (ნიშნის) Note, Zensur, Zeichen; ~ ესვა ein Zeichen stand; ნიშანს დაუსვამდა er machte ein Zeichen

ნიჭი Sub Talent, Begabung, Gabe, Fähigkeit

ნიჭიერი Adj begabt

ნოემბერი* Sub (ნოემბრის) November

ნომერი* Sub (ნომრის) Nummer

ნორჩი Adj ganz jung

ნოსტე D Noste

ნუ Ptk nicht

ნული Sub Null

ნურასდროს Adv nie, niemals

ნუღარ Ptk nicht mehr

ო

ო! Interj o!

ობოლი* Sub (ობლის) Waise, Waisekind

ოთახი Sub Zimmer; ბავშვთა ~ Kinderzimmer

ოთხშაბათი Sub Mittwoch

ოთხჯერ Num: ~ დღეში viermal am Tage

ომი Sub Krieg

ონკანი Sub Wasserhahn

ოო! Interj o!

ოპერა Sub Oper; Operhaus; ფალიაშვილის ~ die Oper von Phaliaschwili

ორგვარი Adj zweifach; ~ა es gibt zwei Arten von...

ორგული Adj treubrüchig, wortbrüchig, treulos, verräterisch, untreu

ორი Num zwei; ~დან სამ საათამდე von zwei bis drei; ორ საათზე um zwei Uhr

ორიანი Sub eine Zwei (Zensur)
ორივე Num beide
ორიოდე Num ein Paar; einige; ~ საათის შემდეგ ein paar Stunden später
ორკესტრი Sub Orchester; ~დან aus dem Orchester
ორმა wir zwei
ორმო Sub Grube
ორნამენტი Sub Ornament
ორნახევარი Num zweieinhalb
ორშაბათი Sub Montag
ორცხობილა Sub Zwieback
ოსტატი Sub Meister
ოქრო Sub Gold; ~ს ხანა goldene Zeit, goldenes Zeitalter
ოქროსხმიანი Adj goldtönend; ~ სიმები goldtönende Saiten
ოქროყანა Sub goldenes Feld; D Okhroq'ana
ოქტომბერი* Sub (ოქტომბრის) Oktober
ოჯახი Sub Familie

პ

პალტო Sub Mantel
პამიდორი* Sub (პამიდვრის) Tomate
პანთეონი Sub Panteon; ქართველ მწერალთა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა ~ Pantheon der georgischen Schriftsteller und prominenten Persönlichkeiten
პანსიონი Sub Pensionat; ერთერთ პანსიონში in einem (ein) Pensionat
პაპა Sub Großvater
პაპანაქება Sub drückende Hitze
პარასკევი Sub Freitag
პარკეტი Sub Parkett; ~ს იატაკი Parkettboden
პარკი Sub Park; კულტურისა და დასვენების ~ Park für Kultur und Erholung
პარტერი Sub Parterre; ~ს მესამე რიგში in der dritten Parterreihe
პარტია Sub Partei; Partie
პარფიუმერია Sub Parfümerie
პასტა Sub Paste
პასუხი Sub Antwort
პატარა Adj klein; Sub Kleine
პატივსაცემი Ptz Ehren=
პატივისცემა nom ac Ehrerbietung, Achtung; ehren, achten
პატიჟებს Präs (დაპატიჟებს, დაპატიჟა, დაუპატიჟნია || დაუპატიჟებია) vt er lädt ihn ein
პატრონი Sub Besitzer, Herr
პაქტი Sub Pakt
პერანგი Sub (Unter)hemd
პეტერბურგი St Peterburg; პეტერბურგში in (nach) Peterburg
პირდაპირ Adv direkt, gegenüber; დერეფანი ~ გადის სასტუმრო ოთახში durch den Korridor kommt man direkt ins Gastzimmer
პირველად Adv zum ersten Mal, zuerst; vor allem
პირველი Num der erste; პირველ რიგში in der ersten Reihe; ~ ყვავილები die ersten Blumen
პირი Sub Mund; Maul; გავლე-

ნიანი~eine einflußreiche Person; ~ს დაბანა sich (w. Gesicht) waschen

პირიქით Adv im Gegenteil

პირსახოცი Sub Handtuch

პლასტმასა Sub Zelluloid; პლასტმასის განყოფილება Zelluloid-Abteilung

პლატო Sub Plateau, Hochebene, Hochfläche

პოემა Sub Poem

პოეტი Sub Poet, Dichter

პორტრეტი Sub Porträt

პოულობდა Impf (s. პოულობს) er fand დროს ~ er fand Zeit

პოულობს Präs (იპოვის, იპოვა, უპოვნია) vi er findet

პრაქტიკული Adj praktisch

პრემიერა Sub Uraufführung; Premiere

პროგრამა Sub Programm

პროდუქტი Sub Produkt

პროზაიკოსი Sub Prosaiker

პროსპექტი Sub Prospekt

პროფესია Sub Beruf

პროფესორი Sub Professor

პუდინგი Sub Pudding

პურეული Sub (Brot)getreide

პური Sub Brot; ~ს განყოფილება Brotabteilung

ჟ

ჟანრი Sub (Kunst) Genre; რა ჟანრის პოეტია? zu welchem Genre gehört er?

ჟუჟუნა Adj; ~წვიმა Sprühregen

ჟურნალი Sub Zeitschrift; ჟურნალ-გაზეთები Zeitungen und Zeitschriften

ჟურნალისტი Sub Journalist(in)

ჟღურტულებს Präs (იჟღურტულებს, იჟღურტულა, უჟღურტულნია) vi er schilpt

რ

რა Pron was; ~ ლამაზი კურდღელია! was für ein schöner Hase ist das! ~თბილა! wie warm ist es!

რად Pron als was

რადგან(აც) Konj weil, denn

რადიო Sub Radio, Lautsprecher; Rundfunk; მე ჩემს საათს ~ ზე ვაყენებ ich stelle meine Uhr nach Radio

რაზავს Präs (დარაზავს, დარაზა, დაურაზავს) vt er verriegelt

რაზმი Sub Trupp

რაიმე Pron etwas

რაიონი Sub Rayon, Bezirk, Landsgebiet

რამდენი Pron wieviel; რამდენ კაცზე für wieviel Personen

რამდენიმე Pron einige, mehrere, etliche

რამდენჯერ Adv wievielmal

რამდენჯერმე Adv einigemal, mehrmals, mehrmalig

რამე Pron etwas

რასაკვირველია gewiß, natürlich

რატომ Adv warum, weshalb; ~აც არა! warum nicht!

რაღა Pron etwas; აბა, ამაზე კარგი ~ იქნება? was wird aber besser sein als das?

რაღაცა Pron etwas, irgend etwas

რაც Pron was

რბილი Adj weich

რგავს Präs (დარგავს, დარგო, დაურგავს) vt er pflanzt

რედაქტორი Sub Redakteur

რეკავს Präs (დარეკავს, დარეკა, დაურეკავს) vt es klingelt, es läutet; საათი ~ die Uhr schlägt

რეპროდუქცია Sub Reproduktion

რეჟიმი Sub Regime; Herrschaftssystem; დღის ~ Tagesordnung

რეჟისორი Sub Regisseur

რესტორანი Sub Restaurant

რესურსები Sub Pl Ressource, Einkommensquelle, ბუნებრივი~ Naturschätze

რექტორი Sub Rektor

რეცხავს Präs (გარეცხავს, გარეცხა, გაურეცხავს) vt er wäscht (ab)

რეცხვა nom ac Waschen

რვა Num acht; რვიდან ცხრამდე von acht bis neun

რვეული Sub Heft

რთავს Präs 1. (შერთავს, შერთო, შეურთავს) vt; 2. (ჩართავს, ჩართო, ჩაურთავს) vt er schaltet ein

რთველი Sub Weinlese

რიგი Sub Reihe; აქ ~ არ არის hier geht es ohne langes Anstehen; ჩემი ~ ა ich bin an der Reihe

რიგიანი Adv gut

რით Pron womit

რიკოთის გადასასვლელი Eign Rikothi-Gebirgspaß

რიონი F Rioni

რისი Pron wessen (in bezug auf Dingen und Lebewesen, außer Personen)

რიცხვი Sub Zahl

რიწა Eign Riza; რიწის ტბა Riza-See

რკინიგზა Sub Eisenbahn; რკინიგზით mit der Eisenbahn

როგორ Adv wie; ~ არა wieso nicht; selbstverständlich; gewiß; როგორა ხარ? wie geht es dir?

როგორი Pron wie; was für ein

როგორც Konj wie (Vergleich); ~ ჩანს wie man sieht; ... ~ შენი ... wie dein; ~ კი sobald; ~ ... ასევე sowohl... als auch; ~ ყოველთვის wie immer

როდესაც Adv sobald, so wie

როდის Adv wann

როიალი Sub Flügel

რომ Konj daß, da; სიმღერაც~ არ იცოდეს wenn er nicht zu singen vermochte

რომანსი Sub Romans

რომანტიკოსი Sub Romantiker

რომანტიული Adj romantisch

რომელი* Pron (რომლის) welche; ~ საათია? wie spät ist es? რომელ წლებში? in welchen Jahren? ~ რუსთავიდან? aus welchem Rusthawi?

რომელიც Pron der, welcher; ~ მას მოეწონებოდა welcher ihm gefiel

რომელშიც Pron in dem

როცა Adv wenn; als

რუსეთი Eign Rußland

რუსთავი St u Or Rusthawi

რუსულად Adv russisch

რუსული Sub Russisch; Adj russisch

რჩება Präs 1. (დარჩება, დარჩა, დარჩენილა) vi er bleibt; მას დრო ~ კიდევ er hat noch noch Zeit; 2. (შემორჩება, შემორჩა, შემორჩენილა) vi es ist ihn erhalten geblieben

რძალი* Sub (რძლის) Schwiegertochter; Schwägerin

რძე Sub Milch; რძის ნაწარმი Milchprodukt

ს

სააბიტურიენტო Adj: ~ გამოცდა Abitur

სააღდგილმამულო Adj: ~ ბანკი Gutsbank

საადრეო Adj früh; ~ ვაშლი Frühapfel

საათი Sub Stunde; Uhr; საათნახევარი anderthalb Stunden; შენი ~ ოცი წუთით წინაა (უკანაა) deine Uhr geht zwanzig Minuten vor (nach); დილის რვა ~დან ღამის თერთმეტ საათამდე vom 8 Uhr morgens bis elf Uhr nachts; თერთმეტ საათსაც კი sogar achtzehn Stunden

საკაძე Eign Ssaakadse

სამო Adj angenehm

საოცარაკო Adj märchenhaft

საახალწლოდ Adv zum Neujahr

საბაგირო Adj: ~ გზა Schwebebahn

საბანაოდ Adv: მივდიოდით ~ wir gingen baden

საგანი* Sub (საგნის) (Lehr)fach; Gegenstand

საგანმანათლებლო Adj Aufklärungs=; კულტურულ- ~ Kultur-Aufklärungs= (Bildungs=)

საგზური Sub Ferienschein, Ferienschecks; Einweisung

სად Adv wo; wohin

სადა Adj einfach

სადაო Adj strittig

სადარი Adj zu vergleichen; ზურმუხტის და მარგალიტის ~ mit Smaragd und Perlen zu vergleichen

სადაური Pron der woher stammende

სადაც Adv wo

სადილი Sub Mittagessen; ~ს შემდეგ nach dem Mittagessen

სადილობა nom ac zu Mittagessen; სადილობისას beim Mittagessen

სადილობს Präs (ისადილებს, ისადილა, უსადილნია) vi er ißt zu Mittag

სადმე Adv irgendwo; irgendwohin

სადღაც Adv irgendwo; irgendwohin

საერთო Adj gesamt, gemein, gemeinsam

საერთოდ Adv im allgemeinen, überhaupt

საექიმო Adj ärztlich

სავარცხელი* Sub (სავარცხლის) Kamm

საყარძელი* Sub (საყარძლის) Lehnstuhl
საყარჯიშო Sub Übung
საყსე Adj voll
საზამთრო Sub Wassermelone
საზაფხულო Adj Sommer=; ~ არდადეგები Sommerferien
საზოგადო Adj gesellschaftlich; Gesellschafts=; Gemeinschafts=
საზოგადოება Sub Gesellschaft
საზრდო Sub Nahrung; Futter
საზღვრავს Präs (—, —, —) ergrenzt
სათავსო Sub Bequemlichkeit, Komfort; ყველა ~თი mit allen Bequemlichkeiten
სათამაშო Ptz Spiel=; ფეხბურთის~მინდორი Spielfeld für Fußball; Sub Spielzeug
სათამაშოდ Adv um zu spielen; ჭადრაკის ~ um Schach zu spielen
სათვალე Sub Brille
სათითაოდ Adv einzeln
საიდან Adv woher
საიდუმლო Sub Geheim, Geheimnis; Adj geheimnisvoll
საინტერესო Adj interessant; ბევრი რამ ~ viel Interessantes
საირმე Kur Ssairme
საიუველირო Adj; ~ ნაწარმი Juwelirwaren
საკითხი Sub Frage
საკლასო Adj Klassen = ; ~ოთახი Klassenzimmer
საკმაოდ Adv ziemlich
საკმარისი Adj genug; ausreichend
საკონდიტრო Adj Konditorei=; ~განყოფილება Konditorei-Abteilung
საკონტროლო Adj Kontroll=; ~ წერა Kontrollarbeit
საკუთარი* Adj (საკუთრის) eigen
საკუჭნაო Sub Speisekammer, Vorratskammer
სალათა Sub Salat
სალარო Sub Schalter
სალოცავად Adv: ~ მოვედი ich kam zu beten
სალხენო Adj fröhlich
სალოცავი Ptz Gebet=; betlich
სამაგიეროდ Adv anstatt, statt dessen
სამარილე Sub Salzdose
სამასი Num dreihundert
სამასწავლებლო Sub Lehrerzimmer
სამაჯური Sub Armband
სამზარეულო Sub Küche
სამი Num drei; სამ-სამი je drei
სამიანი Sub eine Drei
სამლოცველო Sub Betzimmer, Bethaus
სამოსელი* Sub (სამოსლის) Gewand, Kleidung
სამსახური Sub Dienst
სამუშაო Sub Arbeit; Adj: ~ ოთახი Arbeitszimmer
სამშაბათი Sub Dienstag
სამშობლო Sub Vaterland, Heimat; ~ ქვეყანა Vaterland, Heimatland
სამწუხაროდ Adv leider
სამხარი* Sub (სამხრის) Vesper
სამხრეთი Sub Süden; ~თ südlich

საშხრობს Präs (ისაშხრებს, ისაშხრა, უსაშხრია) vi er vespert

სანადიროდ Adv auf die (der) Jagd; ~ მივდივართ wir gehen auf die Jagd

სანამდე Adv bis, so lange, bevor; სანამდისინაც bis, so lange

სანაპირო Sub Uferstraße; Strand; Küste; შავი ზღვის ~ Schwarzmeerküste

სანახავი Ptz sehenswürdig; მშვენიერი ~ა es ist sehenswürdige Seltenheit

სანეტარო Adj erwünscht

სანთელი* Sub (სანთლის) Kerze

სანოვაგე Sub Produkt, Proviant

საომრად Adv Kampf =; Schlacht=; ~ მოემზადნენ sie bereiteten sich zum Kampf

საოცარი* Adj (საოცრის) erstaunlich, merkwürdig

საოცნებო Adj traumhaft

საპოვნელად Adv: წავიდა ბარტყების ~ sie ging ihre Nestlinge suchen შვილების ~აო (ich gehe) meine Kinder suchen

საპონი* Sub (საპნის) Seife; საპნით mit der Seife

საპორტო Adj Hafen=; ~ ქალაქი Hafenstadt

სარაინდო Adj Ritter=; ~ რომანტიული პოემა ein romantisches Ritterpoem

სარდალი* Sub (სარდლის) Feldherr

სარდლობა nom ac Heeresleitung; ყარჩიხა-ხანის სარდლობით unter Heeresleitung von Q'artschicha-Chan

სარეცხი Sub Wäsche

სართული Sub Etage, Stock(werk): პირველი ~ Erdgeschoß

სარი Sub Pfahl

სარკე Sub Spiegel

სარკმელი* Sub (სარკმლის) Schalter; მე სარკმელთან მივედი ich ging zum Schalter

სასადილო Sub Speiseraum, Mensa, Kantine, Gaststäte; ~ ოთახი Eßzimmer

სასარგებლო Adj nützlich, nutzbringend, vorteilhaft

სასაუზმე Sub Imbißstube, Imbißraum

სასაუზმოდ Adv zum Frühstück

სასაცილო Adj komisch; ~ა das ist komisch

სასახელო Adj ruhmreich, ruhmvoll, ruhmbedeckt, berühmt

სასიამოვნო Prt angenehm; ეს ძალიან ~ა es ist sehr angenehm

სასიმღეროდ Adv: ~ გაღებული zum Singen offen

სასპორტო Adj Sport=; ~ დარბაზი Sportsaal

სასტიკად Adv umbarmherzig, grausam, heftig, stark

სასტუმრო Sub Hotel, Gasthaus; ~ ოთახი Gastzimmer

სასურსათო Adj Lebensmittel=; ~ მაღაზია Lebensmittelgeschäft

სასწავლებელი* Sub (სასწავლებლის) Schule; Lehranstalt

სასწავლებლად Adv: ~ მიაბარეს sie gaben ihn in die Lehre

სასწავლო Adj Lehr=; Studien=; ~ წელი Studienjahr; Lehrjahr

საუბარი* Sub (საუბრის) Gespräch, Unterhaltung; ~ დედას- Gespräch mit der Mutter

საუბრობს Präs (ისაუბრებს, ისაუბრა, უსაუბრია) vi er spricht; er unterhält sich

საუზმე Sub Vorspeise; Frühstück; ცივი ~ kalte Vorspeise

საუზმობს Präs (ისაუზმებს, ისაუზმა, უსაუზმია) vi er frühstückt

საუკეთესო Adj der beste; am besten; ~ დრო die günstigste (beste) Zeit

საუკუნე Sub Jahrhundert; რომელი საუკუნისაა ეს ძეგლი? aus welchem Jahrhundert stammt dieses Denkmal? რომელი საუკუნიდან? aus welchem Jahrhundert? მეხუთე საუკუნიდან aus dem V. Jahrhundert; მეხუთე საუკუნემდე bis V. Jahrhundert

საფლავი Sub Grab; მათ საფლავზე სალოცავად მოვედი ich besuchte ihre Gräber, um zu beten

საფოსტო Adj Post=; ~ განყოფილება Postabteilung; ~ ყუთი Postkasten; ~ ბარათი Postkarte

საფულე Sub Geldtasche

საქართველო Sub Georgien; ~ს თანა so wie Georgien; აღმოსავლეთი ~ Ostgeorgien; დასავლეთი ~ Westgeorgien

საქვეყნო Adj das Land (Volk) betreffend, öffentlich; ~ საქმეები öffentliche Angelegenheiten, Staatsangelegenheiten

საქმე Sub Angelegenheit; Tat; დედას ბევრი ~ აქვს die Mutter hat alle Hände voll zu tun; ~ დაგვიგროვდება wir werden vollauf zu tun haben; ~ები Pl Angelegenheiten

საქმრო Sub Bräutigam

საქონელი* Sub (საქონლის) Ware; Vieh

საღებავი Sub Farbe

საღამო Sub Abend

საღამოს Adv am Abend; abends

საყვარელი* Ptz (საყვარლის) Liebhaber, Geliebte; Adj Lieblings=; ~ შვილი Lieblingskind

საყიდელი* Ptz (საყიდლის): ის მიდის საყიდლებზე er geht einkaufen

საშინაო Adj haus=

საშინლად Adv furchtbar, schrecklich

საშოვნელად Adv: საჭმლის ~ Futter (Nahrung) finden (verschaffen, beschaffen)

საშუალო Adj mittlere

საჩუქარი* Sub (საჩუქრის) Geschenk; ~ ც კი ვიყიდე მისთვის sogar ein Geschenk habe ich für ihn gekauft

საცალო Adj Einzel=; ~ განყოფილება die Abteilung für fertig verpackte Waren

საცოლე Sub Braut

საცურაო Adj Schwimm=; ~ აუზი Schwimmbad, Schwimmbecken

საცხოვრებელი* Ptz (საცხოვრებლის) Wohn=; ~ სახლი Wohnhaus

საძინებელი* Ptz (საძინებლის) ~ ოთახი Schlafzimmer

საძირკველი* Sub (საძირკვლის) Fundament, Grundstein

საწერი Ptz Schreib=; ~ მაგიდა Schreibtisch

საწოლი Sub Bett; ~ ოთახი Schlafzimmer

საწყენი Ptz: ძალიან ~ა das ist sehr schade!

საჭირო Adj nötig: ~ა წასვლა man muß gehen

საჭმელი* Sub (საჭმლის) Essen, Nahrung; Futter

სახატავი Ptz Zeichen=

სახე Sub Gesicht; რა სახის? was für ein?

სახელი Sub (Vor)name; ბევრს შეშურდა მისი ~ viele beneideten ihn um seinen Ruhm; მან ~ დიდად გაითქვა er machte sich einen großen Namen; და სხვათა სახელები und die Namen vieler anderen

სახელობის (დღე) Sub Namenstag

სახელოვანი* Adj (სახელოვნის) ruhmbedeckt, berühmt, ruhmreich, angeschen, mit Ruhm bedeckt

სახელმძღვანელო Sub Lehrbuch

სახელმწიფო Sub Land; Königsreich; Adj Staats=, staatlich

სახლი Sub Haus; სახლში nach (zu, im) Hause; ins Haus

სახსოვარი* Sub (სახსოვრის) Andenken

სახურავი Sub Dach

სევდა Sub Kummer; გული სევდით ევსება er wird traurig, sein Herz grämt sich

სეირნობა nom ac Spaziergehen, Spazieren, Spaziergang, einen Spaziergang machen

სეირნობს Präs (ისეირნებს, ისეირნა, უსეირნია) vi er spaziert, er macht einen Spaziergang, er geht spazieren

სეირი Sub Hügel, Anhöhe

სერიოზულად Adv ernst

სესხულობს Präs (ისესხებს, ისესხა, უსესხნია) vi er leiht (von j-m)

სექტემბერი* Sub (სექტემბრის) September

სვამს Präs (—, სვა, უსვამს) vt er trinkt

სველი Adj feucht, naß

სვეტიცხოველი K Swetizchoweli

სთავაზობს Präs (უთავაზებს, უთავაზა, უთავაზნია ‖ უთაკაზებია) vt er bietet an

სთხოვს Präs (მოსთხოვს, მოსთხოვა, მოუთხოვია) vi er bittet; er fordert (von ihm etw.)

სიამაყე Sub Stolz

სიამოვნება nom ac Genuß, Vergnügen

სიამოვნებით Adv mit Vergnügen

სიამოვნებს Präs (—, —, —) vi es ist ihm angenehm

სიგარეტი Sub Zigarette

სიდიადე Sub Großartigkeit, Erhabenheit

სივრცე Sub Ebene; Raum; Weite

სიკვდილი Sub Tod; Sterben

სილამაზე Sub Schönheit; თავისებური ~ eigenartige Schönheit

სიმამაცე Sub Kühnheit

სიმართლე Sub Wahrheit; ~ გითხრა ehrlich gesagt

სიმაღლე Sub Höhe

სიმბოლო Sub Symbol, Sinnbild, Wahrzeichen

სიმდიდრე Sub Reichtum

სიმი Sub Saite

სიმღერა Sub Lied; Singen; Gesang

სიმშვიდე Sub Ruhe, Friedlichkeit, Gelassenheit

სიმწვანე Sub Grün

სინათლე Sub Licht, Schein; ~ა dort brennt Licht

სინამდვილე Sub Wirklichkeit

სიონი K Ssioni

სისტემატურად Adv regelmäßig

სისტემატური Adj regelmäßig

სისულელე Sub Dummheit

სისხლი Sub Blut; ~ს უკანასკნელ წვეთამდე bis zum letzten Bluttropfen

სიტყვა Sub Wort; ერთი სიტყვით mit einem Wort

სიყვარული Sub Liebe; lieben, gern haben; პირველი ~ die erste Liebe

სიჩუმე Sub Stille, Ruhe; ~ ჩამოვარდა es wurde still

სიცილი Sub Lachen

სიცოცხლე Sub Leben; სიცოცხლის უკანასკნელი წლები letzte Lebensjahre უშენოდ ~ც არ მინდა ohne dich will ich sogar nicht leben

სიცხე Sub Hitze; Temperatur; Fieber

სიცხოველე Sub Lebenskraft, Lebendigsein; Wärme; Kraft

სიძე Sub Schwiegersohn; Schwager

სიწითლე Sub Röte; სიწითლისგან von Röte

სიხარული Sub Freude; სიხარულისგან მეშვიდე ცაზეა er ist vor Freude im siebenten Himmel

სკამი Sub Stuhl

სკდება Präs (გასკდება, გასკდა, გამსკდარა) vi er birst (platzt)

სკოლა Sub Schule; საშუალო~ Mittelschule; სკოლისაკენ in die Schule; სკოლაში in der (die) Schule; სკოლიდან aus der Schule; სკოლის შენობა Schulgebäude

სოკო Sub Pilz

სოლი Sub Keil

სოფელი* Sub (სოფლის) Dorf; სოფელში im (ins) Dorf, auf dem (aufs) Land

სოფლელი Sub ländlich; vom Lande; Ländler

სოფლური Adj ländlich

სოხუმი St Ssochumi

სპარსეთი Sub Persien

სპარსელი Sub Persier

სპექტაკლი Sub Theaterstück, Aufführung

სპეციალისტი Sub Fachmann; მე ამ დარგის ~ გახლავართ ich bin Fachmann auf diesem Gebiet

სპეციალური Adj speziell

სპობს Präs (მოსპობს, მოსპო, მოუსპია) vt er vernichtet, er hebt auf, er schafft ab

სპორტი Sub Sport

სპორტული Adj: ~ მაღაზია ein Geschäft für Sportwaren

სრული Adj; სრულ შვიდ საათზე Punkt um sieben

სრულდება Präs (შესრულდება, შესრულდა, შესრულებულა) vi es wird erfüllt

სრულიად Adv ganz, gar, völlig

სტატია Sub Artikel

სტილი Sub Stil, Manier, Zeitrechnung; ახალი ~თ nach neuem Kalender

სტუდენტი Sub Student(in)

სტუმართმოყვარე Adj gastfreundlich

სტუმართმოყვარეობა Sub Gastfreundschaft

სტუმარი* Sub (სტუმრის) Gast

სტუმრად Adv zu Gast

სუვენირი Sub Andenken

სულ Adv ganz; völlig; im ganzen

სულგანაბული Adj atemlos

სუნამო Sub Parfüm

სურათი Sub Bild; Gemälde

სურათებიანი Adj; ~ წიგნი Bilderbuch

სურამის ქედი Eign Ssurami-Gebirgsrücken

სურვილი Sub Wunsch; მას წიგნის სწავლის ~ ხომ დიდი ჰქონდა er hatte ja große Lust, das Buch zu studieren

სურს Präs (—, —, —) vi er will, er wünscht, er möchte

სურსათი Sub Produkt, Proviant

სუსტი Adj schwach

სუფთა Adj rein, sauber, reinig

სუფრა Sub Tisch; Tischtuch, Tischdecke; ის მე სუფრის გაშლაში მეხმარება er hilft mir den Tisch decken; მე კი ჯერ ~ არ გამიშლია und ich habe den Tisch noch nicht gedeckt

სცენა Sub Szene, Bühne

სძინავს Präs (ეძინება, ეძინა, სძინებია) vi er schläft

სძლევს Präs (დასძლევს, დასძლია, დაუძლევია) vt er überwältigt, er besiegt

სძლია Aor (s. სძლევს) er besiegte, er überwältigte

სძულს Präs (—, —, სძულებია) vi er haßt

სწავლა Sub Lernen; Studium; Unterricht; სწავლისას während des Studiums; კარგი სწავლით durch gutes Lernen

სწავლობს Präs (ისწავლის, ისწავლა, უსწავლია) vi er lernt; er studiert

სწვდება Präs (მისწვდება, მისწვდა, მისწვდომია) vi er erreicht

სწორად Adv richtig

სწორედ Adv gerade

სწრაფად Adv eilig, dringend, rasch

სწყინს Präs (ეწყინება, ეწყინა, სწყენია) vi das nimmt er übel, es kränkt ihn, es tut ihm leid

სჭირდება Präs (დასჭირდება, დასჭირდა, დასჭირვებია) vi es ist nötig für ihn, er braucht

სჭრის Präs (მოსჭრის, მოსჭრა, მოუჭრია) vt er schneidet ab; er fällt (Baum)

სხამს Präs (ამოსხამს, ამოსხა, ამოუსხამს) vt er läßt ausfliegen

სხედან Präs (s. ზის) sie sitzen

სხვა Pron andere; ~ დროს das nächste Mal, ein anderes Mal; სხვები die anderen

სხვაგან Adv anderswo, woanders

სხვადასხვა Pron verschieden

ს ხვადასხვანაირი Pron verschieden, verschiedenartig

სხლავს Präs (გასხლავს, გასხლა, გაუსხლავს) vt er beschneidet (Weinrebe)

სჯის Präs (დასჯის, დასაჯა, დაუსჯია) vt er bestraft

სჯობია (სჯობს) (—, —, —) vi es ist besser; ~ ბევრი არ ვიფიქრო ამაზე es ist doch besser nicht allzuviel darüber nachzudenken

ტ

ტანი Sub Körper; კავკასიის ~ Massiv des Kaukasus; მან ტანზე უნდა ჩაიცვას er muß sich anziehen

ტანისამოსი Sub Kleidung

ტანსაცმელი* Sub (ტანსაცმლის) Kleidung; ტანსაცმლის კარადა Kleiderschrank

ტარდება Präs (ჩატარდება, ჩატარდა, ჩატარებულა) vi es findet statt

ტარი Sub Griff

ტარო Sub Maiskolben

ტაში Sub Beifall; ტაშს უკრაკდა man klattschte Beifall

ტაძარი* Sub (ტაძრის) Domkirche, Kathedrale

ტახტი Sub Ottomane

ტბა Sub der See

ტევრი Sub Dickicht; ფიქვის~ Kieferndickicht

ტელეგადაცემა Sub Fernsehübertragung

ტელეგრამა Sub Telegramm

ტელევიზორი Sub Fernsehapparat

ტელეფონი Sub Telefon; ~თ telefonisch

ტექსტი Sub Text

ტეხს Präs 1. (გადატეხს, გადატეხა, გადაუტეხია) vt er zerbricht; 2. (გატეხს, გატეხა, გაუტეხია) vt er (zer)bricht

ტირის Präs (იტირებს, იტირა, უტირია) vi er weint

ტიტანი Sub Titan

ტკბილი Adj süß

ტოვებს Präs (დატოვებს, დატოვა, დაუტოვებია) vt er verläßt

ტოროლა Sub (Feld)lerche

ტორშერი Sub Stehlampe

ტრაგიკული Adj tragisch

ტრამვაი Sub Straßenbahn

ტრიალებს Präs (იტრიალებს, იტრიალა, უტრიალნია) vi er dreht sich; er wirbelt

ტროლეიბუსი Sub Trolleybus

ტუალეტი Sub Toilette

ტურისტი Sub Tourist

ტურისტული Adj touristisch; ~ საგზური touristische Einweisung, Einweisungsschein

ტურფა Adj wunderschön, liebreizend; Sub Schönheit; ~ საქართველო schönes Georgien

ტუჩი Sub Mund, Lippen; ტუჩმოკლე w. kurzmundig

ტყე Sub Wald

ტყვია Sub Kugel

ტყუილად Adv umsonst; ~ კი არ ჰქვია man nennt doch nicht umsonst

ტყუილი Sub Lüge; ~ს თქმას გირჩევნია, გულში ტყვია დაიხალო lieber schieß dir eine Kugel durch den Kopf als lügen; ~ მოწმე falscher Zeuge

უ

უამბობს Präs (უამბობს, უამბო, უამბნია) vt er erzählt (j-m etw.)

უამინდობა Sub Unwetter

უარი Sub Absage, Ablehnung, Verweigerung, Zurückweisung; ცივი ~ შეუთვალა er ließ es kalt (schroff) ablehnen; არც სეირნობაზე ვამბობდი უარს ich war auch nicht gegen einen Spaziergang

უახლოესი Adj nächst, nahe liegend, nahe stehend

უახლოვდება Präs (მოუახლოვდება, მოუახლოვდა, მოახლოვებია) vi er naht

უაღრესად Adv äußerst

უბე Sub Tasche (an der Brust); უბის წიგნაკი Notizbuch

უბედური Adj unglücklich

უბერავს Präs (დაუბერავს, დაუბერა, დაუბერავს) vi es weht

უბნევს Präs (დაუბნევს, დაუბნია, დაუბნევია) vt er verwirrt; ამან მას გონება სულ დაუბნია das verwirrte ihm ganz den Verstand

უბნელდება Präs (დაუბნელდება, დაუბნელდა, დაბნელებია) vi es wird ihm dunkel

უბრუნდება Präs (დაუბრუნდება, დაუბრუნდა, დაბრუნებია) vi er kehrt zu ihm zurück

უგდებს Präs (დაუგდებს, დაუგდო, დაუგდია) vt ყური დაუგდეს sie horchten, sie (be)lauschten

უგებს Präs (გაუგებს, გაუგო, გაუგია) vt er versteht ihn

უგემური Adj nicht schmackhaft

უგზავნის Präs 1. (გაუგზავნის, გაუგზავნა, გაუგზავნია) vt er schickt; er sendet; 2. (გამოუგზავნის, გამოუგზავნა, გამოუგზავნია) vt er schickt, er sendet

უგროვდება Präs (დაუგროვდება, დაუგროვდა, დაგროვებია) vi: ბევრი საქმე დაგვიგროვდება wir werden vollauf zu tun haben

უგრძესი Adj am längsten; der längste

უგუმბათო Adj ohne Kuppel

უდგამს Präs (დაუდგამს, დაუდგა, დაუდგამს) vt er stellt (j-m etw.)

უდგება Präs (დაუდგება, დაუდგა, დასდგომია) vi: მას საუკეთესო დრო დაუდგა für ihn kam die günstigste (beste) Zeit

უდრის Präs (—, —, —) vi es ist gleich

უეჭველად Adv unbedingt

უვარცხნის Präs (დაუვარცხნის, დაუვარცხნა, დაუვარცხნია) vt er kämmt

უვლის Präs (მოუვლის, მოუარა, მოუვლია) vt er pflegt

უზარმაზარი Adj riesig, mächtig

უზიარებს Präs (გაუზიარებს, გაუზიარა, გაუზიარებია) vt er teilt mit

უთარგმნის Präs (გადაუთარგმნის, გადაუთარგმნა, გადაუთარგმნია) vt er übersetzt (j-m etw.)

უთეთრდება Präs (გაუთეთრდება, გაუთეთრდა, გასთეთრებია) vi es wird ihm grau

უთენებია Perf (s. ათენებს); ღამეს დღე ~ der Nacht folgt der Tag (w. nach der Nacht bricht der Tag)

უთვლის Präs (შეუთვლის, შეუთვალა, შეუთვლია) vt er teilt mit (durch eine Mittelsperson)

უთმენს Präs (მოუთმენს, მოუთმინა, მოუთმენია) vt er duldet

უთო Sub Bügeleisen

უკავშირდება Präs (დაუკავშირდება, დაუკავშირდა, დაჰკავშირებია) vi er verbindet sich

უკაკუნებს Präs (დაუკაკუნებს, დაუკაკუნა, დაუკაკუნებია) vt er klopft

უკან Adv hinter; zurück; საათი ოცი წუთით ~ არის die Uhr geht 20 Minuten nach

უკანასკნელი Adj letzte

უკაცრავად! Verzeihung! verzeihen Sie!

უკეთებს Präs (გაუკეთებს, გაუკეთა, გაუკეთებია) vt er macht (für ihn etw.)

უკეთია Präs (—, ეკეთა, —) vi: ხელზე საათი ~ er hat eine Uhr am Arm

უკვდავი Adj unsterblich

უკვე Adv schon; längs

უკიდებს Präs (მოუკიდებს, მოუკიდა, მოუკიდებია) vt er zündet an

უკითხავს Präs (წაუკითხავს, წაუკითხა, წაუკითხავს) vt er liest ihm vor

უკრავს Präs (დაუკრავს, დაუკრა, დაუკრავს) vt er spielt (ein Instrument) ტაშს ~ er klatscht Beifall

ულაგებს Präs (დაულაგებს, დაულაგა, დაულაგებია) vt er packt (ihm etw.) ein; er legt (ihm etw.)

ულამაზესი Adj am schönsten; der schönste; sehr schön

ულამაზო Adj unschön

ულექსიკონოდ ohne Wörterbuch

ულვაში Sub Schnurrbart

ულოცავს Präs (მიულოცავს, მიულოცა, მიულოცავს) vt er gratuliert

უმაგრესი Adj am stärksten; der stärkste; sehr stark

უმასპინძლდება Präs (გაუმასპინძლდება, გაუმასპინძლდა, გამასპინძლებია) vi er bewirtet ihn

უმაღლესი Adj Ober=; Hoch=; der höchste; ~ სკოლა Hochschule; ~ განათლება Hochschulbildung

უმეორებს Präs (გაუმეორებს, გაუმეორა, გაუმეორებია) vt er wiederholt ihm

უმეტესი Adj die meisten; უმეტეს შემთხვევაში am meisten

უმზადებს Präs (მოუმზადებს, მოუმზადა, მოუმზადებია) vt er bereitet ihm (für ihn)

უმი Adj roh

უმოკლესი Adj der kürzeste; am kürzesten

უმღერებს Fut (უმღერა, უმღერია) vt er wird für ihn singen

უმღერის Präs (—, —, —) vi er singt für ihn

უმცროსი Adj jünger; die jüng-

ste; am jüngsten; ჩემი ~ ვაჟი mein jüngster Sohn

უნაწილებს Präs (გაუნაწილებს, გაუნაწილა, გაუნაწილებია) vt er verteilt

უნდა Präs (—, —, —) 1. vi er will; ვისაც სკოლაში წასვლა ~, დილით ადრე ~ ადგეს ხოლმე, ტანთ ჩაიცვას, პირი დაიბანოს, გაკვეთილები გაიმეოროს, გაიმზადოს აბგა და გასწიოს სკოლისაკენ wer in die Schule gehen will, muß früh am Morgen aufstehen, sich anziehen, sich waschen, die Hausaufgaben wiederholen, sich den Schulranzen vorbereiten und in die Schule gehen; 2. Ptk mit II Konjun er muß (soll); ბავშვმა წერა ~ ისწავლოს das Kind muß schreiben lernen; მე შენთან ~ მოვიდე ich muß zu dir kommen; ჩვენ დედას ~ მოვეხმაროთ wir müssen der Mutter helfen

უნდათ Präs (s. უნდა) sie wollen; ბავშვებს კინოში წასვლა ~ die Kinder wollen ins Kino gehen

უნდოდათ Impf (s. უნდა): მათ (D) ~ საქართველო მოესპოთ sie wollten Georgien aufheben (vernichten)

უნივერმაღი Sub Warenhaus; უნივერმაღში im (ins) Warenhaus

უნივერსიტეტი Sub Universität; უნივერსიტეტში an, in der (die) Universität

უპასუხებენ Präs (s. უპასუხებს) man antwortet; sie antworten

უპასუხებს Fut (უპასუხა, უპასუხნია) vt er antwortet

უპატრონო Adj herrenlos, obhutlos; aufsichtlos; unbeaufsichtigt

ურბენს Präs (დაურბენს, დაურბინა, დაურბენია): ~ თავს er versperrt j-m von vorne den Weg

ურევია Präs (—, ერია, —) vi er ist vermischt; er ist (daran) beteiligt

ურეკავს Präs (დაურეკავს, დაურეკა, დაურეკავს) vt er ruft an; er läutet; er klingelt

ურეცხავს Präs (გაურეცხავს, გაურეცხა, გაურეცხავს) vt er wäscht (für j-n)

ურიგებს Präs (დაურიგებს, დაურიგა, დაურიგებია) vt er teilt aus; er verteilt

ურჩევნია Präs (—, —, —) vi er zieht vor, er bevorzugt; მას წიგნი ყველაფერს ~ er liebt das Buch über alles

ურჩევს Präs (შეურჩევს, შეურჩია, შეურჩევია) vt er wählt (etw. für j-n) aus

ურჩი Adj ungehorsam, unfolgsam

უსვამს Präs (დაუსვამს, დაუსვა, დაუსვამს) vt er macht (ein Zeichen)

უსვია Präs (—, ესვა, —) vt er ist beschmiert, er ist bestrichen; es steht (ein Zeichen)

უსმენს Präs (მოუსმენს, მოუსმინა, მოუსმენია) vt er hört zu

უსპობს Ptäs (მოუსპობს, მოუსპო, მოუსპია) vt: სიცოცხლეს ~ მას er nimmt (raubt) ihm das Leben

უსურვებს Fut (უსურვა, უსურვებია) vt er wünscht

უტეხს Präs (გაუტეხს, გაუტეხა, გაუტეხია) vt er (zer)bricht ihm etw.

უტყუარი Adj glaubwürdig

უფართოვდება Präs (გაუფართოვდება, გაუფართოვდა, გაფართოვებია) vi ihm wird etw. breit

უფეხო Adj beinlos, ohne Bein

უფითრდება Präs (გაუფითრდება, გაუფითრდა, გაჰფითრებია) vi etw. wird ihm blaß

უფლება Sub Recht

უფრო Adv mehr; eher; ~ და ~ immer mehr; ის ~ წააგავს... es gleicht eher...; ~ გაძლიერებული mehr verstärkt; nach Komp: დღე ~ მოკლეა, ვიდრე ღამე der Tag ist kürzer als die Nacht

უფროსი Sub Chef; Adj der älteste

უფსკრული Sub Kluft, Abgrund

უქმად Adv umsonst

უქუდო Adj ohne Mütze

უღებს Präs (გაუღებს, გაუღო, გაუღია) vt er öffnet ihm, er macht ihm auf

უღმერთო Adj gottlos

უყვარდა Impf (s. უყვარს) er liebte ihn, er hatte ihn gern

უყვარს Präs (—, —, ჰყვარებია) vi er liebt, er hat gern

უყიდის Fut (უყიდა, უყიდია) vt er wird kaufen (für j-n)

უყრის Präs (მოუყრის, მოუყარა, მოუყრია) თავი vt er versammelt; მან თავი მოუყარა er versammelte

